სამშაბათი, 1 იანვარი 1929 წ. № 1 (185) წლიწადი მეექვსე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

ნახ. ნადარეიშვილის.



# „ტარტაროზი"-ს საახალწლო მილოცვები

## კომპარტიას

არც მარცხნივ და არც მარჯვნივ გადახრა.
გაქვს სწორი ხაზი გენერალური,
დღეს საგარეო ფრონტზეც მაგრად ხარ,
შინც მტკიცედ გიდგას დროშა, ალური!..

## კომკავშირს

ძველი გვარდიის თუ ხარ შემცვლელი,
ბრძოლაშიც უნდა წინაპარს ჰგავდე:
მშენებლობაშიც გერჩოდეს ხელი
და ცოდნის კაუსაც ნორჩ კბილით მხრავდე!..

## პროფკავშირს

ხარ კომუნიზმის უბადლო სკოლა
და თვითკრიტიკის მტკიცე ბერკეტი,
დემოკრატიის გშვენოდეს ყოლა,
არისტოკრატი მოგწვდეს ვერც ერთი!..

## საბჭოთა მთავრობას

ხვდები ახალ წლით ახალს არჩევნებს,
რაზმავ საბჭოთა დემოკრატიას,
ხცი, ეს შენს მტრებს ყველგან აღელვებს,
მაგრამ რომ მოგწვდენ, რა აბადიათ?!.

## ს. მ. უ. ს.-ს, როგორც ინდუსტრიალიზაციის მესაჭეს

მაგისტრალური ხაზი გიპყრია,
ზედ მემანქანეც ხარ ორთქლმავალის!..
ლვედათ მოვევლე მაგ ჩარხის ტრიალს,
მომჭრელი არის გულის და თვალის!..

## ქალაქის საბჭოს

წარსულში ბევრი გყავდა სექცია
და საქმეებსაც ბევრსა სწვდებოდენ..
არ სჭირდებოდეს წევრებს ლექცია,
სხდომებს უკლებლივ რომ ესწრებოდენ!..

## ალმასკომს

ტერიტორია გაიფართოვე,
ალმშენებლობის დაიდგი მთები,
არჩევნებისაც სჩანს სიახლოვე.
საქმითაც უფრო დაიტვირთები!..

## უ ძ ს ს

— „წელს ჩავიბარე სახლი, ურიცხვი,
და ასე მოვხპე კრიზისი ბინის!"
მაგრამ მეც მკვეხარ ქოთნის ვარ ციცხვი,
ვიცი ამბავი ტრაბახის ძირის!..

## მუშკოოპს

შენს ხელში არის მთელი ვაჭრობა,
ჰყიდი: ზეთს, მარილს, ერბოს და კარაქს...
საერთომ კერძოს თუ მთლად აჯობა,
აჭმევ, ასმევ და შემოსავ ქალაქს!..

## საბჭოთა თეატრს

კარგი საქმეა სპეციალობა,
სჩანს. აქვს თეატრსაც სხვადასხვა დარგი:
მომწონს ოპერის მუსიკალობა,
წელს ერთიც დრამა ქუთაისს დარგი,
მოზარდობასაც უყავ წყალობა,
პირი სოფლისკენც მიგიჩანს კარგი!..

## რუსთაველის თეატრს

მომწონს ნაბიჯი ანზორ ჩერპიშის,
წელს ლიანდაგიც კარგათ გუგუნებს:
ან „შინაურულ საქმეს" ვინ გიშლის,
ან საგარეოთ ვინ დაგიწუნებს?!

## საxელგამს

რომ ამრტო „თავის" სახელს დაეჭდო,
ქართულობაში დაგვაეჭვებდი,
მაგრამ, ღმერთს ვმადლობ: იქნებ დაბეჭდო
ამ წელშიც ერთი „შოთას ბეჭედი"!..

## მუშკორს

თვალი და ყური ხარ ჩვენი პრესის,
ბიუროკრატებს გულს ხვდები ეკლად,
ერთგული გზირი საბჭოთა წესის,
ამ ზამთრის სუსხსაც კი ხვდები ცეცხლად!..

## ბიუროკრატს

მუშათა მტრებში შენ ხარ პირველი,
რომ იან გდევს მუდამ ძველის ნათშები,
მაგრამ არ გვრჩები დაუჭირველი,
ალმოუფხვრელიც ვერ გადაგვრჩები!..

## გლეხობას

თუ გატყდა კავი, გაცვთა სახნისი,
ტრაქტორს მოელის ჩვენი გლეხობა,
ძველი დრო იყო არრის მაქნისი,
ახალს დროს და წესს მისთვის ემხრობა!..

## სასოფლო - სამეურნეო კოლექტივებს

ერთობა გიხსნის შენ გასაჭირში,
შრომაშიც უნდა ის დაგეხმაროს,
ეცადე, რომ მაგ „შრომის კავშირში"
ერთი „კულაკიც" ვერ შეგეპაროს!..

## კულაკს

სოფლის ბობოლა, ჩასუქებული,
ჯერ კვლავ სარგებლობს ჩვენის სისუსტით,
მაგრამ კომუნა მოვა, ქებული,
მოგიჭერს სალტეს მთელის სიზუსტით!..

# „გაუგებრობა"

ნახ. ტაბატაძის



— მე ამათი ვერაფერი გამიგია! ამბობდენ: ეს თვით კრიტიკა არისო. თვე კი არა, მეორე წელიწადი დაიწყო და ეს კამპანია ისევ გრძელდება

# ტარტაროზის ღია ბარათი ბალდუინს

ნახ. მარიაშის.

ბოლდუინმა განაცხადა: „ეს წელი (1928) იყო იმედების გაცრუებისა და სურვილების გაწბილების წელი“.
(დეპეშებიდან).

ჩვენ გვიხარია ახალი წელი,
რადგან ვიზრდებით და ვძლიერდებით.
ჩვენ გვიმაგრდება, —თქვენ გწყდება წელი,
ისეც ბებერი, უფრო ბერდებით.

წინ კალენდარი გადაგიშლია, —
მაგრამ ეს უფრო უარესს გიქადის.
„ძველი ხელობა“ ვერ მოგიშლია, —
კისერს მოიტეხ მიხვალ იქამდის.

აგიჯანყდება ახალშ…ნები
და ფაფარს აშურის [illegible]ვის ტალღა;
(რას გახდებიან მათ[illegible] მენები“!?)
ფართხალს დაიწყებ ბებერი ლალლა.

ამ წელს შენ ხვდები და ეგებები
გულში მრავალი ბოროტ განზრახვით, —
მაგრამ გიმტყუნებს კვლავ იმედები
და ვერ დასტკბები იმათი ნახვით.

ჩვენ გვიხარია ახალი წელი
რადგან ვიზრდებით და ვძლიერდებით.
ჩვენ გვიმაგრდება, — თქვენ გწყდება წელი,
ისეც ბებერი, უფრო ბერდებით.

—[illegible]




### მღვდლებს

ვაი, ნასუქო ღაბაბო, ღიპო,
დაგრძელებულო ხშირო ფაფარო,
ან ეს მუცელი რით გავიტკიპო,
ან ეს ფერდები რითი დავფარო?!.

### ფუფოდიებს

ვიტკიპებოდით, როგორც მუთაქა,
და ვსუქდებოდით
და კომსომოლმა ქმრებს რომ უთაქა,
მას შემდეგ ჩვენი საქმეც წავიდა!..

### ცხოვრების დანარჩენ ნაცარ-ნუცარს

არც თქვენი საქმე არის საქებად,
თუმცა მოსძებნეთ აქა-იქ ხვრელი,
მაგრამ გდევთ ძველი შუბლზე ლაქებად
და გერეკებათ მუშათა ხელი!..

# საახალწლო საგარეო მიმოხილვა

თუ ვერ ვღალატობ ტრადიციას,
 დე, ნუვინ მძრახავს!
ძველს და მიმავალს — კისრის ტეხა.
 სალამი — ახალს!

—:—

ვირის კუდია ეს ქვეყანა,
 არ დაგრძელდება,
თუმც მოელა მისი ამ ახალს წელს
 მეც მიძნელდება.
ვიწყებ კალმით, მისი პაკტის
 დღეს მოგონებამ
მომისპო ფიქრი იარაღზე,
 პაპას ცხონებამ,
და ნიუიორკს ხელსაწერად
 მიმეჩქარება:
ისე მომძულდა ფანქრის სათლელ
 დანის ტარებაც!..

—:—

თუმცა, რა ვიცი, ეს ქვეყნები
 თავს რომ იყრიან,
განიარაღის საკითხში წინ
 ვერც კი იძვრიან,
ისე ერთ ადგილს დგანან, როგორც
 ვირი, გაქირი:
ვერც ცხენს სწვდებიან, ვერ გატეხეს
 ვერც უნაგირი!
სულ სესესერი, როგორც ძვალი,
 ადგიათ ყელზე,
თვითონ კი ტევა იარაღის
 არ უჩანთ წელზე!.

—:—

ამ ხალხს წერილი ლიტვინოვმაც
 უძღვნა ახალი,
გამოიწვია მითქმა-მოთქმა,
 აყალ-მაყალი:
„დემაგოგია, დემაგოგი
 სესესერიო,
არც სიტყვა გვინდა ჩვენ იმისი,
 არც ნაწერიო,
განიარაღის საკითხში ჩვენ
 გვაქვსო მიღწევა:
პარაგვაიზე ბოლივიის
 თუნდაც „მიწევა“!..

—:—

და რა ვიგონებ ცნობილს თათბირს
 აქ ლუგანოში,
თითქოს მექისე ტანს მიზელდეს
 მე აბანოში,
ისე მსიამოვნებს მათი დენჯი
 ქილო და ტაქტი.
თუმცა სესესერს რომ უცრუნდენ,
 ფაქტია, ფაქტი!..

—:—

ლონდონის ხერხებმ მომაგონა
 [illegible]
სესესერს ცოტას უთვალთვალებს
 განა ეს ნუწყა!
სწყალობს ლევიცკის შულიგინთან
 მიწერ-მოწერას,
ეტრფის ჩვენს ყელზე მტრული ზრახვის
 დევლიას მოპერას;
მაგრამ ამ [illegible] ესოდენ
 ჩვენზედ [illegible]ში
არ შეირცხვინოს. მეფიქრება,
 ბანზა ულვაში!..

—:—

ულვაშთა მარცხი ბევრმა ნახა
 წელს ბუხარესტში,
ფარულ თათბირზე ისხდენ ელჩნი
 დუნაის ნესტში
ინგლის - საფრანგეთ - პოლონეთის,
 თვით რუმინეთის,
შერჩათ ნიშანი: გულს — ავზრახვის,
 კუდზე კი — „ფესტის“!

—:—

ისევ თათბირი ლუგანოში
 აქ მაგონდება,
ბრიან - ჩემბერლენ შტრეზემანის
 წინ, რომ ლონდება;
— რეინს დავსცლითო — უყვავებენ: —
 პაპა ცხონდება;
ასოცდათხუთმეტ მილიარდი
 მარკის მოდება
თუ თქვენის ჯიბით ჩვენს ჯიბეში
 გადმიგორდება!..
სცენის ეს სატამაშ და სიცილით
 ნუ გაგორდება!..

—:—

ყველა სესესერს ულერებს მუშტს
 საკუთარ ბანით:
ლონდონ „ტაიმსით“ ქვეშ. ქვეშაობს,
 პარიზი — „ტანით“,
მაგრამ.. ჩუ. ეს დღეს რა ხმა მოდის

## რადიოს მოსმენა



...ტუციურ მოხსენებას

# შეხვედრა

ნახ. მარიაშის.

ბევრჯერ უსაუბრიათ ერთად ჩემბერლენს, ბრიანს და შტრეზემანს მშვიდობიანობის შესახებ. მაგრამ მათ თათბირს შედეგი არასოდეს არ გამოუღია, ასე მოხდა ეხლახან ლუგანოშიაც.

(გაზეთებიდან)



ჩემბერლენი, ბრიანი და შტრეზემანი (მშვიდობიანობის ანგელოსს ჩუმ დ): — მშვენიერო, მაგათ ნუ ენდობი, ზატუშილებენ. ჩემსავით არავის არ მოსწონხარ და უყვარხარ!

ავღანისტანით?
— „ინგლისს ავღანელთ სიკეთე სურს"! —
    გამოიცანით!..

—:—

სიკეთე სხვისთვის სხვას ვის არ სურს
    ამ ქვეყანაზე?
მე ჰაეროპლანს გადავაფრენ
    ქალაქ კანა'ზე
და სირიისკენ მიწვდა მისი
    ცხვირის ბრუნება,
საოცარია კაცის ხვედრი,
    მისი ბუნება.
საფრანგეთს მქონდეს დღეს „ნანდ-ტი"
ამ ქვეყანაზე,
არ ეხეოდეს იტალიაც
    მისთვის დანა'ზე
და ერთი ლიგას არ უსვამდეს
    ამ კითხვას, მწარეს:
„მომცემ თუ არა სამანდატოთ
    მე ამ „თბილ" მხარეს?!"
შეუძლებელი არის სხვაფერ
    ამის ატანა!
მეც, ტარტაროზიც, ისე ვფიქრობ,
    როგორც სატანა!..

—:—

„თბილი" და „სითბო" ნავთის არის,
    ჭირით, თვისება!
აქ, ამის თქმაზე გული ჩემი
    ლხენით ივსება.

მომაგონდება რა ცნობილი
    მე დეტერდინგი,
ვისაც საქმით გამჭრიული
    აქვს ნავთით დინგი!
„სტანდარტ ოილის" აძლევს თვი
    წინადადებას,
ნავთის გაზრდიდან ლამობს ჩვენი
    ნავთის გაგდებას!
თავი ანებოს, ურჩევნია,
    თავისაგდებას!..

—:—

მე მევალკომზეც, აღარ ძალმიძს,
    რომ არ ვსთქვა რამე!
რა უჭირს? ახოვე ძველი ვალი,
    დაჯექ და სვამე...
მაგრამ კუთილებმა რომ ვერ შესძლონ
    ამდენის ჭამა,
მაშინ იყიდეთ ექვენ ამ ხალხის
    კბილების დამა!..

—:—

ჰა, მიმოხილვა საშიშროლო
    მეც გავათავე!
დღ. მეპატიოს. ზოგი ვიხმე
    თუ გავამწვავე!..
მაგრამ არც მე ვარ ამ საქმეში
    საგრძნობლად „დეთრი";
რა იქნებოდა, მეთქვა მოკლე
    და უცრით მკვეთრი?!

ძმის ძე.

# „თ ა ვ ი ს-თ ა ვ ზ ე"

**დღესასწაულების** წინა დღეებში ყველგან ფუს-ფუსი და მზადებაა, მაგრამ ჩვენს რედაქციაში, რომ ამბავია, ამან შარისაგან, ასეთი არსად იქნება.

მკითხველებს ალბად ახსოვთ გასულ ნომერში ჩემი დავიდარაბა. სწორედ ასეთივე ხათაში გამაბა ტარტაროზმა ეხლაც.

—:—

**რედაქციაში** ისევ თათბირი გვქონდა „ტარტაროზი"-ს საახლწლო ნომრის შესახებ.

— ჩვენი მიზანია ამ დღესასწაულებზე შევებრძოლოთ ლოთობას! — გველაპარაკებოდა ტარტაროზი თანამშრომლებს.

— მე გავიგე, რომ ამხ-ბა „საქართველოს ღვინო"-სა და „სახსპირტის" („გოსპირტ") ინიციატორობით დაარსებულია ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგა, რომელსაც მხარს უჭერენ მიკიტნები! — დაიწყო „მოხსენება" **ალლარ-ალლარსანმა,** რომელსაც „ახალ ამბების" შეთხზვაში ვერც ერთი სოფლის ჭორიკანა დედაკაცი ვერ შეედრება.

— ლიგიდან ხეირი არ იქნება! — წამოიძახა **ონისიმემ.**

— უკაცრავად, მაგრამ ეს ლიგა „ერთა ლიგა" არ გახლავთ, რომ მისგან ხეირი არ გამოვიდეს! — განუმარტა **ნადირმა.**

— ჰოო, თუ კი მაგრეა, მაშინ სხვაა! — დაეთანხმა **ონისიმე** და თავისი მოკაუჭებული ჯოხი კისერზე ჩამოიკიდა.

— ჰოდა იმას ვამბობდი, — განაგრძო ალლარ-ალლარსანმა,—რაკი ამხ-ბა „საქართველოს ღვინო" და „გოსპირტი" ლოთობის წინააღმდეგი არიან, ამ საახალწლოდ ცხოვრებაში გატარდება დღევანდელი ლოზუნგი:

— ნეტარ არიან მორწმუნენი! — ჩაუნისკარტა „ძირს ლოთობა".

თ. **იამ** სახარების სიტყვებით. (ახლახან გამოვიდა მისი „ახალი აღთქმა" **დემიან ბედნის** თქმა).

— ამხანაგო ს. თ—ია, თქვენ ნუ ხართ „ურწმუნო თომა"! — ჩაერია **ბადარეული.**

— მე თომა არ მქვია; თომა ჩვენი რედაქტორია?

— კი, მაგრამ რაში გამოიხატება მათი „ბრძოლა" ლოთობის წინააღმდეგ? — შეეკითხა „მომხსენებელს" სარკაზმული ღიმილით **ჰაზირა.**

— რაში გამოიხატება და, იმაში გამოიხატება, რომ, აი, ხომ ხედავ ამ განცხადებას?..




— რაკი მაგრეა, კეთილი და პატიოსანი; ორივე წარმოება მადლობის ღირსია. მაგრამ საჭიროა მცირეოდენი შესწორების შეტანა თქვენს გამოთქმაში, სახელდობრ სკ: „ამხ-ბა „საქართველოს ღვინომ" და „გოსპირტმა" დაარსეს ლოთობის **ხელისშემწყობი** ლიგა"... ეს არის ჩემი შესწორება; სხვა არაფერი! —სთქვა **დიტომ** და დაჯდა, თუმცალა ლაპარაკის დროსაც (როცა იდგა) არავის შეუმჩნევია.

— ამხანაგებო, — გაისმა ტარტაროზის „სირინოზის ხმა" ისე მძლავრად, რომ ჭერში ლუსტრამ ქანაობა დაიწყო. — ჩვენ აქ უნდა დავადგინოთ, რომ ახალ წლიდან ყველა ჩვენგანი თავს ანებებს ღვინის სმას, რათა ამით მაგალითი მივსცეთ სხვებს.

— ვაი, რა მეშველება! დავილუპე კაცი!—გაიფიქრა **სეგეირ-ბენ-შეისმა** და ტარტაროზს შეეკითხა: — თუ ღვინის სმას თავი ვერ გავანებეთ, რა სასჯელი იქნება?

— გამოირიცხება ჩვენს რიგებიდან.

— ამხანაგო ტარტაროზო, — წამოყუდდა ზეზე **ისაელი,** — გთხოვთ თანამშრომელთა სიაში ჩემი სახელი და გვარი ამთავითვე წაშალოთ, რადგან თავისი იმედი არა მაქვს.

— ჩემიც!

— ჩემ.ც!

— ჩემიც!—გაისმა უმეტესობის ხმა.

— ერთი ამათ დახეთ?! სად ვეძებდი ძაღლის თავს და სად ყოფილა დამარხული! —ეს ისეთი გაბრაზებით სთქვა ტარტაროზმა, რომ ყველა შიშმა აიტანა.

**ისაელმა** თავზე ხელი მოისვა და სხვებსაც შეხედა— მართლაც ძაღლის თავები ხომ არ გვაბიაო, — და როცა ყველას თავზე მშვიდობა დაინახა, ტარტაროზს მორჩილებითა და მობოდიშებით მიმართა: — ვიხუმრეთ, ამხანაგო ტარტაროზო, თორემ ჩვენ ყველანი ვუერთდებით თქვენს აზრს და ახალ წლიდან ჩვენი პირი წვეთ ღვინოსაც ვერ ნახავს. — და შეეკითხა ამხანაგებს: — ხომ ასეა, ამხანაგებო?

— რა თქმა უნდა მასეა! — დაეთანხმა ყველა.

— რა დროს ხუმრობაა?! აქ სერიოზული საკითხია — გაცხარდა მხატვარი **დონი.** — მე მოვითხოვ: არა თუ მარტო ჩვენ, ჩვენი ოჯახისწევრებსაც ავუკრძალოთ ღვინო, რომელიც ალკოგოლია და ალკოგოლი კი ადამიანს სწამლავს.

— რა „სული წმინდა" ამბობს?!—წამოისროლა რეპლიკა **ტოძსინმა.**

— აბა ნახავთ, თუ არ გავატარო ცხოვრებაში ჩემი სიტყვა.

—„საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ! — თითქოს თავისთვისო, სთქვა ს. თ—**იამ** იმავე სახარების სიტყვებით.

— მაშასადამე, ყველა თქვენგანი თვალყურს უნდა ადევნებდეს, რომ ლოთობას ადგილი არ ჰქონდეს ამ საახლწლოდ. საჭიროა საიქიოშიაც გაიგზავნოს კაცი, რომ იქიდანაც მოიტანოს ამბავი ლოთობის შესახებ. ვის უნდა იქ წასვლა? — იკითხა ტარტაროზმა.

— ამხანაგებო, **ზმუკს** ნუ შევეცილებით. მან იცის იქაური ამბები, გამოჩვეულია. დღეისწორსაც ის იყო იქ! —შემოიტანა წინადადება **პ. ობოლმა.**

— ვერ მოგართვი ბადრიჯანი! — ველარ მოვითმინე და წამოვხტი. — თუ კარგია თვითონ შენ წაბრძანდი.

— მშიშარა! — უკბინა **ჭინჭარამ.**

— ერთი შენ ყოფილიყავი ჩემს ადგილზე?! ძლივსღა მოვახერხე აქეთ გამობრუნება!

— რა მოგარბენინებდა აქეთ? დარჩენილიყავ იქ! — წამოიძახა **სინემატომ.**

— შენ დარჩი იქ თუ კარგია... ამხანაგო ტარტაროზო, მე იქ კიდევ ვერ წავალ!

— ევგენი, — უბრძანა ტარტაროზმა რედაქციის შიკრიკს, რომელსაც სკამზე ჩამოსძინებოდა, — გაუმზადე **ზმუკს** [illegible] პედი!

— ემ წუთში! — თვალების ამოფშენეტით სთქვა ევგენიმ და გარედ გავარდა.

— რაო რა, სთქვა?.. ჰო, ისო!— მოაგონდა დერეფანში ევგენის რაც ტარტაროზმა უთხრა და საწყობში შევიდა.

— ახალ წლის ღამით სრულ თორმეტ საათზე, როცა აღმასკომის საათი რეკას დაიწყებს, ქალაქში უნდა დაბრუნდე. მე მოედანზე დაგხვდები! — მითხრა ტარტაროზმა და თათბირი დამთავრებულად გამოაცხადა.



**რამდენიმე** წუთის შემდეგ საიქიოსკენ მივფრინავდი და ვფიქრობდი:

— რა ახირებული კაცია ეს ტარტაროზი?! საიქიოში ლოთობა როგორ იქნება?!

ამ ფიქრებით უკვე სამოთხეში ამოვყავი თავი და ერთ მარანზე გზის ახლოს შევამჩნიე თავყრილობა ჩოჩქოლი.

მივედი და ჩემს წინაშე შემდეგი სანახაობა გადაიშალა:

მართლმორწმუნე ნოე (გვარი არ ვიცი) გალეშილი ეგდო და დედისშობილა გორავდა ტალახში. თავზე დასდგომოდენ ვაჟიშვილები და დაცინვით ეკითხებოდენ:



—ნოეჯან, ეგ რა მოგსვლია?

— „ძირს ლოთობა"-ო, რომ გაიძახიან, მეც ასე მოვიქეცი — ძირს ვგდივარ.

— ტანზე ვინ გაგატიტლიკანა ასე?

— ალბად ქურდებმა გამხადეს და მომპარეს ტანსაცმელი!

— რატომ დაითვერი ასე?

— მაყარიჩი გადავიხადე, რომ ღმერთმა გადამარჩინა მსოფლიო წარღვნას!

— აი, პირველი ლოთი და ლოთების მამამთავარი!— ვსთქვი ჩემთვის და გზა განვაგრძე.

**შორიდან** მაყრული მომესმა.

როცა მივუახლოვდი, მართლაც ქორწილი აღმოჩნდა.

მთვრალი სტუმრები მღეროდენ:

ტოლუმბაშო ჩანჩალაო,
ღვინო გვასვი ჩქარჩქარაო.

უჩინრად ჩავფრინდი ეზოში.

მასპინძელი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო და თავისიანებში მოსთქვამდა:

დავიღუპე კაცი.. მომეჭრა თავი: ღვინო გამომელია?

— ნუ გეშინია, —ანუგეშა ღვთისმშობელმა, რომელმაც ყური მოჰკრა მასპინძლის წუწუნს და მასთან მოვიდა, — ჩემს შვილს, იესოს ვეტყვი და ღვინოს გააჩენს!— და ღვთისმშობელმა ხელი დაუქნია ქრისტეს, რომელმაც ის-ის იყო ყანწი გამოსცალა და ალავერდი გადავიდა.

— ნუ იცი შენ ახირება და ჩემი შეწუხება! მე ვსვამ ღვინოს, თორემ შენ ხომ არა?! რა შენი საქმეა რამდენს დავლევ?!—უსაყვედურა მოსვლისთანავე ქრისტემ დედას.

— დაიცა, ბიჭო; მე რას გეუბნები და შენ რას მიედმოედები?! ამ ჩვენს მასპ-ნძელს ღვინო შემოაკლდა. თუ როგორმე ღვინო არ გააჩინე, რა შავ ჭირს ჩაცეცხლავ მაგ პირში? უშველე რამე!

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, მიშველე რამე. სირცხვილს ნუ მაჭმევ, ნუ მომჭრი თავს ხალხში. ღვ-ნო გამომელია. ეს რომ სიძემ გაიგოს. ისეთი თავმოყვარე კაცია რომ გაბრაზდება და ქალს მიმიტოვებს. შენი ჭირიმე, მიშველე! — ევედრებოდა მასპინძელი ქრისტეს.

— დაუძახე მერიქიფეებს, რომ აავსონ დაცარიელებული ჰურები წყლით! — გასცა განკარგულება ქრისტემ, რომელიც სიმთვრალის გამო ბარბაცობდა და ფეხებზე ძლივს დგებოდა.

მერიქიფეებმა საჩქაროდ აავსეს წყლით ქვევრიბი. ქრისტემ წვერ-ულვაშზე ხელები გადისვა და ღმერთს შევევედრა:



ღმერთო, ღვინო შემოგვაკლდა,
მასპინძელი სტირს საწყალი.
წითელ ღვინოდ გარდაჰქენი,
ამ ჰურებში რომ არს წყალი.

შემდეგ მიუბრუნდა მერქიფეებს და უთხრა:—ჩამოუდგით ყველას ჩაფებით. ღვინო ბევრია!—და ისევ წავიდა სუფრისაკენ.

მასპინძლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— ვაჰხ! ეს რა ყარაჩოღელი ვიღაც ყოფილა?! — გავიკვირვე და ისევ გზა განვაგრძე.

— **ნეტავ** ვისია ეს სასახლე?—ვსთქვი, როცა მშვენიერი შენობა დავინახე. — უნდა გავიგო აქ ვინ ცხოვრობს. — და უჩინრად შევიპარე ჰარახმხანაში, სადაც იჯდა მაჰმადი და მას გარშემო ქალები ეხვია.

მაჰმადს სუფრა გაშლილი ჰქონდა და ღიღინებდა.



**კახურო ღვინოვ, ვარ შენი მსმელი.**
**გინდ იყო თეთრი, და გინდ წითელი.**

—:—

— სანიძლაოს დავდებ, თუ ბუდაც მსმელი არ იქნება!—გავიფიქრე და ჩემი გზა განვაგრძე.

ბუდას სასახლეში ძალიან გამიჭირდა შესვლა, რადგან კარებზე ინგლისელი გუშაგები იდგენ. მაგრამ მაინც მოვახერხე შეპარვა. გავიარე მთელი ლაბორინტი და ბოლოს შევედი ბუდას სამყოფში.

გამართლდა ჩემი წინათგრძნობა. ბუდა საკმაოდ შეზარხოშებული დამხვდა და კიდევ ბხოულობდა:



**თქვენი ღმერთი მე ვარ ბუდა,**
**მომიტანეთ ღვინით გუდა.**

სწორედ ამ დროს მომესმა ალმასკომის საათის ერთჯერ დარეკა. გამოვიხედე და დავინახე: თორმეტის ნახევარი იყო. უკვე დრო იყო ჩემი დაბრუნებისა და მეც აქეთკენ გამოვქროლდი.

**ცოტა-ღა** აკლდა თორმეტს, როცა ტფილისში ჩამოვფრინდი.

ტარტაროზი მიჩნეულ ადგილს დამხვდა.

ანგარიში ჩავაბარე.

ქუჩაში რამდენიმე მთვრალი გამოჩნდა.

მივუახლოვდით და ვიცანით: **ისელი, სეგეირ-ბენშეიხ, ალლარ-ალლარსან, სინემატო, პ. ოგოლი** და **ჟინჟარი.**

— ეს რა ამბავია? ეს არის თქვენი პირობა? — შეუტია ტარტაროზმა და სწორედ ამ დროს ალმასკომის საათმა რეკა დაიწყო.

— დავთვალოთ რამდენჯერ დარეკოს: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8. 9, 10 11, 12... ბასტა! ამიერიდან ჩვენ აღარ დავითვრებით. ჩვენი პირობა ძალაში შედის ახალ წლიდან, ე. ი. ამ წუთიდან. ჩვენ დავითვერით 1928 წელში, ეს იყო შარშან, გასულ წელში. ჩვენ პირობა არ გაგვიტეხია... ამხანაგებო, მივულოცოთ ტარტაროზს 1929 წელი და ვუსურვოთ მას ამ წელში აღეგვას მიწის პირისაგან ყველა ჩვენი მტრები!—და ისელი ჩაეხვია ტარტაროზს. მას სხვებმაც მიჰბაძეს. ტარტაროზი იცინოდა და მშობლიური სიყვარულით ამბობდა:

— მართლაც დიდი ოხრები ხართ! თქვენც გილოცავ ახალ წელს და გისურვებთ კიდევ უფრო წარმატებით ბრძოლას ჩვენი მტრების წინააღმდეგ.

**პირველი** საათის 15 წუთი იყო გასული, როცა მარტოდ სახლში მივდიოდი.

მოსახვევში შევამჩნიე, რომ ღვინის სარდაფში სირაჯები კვარტებში ღვინოს ასხამდენ; თანაც წყალს ბლომად ურევდენ.

— მეტი არ მოგვივიდეს, თორემ შეამჩნევენ! — ეუბნებოდა ერთი სირაჯი მეორეს.

— შე კაი კაცო, თუ კი ქრისტემ წყალი ღვინოდ აქცია, ჩვენ ღვინო რომ წყლად ვაქციოთ, რა დაშავდება? თანაც, ხომ იცი, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ლოთობას. წმინდა ღვინო კაცს დაათვრობს, წყალნარევი კი მაინცდამაინც ვერ მოერევა! — ეუბნებოდა მეორე.

ჩაველი და ორი კვარტი ღვინო ვიყიდე.

— ჩვენების ჯინაზე ამ ორ კვარტ ღვინოს მარტოდ მე დავლევ და ისე დავითვრები, რომ ყველაფერს დავამტვრევ სახლში! — მივდიოდი და ვფიქრობდი ჩემთვის.

მოსახვევიდან ვიღაც მთვრალი გამოვიდა. ერთ კედელს რომ დაეჯახებოდა, კედელი ისეთი სიმძლავრით უკუაქცევდა, რომ მეორე მხარეზე მიეხეთქებოდა, და ასე სულ. დათვივით ბუტბუტებდა.

ვიცანი. ეს ჩვენი მტახვარი **დონი** იყო, რომელიც თათბირზე ყველაზე უფრო მეტად ილაშქრებდა ლოთობის წინააღმდეგ.

— რა გაღრიალებს დაჭრილ დათვივით? — შევეკითხე და პირისპირ დავუდექი.

—ჰაა, შენა ხარ ზმუკი, ჩვენი „ძმა"?—და ექსპრომტად დაიწყო სიმღერა:

**ჩემო ძმაო ზმუკიო,**
**გიახელი სუკიო.**
**თუ გინდ გცემო ტუკიო, (კეტი)**
**დავლევ, არის თუ კიო!**

— საიდან მოდიხარ?

— ჩვენი „ძმები" არ შეგხვდენია?! ერთად ვიყავით... იმ უსინდისოებმა დამტოვეს; სუფრაზე ჩამომძინებოდა... ეს რა გაქვს ხელში?

— ღვინოა!

— ორი კვარტი?!

— ჰო, ორი კვარტი.

— ფუი, შენს კაცობას, ორი კვარტი ღვინო რას გიზამს საახალწლოდ?! ორ ფუთ ღვინოს მარტოდ მე დავლევ შენსას! — და უცბად გამომტაცა ხელიდან ორივე კვარტი, რომლებიც ერთმანეთს მიაფშვხნა და სთქვა: — თანაბარი ძალის ყოფილა ორივე! — გადიხარხარა და სიმღერით გზას გაუდგა.

**ჩემსავით** პირნათლად მგონი ტარტაროზსაც არ ექნება შესრულებული ჩვენი საახალწლო პირობა.

**ზმუკი.**

# კალანდობა

## გურული სცენა

ისე დეირღვა ჩემი და შენი ორგულის და ავის მდომელის ძვალი დორბილი, რავაც იგი 1928 წელიწადი დეიროვა და გათავდა.

დადგა ახალი წელიწადი, გაგვითენდა ახალი კალანდა და მეც ავჯახრიკდი, ძველებურად ავხრუნტრუცკდი, ახალი წლის იმედი მომეცა. ქე ვიცი მარტუაი ენის რაკუნი არაფერს არ მომიტანს, მარა მაინც ერთი დიდი კოდორი სხვადასხვანაირი ნაჭერით გავტენე. ჩემი საკალანდო ნატვრა მარტუაი ჩემი მეზობლებიზა — გურულებიზა მინდა.

ყველა გურულს ვუსურვებდი მეორე კალანდას მაინც ქონოდეს შინაური მოყვანილი საკალანდო სახაჭაპურე პური და ჭაჭუტაი, ღვინო და ქათამი, ნიგოზი და ქათმის შესაქმაზი სუნელი და შინაური ნალიის სიშინდით გასუქებული ღორი... ყველას ყოლოდეს ისეთი შინაური აფხანაკი, ცოლი, რომელიც არც იუკადრისებს და კიდეც შეიძლებს ყველა აგინის კეთებას, მარა ისე, რომ ზედ კორცხალი არ დააყაროს, ფილში არ ჩაგინაყოს, წყევლა- კრულვით ყური არ გამოგიბჟუოს და რაცხა მოგიტანოს, ტკბილად შეგაჭამოს, „ზედ წავენკალა“ არ დააყოლოს.

ჩვენს მთავრობას ვუსურვებდი, (დიდ მთავრობას ვინ შეკადრებს, შინაურს მოგახსენებთ), ჩვენივე შემწეობით ყველგან იმისანა გზები გიეკეთებიოს, რომ მის გამოცვლამდი მაინც ევარგებიოს, სეფეისთანა გაქუცული და გაღლეტილი კაცი თუ კიდევ სადმე დარჩა, ყველაი ალაიაში გიეროვნებიოს... „სხვისას ჭამა მიხარია, ოდელია ოხოხოიო“ ხალხი ოხოხოია თავად - აზნაურებს უნდა გაყვეს.

ჩვენს განმანათლებელ მასწავლებლებს ვუსურვებდი ჩვენი ბალნებიზა, წიგნს გარდა მუშაობაც ესწავლებიოს.

კულტურულ სექციებს ვუნატრებდი ამ წელიწადში თითო სოფელში თვეში თითო ალეგრო - დალეგროს მეტი არ გაიმართოს.

ტყის მცველებს ვუსურვებდი ყველას თვალები დაფსებოდა, იქნება მაშვინ ბრმები ვინმეს შესცოდებოდა და ტყეი არ გადიეკაფენ უბაეოთ და უპრავონოთ.

ვაჟებს კი ვუნატრებდი მათი ბელადი ვალიკო ვაშაკიძისათვის მუშაობას და თვითეულს კვირაში თითო ცოლი შიერთოს.

**პიტნა.**

# საქურთხეველში

ნახ. ტაბატაძის.




ეს ღვინო მისი პირიმე
დამისხი, დამალევინე

ეგები გავმხიარულდე,
უმისოდ მუდამ ვსტირი მე.

## გაკოტრებული ვაჭრის სიმღერა

მას უხაროდეს
ახალი წელი,
ვინც ამ ცხოვრებით
არა ღონდება;
მე კი შავ ფიქრებს
ვერ გავუძელი,
ძველი დრო მტანჯავს,
რომ მაგონდება.
ვერ ავიტანე,
„ნალოგი“ მძიმე,
ერკოპმა მომსპო,
გამატიალა;
გამხდარ ლოყებზე
ცრემლები მცვივა
და გულს მაჩნია
მწველი იარა.
მას უხაროდეს
ახალი წელი,
ვისაც თანა სდევს
ბედი, კეთილი;
მე რაღა დამრჩა?
დავთრები ძველი
და მაღაზია,
გამოკეტილი!..
გავყიდე, რაც კი
მქონდა „მებელი“,
ვერცხლის ქამარი,
ხალიჩა, ფარჩა,
ყელს უნდა ვიკრა
სამართებელი
მითხარ, უბედურს
სხვა რაღა დამრჩა?“
მას უხაროდეს
ახალი წელი,
ვისაც ბინა აქვს,
უხვად ნაგები;
ჩემს ოთახში კი
დოლსა მართავენ
გულმოსაკლავათ
ვირთხა-თაგვები.
დილით ჩაის ვსვამ
ნივრით და ხახვით,
სადილად სხვასთან
მიყვარს სტუმრობა;
მაგრამ გაძლომა
ჩემნაირ ხალხსა,
თქვენ არ გეგონოთ,
ძმაო, ხუმრობა,

**ზორბა.**

# შ ე ხ ვ ე დ რ ა

გაფუჭდა ხალხი.

ყველა იმას ცდილობს როგორმე გაგაბას მახეში. საკმარისია ერთი წუთით უკლო სიფრთხილეს, რომ მტერი უკვე ზურგს უკან გიდგას და ლახვარს გცემს ზურგში.

დგას ამას წინად ივლიანე ბედოური რუსთაველის გამზირზე და „ზარია ვოსტოკა"-ს შენობას მისჩერებია, ნეტავ გაისად დამთავრდება თუ არაო.

უყურებს ასე და, რა თქმა უნდა, შესაფერ ფიქრებშია გართული, რომ უეცრად ყურში ქალის გამწყრალი ხმა ჩამოესმის:

— არც ამდენი ხუმრობავარგა, ძამია... ჩააგდეთ ბარემ ფული!..

— რა ფული?... რისი ფული?..—ჩამოვარდა ციდან დედამიწაზე ივლიანე და ხედავს: წინ ყულაბიანი ქალიშვილი უდგას და უცდის, როდის ჩააგდებს მის ყულაბში ივლიანე ფულს.

— წამიწყდეს ყველაფერი თუ მქონდეს...

— მაშ რაღად მიმაკვრევინეთ ეს ნიშანი!..—გაცხარდა ქალიშვილი და ნიშანზე უჩვენებს. რომელიც სწორედ მაშინ მიაკრა გულზე ივლიანეს, როცა უკანასკნელი შენობას მისჩერებოდა.

— ჩემმა მზემ არა მაქვს..

— მაშინ. ნება მიბოძეთ, ობისკი დაგარტყათ, და რაც აღმოგაჩნდებათ ჩვენი იყოს...

რაღას იზამდა ივილანე, აიღო და ჩააგდო მანეთიანი. (მზეს მხოლოდ ხურდაზე ფიცულობდა).

აი, ასეა თუ ყურადღებით არა ხარ კაცი.

ყველა იმას სცდილობს როგორმე ჟესტი გამოგაბას.

ეხლა კიდევ ეს ახალი წელი. მისი შეხვედრა, შეგებება და სხვა.

არ გვინახავს ეს ახალი წელი, თუ რაშია საქმე?..

გვინახავს, ამ დროშიაც გვინახავს და ძველ დროშიაც გვინახავს.

ჩიჩილაკიც დაგვირჭვია პურის თავზე, მეკვლიელიც გვყოლია, მეკვლიელათაც ვყოფილვართ, თოფიც გაგვისვრია და ბოთლებიც დაგვიცლია.

გვინახავს... ყველაფერი გვინახავს.

დღეს კი სულ სხვა დროა.

რა დროს ახალწლის შეხვედრაა, როცა გაცხარებული კამპანია მიდის ღვინის სმის წინააღმდეგ,

მაგრამ ცოტაა კიდევ შეუგნებელი ხალხი?... რამდენიც გინდათ. აი მაგალითად, სულ სამი დღის ამბავია.

ზის იგივე ივლიანე ბედოური სამსახურში თავის მაგიდასთან და უჩხაკუნებს ჩოთქზე — სახაზინო ქონებას აღრიცხვას უშვება. რომ მეზობელ განყოფილებიდან შემოდის სოსიკო ყუნწულიანი და ისეთ სიტყვებით მიმართავს რიცხვებით გაბრუებულ ივლიანეს, რომლებიც მოსალოდნელი იყო ამისთანა შეუგნიბელი პიროვნებისაგან.

— ბიჭო. ვიცი პრინციპიალურად წინააღმდეგი ხარ ახალწლის შეხვედრის, მაგრამ ერთ ადგილასა ვარ დაპატიჟებული და რომ არ წამომყვე, დამარტყი მაგ ჩოთქი ბარემ თავში და გამათავე, აქვე!.. სულ ერთია. გაისად მე აღარ მეცხოვრება!...

— არა ძმაო, მე თქვენი თავი არა მაქვს... დეე შეხვდენ ისინი, ვისაც კიდევ არ შეუგნია, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენ ასეთი შეხვედრები მშრომელთა ბიუჯეტზე...

— იცოდე, არიგებდა სოსო ივლიანეს, ცოტა ამაყად დაიჭირე თავი, თითქოს არც ჩვენ ვართ იმათზე ნაკლები, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით...

— დარდი ნუ გაქვს... მაგისთანები გამიცურებია!.. ხოსიკო ყუნწულიანმა გულიანად გადაიხარხარა.

— აბა, კაცო, სიმართლით როდემდე უნდა ვიცხოვროთ... მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ათი საათიც არ იქნებოდა, საზოგადოება უკვე შეკრებილი იყო: და გახურებული ნარდის თამაში ჰქონდათ.

ივლიანემ მოწიწებით ჩამოართვა ყველას ხელი და ცოტა ნაწყენი დარჩა, რომ საზოგადოება მხოლოდ ახალგაზრდებისაგან შესდგებოდა.

— ჯეელები კი არიან, მაგრამ იცი რა ხალხია... ერთი კალმის მოსმით ქვას აპობენ... შეხედე, როგორ უბრალოდ აცვიათ, ვერც კი იფიქრებ, რომ ესენი მსხვილ-მსხვილ დაწესებულებებს უდგიან სათავეშიო... მაშ!.. აი, იმ ქოჩრიანს ამჩნევ... იცი, ვინ არის მაგი?.. ერთი დიდი ტრესტის თავმჯდომარეა... სხვათა შორის. ცოტა ახლოს დაიჭირე მასთან, ამბობენ, სამართველოში ახალ განყოფილებას ხსნის და შტატს კრებსო...

ცოტა ხნის შემდეგ ივლიანე და ქოჩორიანი უკვე მეგობრულად ბაასობდენ.

— ანგელოზია... ნამდვილი ანგელოზი.. ფიქრობდა ივლიანე, სრულებით არ გავს დიდ კაცს... ახ, ნეტავ ჩვენი გამგეც ასეთი იყოს.

ანგელოზიც არ რჩებოდა ვალში.

— მე თქვენ იმწამშივე მომეწონეთ, რა წამშიაც დაგინახეთ... ისეთი სიმპატიური სახე გაქვთ... არაჩვეულებრივად...

— რასა ბრძანებთ?.. წაილუღლუღა ივლიანემ.

— დედა ნუ მომიკვდება!.. თქვენ თვითონ დამემოწმებით, თუ რა ძნელია დღეს სიმპატიური ადამიანის პოვნა...

თედოს გულში რაღაც გადაბრუნდა.

— ძალიან... ძალიან ძნელია... ასში შეიძლება ერთი იყოს...

— ნეტავი ათასში კი იყოს... ცხოვრება წინ მიდის, დუღს... აუარებელი სამუშაოები რჩება და კაცი ვერ გვიშოვია... არ არის...

— დიახ, ძალიან ცოტაა...

— წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა... წამალივით მჭირდება რამდენიმე გამოცდილი მუშაკი და ვერ მიპოვნია... ვინც მომწონს, ყველა საქმეშია, როგორც მაგალითად თქვენ, ისე ხომ ბირჟიდან არ მოვერაკვ ხალხს..

— რა თქმა უნდა.

საერთო ხმაურობაში უკვე თორმეტი საათი სრულდებოდა.

— მართალია — აჩქარდა ქოჩორა, — რას იტყოდით, რომ თქვენ მე სამჯერ მეტი მოგცეთ, ვიდრე იღებთ და გთხოვოთ ჩემთან გადმოსვლა?.. თქვენ სწორედ ისეთი კაცი ხართ, როგორსაც მე ვეძებ... მაშ, თანახმა ხართ?., ოხ, რა მოხარული ვარ... გმადლობთ, მილიონჯერ გმადლობთ..

ერთი წუთის შემდეგ ყველანი ივლიანეს ულოცავდნენ, მაგრამ ყველაზე უფრო გახარებული სოსო იყო.

— ყოჩაღ, როგორ ხელად მოაგვარიშტე საქმე... მაგრამ, იცოდე, მაგი ცოტა სხვანაირი კაცია, ვაი თუ გადათქვას...

— შე კაი კაცო, რა გასაკვირია, მე ვიცი გამგე, რომელმაც ხუთჯერ გადათქვა თავისი რეზოლიაცია... მაგი არაფერია... ფული თუ გაქვს ჯიბეზე— ეხლავე რესტორნისკენ გავკურცხლოთ და ერთი კარგად შევახუროთ... მერე ვნახოთ...

— ვაი, თუ არ წამოვიდეს და არც დალიოს —აღელდა ივლიანე.

— შენ მე მაცალე!.. აბა ჩქარა... სანამ არ გადუთქვამს!..

მალე მთელი საზოგადოება ძახლობელ რესტორანში ისხდა და ახალმა წელმა საერთო მხიარულებაში მოაკაკუნა კარზე.

შეხვედრა ძველებურს არ ჩამოუვარდებოდა, და ნაკლები არც ეკადრებოდა ასეთ ბედნიერ წელს.

მესამე დღეს ყუნწულიანი ასე ანუგეშებდა გაბრაზებულ ივლიანეს.

— საწყენად არ დაგრჩეს, ბიჭო!.. გეხუმრეთ... სამაგიეროდ მომავალ წლის შეხვედრა ჩვენს კისერზე იყოს გესმით?.. კარგი ხუმრობაა?..

აი, ასე იცის თუ ფრთხილად არა ხარ ადამიანი...

გაფუჭდა, წახდა ხალხი.

ყველა იმას ცდილობს რამენაირად ჟესტი გამოგაბას.

**სინემატი.**

# საახალწლო საჩუქრები

„ტელას"-ს



გინათებს ქალაქს მძლავრი ზაჭესი
და ღამით მთვარეს შენ ეჯიბრები.
გაქვს მუშაობის ცუდი შენ წესი,
ათასი ხვრელი და ჯებირები.
შენს ლაბირინტში გზას ვინ გაიკვლევს
თუნდ ხელში ჰქონდეს ევროპის რუკა.
ვინც შენს გაუვანას გულში გაივლებს,
შენს შიშით მიაქვს სურვილი უკან.
ეს ჩირაღდანი გზას გაგინათებს
მაგ შენს ქაოსში და ბურუს-ბნელში;
აბონენტებსაც ბლომად შეგმატებს
ამ ათას-ცხრაას ოცდა-ცხრა წელში.

„უქს"-ს



გყავს აგენტები შენ ბევრზე ბევრი,
მათ უყვართ სხვისი ბინის დალუქვა.
ფეხზე გკიდია კავშირის წევრი,
მათ საჩივარზე შენა ხარ გულქვა.

მართლაც უძრავი ხარ თავის-თავად,
დამუავდა საქმე შენთან მრავალი,
გამოგადგება მათ დასაძრავად
ძლევამოსილი ეს ორთქლმა...

სატყეო ტრესტს



მიკვირს ამგვარად რამ გაგაშეშა!
ილვიძებ ზამთრით, ზაფხულში გძინავს.
რაღა ტრესტი ხარ, რომ არ გაქვს შეშა
და ჩვენთან ერთად სიცივე გჟინავს?!
ამ ბიბლიურ ბუჩქს მოგიძღვნი ახლა,
„იწვის ეს ბუჩქი და არ იწვება".
ნეტავ ამ ბუჩქთან შენ დაგასახლა, —
გექნება მარად სითბო და შვება.

რეზინოტრესტს



არ გაქვს ზამთარში სარგო კალოში
ნომერი: რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი.
მაგ კალოშების ზვინში-კალოში
არის ნომერი მხოლოდ თოთხმეტი.

არ ვიცი სწორედ — გემისთვის არის
თუ ფეხებისთვის გაკეთებული?!
მოვდივარ, — ამბობს: „არა. არ არის!",
უკან ვბრუნდები გაწბილებული

თურმე იყიდე კალოში-გემი,
სჯობს — მხოლოდ ცალი. და არა წყვილად,
ბონება ...ის, ნალდი ედემი —
[illegible] და იძინე თბილად.

ისილ...

# მზადება საახალწლოდ

ახალი წლის მოახლოვებას თავისებური ცვლილება შეჰქონდა კალისტროს ოჯახში. რაც უფრო ახლოვდებოდა იგი, იმდენათ იზრდებოდა კალისტროს და მისი ოჯახის წევრების მღელვარება.

— კალისტრო, საახალწლოთ იოლკა ხომ უნდა ვიყიდოთ? — ეკითხება ცოლი.

— კარგი თუ ღმერთი გწამს, რა ბურჟუაზიული მანერებით ხარ აღჭურვილი.

— რატომ შე კაცო, თუ ჩვენმა მეზობლებმა იყიდეს, ჩვენ რაღა ვართ!?

— მეზობლებს მე ვერ ვუყურებ. ხომ იცი, რამდენი მაქვს ჯამაგირი?

— იოლკა მინდა მამა..

— დედა, იოლკა გვიყიდოს მამამ.

— არ შეგრცხვა გენაცვალე, ხომ იცი მაგის სიძვირე?

— მინდა მე იოლკა.

— კი გინდა, მაგრამ არ ჩვენი ჯიბე უძლებს მამაშენის.

— აშკარა პროვოკაცია. — აღშფოთებით ამბობს კალისტრო და მიდის შობის ხის საყიდლად.

სადღაც განაპირა უბანში იგი შეხვდა ნაძვის პატარა ნერგებით მოვაჭრეს, შეარჩია 5 მანეთი და წამოვიდა.

— მოქალაქევ, ეგ რა მიგაქვთ? — გაისმა მილიციელის მრისხანე ხმა.

— კალისტროს თავში თითქოს ზაფხულის ელდებმა დაჰკრა და ფეხებამდე დაუარა.

— აა, შობის ხე გიყიდნიათ. ძალიან სასიამოვნოა; ხომ იცით რომ აკრძალულია?

— არ ვიცოდი შენ არ მომიკვდე...

— უსათუოდ გეცოდინებათ!

— არა, გეფიცებით...

— მაშ კომისარიატში წავიდეთ.

კალისტროს ათი მანეთი გადაახდევინეს ჯარიმის სახით. ხეც ჩამოართვეს.

— რა ქენი კაცო! არ გიყიდნია?

— ადამიანო, თავი დამანებე..

— არა, მართლა არ გიყიდია მამა?

— გარეთ ექნება შენახული და უცებ უნდა გაგვახაროს!...

კალისტრო სდუმს.

— კაცო. ხე თუ იყიდე, მოწყობილობა ველარ იყიდე? ხომ იცი როგორ უნდა გავაწყოთ?

— ჩაგივარდა ენა; ფული მომეცა, მე თითონ წავალ, ამბობს ცოლი. კალისტრო უამბობს ყველას შობის ხის ისტორიას.

— აბა. ბაზარში წავიდეთ, სურსათი ვიყიდოთ.

ბაზარში წავიდნენ.

— რა ღირს ინდაური.

— ღორი.

— ბატი.

— ქათამი.

— იხვი.

— ადამიანო, გავიყიდე სულიანხორციანა! — თითქმის ტირილით ამბობს შინაური ფრინველებით დატკეპნილი კალისტრო.

— არა, შენმა მზემ, ჩვენმა მეზობლებმა ინდაურებით და ქათმებით რომ აავსეს სახლი, იმათ საცილოდ გავიხადო თავს.

კალისტრომ კარგი ხანია რაც წირვა გამოუყვანა საკუთარ თავს, და დაუყვებლობის ფულის ხარჯვას შეუდგა, რომელიც მას ფანელის შესაძენად ჰქონდა მიღებული.

— აბა თაფლი და კაკალი ვიყიდოთ გოზინაყისთვის. ყველი, კარაქი... კონიაკი, ხილი, თხილი, ტკბილეულობა, კონფეტები...

— ადამიანო... — ამბობს სასოწარკვეთილი კალისტრო.

— ხმა, კრინტი; თუ კაცი ხარ შენი ჯავრი კი მჭირს, შობის ხე დამიკარგე.

იყიდეს ღვინოც.

სახლში რომ მოვიდნენ ღამის 11 საათი იქნებოდა.

— ახლა ამას ყველაფერს გაკეთება უნდა, ლაპარაკობდა ცოლი შვილებითურთ. ღონე მიხდილი კალისტრო კი ლოგინზე გაიშხლართა.

— აანთეთ კერასინკაც და პრიმუსიც. მაყალიც გავაჩაღოთ... ნავთი მოიტანეთ.

— ნავთი არ არის.

— ნავთი.

— არ არის.

— ვაი, ამ საათს,

მდგომარეობა მეტად სერიოზული შეიქნა. სწორედ ამ საპასუხისმგებლო მომენტში ნავთი აღარ იყო. უნავთოთ ტყუილი იყო რომელიმე ახალწელზე ფიქრი და 1929 წლის ახალ წელზე ლაპარაკიც — კერძოდ.

ეს მოხდა ღამის 11 ნახ. საათზე. ნავთის სავაჭროები, რასაკვირველია, დაკეტილია.

— კალისტრო, შენ შეგიძლია ნავთის შოვნა.

— საიდან ქალო. — შეშფოთდა ოჯახის კაცი, რომელიც წინასწარ გრძნობდა, რომ ნავთის კრიზისის მთელი სიმძიმე მას დააწვებოდა თავზე.

— აბა, მოიფიქრე კარგად.

კალისტროს ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. მისი ტვინის უჯრედები სრულიად უმოქმედოთ იყვნენ. ბოლოს ისევ ცოლმა მონახა გამოსავალი.

— თუ გახსოვს, თქვენი დაწესებულების შიკრიკს ჰყავს ცოლის ძმა, რომლის ბიძაშვილის ნათლიას ნავთის სავაჭრო აქვს. იქნებ პროტექციით რამე გამოვიდეს.

— ნუ. სულელობ თუ ქალი ხარ. სად მოვძებნო ამდენი ხალხი.

— ეს მე არ ვიცი, ვიცი მხოლოდ რომ შენ ნავთი უნდა მოიტანო. აპა, ბიდონი.

ბევრი იომა კალისტრომ, მაგრამ. ბოლ[illegible] ...ოო ბიდონ[illegible]

— რა ეშმაკმა მოიყვანა ეს ახალი წელი!?.. სად მოვნახო ახლა ის შეჩვენებული მენავთე...

შიკრიკი ავლაბარში ცხოვრობდა. კალისტრო ვაკეზე. აქედან ხუთიოდე ვერსტი იყო შიკრიკამდე. ერთი საათის შემდეგ კალისტრო შიკრიკს მიადგა და დაუკაკუნა.

— ვინა ხარ ამ შუაღამეს. — მოისმა ნამძინარევი ხმა.

— მე ვარ, შენი კალისტრო, მიშველე რამე.

შიკრიკმა გაუღო კარი და აუხსნა, რომ მისი ბიძაშვილი, რომლის ნათლია ნავთით ვაჭრობს, ცხოვრობს დიდუბეში. დოლის ქუჩაზე.

კალისტრო ლასლასით გაუდგა გზას.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა დანიშნულ ადგილას მიაღწია და შიკრიკის ბიძაშვილს აუხსნა თავისი გასაჭირი. ბიძაშვილი სიცილს ძლივს იმაგრებდა, როცა თავისი ნათლიის გზას ასწავლიდა. გაპოირკვა, რომ ნათლია სოლოლაკის ზევითა ნაწილში ცხოვრობდა.

უკვე სამ საათზე მეტი იყო, როცა სიცივით შეწუხებულმა ბიდონიანმა კალისტრომ ნათლიას დაუკაკუნა. მასპინძელი მეტად გააკვირვა ასე თმა უჩვეულო სტუმრობამ. მაგრამ მაინც შევიდა მის მდგომარეობაში და სამიოდე არაყის შემდეგ მენავთის გზა ასწავლა... კუკიის რაიონში.

მენავთე, რომელიც კალისტრომ 4 ნახევარ საათზე გააღვიძა, მეტად მხიარული კაცი გამოდგა მანაც რამოდენიმე არაყი გადაჰკრა კალისტროსთან ერთად და ორივე ერთად, გაემგზავრნენ ნავთის საწყობში, რომელიც ნაძალადევში იყო მოთავსებული.

უკვე გათენდა, როცა კალისტრო სახლში დაბრუნდა.

— ვინა ხარ? — მოისმა ოთახიდან.

— მე ვარ მე...

— რა გინდა?

— კარი გამიღე შე წყეულო,

— რა მოგაქვს?

— რა მოგაქვს და შენი სიკვდილი... ნავთის ბიდონი მოვიტანე.

— ნავთი არის შიგ?

— არის. არის.

— მაშ გადაისხი თავზე... რაღათ მინდა ნავთი ამ ახალ წელს?

— ქალო კარი გამიღე-თქვა გეუბნები.

— არა. არ გაგიღებ, სად დაეთრევი მთელი ღამე? ქალებში დაძვრებოდი განა? წადი ახლა სადაც გენებოს!..

ერთი საათის დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ კალისტრო შეუშვეს თავის ბიდონით.

ეს ღამე, ახალი წელი წვა-ხარშვაში გაატარა როგორც კალისტრომ, ისე მთელმა ოჯახმა.

ალლარ-ალლარხან.

# წინასწარ

ნახ. დონის.



მღვდელი: — ქალო, მინამ მუცელში გყავს შვილი, მოვნათლოთ, თორემ მერე „კომსომოლა“ გახდება!

# მესტვირული
## საახალწლო ლ.ლინი

მე ვარ რაჭველი მესტვირე,
ბევრგან ნათრევი, ნავალი;
ახალ წელიწადს გილოცავთ,
დაგასწროთ კიდევ მრავალი.

დილით გუდა მოვიკიდე,
სტვირი მოვმართე სამღერად;
თქვენი მტერი და ორგული
მინდა რომ გავაცამტვერო.

პირველად მოვინახულე
რაჭის ქალაქი, ონია;
ცნობილი პურმარილითა,
სუყველას გაუგონია.

ჯეჯერის ხიდს როცა გადავცდი,
ვნახე იქ შოედანია;
ბურდილაძეებს ვესტუმრე,
დამათვრეს ნამეტანია.

ხალხი განთქმული ზრდილობით,
ვარ მათი თანამოგვარე;
ვით სახლიკაცი მიმიღეს,
მიმიღეს როგორც მოყვარე.

ონში რომ მიველ, მომედვა,
სამიკიტნოთა სუნია;
ამდენი ლოთი ხალხი ჰყავს,
არ ვარგა, დასაწუნია.

წაველ, ალმასკომს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო;
თურმე ქრებალოს წასულა,
იქ მთებში დამალულიყო.

მაღალი კაცი შემომხვდა,
პოტეა ხაზინადარი;
თურმე იმისი ტრფობითა
ქალებს გულს ცვივა ლადარი.

დაულეველი არ რჩება
ღვინის ერთი ყლუპია;
მისი იერით მშვენდება,
სუფრა, თეატრი, კლუბია.

ავდექ, თავდალმა წამოველ,
მოვინახულე სორია;
ჩაფიქრებული მოწყენით
იყო, ვით პროფესორია.

ერთი ახმახი დამხვდა,
ჩრდილხანეთ ხელებს მიშვერდა;
მითხრეს: ის არის ძველ დროში,
ჩხუბში განთქმული ქიშვარდი.

სტვირის გუდაში ჩავბერე,
ავათამაშე თითები;
ბევრი რამე მაქვს სათქმელი,
ხმაო, ნუ გაიცვითები.

განვლე სკოდორა, ლუხუნი,
შემხვდა სოფელი წესია;
ყველამ მიმიღო ერთგულად
როგორც რიგი და წესია.

პირველად მიველ ბარაკონს,
ვნახე თამარ...
ვიკით...

მღვდელს მინდა მიუსამძიმრო,
უთხრა „ცოდვები“ ბევრია;
შამადავლეს კი სავსე აქვს
ღვინით უძირო ქვევრია.

შემდეგ წაველი ლუკასთან,
განთქმული მიკიტანია;
მაგრამ რა უნდა მოსთხოვო,
მისთვის რა მიგიტანია?

ლადო ფოფხაძე შემომხვდა,
ნამღვდლევი, ქალაქოსანი;
შემდეგ ათასი ყმაწვილი,
უწვერულვაშო, ქოსანი.

გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა წყლისა დენამა;
რამდენი რამე უნდა სთქვას
ჩემმა მოქნილმა ენამა.

ამბროლაური, კვაცხუთი,
ვინ იცის, თუ ვინ სად მელის?
ყველაზე უფრო გულს უნდა,
ნახოს ძეირფასი სადმელი.

იქიდან მალე დავიძერი,
ვნახო სასწრაფოდ ხვანჭკარა,
უხვი თამადა ყანწებსა,
დაგვალევინებს ჩქარ-ჩქარა.

აჰა, გამოჩნდა ქრებალო,
სახლები ახლად ნაგები:
ყველა ზეიმით შემომხვდნენ,
ნაცნობი ამხანაგები.

მუდამ ჟამს მოუსვენარი,
ტფილისს საქმეზე ნაფრენი,
ჰე! პირზე კოცნით შემომხვდა,
მე წულიკიძე პარმენი.

მოვმართე სტვირი, უმღერე,
ლექსები ფერად-ფერადი,
და ცალი თვალით ალმასკომს
მე სიხარულით ვზვერავდი.

ირგვლივ თავს დამჩერებია,
მთები მაღალი, ტყე ჩუმი;
ვხარობ: რომ დავაქორწილეთ
ჩვენი რაჭა და ლეჩხუმი.

რაჭველი მესტვირე.



— წამოდი, მიცვალებული მიკურთხე!
— სსს, ჩუმად, მე დიაკვნობას თავი გავანებე და ხარაზობა დავიწყე.

# ქ რ ი ს ტ ე ა მ ბ ო ბ დ ა:

ნახ. სუსკაიასი.



„მიეცი კეისარსა კეისრისა, ღმერთსა ღვთისა"... და შენთვის არაფერი დაიტოვო.

# ტ ა რ ტ ა რ ო ზ ი ა მ ბ ო ბ ს:



კეისარსა და ღმერთს...

და შენ ყველაფერი გექნება...

# მ ი მ ო წ ე რ ა

## გაპარსულ და გაუპარსავ მღვდლების

მამაო ანტონ,
მენდური რატომ?
საყვედურს ამბობ,
გადმომცა კატომ.

მე რომ გავიპარსე,
ეს ხომ არ გწყენია?
ერთ დროს მეც მიყვარდა
ლომი და წვენია!

მარა, ანტონ ჩემო,
„ბედი ჩემი მტერია".
შემომაკლდა სარფა,
გამიცრუვდა კერია.

რა მექნა არ ვიცოდი,
ვიფიქრე ბევრია
და გავიძრე ბოლოს
ანაფორა ძველია!

უღალატე იესოს,
გავიპარსე წვერია
უღალატე სახარებას
და რაც იქ სწერია.

ეხლა ასე დავალ;
[illegible]

შიმშილისგან, ძმაო,
გამიხმა კუჭი;
ცარიელ მუცელში
არ ჩავა მუჭი.

შარვალი ჩემი
ისე დასრულდა,—
ფლაქებს გადადგმა
დღეში სამჯერ უნდა.

ფოფოდიას ცრემლი
მისვლებს უბეს;
ტირილისგან თვალი
[illegible] ღრუბელს.

# კოოპერატივში

ხ. დონის.

ზოგიერთ კოოპერატიულ სავაჭროში მუშტრებს არ აძლევენ საქონ-
ლის არჩევისა და გასინჯვის საშუალებას.

(გაზეთებიდან).




— კაცო, ამოდენა რა იყიდე, რომ ძლივს მოათრევ!
— განა ვიცი რა არის შიგ? ორდერი წარვადგინე, ჩეკი გამომიწერეს, ფული გადავიხადე, ჩეკი მივუტანე, შემიხვიეს, შემიკრეს, და მომაჩეჩეს. გახსნაც კი მეშინია ამ ქუჩაში,—რა ვიცი შიგ რა არის!

ვებრალები მარა
ქე რა ქნას მეტი?!
დარდისგან მოდის
ბატივით რეტი;

**პასუხი**

ყოფილო მამაო,
ძვირფასო ეფრემ!
მივიღე წერილი,
(გადმომცა ფეფემ).
გაგინე ბევრი,—
მოვყევი ბოდვას,
მაგრამა თურმე
ვიდენდი ცოდვას.
ეხლა კი უკვე
წაგბაძო მინდა
ასეთი ყოფა
ძალზე მომწყინდა.
მაგრამ, როგორ ვქნა
მითხარი ერთი,
როცა ჩემს ყოფას
არ ხედავს ღმერთი.
შენსავით გავიძრობდი
ამ ანაფორას, მაგრამ
ანაფორის ქვეშ, ძმაო,
საქმე არა მაქვს მაგრად:
ქვეშ არ მაცვია „იგი“
და ზემოთ არც შარვალი...
(გამძვრება ანაფორა
და, ვაი, ჩემი ბრალი!)
და ანაფორა
გამძვრება რა ჟამს,—
დავემგვანები
ნამდვილად ადამს!
მეორე—შენი
ცოლი—ფოფოდია.
ჩემსას არა გავს,
ისეთ როდია?!
მაგ შენთან არის
ლხინში და ჭირში
და არც ამოგკრავს
მუშტუქუნს ცხვირში.
ჩემი ფოფოდი
გაიქცა სხვასთან!
მე დავრჩი მარტო
ის ცხოვრობს მასთან!
მომშივდა ერთხელ,
მეტეკა ბნედა,
აქ ჩემ რძალს ვეცი,
იქ ნათლიდედას!
მაგრამ სუყველამ
მაქციეს ზურგი
და ცარიელი
უკან დავბრუნდი.
ხანდიხან მაჭმევს
ის მადლიანი
ჩემი ფოფოდის
მეორე ქმარი.
დავდივარ ისე,
როგორც ნაგაზი,
რომ გავეპარსო
არ მაქვს აბაზი!

ყვაჭიკა.

# სოც.-დემოკრატების „სიმბოლო სარწმუნოებისა“

ნახ. ნადარეიშვილის



# ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე ფასი 15 კაპ.

კვირა, 6 იანვარი 1929 წ. № 2 (186)





პროტექტორის ნაბიჯი

# გიტო და ჩიტო

## (ბალადა საარჩევნო სინამდვილიდან)

### ჩიტო ცნობილაძის წერილი გიტო ბობოლაძისადმი

ჩემო თვალის ჩინო,
ყურის მარგალიტო,
სოფელ ნაზუქნარის მკვიდრო,
ბობოლაძე გიტო!
ქალაქიდან წერილსა გწერ
ცნობილაძე ჩიტო:
დრო მოვიდა არჩევნების
თვალი უნდა სჭყიტო,
შენც ქე იცი, არჩევნებში
კენჭი გვიწევს თითო,
სხვის ნაკლები არც მე ვარ და
არც შენ, ჩემო გვრიტო!
აღმასკომში შეიარე,
მდივანს უნდა ჰკითხო,
მან სიები საარჩევნო,
ალბად, გამოგვიცხო.
შავ სიაში არ ჩაგვაგდოს:
ღარიბი ხარ ვითომ,
წაიცვე-მოიცვი კონკები—
ზევით, ქვევით თითო,
თუ რომ ძველი არ გაქვს, უნდა
განგებ გამოსცვითო,
ქალამნიდან ფეხის ცერი
უნდა გამოსთითო;
თავმჯდომარეც მოიკითხე,
თავში რომ აქვს ხვითო:
მან ზაფხული გაატარა
ცხარე ოფლის ღვრითო,
ხის ჩრდილებში გვერდზე გდებით,
ხვრინვით მარშის კვრითო,
არც სად გზები გააკეთა,
მიწის შეზვინვითო,
არც სად ხრამზე ხიდი გასდო,
ზედ რომ მიმითითო,
არც სად კლდე ჩამოუშლია,
თუნდ წერაქვის კვრითო,
ორღობეებში დაძვრებით,
ტალახი რომ გსვრითო,
ის კი ზედაც არ გადმოდის
თავის ეზო-ზვრითო;
მიჯან მაინც ხმა მიიღო,
იქნებ, იბეჯითო!
გაუსვი და გამოუსვი
მელიის კუდითო,
ვითომ მისი ერთგული ხარ,
სამაგიეროს ზღვითო:
ხმას თუ მოგცემს, შენც ხმას მისცემ,
რას გაყვედრის ვითომ!
მდივანსა და თავმჯდომარეს
კბილი რომ მოსცვითო,
შინ ქელეხშიც დაპატიჟე
და დასტვირთე ძღვნითო,
ღვინით ზორბათ დააძალე,
უნდა გამოგვითრო,
შენი საქმე ამ ხრიკებით
უნდა გამოირთო...
რა ხელდახელ იქნება,
რა სამ——

როცა მიხვალ არჩევნებში,
ყველა წესის ცვითო,
სხვებთან ერთად, შენც ხმას აძლევ,
არაფერიც ვითომ!
ვინც ხმა მოგცა, ხმასაც მისცემ,
სამაგიეროს ზღვითო,
თან სიცილით დააყოლებ:
„შენც-სუ, მეც სუ: ქვითო!..“

### გიტოს პასუხი ჩიტოს

ჩემო ჩიტო, ჩემო გვრიტო,
ჩემო მარგალიტო,
ცნობილაძეც შემოგევლოს
ბობოლაძე გიტო,
ნეტავ, ამ წუთს გვერდში მყავდე
და ან წინ, რომ გჭვრიტო,
ნამეტანი სიყვარულით,
ვაი, თუ ჩაგკვნიტო!..
უშორესად ამისაგან
მსურს მეც მოგიკითხო:
რავა მყევხარ, სულის კლიტევ,
გაზაფხულის კვირტო,
რასაც შენ მწერ, მეც მასვე გწერ,
ვინძლო არ გამკიცხო,
ჩემთვის დიდი იმედი ხარ,
აი, იმ მთის სისხო!
საქმე ცოტა ცუდათ არის,
იქნებ გამომიწყო:
აქეთ მე დავტრიალდები,
შენ იქ უნდა მისცხო,
ცენტრში საქმე მომიგვარე,
ფეხი რომ არ ვიღრძო:
ნახე ვინმე, მიეც ქრთამი,
სულ რომ გაიცვითო,
შენთვის ჩემთვის საარჩევნო
ხმა იშოვე, თითო!
გაძრომა და გამოძრომა
შენ ქე იცი, ღვთითო,
საქმეს თუ ხელი მოჰკიდე,
მთებს აიღებ ძვრითო,
„ტეუე“-„კოტი“-თ მდიდარი ხარ,
მასში სახის სვრითო,
ფერადი „გუბნი პომად“-ის
ტუჩებზე გაკვრითო,
სისხლ-დანალევს ემსგავსები
და მთვრალს მისი სმითო,
ვამპირს გევხარ, იმ ღამურას,
ისე დაჯირითობ!..
საარჩევნო კომისიას
უნდა მიაკითხო,
წევრებსა და თავმჯდომარეს
თუ რამ ვერ დასცვითო,
ვინმე „ტეხნიკურს“ ხომ ნახავ,
ცნობილს კალმის სმითო,
ჯერ მოუდექ-მოუდექი,
ფრთხილად უნდა ჰკითხო:
— ქალი კაცთან თანასწორი
ხომ კი არის ხმითო,
ქონებრივად, გონებრივად
თუ სხვა უფლებითო?!,

და გაუბი მასლაათი,
აქეთ თუ იქითო,
შემდეგ უცბად შეუბრუნე
სიტყვა გადაკვრითო:
— ალბათ, უკვე დაიღალეთ
სიის შედგენითო!...
საარჩევნო კამპანიას
თანაუგრძნობ ვითომ:
მეც მახსენებ, შენთან ერთად,
ხმა რომ გვინდა, თითო..
შავ სიაში ხომ არა ვართ,
უნდა გამოჰკითხო.
თუ ვართ, სთქვი თუ—შეცდომაა—
შუბლში ხელის კვრითო,
— ვინც ეს საქმე ჩაიდინა,
თავში თუ აქვს ხვითო!
არა, ჩვენც ხომ თავებს ვირჩენთ
ჩვენ-ჩვენი შრომითო,
დაქირავებული შრომით
რომ ვსარგებლობთ, მიტომ,
ცოტა რამ თუ „გვეფინჩხება“,
ვინ დაგვეძრახავს მითომ!..
თუ დღეს სამსახურში არ ვართ,
რას ვაშავებთ ვითომ?
დრო მოვა და ჩვენც ჩავდგებით,
კავშირშიც ჩათელითო!..
შრომის ბირჟაში ვწერივართ,
იქ ცოტას თავს ვირთობთ:
შინ რომ საქმეს მოვათავებთ,
იქით მივჯირითობთ,
ბირჟის გამგეს სალამს მივსცემთ:
„როგორ ბრძანდებითო?!.
სამსახურში ხომ გავგზავნით?“
ვაცდენთ შეკითხვითო.
თავს ასწევს და გადმოგვხედავს:
„ცოტას დაგვიცდითო!..“
აღრიცხვაშიც გავტარდებით,
წიგნში წაჩხრეკითო;
„სტრახკასასაც“ მივაკითხავთ:
ცოტას წავცინცილთო.
დღითი დღე რომ ვიმეორებთ
ასე, ბედის ცდითო,
ამდენი საქმის მოღვაწეთ
ხმაც არ გვქონდეს თითო?
კითხვას ისე დაუყენებ,
ქუხდეს მიწის ძვრითო,
ზედ უარიც ვერ გაბედოს
ვერას მიქნითო,
ულვაშებში ჩაიცინოს,
გულშიც ხიცინითო...
— ანდუყაფარ ანტონოვიჩ,
თქვენ რას იცინითო?
იქნებ რასმე მე დამცინით,
თვალში არ მოგდითო?!.
— ახ, რას ბრძანებთ, ბეჟანოვნა,
ამ სიტყვით, სჩანს, მცდითო!
თქვენი მალმერთებელი ვარ:
ნუ თუ ვერ მიხვდითო?,

# უ ტ ყ უ ა რ ი ნ ი შ ა ნ ი

„შემჩნეულია, რომ კოოპერატიულ სავაჭროების ნოქ-
რები თვითონ ინაწილებენ თბილეულ მანუფაქტურას".
(გაზეთებიდან).



— ალბად ისინი კოოპერატივის მოსამსახურეებია!
— საიდან იცი?
— ვერა ხედავ, როგორი ჩაცმულნი არიან?

დავლნი კაცი, აღარა ვარ
გულის ანთებითო...
შეტის ატანა არ ძალმიძს,
მო, მომიჩოჩდითო!...
ერთი პრომეტი გაჰყვეს ჰაერს,
კიდეც თითო-თითო....
ერთი კიდევ! კიდევ ერთი!..
ასოვენა ჩუმის ხმითო....
და აზარტში რომ შევიდეს,
უცბათ ადექითო:
— გვინახულეთ!.. მიატოვეთ
კიდეც ამის თქმითო;
ხმის მიცემის შეპირებით
და დასტურის სმითო,
სიაში შეტანის აღთქმით,
შავში ამოშლითო!...
ო, რა ხელდახელი არის,
რა სამაგალითო,
როცა მიხვალთ არჩევნებში,
ყველა წესის ცვითო,
სხვებთან ერთად, შენც ხმას მისცემ,
არაფერიც ვითომ!...
ანდუყაფარ ანტონის-ძეც
იქვე დაგიერთვითო,
მას გულში ხომ იმედი აქვს,
სანაცვალოს ზღვითო,
შენც სიცილით დააყოლებ:
„შენც სუ! მეც სუ! ქვითო"...

—:—

ღმერთმა ტკბილად დაგაბეროთ
ნორჩი ახალ-წლითო,
საარჩევნო კამპანიის
ამ ტკბილი სიზმრითო.
წაიკაპიწეთ მკლავები,
დაიტვირთეთ ხმითო,
თუ უცბათ არ ჩაგივარდათ
კოვზი ნაცარშითო,
ჩემო გულის თივთიკებო,
თვალის ფარჩა-ჩითო,
ყურის მარჯან-მარგალიტო
და ოცნების ჩიტო,
ნაზუქნარის ნამედუქნევ,
ბობოლაძე გიტო;
და შენც ბეჟან-ქალაქიფშ
ცნობილაძე ჩიტო!...

ონ[illegible]

[library stamp] ... Наук ...



ᲔᲠᲗᲛᲐ ჩემმა მეგობარმა
(სახელია მისი სავლე)
განმიცხადა: ,,არ მსურს თავი
პარსვა თუ არ დავისწავლე".
— პარსვა? ვკითხე: ესე იგი,
დალაქობა გსურს ისწავლო.

რა სჯობია, აბა მითხარ:
თბილ დუქანში ტკბილი ლუკმა,
ათიოდე პირს გაპარსავ,
დანარჩენ დროს ზიხარ უქმად!

— რომ არ იცი, — ვუპასუხე, —
კაცო, პარსვა რომ არ იცი-?
,,დავისწავლი თუ არ ვიცი,
გადავსწყვიტე მე ეს მტკიცეთ.

ვინც დალაქობს ეს მითხარი
მზა დალაქათ დაიბადა?...
დალაქობა დედის მუცლით
ხომ არ დაჰყვა, ხოზიკ, მათა?...

გავხსნი დუქანს, შევუდგები
მუშაობას ნელა-ნელა.
დავისწავლი მეც ხელობას,
ასე სწავლობს, ძმაო, ყველა-".

ᲑᲔᲕᲠᲘ ვკიცხე, მაგრამ სავლემ
ჩემი არა დაიჯერა.
მიემატა ამ ჩვენს ქალაქს
სადალაქო ერთიც ,,ᲕᲘᲠᲐ".

ზის იქ სავლე შემკობილი
დალაქურად თეთრ საფარში,
წინ სარკე სდგას ვებერთელა
და ხელსაწყო გასაპარსი.

—:—

ᲐᲒᲔᲠ კარიც შემოაღეს,
შემოისმა ნელი ხველა.
სავლემ მარდათ, პირველ მუშტარს
სავარძელი მიაშველა...

ააქაფა საპონ-წყალი,
სამართებელს უსვამს ღვედებს,
დასტრიალებს პირველ მუშტარს
და თავს ასე აიმედებს:

,,დაჰკა, სავლე; ჩამოუსვი,
ჩამოუსვი ლოყას ნელა,
ცოტას გასჭრი... არა უშავს
შეცდომებზე ვსწავლობთ ყველა".

ჩამოუსვა გაბედულად,
მაგრამ, ვაი, ამ დასვებას
ერთი ნესტო შერჩა კაცს იქ,
სადაც ორი ნესტო ება...

წამოვარდა ზეზე კაცი,
(მოსდიოდა სისხლის ღვარი),
ქუდიც აღარ წაუღია,
მიალეწა მაგრად კარი.

დაჯდა სავლე სავარძელზე,
თავი ასე ინუგეშა:
,,შეცდომებზე უნდა სწავლა...
არა უშავს, არა უშავს".

ᲙᲕᲚᲐᲕ კრიჭინით შემოაღო
აქ ვიღაცამ დუქნის კარი,
და სარკის წინ, ჩვენმა სავლემ
დააჯინა კვლავ მუშტარი.

კვლავ გაუსვა ფრთხილად დასა,
გალესილი დანა, ბასრი,
(სამართებელს თუ დააჭერს
კანს კი არა, ბაწარს გასჭრის-)



დაუსვა და... ეხლა უკვე
სამართებლის პირს ქვეშ მიჰყვა,
არც მეტი და არც ნაკლები,
ახალ მუშტრის ცალი ლოყა".

ცოტა შეკრთა ეხლა სავლე,
შეუხვია ლოყა მუშტარს,
სთქვა: ,,სათუთი რამ ყოფილა,
აუძაღლდეს სული მის მკვდარს...

ეჰ, ჰა, რა ვქნათ, არა უშავს,
ამნაირი საქმეც ხდება:
ვინც არაფერს არ აკეთებს.
რა თქმა უნდა, ის არ სცდება".

ᲛᲔᲝᲠᲔ, რომ გაისტუმრა,
ზის და ეხლა შემდეგს ელის,
მართლაც კარზე მას მიადგა
მეგობარი ძველის - ძველი.

მყის მიართვა ამ მეგობარს
ჩვენმა სავლემ სავარძელი
და საპარსავ ხელსაწყოებს
ისევ მარდათ მიჰყო ხელი.

მოუარა დალაქურად
ლაწვზე ხელი მოატკაწა,
მისი აზრით, მეტად ფრთხილად
ამოუსვა ყელზე დანა,

და... რაღა ვსთქვა, სიტყვა მე აქ
რაღა ბევრი გავაგრძელო,
საიქიოს გაისტუმრა
მეგობარი უსახელო.

ეს ამბავი მე ტყუილად,
როდი ვსთქვი და მოვიგონე,
სავლეს ნათქვამს, ჩვენში ხშირად
მეტად ხშირად გაიგონებ.

,,შეცდომებზე ვისწავლითო"...
,,ვინც არ შრომობს, არ სცდებაო".
,,შეცდომები უნდა გვექნეს,
ახალი რამ არსდებაო".

მართალია, არას ვამბობ,
ვინც მუშაობს — იგი სცდება,
მაგრამ ზოგჯერ, დამეთანხმეთ,
ამნაირი საქმეც ხდება,

რომ — მუშაკი ზოგიერთი
სულ აფუჭებს, მუდამ სცდება,
ზარალი კი, რა თქმა უნდა
სახელმწიფო ზურგზე ხდება.

შეცდომისთვის კაცს არ დავსჯით,
მაგრამ თუ კი, როგორც სავლემ,
დაშვებული შეცდომების
გასწორება არ ისწავლე...



თუ დღეს ერთი გააფუჭე,
ხვალ მეორე, ზეგ მესამე,
და იმ დალაქ სავლესავით
საქმეს ,,ჭირი მოაჭამე",

არ ,,ᲫᲔᲕᲪᲓᲔᲑᲘᲗ", თუ გამსახლში
მოვათავსებთ ასეთ მუშაკს
და შეცდომით რომ არ გაძვრეს,
მიუყენებთ შცველათ გუშაგს.

ᲮᲝᲖᲘᲙᲐ.

# რაინდი „უშიშარი"



— აი, ერთად-ერთი კაცი, რომელსაც თვითკრიტიკის არ ეშინია!

# იაპონია ჩინეთში



აფრიალე მაგი დროშა,
მოიტეხე კისერია.
რასაც მაგით ქარს გაიტან
„ხელის გულზე მიწერია“.

# მუშკორის ჩივილი

რალაი მუშკორობა გადავსწყვიტე, თავი აღარ დამიზოგია და ვინც კი ჰატარა გული მომაყვანია ყველე გავწერე გაზეთში. ვაგზავნე და ვაგზავნე ყოველდღე ორ-ორი ზაკაზნოი წერილი, მარა თქვენც არ მომიკვდეთ, ერთი პწკარი რომაა არ დამიბეჭდეს იმ ურჯულოებმა! რალაი ერთი ამოვიქერი გუნებაში, მინდოდა რომე ჩემი ნაწერები ენახა საზოგადოებას, მარა არ იქნა და ვერ ველირსე! განა არაჰმი დესპინე მეუბნებოდა: „გლახა პოჩერკი გაქვს და არ დაგიბეჭდავენო“, მარა რომ არ დოუჯერე! მარტო მარკის ფულმა გამაწყალა კაცი! დღეში ორი აბაზის პური ალხეინათ ყოფოდა ჩემს ხიზანს, მარა დავნაყე ქუა და რალაი!.. მერე რამდენს დავექადნე: ასტე გიზამ, ისტე გიზამ თქვა და ხახვიც ვერ წავაჭერი ყურზე! ვაი, რავა შევრცხვი და რავა მევიჯაყე კაცი!.. ბოლოს ვიფიქრე: რალაი გაზეთებმა არ დამიბეჭდეს, მოდი ახლა და „ტარტაროზში“ გავაგზავნი წერილს თქვა. დავწერე სატარტაროზო ჩორნავოი წერილი და რალაი მე დესპინე პოჩერკს მიწუნებდა, მას გავაპოჩერკებიე თეთრათ, ვდღლიზე აბაზიანი მარკა და გოუგზავნე „ტარტაროზის“ ლედახტორს. რავირც იქნა მოაწია შაბათმა და გამევიდა „ტარტაროზი“. ევიღე ხელში და დევიწყე ფურცლა. გადავშალე, მარა გაგიონია!.. სადაა ჩემი წერილი!.. და ბოლოს მივაწიე ცნობათა მიღებას და იქინე სწერია: ქიათურა. — „გოგიასა“-ო: „თქვენ იწერებით, რომ ჩვენი ტელეფონისტკები ნამეტანი ყურწაგდებული ქალებიაო. ჯერე არ შემაერთებს და მერე ჩვიდმეტი წელიწადი რომ ვეხვეწო, მაინც არ გამაერთებსო. აი ნიმუში თქვენი წერილისაო“.

ვრეკე, ვრეკე, მომტყდა ხელი,
ვერ ველირსე შეერთებას,
ნეუყელი კაცი არ ვარ,
ყურს არ მიგდებს ტელფონისკა!..

კაკ მოყნა ტაკოი დელა,
რატომ ყურს არ მათხოვებენ
რაზედინენიე არ ქნეს,
შვიდი წელიწადი ვრეკე!..

„იწერებით: ტელეფონისტკები ყურს არ მიგდებენო. შვიდი წელიწადი თუ მიაჯინდი და აღარ მიეცი საშველი, ჩემმა მტერმა თქვა მაგისთანა! ყურისგდება კი არა, რატომ კეტი არ დაგარტყეს თავში! ვინ მოგცათ თქვენ უფლება დღევანდელ ხელისუფლებაში, ქალთა ემანსიპაციის დროს, რომ ქალებს შვიდი წელიწადი მოსვენება არ მისცეთ! ეს ამბავი რომ ჟენადელმა გაიგოს, შავ დღეს დაგაყენებთ“.

უყურეთ ახლა ამ გლახის ქირს, ამ ლედახტორს, რავა მასხრათ ამიღო, რავა მომჯაყა კაცი! აწი დამიჯერებს ვინმე?! აწი შეეშინდებათ ჩემი! აჰ!.. არ შეგჭამოს ქირმა! აწი შვიდი წელიწადი კი არა, შვიდასი წელიწადი რომ რეკო, ვილა მომაქცევს ყურადღებას! აგია მუშკორის პატივისცემა?! არა, არ მიბეჭდავს, არ მიბეჭდავს, მარა ამ გალანძღვას რას მერჩის! ვაი, ჩემო დღეო, რავა ამიღენ მასხრად! რავა ტყუილა დავკარგე ამდენი მარკები! მაინც და რავა გამამხილენ ასტე აშკარათ, რავა მომსპენ კაცი! მე რაცხა ჩუმათ მივწერე ჩვენი ტელეფონისტკების ამბავი და იმ ურჯულო ტარტაროზის ლედახტორმა ასწია და ყორისფელი წინ დოუღლაგა ამ ჩვენ ტელეფონისტკებს! თელათ სააშკარაოზე გამამიყვანა კაცი! ფუი!.. რაცხა ერთი ოციოდე წერილი მაქვს გასაგზავნი, იმასაც გოუგზავნი და მერე ღმერთმა ისიც შეარცხვინოს და მისი ტარტაროზიც! ავჯაუს ჩემო შეთხუზული წერილებო! აცსუს ჩემო დესპინეს ჩაკვარკვალიტებულო პოჩერკო! რავა სამასხარო გახდით! არა უშავს რა, ყოველთვის ასტე არ იქნება საქმე, ჩემთვისაც გათენდება როცხა იქნება და ყოფას უტირებს ის რაცხა ლედახტორია, თუ ბუს კვერცხი! ვნახოთ თუ რავალია ჩემი შეთხუზულის მასხრათ აღება და დესპინეს პოჩერკის დაწუნება! სმოლოჩ, მის საქმეს!..

გოგია.

# მეგობრული შარჟი



ალ. ფუფუნავა:—ამ „ჯანყმა" მეც ამიჯანყა საქმე სახკინმრეწვში.

# პატიოსანი კაცი

— აღარ ვიცი, ვის ვანდო სალარო. ვინც მივიღე, ყველამ გაფლანგა და კინაღამ მეც შიგ ჩამითრია.—ასეთი სიტყვებით შესჩიოდა ტრესტის გამგე თავის მეგობარს.

— ძალიან ძნელია პატიოსანი კაცის პოვნა. პატიოსნება ადამიანს შუბლზე არ აწერია, რომ ერთის შეხედვით გაიგო; ისე კი რა იცი ვინ არის. მიუგო მეგობარმა.

საანკეტო ფურცლები შემოვიღე, რომ იმით მაინც გავიგო მათი წარსული და ვინაობა. ჯერ-ჯერობით ცხრა მთხოვნელმა შეავსო ანკეტა. აი, მე წავიკითხავ და ერთად გავარჩიოთ:

„ნემსაძე პარმენ სპირიდონის-ძე. შრომის სტაჟი 30 წელიწადი. მამა გლეხი მყავს, დედა—პროლეტარი. რწმენით კომუნისტი ვარ, მაგრამ შემთხვევით პარტიის გარეშე ვარ. კარგად მახსოვს 1925 წლის რევოლიუცია".

მეორე ანკეტა.

„ცხვარიყლაპიაშვილი გიორგი იოსების-ძე. მამა რევოლიუციონერი ინტელიგენტი მყავდა, დედა მშრომელი გლეხი. ეკლესია დიდი ხანია უარვყავი და „მამაში" დავიწერე ჯვარი. ბაბუა ჩემს კავშირი ჰქონდა ესერების პარტიასთან. თვითონ მე სულით და გულით თანაუგრძნობ ჩინეთის რევოლიუციას და მზად ვარ მოხალისედ ჩავეწერო ჩან-ძო-ლინის ჯარში, მაგრამ ფიზიკურად უძლური ვარ. ჩემი სურვილია ჩემი ძალ-ღონე და გონება მოვახმარო მშრომელ ხალხს, თუ თქვენ ამის საშუალებას მომცემთ და მოლარედ მიმიღებთ".

მესამე ანკეტა.

„ჭაჭუა იასონ ისიდორეს-ძე. სპეცი-ადმინისტრატორი. ჩემი მშობლები მეშჩანები იყვნენ, რომელთაც სასტიკად სდევნიდა მეფის რეჟიმი. თვითონ მე აქტიურად ვიბრძოდი ნიკოლოზის წინაამდეგ. ჩემი ბრძოლა იმაში გამოიხატება, რომ არ წაველ ომში მეფის რეჟიმის დასაცავად; პირიქით, თავი მოვიავადმყოფე და თეთრი ბილეთი მივიღე".

ჭაჭუას თავდებად უდგება ვაჭარი ლოპერია. აი რას სწერს ის:

„ჭაჭუას თავდებათ ვუდგები, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბავშობიდანვე ვიცნობ, მეორე კიდევ, იმიტომ, რომ მისი და მე მყავს ცოლად".

გამგემ მიატოვა კითხვა და ნაღვლიანად შესჩივლა:

— მოდი შენ ეხლა და ანკეტებს დაუჯერე. თითქოს ყველა ესენი რევოლიუციონერები არიან და მათი მამა-პაპაც დიდი რევოლიუციონერები ყოფილან.

—მართალია! —დაემოწმა მეგობარი, — დიდი ხანია მოსაპობია ეს ანკეტები. სიმართლეს არავინ არა სწერს...

— მოითმინეთ,— შეაჩერა გამგემ, — აბა, ეს ანკეტა წავიკითხოთ:

„შვინდაძე პეტრე. მამა-ჩემი სტრაჟნიკი იყო, დედა-ჩემი ღვდლის ნაცოლარი, შემდეგ მკითხაობდა კიდეც. თვითონ მე სხვადასხვა საქმეს მივდევდი: მეფურნეთაც ვიყავ, ბულალტრადაც, კანტორშჩიკადაც და ცირკის კლოუნადაც. სამ თვეს ვიჯექი გაფლანგვაზე, ეხლა გამოვსწორდი და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ სინიდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობა, რომელსაც დამავალებთ".

—იშვიათი შემთხვევაა.—წამოიძახა გამგემ,—პირველად ვხედავ, რომ კაცი სიმართლეს სწერდეს ანკეტაში. თქვენ რას იტყვით?

— ჩემის აზრით, რაკი მაგან ანკეტაში სიმართლე დაწერა, მაშასადამე, პატიოსანი კაცი ყოფილა და პატიოსნადაც შეასრულებს სამსახურს.

— მეც ასე ვფიქრობ!—დაადასტურა გამგემ.

წკეპლა.

# დაკარგული განცხადება

კარგად მახსოვს, როგორ უგუნებოდ ვსწერდი მაშინ იმ განცხადებას. თითქოს წინათგრძნობა მეუბნებოდა, რაუ კარგი არაფერი გამოვიდოდა იმ ქაღალდიდან, მაგრამ არ დავუჯერე წინათგრძნობას და უგულოდ შედგენილი განცხადება ასევე უგულოდ მივართვი ვისაც ჯერ არს.

— „თუ გამოვა რამე, ხომ კარგი, თუ არა და წყალს წაუღია... არც მაგაზე შევიწუხებ თავს... ვთქვი გუნებაში.

ორი დღის შემდეგ მივაკითხე.

თანამშრომელს, ვისაც ჩემი განცხადება ქონდა, ძალიან კარგად ახსოვდა იგი და ჩაბარების დღეც კი გამახსენა.

— ეხლავე მოვძებნი...—მითხრა მან ისეთი საქმიანი კილოთი და ისე თავაზიანად, რომ საქმე უკვე გათავებული მეგონა.

ბარიერს კმაყოფილებით დავეყრდნე.

არ გასულა ერთი საათი, შევნიშნე, რომ არც ისე კარგად იყო საქმე, როგორც მეგონა.

განცხადება დაკარგულიყო.

დაკარგულიყო ისე, როგორც დაიკარგება ხოლმე მსხვილი მფლანგველი რევიზიის მეორე დღეს.

— არასოდეს მსგავსი რამ არ მომხდარა ჩვენს დაწესებულებაში, თქვა გაკვირვებით თანამშრომელმა. დავძებნი კიდევ...

და ისევ ძებნას შეუდგა.

— არ ღირს,—ვუთხარი გულწრფელად.—მიბოძეთ მხოლოდ ერთი ნაჭერი ქაღალდი, კალმისტარი და ეხლავე მოგართმევთ მეორეს... ეს ადვილი საქმეა და მე მგონია, თქვენთვისაც სულ ერთი იქნება.

თანამშრომელმა წარბები შეიჭმუხნა და ისე იჭვიანად ამხედ-დამხედა თავიდან ფეხებამდე, რომ თვითვე ეჭვი დამებადა საწყენი რამ ხომ არ წამომცდა-თქო.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ თანამშრომელმა დაარღვია:

— საკვირველი ლოგიკა აქვს ზოგიერთ ადამიანს... ნუთუ თქვენ გგონიათ, რაკი ქაღალდი ეხლავე არ აღმოჩნდა, მაშ უთუოდ დაკარგული იქნება?.. კიდევ გეუბნებით, რომ ამ დაწესებულებაში არ შეიძლება მოხდეს მსგავსი რამ... ჩვენი საქმის წარმოება სამაგალითოა მთელს ტფილისში... ყოველი უბრალო, სულ უბრალო ქაღალდი აქ ფრთხილად გადადის მაგიდიდან მაგიდაზე და ბოლოს ყურადღებით და მაგრად ეკერება შესაფერ საქმეს... თუ არ გჯერათ, გთხოვთ... უმორჩილესად გთხოვთ, გადმობრძანდეთ და გადაათვალიეროთ ყველა საქმეები!..

აქ აღელვებულმა თანამშრომელმა ისე ჩამჭიდა მკლავში ხელი ბარიერის გადაღმიდან, რომ უთუოდ გადამათრევდა ბარიერზე, რომ ჩემზე უფრო მაგარ კომპლექციის ყოფილიყო,

ძლივს გავაშვებინე.

— როგორ გეკადრებათ.. მე.. მე.. ისე ვთქვი.. წამომცდა.. თორემ ბეწვის ოდენა ეჭვიც კი არ შემპარვია განცხადების დაკარგვაში.. დარწმუნებული ვარ ამ დღეებში მოიძებნება კიდეც...

— რა თქმა უნდა... დაწყნარდა თანამშრომელი. თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.. აქ ისეთი დაწესებულება არ არის, რომ რამე დაიკარგოს... პირიქით..

რას ნიშნავდა ეს „პირიქით" უდროობის გამო აღარ მიკითხავს და პირი კარებისაკენ ვქენი.

მესამე დღეს ისევ განცხადების მოსაკითხად მივედი.

დაწესებულებაში რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა: ყველგან საქმეების და ქაღალდების ზვინი იდგა და ამ ზვინებში ყველანი გაფაციცებით ეძებდენ რაღაცას.

— რაშია საქმე?.. შევეკითხე ჩუმად დარაჯს, რომელიც იქვე კარებთან რაღაც ქაღალდებს ქექდა ნაგვის ყუთში.

— ეშმაკმა იცის რაშია! მესამე დღეა ასეთი ორომტრიალია... ვიღაც ოხერ-მუდრეგის განცხადებას ეძებენ და ვერ უპოვიათ...

ელდა ნაკრავივით ვეცი თანამშრომელს.

— რას შვრებით, კაცო!.. ეს რა ამბავია?

თანამშრომელმა მუდარით შემაჩერა:

— თუ ძმა ხარ, ნუ აღელდებით... მხოლოდ ერთი... ერთი წუთი გვაცალეთ კიდევ და... ეხლავე, ამ წუთში ვიპოვით!..

— არ უნდა, ადამიანო, დაანებეთ თავი... მომეცით ქაღალდი და ეხლავე დაგიწერთ მეორეს...

კიდევ კარგი, რომ ჩვენ შორის ბარიერი იყო, თორემ ვინ იცის, იქნებ ეხლა ცოცხალი არც კი ვიყო. ბარიერმა გადამარჩინა.

თანამშრომელი გაბრაზებული მიყვიროდა:

— გიცნობთ, გიცნობთ, შვილოსან, ვინცა ბრძანდებით... არც ისე ბრმები ვართ... მერე უნდა წახვიდეთ და დასჯლაბნოდ თქვენებურად, რომ ამა და ამ დაწესებულებაში განცხადებები იკარგებაო... არა შვილოსან, აქ პროვოკაცია არ გაგივათ... თქვენს ანკესზე არავინ წამოეგება... წადით და სადაც გითევზავნიათ, იქ ითევზავეთ!..

— რჯული... მადლი.. აზრადაც არ მომსვლია თევზაობა და არც გამეგება მისი რამე... ერთხელ დავიჭირე ერთი ცოდა თევზი ოლასკურაზე ქუთაისში და ისიც ხელიდან გამიცურდა... მას შემდეგ არც მიცდია...

— გიცნობთ... გიცნობთ, ვინცა ხართ!..

მთელი ერთი საათი ვამშვიდებდი.

განცხადების კვალი კი არსად სჩანდა. ბოლოს, ნიშნად იმისა, რომ გულში არავითარი ცუდი განზრახვა არ მქონდა, დავუტოვე თანამშრომელს ჩემი მისამართი, და შევპირდი რამოდენიმე დღის შემდეგ შემოსვლას.

არ გასულა ერთი კვირა, რომ ისევ იქ ვიყავი. ძებნა უკვე შეეწყვიტათ.

— ალბად იპოვეს... ამოვისუნთქე შვებით, მაგრამ თანამშრომელმა სწრაფად შეაკვეცა ფრთები იმედს.

— იცით რა,—თქვა მან—ჩვენ გადავათვალიერეთ ყველაფერი, მაგრამ თქვენი ქაღალდი ვერსად აღმოვაჩინეთ... ეჭვი გვეპარება, შესაძლოა გაგზავნილ ქაღალდებს გაყვა შეცდომით... მაგრამ მე უკვე მივიღე ზომები... ცირკულიარი მზად არის და დღესვე დავუგზავნი ყველა დაწესებულებებს, ვისთანაც კი გვქონია და გვაქვს საქმე, რომ თუ თქვენი განცხადება მათთან მოყვა შემთხვევით, რაც შეიძლება სასწრაფოდ გადმოგვიგზავნონ უკან... ასე რომ ამ ორ კვირაში ყველაფერი გამოირკვევა.. ყველაფერი...

მადლობა გადავუხადე. მეტის თქმა ველარ გავბედე, ანდა რა აზრი ქონდა... ცირკულიარი უკვე დაბეჭდილი იყო და კონვერტებშიაც ჩაწყობილი.

არც ერთ ჩემს განცხადებას არ დავუინტერესებივარ ისე, როგორც ამას, აიმტომ ორი კვირის შემდეგ ისევ იმ დაწესებულებაში ვიყავი.

თანამშრომელი უგუნებოდ დამხვდა.

— არ სჩანს არსად... ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გამოგვირკვევია... ძალიან სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა... დასწერეთ ისევ მეორე... ამას მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს...

სუფთა ფურცელი და კალმისტარი გამომიწოდა.

გამეხარდა, თუმცა გასახარელი რა იყო, და [illegible]

# დაპიწყებულნი

მუშკოოპმა გახსნა წითელი სასადილო რუსთაველის გამზირზე. ამავე დროს მუშათა უბნები რჩება უყურადღებოდ.



— ვა, რას ნაზობ ქალო, ნახევარი გზა უკვე გამოგვივლია; დიდი-დიდი ორნახევარი ვერსი-ღა დაგვრჩა გასავლელი, მივიდეთ, დავსხდეთ და არხეინად შევექცეთ სადილს „ჩვენს“ ახლად გახსნილ წითელ სასადილოში.

ერთხანს დაფიქრებული ვიყავი, შემდეგ ვისარგებლე შემთხვევით, როდესაც თანამშრომელმა ზურგი შემომაქცია, მივატოვე ყველაფერი და მოვცოცხე...

რა მქონდა მოსაცოცხავი?..

საქმე იმაშია, რომ ამდენ დავიდარაბაში მე უკვე დამავიწყდა, რასაც ვთხოულობდი პირველ განცხადებაში.

ეს არაფერია... მე მხოლოდ ის მაწუხებს, დაწესებულებაში ჩემი მისამართი დარჩენილი იყო და ვაი თუ გამომიძახონ და მომთხოვონ განცხადების ხელახლად დაწერა...

რა ვქნა მაშინ?..

რა დავწერო, რომ აღარ მახსოვს...

**ხინომატო.**

# მაჰმადი და ქრისტე



მაჰმადმა უთხრა ქრისტესო:
„ბოშო, რას იგრეხ კისერსო?
თავს რომ მაწონებ, აგწევ და
განად მოგიქცევ სიგრძესო!

ქუთათურ კნიაზს მაგონებ
მაგ ტყავის საცვეთებითო,
შოდიხარ, თითქოს მთას და კლდეს
ჭოარლვევ, რალა, მხრებითო!

თუ გახსოვს, რომ ტრაბახობდი
ძველად: „პატივს მტემს ხალხიო!"
წელს რომ არ გადაგიხადეს
ერთი დღეობაც, თალხიო!..

რას იტყვი, ბოშო, ამაზედ,
როგორ იმართლებ თავსაო?
ეჰ, შენი ავან-ჩავანი,
სჩანს, წახდა, დაინავსაო!

ქრისტემ მიუგო: „მაჰმადო,
გშვენის დღეს „ხანჭკის რებაო",
მაგრამ სანაცვლოს გადასდა
ჩემს წვერს არ ეკადრებაო!

ქუთაისიდან გეახელ,
ბაკში დავსტოვე ვირიო,
შოთაძის სადალაქოში
დღეს „გავიკეთე პირიო".

ქართველი კაცის სისხლი სდუღს
ამ ჩემს ძარღვებში სწრაფადო,
კეტრემ სთქვა, მირიანოლლიმ,
იყო ჩემ ბიოგრაფადო,

რომ მყავდა დედა მარიამ,
მიქელაძიანთ გვარისო,
და საქართველოც ამიტომ
წილხვედრილი მისი არისო!

მოგეხსენება, ქართველ ხალხს
კაცი ნაკლებათ ენდობა,
ანდაზამაც კი ააქუცა
აქ შინაურს მღვდელს შენდობა!..

თორემ მე, მღვდლებრს მეთაურს,
ცხადია, არ მაქვს პატივი!..
მაგრამ ჰა, „ცოცხალს ტაძარს" ქმნის
დღეიდან ჩემი „აქტივი"!..

ჰაზირა.

# წერილი ხულოდან

აი ღმერთო, ალახო და მისო ძალავ, მომიწყე ხელი და გამომაძახებინე ხულოს ფოსტა!.. ხულო ფოსტა... ხულოს ფოსტა... ხულო... ფოსტა::: აი, დასწყევლოს ღმერთმა, ეს ხელები ქე დამაძვრა ამ ტელეფონის ნაბრუნები; ამდენი ტრიალით წისქვილი ორ კოდ სიმინდს დაფქვავდა... წკრ... წკრ::: წკრ::: ჰო, ალო::: ალო::: ფოსტა ხარ? ფოსტა! შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, სან ბილურსან! თუ ძმახარ, ერთი ლორჯომი შემიერთე. წკრ... წკრ... წრკ::: ლორჯომია?:: ვინ ხარ ტელეფონთან?.. ქათიბი? (მდივანი) ხოოო... გამარჯობა შენი სეხნიავ... მეც ქათიბი ვარ სხალთიდან... ხოო.:: რავქნა ძმაო:;: ვეთრევი და ქე ვარ, ასლანა მახაჭაძის ცხენივით...

მოვიკლა თავი... რაფერ მოვიკლა. არ მოვიკლა და, რალა სასიცოცხლო ვარ... გადამყვა მამაჩემი, რვა კლასი გამათავებია:: იფიქრა: რალიცას სიკეთეს იზამსო. წამოვედი აჭარაში, გავკეთდები, კავერკოტებს შევიკერავ მეთქი... კავერკოტები კი არა ერთი ტილოს შარვალი მქონდა ანგლიჩანების დროს ნაყიდი და ყველგან სათვალეები გაუჩნდა, კოოპერატივშიო? კოოპერატივში მოაქვენ ჭრელ-ჭრელი ჩითები... იგიც ორი ნაჭერი მაგრამ, იმას ვინ მიუსწრებს საყიდლად.

რაო? ნივოზი მოიტანეთ და მოგცემთო? ნივოზი სად უნდა იშოვო, ძმაო!? რაც ნივეზები იყო აჭარაში, ალექსანდრე ახალაძეს და შაველედ ბერიძეს მოუჭრელი არ გაუშვია.

ავანსებიო? რის ავანსები, ძმაო? ავანსები კი არა, შარშან ჩემი ჯიბის ფულით ნაყიდ ქაღალდების ანგარიშები ვერ გავანღდებინე. მიველი მაზრაში. შევატანინე დავალიანებაში, მაგრამ როგორც სჩანს ჩემი დავალიანება და წრევანდელი ბიუჯეტი ერთად დადიან დასამტკიცებლადო...

ვასიკა.

ახლო ხანში
გამოვა
„ტარტაროზი"-ს
სპეციალური ნომერი
საბჭოთა
არჩევნებზე

# თავი იმართლა



— სანიტკომისიის წევრი (სანიტარს):—ეს რა უსუფთაობა ყოფილა აქ? რატომ არ გაასუფთავე?

— ვერა ხედავთ, როგორ აყროლებულია და საზარელი სუნი სდის?! ახლოსაც ვერ გავეკარე!

# „პოეტი"-ფარმაცევტი

### მიბაძვა მ. უზნაძისა.

ფარმაცევტებო, შემოკრბით ყველა,
ნუ გეშინიათ აწ თქვენ მტერისა:
მე პოეტობით ხალხს დავანახვე,
რომ ჩვენც გვაქვს ნიჭი ლექსის წერისა.

ჩვენც შეგვძლებია ლათინურს გარდა,
მივწვდეთ სამყაროს და პოეზიას;
თუ მოვინდომეთ, არამც თუ ტფილისს, —
შევცვლით ამ დროსაც ახალ გეზიანს.

ვინ ჭავჭავაძე, ვინ წერეთელი,
კარგათ გასინჯეთ ჩემი ლექსები;
მე რუსთაველზე კარგი შაირით
ჩემს მაღალ მუზას ვეალერსები.

მე შოთასავით არ უმღერ ღმერთებს
და არც ვადიდებ ვინმე თინათინს,
მე რეალობას ღრმათ დავეწაფე
და ხშირად მელანს ურევ ქინაქინს.

ინფუზუმ რადიკს ვალერიანი
ვინ შეამზადა, ჰა, ეს ვერანი?!
ოხერი მუზაც ეხლა მოვიდა,
უნდა დაგტოვოთ ერთ წუთს ყველანი.

მაგრამ მუზა, ეს ოხერი,
დიდი ხნით არ მეკარება...
რომ დავიწყებ ლექსის წერას
მიჭკრის, სადღაც მეპარება!..

**მორიელი.**

# გომის თემი

### ქუთაისის მაზრა

გვყავდა სიმონ გოგიშვილი—
ალმასკომის თავმჯდომარე,—
და სიმართლე უნდა ითქვას:
მართლაც იყო თავს მჯდომარე.
საქმისათვის არ ეცალა,
მუდამ იყო ღვინით მთვრალი.
სეირნობდა თავის თემში,
და ქალებზე ჰქონდა თვალი.
ექვს თვის შემდეგ ამ ჩვენს სიმონს
ქი, ამოჰკრეს მძლე პანღური.
გლეხებს დიდათ გაუხარდათ,
რომ ამ ამბავს მოჰკრეს ყური.

—:—

კიდევ უფრო გაუხარდათ,
მის ადგილზე პეტრეს მოსვლა
და ამბობდენ: „ბეჯითია,
არ ექნება ამ კაცს მოცლა".
მაგრამ.. მართლაც არ აქვს მოცლა,
საქმის კი არ, ღვინის სმითა
და გლეხებთან მან დაიწყო
ლაპარაკი სულ სხვა ხმითა.
პეტრემ კოხტად მოიმარჯვა
პაპიროსი, ტროსტი ხელში,
არშიყულად, განიერად
მაუზერი ირჭო წელში.

—:—

არც სხვებია სახეირო:
მდივანია დიდი ყბედი.
გლეხმა მის წინ მოკრძალებით
მოიხაროს უნდა ქედი.

—:—

დამტარებელი ერთი გვყავს,
სახელად ჰქვია ბენია.
სიმართლე გითხრათ— ამ თემში
ერთხელაც არ მოურბენია.

„კულგული".

# ცნობა „ტარტაროზს"

ძია ტარტაროზ, წერილს გწერთ,
ნაწერი არის მელნითა:
ჩვენი საქმე და ამბავი
არ გამოითქმის ენითა!
ოზურგეთიდან გვისროლეს,
როგორც მუშკორთა კრებული,
ჯიბეში გროში არ გვიდევს,
დავდივართ დასუსტებული.
ცოლს ტკბილი სიტყვა ვუთხარით,
მით დავაჯერეთ საწყალი,
და როგორც იყო, დავტოვეთ
ორი-სამი დღის საგზალი.
ვიხილეთ თბილის ქალაქი,
სწორი თუ მრუდე ქუჩებით,
ქალები — მოკლე კაბებით
და დაწითლებულ ტუჩებით...
მაინც ოზურგეთს ვიგონებთ
მუშკორთ დევნილი ლაშქარი:
ჩვენება გასაოცარი
ისევ იქ არი, რაც არი!
მდიდარი არის ქალაქი
ბიუროკრატულ „ტიპებით":
მუშკორთა ათვალწუნობით
და მათზე გადაკიდებით!..

**მიტმირონი.**

# მდივნის მოგონებიდან

თითქოს რაღაც უბედურებას ვგრძნობდი, რომ დაწესებულებაშიაც ათი წუთით ადრე მივედი.

სრული ათი საათი იყო, გამგე შემოვიდა, გამომიწოდა ხელი და ალერსიანათ მომმართა:

— გამარჯვება ამხანაგო ვანო. რომ იცოდე — როგორ დავიღალე, ავტომობილს აღარ გამოვუძახე და ფეხით წამოვედი, თუმცა ცოლი მეჩხუბებოდა: სად გაგიგონია გამგემ ფეხით იაროსო, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიყვანე. მხარზე ხელი დამარტყა და კაბინეტში შევიდა. კ რებში შიკრიკი გრიშა შეხვდა, რომელიც ჩვეულებრივ დაეწოდა კალოშების გასახდელათ, მაგრამ გამგემ შეაჩერა:

— შენ ნუ სწუხდები, ამხ. გრიშა, კალოშებს მე თვითონ გავიხდი, შენ მხოლოდ ეხლავ ჩამოხსენ კარებიდან ბიუროკრატიული განცხადება—„დაუკითხავად შემოსვლა აკრძალულია". დეე, ვისაც უნდა და როცა უნდა, შემოვიდეს.

ვხედავ, რომ გამგე თავის ჭკუაზე აღარ არის.

პატარა ხნის შემდეგ მასთან შედის ადგილკომის თავმჯდომარე კვერნაძე, რომელსაც დიდის ალერსით ეგებება გამგე:

— ჩემი გულწრფელი სალამი ამხ. კვერნაძეს! რამდენი ხანია მინდოდა მეთქვა, მაგრამ ყოველთვის მავიწყდებოდა. დროა, ამხ. კვერნაძე, თავის სიმაღლეზე დავაყენოთ პროფმუშაობა, რომ მუშა-მოსამსახურეებმა დაინახონ თქვენში ნამდვილი ხელმძღვანელი და დამცველი. მართლა, ეხლა მომაგონდა,—მგონი წელიწად-ნახევრის საწევრო მაქვს გადასახდელი. მოლარეს უთხარით ეხლავ დამიკაონ ჯამაგირიდან.

ადგილკომი გაკვირვებული შეჰყურებს გამგეს და ბოლოს მოახსენებს:

— გიორგი დიმიტრიევიჩ, მე თქვენთვის შეღავათიანი ბილეთები ვიშოვე „სილვა"-ზე. გუშინ თქვენს ცოლს ებრძანებინა.

— ეს როგორ შეიძლება, ამხ. კვერნაძე. ჩემს ცოლს ეგ თავისი შეუგნებლობით მოსვლია. მას რა ნება აქვს უბრძანოს პროფმოძრაობის ხელმძღვანელს! ეს აღარ მოხდება! რაც შეეხება „სილვას" მოსმენას, მე წინააღმდეგი ვარ, რადგან იდეოლოგიურად არ მაკმაყოფილებს. იმაზე კი დიდი მადლობელი დაგრჩებით, თუ ერთ-ერთ სააგიტაციო პიესაზე მომიხერხებთ.

კვერნაძე ოფლში გაწურული გამოვიდა გამგის კაბინეთიდან. შემდეგ ჯერი კომუჯრედის მდივანზე მიდგა:

— ამხ. სამსონს გაუმარჯოს, სამსონს. მაგრამ გულახდილათ კი უნდა გითხრა—ძალიან გემდური, რადგან სათანადოთ არ დამტვირთე პარტმოვალეობით. გარდა ამისა, რატომ კვირაში მხოლოდ სამჯერ ვიწვევთ კომუჯრედის კრებებს და არა მეტჯერ? საჭიროა ყოველ დღე მოვიწვიოთ.

ბოლოს გამგემ ამოიღო ფული და 79 მანეთი გადაუთვალა კომუჯრედის მდივანს:

— გულმავიწყი ვარ, ყოველთვის დროზე ვერ ვიხდი საწევროს, მიიღე, მგონი მთელი წლისა უნდა იყოს.

ამის შემდეგ მე მომიბრუნდა და მეუბნება:

— ამხ. ვანო, დღეიდან ახალ მუშა-მოსამსახურეთა მიღება მოხდება არა პროტექციით, არამედ მათი გამოცდით.

მაშინ კი მივხვდი, რომ ეს კაცი მართლა არ იყო ჭკუაზე. საჩქაროდ გაველ მეორე ოთახში, მივვარდი ტელეფონს და „სწრაფ დახმარებას" გამოვუძახე. არ გასულა სამი საათი, რომ ისიც მართლა „სასწრაფოდ" მოვიდა. ჩავსვით ჩვენი გამგე და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მივიყვანეთ, თუმცა თვითონ დიდ უარზე იყო:

— კაცო, რას მიშვრებით, რაზე მღუპავთ, საგიჟეთში რა მინდა, ძალით ხომ არ უნდა გამაგიჟოთო.

მე, მართალი გითხრათ, ცოტა შევყოყმანდი, ვიფიქრე: წელან იქნებ ცოტა მოუარა და ეხლა კარგათ არის მეთქი და განვიზრახე უკან წამოყვანა, მაგრამ ექიმებმა დამარწმუნეს:—არც ერთი სულით ავადმყოფი იმას არ გიტყვის გიჟი ვარო.

ორ კვირას იყო სავადმყოფოში. ერთ დღესაც მოწყალების და შედის მასთან და ეუბნება:

— მიიღეთ წამალი!

გამგე მაგიდაზე არტყამს ხელს და უყვირის:

— თქვენ ვინ მოგცათ ნება ,რომ დაუკითხავად შემოდიხართ! გაეთრიეთ აქედან! თუ რამ საქმე გაქვთ, დაწერეთ განცხადება, დააკარით სალერბო მარკა და მიმართეთ მდივანს. მე თქვენთვის არ მცალია.

საჩქაროდ მოიწვიეს ექიმები, შეამოწმეს და დარწმუნდენ, რომ კაცი უკვე ნორმალურ მდგომარეობაშია, დაჭკვიანებულა.

იმავ დღეს გამოწერეს საავადმყოფოდან.

ეხლა ჩვენი გამგე მშვენივრად გრძნობს თავს და ნორმალურად მუშაობს როგორც ყველა სხვა.

**წკეპლა.**



— ჩემი შვილი მეურნეობას სწავლობ უნივერსიტეტში!

— უი, ქა, მეურნეობას აქაც კი ისწავლიდა; ქალაქში რა უნდა ამისათვის?!

# რესტორანში



მუშტარი:—ესეც ხომ ძველი კერძია? ახალი არაფერი გაქვთ.
— ტარტაროზი გახლავთ, დღევანდელი ნომერი.

# მგზავრობა ოზურგეთში

ოზურგეთზე ლექსი ლექსზე,
დაიწერა ბევრი,—
და მეგონა იქნებოდა
როგზე ყველაფერი.
ამიტომაც მგზავრობაში
აღარ მქონდა ჯავრი!
მივდიოდი არხეინად
სხვა მგზავრებთან მგზავრი.
მაგრამ ჩემი წინათგრძნობა
მწარედ შემცვალა.
(მოგონებით ახლაც მტკივა,
გული, თავის ქალა)
ნატანებზე აბა ბოლმა,
როგორ დავაგუბო?!
სადგურია ისე ვიწრო,
მოგაგონებს კუბოს.
ტალახითა და ლორდინითა
მუხლში დგება წყალი!
ნატანებო, კი ყოფილხარ,
მართლაც შესაბრალი.

როგორც იქნა გავუდექი,
ოზურგეთის მხარეს!
სადგურიცა მოსჩანს შორით—
ვფიქრობ: გამახარებს.
შენობაა პატარა, და
ეკლესიის მსგავსი—
(და მოვროვდა გულთან ფიქრი,
ათასჯერა ასი).
დაქანცული ძირს დავეშვი,
გავუდექი ქუჩას!—
ტალახებს და საბინძურეს
ბოლო აღარ უჩანს.
ელექტრონი არ ანათებს,
არც ფარანი— არის!
და მივდივარ სიბნელეში
ვფიქრობ: მოვკვდე ბარემც.
განთიადი იყო მგონი,
მივაღწიე ქალაქს!
საწყალივით ვეძებ ყველგან
ჰოსფენების ალაგს.
აჩრდილივით მახსოვს, მოვხვდი
**გლეხთა სასახლეში!—**
(საიდუმლო საუბარი
დარჩეს მხოლოდ ჩვენში).
ადგომის დროს შემეჩხირა
ათი ტილი ხელში!—
(„სასახლეში“ არ დავწვები,
მე ჩემს სიცოცხლეში).
„ეპო“-ს უნდა გაუგზავნო,
საყვედური დიდი!
ძმაო, ვიყო შერცხვენილი,
ქვეყნის თვალში ფლიდი,—
თუ უბრალოთ გაგიბედო,
სიტყვა, ან სხვა რამე!—
გამგეობას თურმე სძინავს:
დღისითაც და ღამეც.
გლეხობაში დადის ხმები,
არა სასურველი!
„ეპო“-საგან ხსნას და შველას
აღარ ვკარგავთ, ველით.
და ვიხილავთ მოკლე დროში:
ფანელსა და ნარმას!
რითაც მოვსპობთ გამეფებულ
დარდებსა და ვარამს.
**გლეხკომის და წითელი ჯვრის**
სასადილო ვნახე!
ბევრი მითხრეს დაჯინებით,
მათზე სივაგლახე.
ტყავს გვაძრობსო— ერთი ამბობს;
მეორე—კი სხვასა!
(ისეთები მოგვევლინა,
ველარ ვიღებთ ხმასა).
აჭრელებულ კედლებს ვხედავ,
წარწერებით სავსეს!
(ეს ორივე სასადილო,
ნაფლავს დავამსგავსე).
„ნისიობა“ აქაც თურმე
წაწყმედილა ისე,
რომ დავთრები დაგიკარგავს.
ლხენა - სიხალისე.
გული შეკრთა და შეწუხდა,
თავს დამეცა ზარი,—
როს სკოლის წინ დაჰირეკეს
ეკლესიის ზარი.
გავიხედე, მღვდელს ვერ ვხედავ
და ვერც საყდრის სახეს!
(ეს სკოლები გააკვირვებს
შორით მოსულ მნახველს).
ეკლესია მოვსპოთ როგორც,
ზარიც მოვსპეთ ისე!—
(ნეტავ ჩემს თქმას **ოზურგეთი**
თუ გაიგებს, ისმენს?!).
ახლაც ყურში მესმის თითქოს
უცნაური ხმები!—
მოგონება სულს მიშფოთებს,
ვდგები, ველარც ვწვები.

ქაგნელი ბზიკი.

# ჩოხატაურის ბაზრობა



# მოწამლული წყალი

თავიდანვე, რაც რომ კომუნისტები გაჩნდა ჩვენში, ვამბობდი, რომ სახეიროს არაფერს დაგვაყრიან მეთქი.

და კიდევაც ამისრულდა.

ჯერ იყო და თუ სამი ანაფორიანი მღვდელი დაინახეს, წამლად არ გაუშვეს, მერე თავად-აზნაურობა მოსპეს, შემდეგ ვაჭრები და ეხლა ჩვენც მოგვდგნენ. მოდი და ნუ დაიჯერებთ, უცხოელების გაზეთების ნალაპარაკს? ამაზედ საშინელება რაღა იქნება, აქაო და ლენინმა სთქვა „რევოლიუციის ათი წლის თავზე წერა-კითხვის უცოდინარი არავინ უნდა გვყავდესო“ და სწორედ ეხლა მისდგენ ყველა წერა-კითხვის უცოდინარებს მოსაწამლავად. ათი წლის განმავლობაში იძახდნენ „არავინ დარჩეთ წერა-კითხვის უცოდინარიო“, ხსნიდენ სკოლებს და ასწავლიდნენ, მაგრამ, განა, შეეძლო ყველას შეესწავლა? ეხლა მოუფიქრებიათ: — „რახან ათი წლის რევოლიუციის შემდეგ წერა-კითხვის უცოდინარები არ უნდა იყოს, ამიტომ მოდი და მოვსპოთ ყველანიო“. მოფიქრება და შესრულება ერთი ქნეს. ერთ შაბათ საღამოს წასულიყვნიან წყალსადენის სათავეში და წყალში საწამლავი ჩაუსხამთ. კვირე დილას ავდექით, მე და ჩემმა ცოლმა პირი დავიბანეთ, ჩაის სმა გავათავეთ და ქიქორი ეკლესიაში ვაპირებდით წასვლას, რომ ერთი მეზობლის კომსომოლი ბიჭი შემოვიდა. ჩემმა ცოლმა როგორც პრილიჩია მოითხოვს ჩაიზე მიიპატიჟა.

— ჩაი არ მინდა, მაგრამ იქნებ გუშინდელი ცივი წყალი გაქვთ მასესხოთ ცოტა—სთქვა მან და პატარა ვედრო დადგა იატაკზე.

— განა, მილში წყალი არ მოდის?—შევეკითხე მე.

— მოდის, მარა მოწამლულია — სთქვა მან თითქოს არაფერიო

— როგორ თუ მოწამლული? —შევეკითხეთ ერთად.

— რავა არ იცით, წუხელის წყალი მოწამლეს და ხვალამდე მოწამლული იქნება—სთქვა მან.

— როგორ თუ მოწამლეს? — გავიკვირვეთ ჩვენ.

— როგორ და „წყალი უნდა გავწმინდოთ ბაცილებიდან“ — სთქვა მან და გაზეთი „ქცუხარა“ დაგვიდვა წინ.

— აი წაიკითხეთ—და მიგვითითა განცხადებაზე.

თქვენი მტერისას, მაშინ ჩემსას მოხდა, ამ უშველებელმა ქალმა ქი არ მოადინა ბერტყა იატაკზე.

არიქა, მიშველეთ, მოვიწამლე—დაიყვირა და იქვე დაკარგა გრძნობა.

— შენ თუ მოიწამლე, მე რაღა შენზე ნაკლებად



—ჩანს შენ ზორბად გიქეიფია ამ დღესასწაულებზე, რომ თავი და ფეხი შეხვეული გაქვს?

— მიქეიფია კი არა, არც კი გადამიხდია ეს დღესასწაულები და, სწორედ ამიტომ იყო, რომ ცოლმა მცემა და თავპირი დამიმტვრია.

## ლ ო ტ ო

ეი! სად ხარ ტარტაროზო,
რომ გარეკო ეს მწერები;
ზოგი წითელ ულვაშებით
და ზოგრა შავ წვერებით,
იქ მუხრანის ხიდთან ახლოს,
სადაც ხშირად უსტვენს ქარი;
„ამერიკულ ბაზრის“ თავში
ხლიგნების დგანა ჯარი.
გაუმართავთ ვაჟბატონებს
საც ამაზო მრავალგვარი!
მოთამაშეთ შორის—ვფიცავ—
მოწაფეხიც ბლომად არი.
ხშირად მუშტი გაივლევს,
ხშირად ყელსაც სწვდება ხელი;
ზოგს ძლიერ დაალონებს
ჩხრიალა და კამათელი.
აზარტიულ თამაშით რომ
არ დაწოდა არვის გული,
სამუდამოდ მიაკეტეს
შმენ-დე-ფერი, ლოტო, ბული.
მაგრამ დახე! ქუჩის თაგვებს
მოუყრიათ ერთად თავი;
ლოტოსგვარი მოუწყვიათ:
ყველას უნდა აძვრეს ტყავი!!.
ტარტაროზის ერთგულ აგენტს
მათთვის ჯერ არ მიმიცლია;
ამ მოვლენას ყურადღება
მიაქციოს მილიციამ!

ჩანო.

მოვიწამლებოდი იმდენი ჩაის სმით—მეთქი ვიყვირე მეც და გავიშხლართე ლოგინზე.

დაფაცურდა საწყალი კომსომოლი, ეცა ჩემს ცოლს, შეუხსნა გული, აუს-დაუსვა ძუძუებში ხელი, შეუხსნა კაბის ზორტი, აუზილ-დაუზილა თეძოები, მაგრამ შენც არ მომიკვდე, უფრო დანაბა ქალმა თვალები. უსობს ხელს აქეთ-იქით, აი ლაწილაკი, მარა რას ვეტყვი. ვსკდები გულზე, ვამბობ, მოწამლული არ ვიყო გიჩვენებდი სეირს, მარა ეხლა რა უნდა ვქნა მეთქი და ვწევარ ჩემთვის, ხან დავხუჭავ თვალებს, ხან გავახელ, მაგრამ ადგომით მაინც ვერ ვდგები. ახლაფორთა, აწვალა ერთხანს ჩემი ცოლი იმ ყაზირალმა და ქიარ გაახელია თვალები.

— შემ მომარჩინე, ჩემო ანგელოზო — უთხრა ჩემმა ცოლმა მას და ისე მაგრად ჩაიკრა გულმკერდში, რომ კბილები ამიკაწკაწდა.

— არიქა, მიშველეთ, მეც მომარჩინეთ — ვყვირე მე ლოგინიდან:

— შენ არა გიშავს, შენით მორჩები—მითხრა იმ ბიჭმა და კიდევ დაუზილა ძუძუები ჩემს ცოლს.

მეტი რაღა გზა მქონდა, გაეიშინჯე ხელით ტანის ყველა სხეული და როცა შევატყვე არა მიშავდა, წამოვდექი.

— ხომ დავიხოცებოდით ეხლა, ღმერთს რომ აგი აქ არ შემოეყვანა, — სთქვა ჩემმა ცოლმა და ვნებიანი თვალებით გადახედა ყმაწვილს.

— ჩემი რა გითხრა და შენ კი აუცილებლად მოკვდებოდი, ჩემო კარგო,—ვუთხარი მე—მაგან რომ დაგზილა, ისე მე ვერაროს ვერ დაგზელდი და მოკვდებოდი, აბა, რა მოგივიდოდა!

— ასეთ შემთხვევაში დაზელა დიდი საშუალებაა— ეშმაკური კილოთი სთქვა კომსომოლმა.

— სწორედ კარგი ყოფილა, ერთორ სამხელ რომ ვინმე მიზამდეს ისე, იქნება აგი საწამლავი გამიქრეს— კმაყოფილებით სთქვა ჩემმა ცოლმა.

— შე ოჯახ დასაქცევის შვილო, მე ხელს არ მაკიდებიებ და თუ ასე კი მოგიხდება დაზელა, ისე დაგზელ რომ გვერდების ძვლებსაც არ შეგარჩენ მეთქი—უთხარი მე.

— ღმერთი შენ შეგარცხვენს იმის მეტს, შენ ასე კარგად ვერ დამზილო— მომაწყევლა მან.— შემოიარე საღამო ხანს გრიშა—უთხრა მიმავალ ყმაწვილს.

— კი, ამხანაგო ქეთო, კი—უპასუხა მან კარებიდან.

— ფეხი არ შემოგიცდეს აქეთ, შენ ეშმაკის კერძო, თორემ გიჩვენებ სეირს — უყვირე მე და კარებთან მივვარდი, მაგრამ გამასწრო.

იმის შემდეგ აგერ ერთი კვირა გავიდა და ჩემი ცოლი დღესაც მოწამლულია. რანაირად არ ვზილე, რანაირად არ ვუქაჩავე, მარა თქვენც არ მომიკვდეთ, არ მოსწონს: „იმისავით მაინც ვერ შვებიო“ ისე გამიჭირა საქმე, რომ კიდევ დავაზელიებდი იმ ძაღლის შვილს, მარა იგი სცხა კომანდიროვკაში გაუგზავნიათ და ეხლა ვის დავაზელიო, აღარ ვიცი.

ასეთ უბედურებაში ჩამაგდო ბათომის ქალაქის საბჭომ თავისი წყალის მოწამვლით, სხვებს რა დაემართებოდათ კიდევ, ვინ მოსთვლის.

ამის შემდეგ მოდით და სთქვით: „მაგენიც ხალხისთვის ზრუნავენო“.

ბ. ობოლი.

პროტექციის წყალობით ბევრი ეწყობა სამსახურში შრომის ბირჟის გარეშე. (გაზეთებიდან).

# „სული წმიდა"




— თვალებს ავიხვევ, არ შევხედავ, რათა არავინ დამწამოს პროტექცია.

ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე. ფასი 15 კაპ.

კვირა, 13 იანვარი 1929 წ. № 3 (187)

# სწორი შედარება

„სახლების აგებამ ჩვენში ამ უკანასკნელ დროს მეტად მახინჯი სახე მიიღო... თავზე მოგვახვიეს ჩვენდა უნებურად ყოვლად უმსგავსი და ყოვლად შეუფერებელი სტილი"...

(ამხ. ფ. მახარაძის წერილიდან).



— მამილო, იმ ციხეში რატომ სხედან ქალები და ბავშვები?
— შვილო, ის ციხე კი არ არის—ტრამვაის მუშათა სახლია!

# ტარტაროზის ნოტა გარეშე საქმეთა კომისარს



დიახ „ტარტაროზის“ ნოტა! აქ ხაკვრეველი და ხაოცარი არაფერია!

—:—

ამხ. კომისარო- მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი:

ყოფილი რუსეთის ძველი მევალეები, რომლებსაც ამას წინად ყრილობა ჰქონდათ, ისევ ოცნებობენ ვალების განაღდებაზე, რაც თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

მე მგონია ისინი ჩვენებური (ქართული) ანდაზის მიხედვით იქცევიან; (ანდაზა, ალბად, ჩვენი ემიგრანტებისაგან ისწავლეს): „გალმა გაედავე და გამოღმა შეგრჩება“. (რუსულად: „за тот берег сражается, чтоб за этим удержать“. ლევარსი რობრობაძის თარგმანი).

ჩვენ არც გაღმა ვედავებით, მაგრამ. სამაგიეროდ, არც გამოღმა დავუთმობთ რამეს.

ჩვენ წარდგენილი გვაქვს სამართლიანი პრეტენზიები (ბლოკადისა და ოკუპაციის გამო მოყენებული ზარალის ანაზღაურება) მათი ვალების „გახანაღდებლად“, ე. ი. გასაქვითებლად.

რა თქმა უნდა ჩვენი ციფრი გაცილებით უფრო დიდი იქნება მათ ციფრზე და ამიტომ, თითქოს, საჭიროც არ არის კიდევ მომატება, მაგრამ, ვინაიდან ჩვენი („ტარტაროზი“-ს) რედაქციისათვის ეს ციფრი საგრძნობ თანხას შეადგენს, ამიტომ, გთხოვ ჩვენი („ტარტაროზი“-ს) პრეტენზიები (ხარჯი) შეიტანოთ სიაში, რომელსაც წარუდგენთ ძველ მევალეებს, როცა ისინი ჩვენგან ისევ მოითხოვენ ძველი ვალების განაღდებას.

„ტარტაროზი“-ს რედაქციას 1929 წლის პირველ იანვრამდე ჩემბერლენის, პუანკარეს, პილსუდსკის, ბრიანის, მუსოლინის, ჰინდენბურგის, ბოლდუინისა და სხვების შესახებ მოთავსებული წერილები, კარიკატურები, კლიშეები და სხვა დაუჯდა — 000,000 907 მან. 01 კაპიკი, რაც რედაქციას, რა თქმა უნდა, არ დაეხარჯებოდა, რომ არ ყოფილიყვნენ ამ ქვეყნად ზემოდჩამოთვლილი ჯაჭბატონები.

მათ არ შეუძლიათ უარჰყონ მათ მიერ მოყენებული ზარალი აღნიშნულ თანხის რაოდენობით, ვინაიდან ჩვენ ხელთა გვაქვს „ტარტაროზი“-ს უამრავი ნომრები, რომლებშიაც თეთრზე შავათ სწერია და დახუტულია მათი დახასიათებანი და სახეები.

თუ ანგარიშის გასწორება პირნათლად მოხდება, (რის იმედიც არა მაქვს), — დარწმუნებული ვარ — ვალები არა თუ გაქვითდება, პირიქით: მათ დაედებათ ჩვენი ვალი და კარგა მოზრდილი თანხა გვერგება ხურდათ.

ასეთ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, ამხანაგო კომისარო, თავის წილს აკუთვნებთ ჩვენს „ტარტაროზს“.

მიიღე. ამხ. კომისარო, ჩვენი თქვენდამი უაღრესი პატივი და აგრეთვე ბოდიში მასალების დაგვიანებით მოწოდებისათვის.

ტარტაროზი.

**წ. შ.** „ტარტაროზი“-ს პირველ იანერის ნომერში ჩემბერლენის, ბრიანის, შტრეზემანისა და „მშვიდობიანობის ანგელოზის“, ხოლო დღევანდელ ნომერში — ჩემბერლენის, მისი ცოლის, პილსუდსკისა და პუანკარეს კარიკატურების ანგარიშს დამატებით მოგაწვდით ახლო ხანში.

ტ.



# გლოვა „ნიკოლოზ გრძელისა“.




მოკვდა „ნიკოლოზ გრძელი“,
ორ-ნახევარი მეტრი;
იყო ინტრიგის მთხზველი,
ემიგრაციის ცენტრი;
გამოჩენილი „გმირი“,
ხარდალი მეფის ჯარის;
წაილო თქვენი ჭირი
იყო და აღარ არის!..
და აი, კუბო „ცინკის“
ხდგას გაშოტილად განზე;
წმინდა სანთელი იწვის,
ღლვენთვის კუბოს ბანზე.
და იმავ ბანზე კიდევ
ორ თავიანი ორბის,
თვალი რომ ცრემლს ვერ იტევს,
წვეთ-წვეთად ძირს რომ მორბის!..
და სწივის ორბი, სწივის,
სწივის არწივი თუ ბუ:
„ზოლი ჩაშავდა სხივის!
ხდგას ნიკოლოზის კუბო!..
რა ეშველება რუსეთს?
ვინ ემეფება, ვინა?
ჩექმის ბსკერს ვის გაუცვეთს
კოფილა მეფის ბინა?!.
მისივე ხაფარძელში
ვინ გაიჭიმი რიხით.
„სკიპტრა“ რომ ეპყრას ხელში
და „ძლევა“ „სკიპტრას“ იქით?!“
სწივის ორბი თუ ყვავი,
ორ თავიანი, ძველი,
არის ამბავი მწვავე!
„მოკვდა ნიკოლოზ გრძელი“.
დიდხანს უხარა ქედი:
ჩემბერლენს, პუანკარეს,
მაგრამ „რუსეთის ბედი
მაინც ვერ „მოაგვარეს“!.
იყო ხეპრე და ყბედი,
როგორც უმტკიცებს გვარი,
უჩნდა რუსეთის ბედი
ფით ხაქვე, საკუთარი!
ხაფლავში ედგა ფეხი,
მეფობა მაინც სურდა,
რუსეთის ზურგზე კეხი
და ჯიბეს ბევრი ხურდა!
მაგრამ გაუცვდა ნდომა
და გაელია გული:
აღარც „მეფური შრომა“
და არც ჯიბეში ფული!
და შერჩა ქვეყნად ძრომა
სხვადასხვა „მთხლეთა“ კარზე,
აღარც „მეფური შრომა“
და არც პორფირი [illegible]!

შუავდა მეტოქედ კირილ,
დიდხანს იდავეს ტახტზე...
ან ვინ გარდიხდის ტირილს
მეფურად ჩანაძალზე?!
ემიგრაციის გული,
ალბათ, ამ ცნობამ დასჭრა;
ბევრი სურვილი, კრული,
ბევრი ოცნება ჩაჭრა!..
ორ თავიანი ორბი
მათ დღეს შესცვლიათ ყვავათ;
იმათი, გულის მრთობი,
კუბოში უწევთ შავათ!..
და დასდის გლოვის მწვავეს,
ფით მოხუცის თვალს ცინგლი,
ორ თავიანი ყვავის
კუოცხალია თუ სკინტლი...
რა ეშველება რუსეთს?
ვინ უპატრონებს რუსეთს?
ეს კითხვა მათ გულს უცვეთს...
ხურც შველებია ნურც ერთს!
მოვა კერენსკი ხაშა,
და მილიუკოვიც მოვა...
არის გეგმების ჩაშლა
და ემიგრანტთა გლოვა...
ჩერნოვიც მოვა, გოცის,
აბრამოვიჩიც, დანიც,
ნოეთა კირსახოციც,
წერეთლის ჩემოდანიც...
სტირის ერი თუ ბერი,
სტირს ნიკოლოზის ცხენი:
„შენ იყავ ყველაფერი!
შენ იყავ სიმხნე ჩვენი!
ვის გაგვიძღვება აწ წინ,
ვინ მოგვეჯდება ზურგზე?
დიდია შენი ღვაწლი:
დნეპრზე, დვინაზე, ბუგზე,
მაზურის ტბების შუა,
დნესტრზე, კარპატზე. ლვოვში...
შენს ცხენს პსკოვს ჰქონდა ძუა,
თავი კი ჩენსტოხოვში!..
და გადაგველე ახლა,
როგორც რომ ნიხლი, შავი,
გულს ჭირი ჩაგვეხახლა:
ვის შევაყუდოთ თავი?!“
მოდის მარიამ ქვრივი
თუ მადამ-ჯან კუსკოვა...
თვალზე ცრემლების მძივი...
გულში უწყლი გლოვა...
იყავი შენ, ჩვენო სიყრმევ,
ვაი შენ, ჩვენო კვერთხო,
ბებერო მოარშიყევ,
ომშიც წვერ-შენაფერთხო!
ვინ დაგვეყუდოს აწი
წინ, როგორც უავარჯენი?
ეჰ აფსუს, შენი ღვაწლი,
აფსუს, დიდება შენი!“
ჰყავდა ნიკოლოზს ვირი,
იყიდა მისი ბარგი,
ისიც ხდგას ანატირი,
როგორც ფარეში კარგი;
იეხ აფსუს, შენი გეზი
და დიდებული გეგმა!..
ბევრჯერ მაგეჭე დეზი
და ფერდშიც წვერით ჩექმა...
ხადლა ვიშოვი მხგავსებს,
ტანს და მაგ სახის მზესა?
შენებრ ვინ შემითავხებს
ან ვინ დამიყრის ბზესა?!“
და ასე სტირის ყველა,
გლოვაა, გლოვა, მწვავე...
სწივის—ხად არის შველა—
ორ თავიანი ყვავი!..
ნიკოლოზ კი წევს „გრძელი“
კუბოში გატრუნულად;
ეს ხმა და ცრემლი ცხელი
თითქოს მიუჩანს ნულად!
და სდის ზედ გლოვის მწვავე,
ფით მოხუცის თვალს ცინგლი,
ორთავიანი ყვავის
კუოცხალია თუ სკინტლი!..

[illegible]

# კინო-სცენარი

მიუხედავათ იმისა, რომ საერთოდ მთელ მსოფლიოში ზოგადათ საბჭოთა კავშირში, კერძოთ ამიერ-კავკასიაში და კონკრეტიულად საქართველოშიაც დიდი ადგილი უჭირავს კინო-მრეწველობას ბევრმა დღემდეც კი, არ იცის, თუ როგორ იწერება კინო-სცენარი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ უბრალო მიზეზით აიხსნება, რომ საქართველოს სახკინმრეწვს დღეში მხოლოდ ოთხმოციოდე სცენარი მისდის. მართალია ეს ოთხმოცი სცენარი ასი პროცენტით, უვარგისია. მაგრამ სცენარის მიღება ჭარტო ვარგისიანობაზე ხომ არ არის? აქ მხედველობაში მისაღებია უმთავრესად, ის თუ ვინ დასწერა სცენარი, ვინ წაიკითხა, ან როგორი ნაცნობები ყავს სცენარის ავტორს. რასაკვირველია მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, თუ როგორ არის სცენარი შედგენილი, ან სავარგისია თუ არა იგი შინაარსის, იდეოლოგიის და მხატვრულობის თვალსაზრისით.

ასეა თუ ისე, საქართველოში რომ კინო-სცენარის შედგენა იცოდენ, სცენარების წერის მასიური კამპანია გაიმართებოდა.

ვითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, საჭიროდ ვცნობთ სანიმუშო კინო-სცენარის გამოქვეყნებას, მკითხველთა ფართო მასებისათვის მისაწოდებლად.

 აი სცენარიც:

## ქალაქის საიდუმლოებანი

ეს სახელწოდება უსათუოდ მისაღებია კინო-ფილმისათვის, რადგანაც საიდუმლოება ხომ ყოველთვის ბურუსით არის მოცული და შიგ რა ყრია არავინ იცის. სიტყვა „საიდუმლოება“ უთუოდ დააინტერესებს მოქალაქეებს და ყოველი მათგანი მოინდომებს სურათის ნახვას. ასე რომ ეს ჩვენი სურათი კომერციულად გამართლებულია, რაც არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი კინო-მრეწველობის ცხოვრებაში.

### ნაწილი პირველი

მყიდველებით სავსე მაღაზია.

ნოქარი გულში იგინება. თან თავაზიანად ეპყრობა მუშტარს (აქ საჭიროა ნოქარის როლის შემსრულებლის დიდი ოსტატობა, რომ შინაგანი გინება გარეგან თავაზიანობასთან შეათავსოს).

მუშტრებში ოციოდე ჯიბგირი ურევია, რომლებიც მოხერხებულათ აცლიან ფულს მოქალაქეებს.

საერთო არეულობაა. (რასაკვირველია ლეკურის თამაშიც).

**ჯიბგირმა საფულე ამოართვა მოქალაქეს, ჩუმად გახსნა და რა ნახა რომ საფულე ცალიერია, ამბობს:**

„Подлость“

ჯიბგირმა საფულე მეორე მოქალაქეს ჩაუდო ჯიბეში.

მოქალაქე, რომელსაც ცალიერი საფულე ამოართვეს:

**„მიშველეთ, საფულე ამომართვეს, შიგ სამასი მანეთი მქონდა“.**

არეულობა მატულობს.

მეორე მოქალაქე, რომლისთვისაც არაფერი ამოურთმევიათ:

**„მიშველეთ, შვიდასი მანეთი ამომართვეს“!**

ხმაურობა ძლიერდება.

ქალი, რომელსაც ჯიბეში კაპიკიც არ ჰქონდა:

**„ვაიმე, ათასი მანეთი ამომაცალეს“!**

სრული არევ-დარევაა. ნოქარი გულში იცინის და ფიქრობს:

„ნეტავი სულსაც **ამოგართმევდენ**“.

ჯიბგირი, რომელმაც ფულებით გაიტენა ჯიბე:

**„ვაი ჩემ თავს, სამი ათასი მანეთი ამცანცლეს“!**

მაღაზიის გამგე გიჟივით ტრიალებს.

ნოქრები დახლში იმალებიან.

შემოდის მილიციელი, რომელსაც მაშინვე აცლიან ჯიბიდან დაზღვევის წიგნაკს და მოწმობებს:

**„ვინ არის აქ რომ ჯიბგირობს“?**

საერთო სიჩუმეა.

ჯიბგირები უჩინმაჩინის ქუდებს იხურავენ და მიდიან.

### ნაწილი მეორე

ღილაა.

ქუჩაში მილიციელი დგას და ნოშანს ატრიალებს.

ავტომობილი მოქალაქეს სრესს.

**გასრესილი მოქალაქე:**

# უნუგეშო იმედი



**— რა გატირებს, შვილო? აკი გიგლა შეგპირდა, რომ ცოლად შეგირთავო?!**

**— გიგლამ მითხრა, რომ გუშინ ბირჟაში ჩავეწერე, სამსახურს ვიშოვი და მერე შეგირთავო... მანამდე კი მეც შენსავით დავბერდები!**

## კაცი დიდ საზრუნავიან კითხვებში „ტასულ“




— ეს ორი „შობა“ კი ვიუქმე და მოვიგდე უკან, მხოლოდ მეორე ახალი წლის „გათენება“ კი ცოტას მეჭოჭმანება; 14 კვიმატი რიცხვია-ო, გამიგონია.

„მილიციონერ-ე-ერ! მიშველე, გამსრისეს“!

მილიციელი კიდევ უფრო ატრიალებს ნიშანს.

ქუჩის მეორე მხარეს ლეკური. აქა-იქ „შამილსაც“ ცეკვავენ.

არღანი.

ზურნა.

ღვინის ტიკები.

მილიციელი სტირის.

### ნაწილი მესამე.

გასრესილი მოქალაქე ადგა და მილიციელისკენ მიდის.

„რა გატირებს, მართლა კი არ მომკვდარვარ“!

ამ დროს მას უკანიდან მოტოციკლეტი დაეჯახება და კვლავ სრესს.

მოქალაქე ყვირის:

„მიშველეთ, კიდევ გამსრისეს“!,

ხალხი აღშფოთებულია.

ისმის ხმები:

„წყალი. წყალი მოიტათ“.

მეეზოვე მირბის წყლის მოსატანად, გზაზე ჩასაფუოთხებულ ყუთს წააწყდება და ხელს სტაცებს:

„სულ ერთია, ამაში მაინც არავინ აფურთხებს“.

რესტორანში ჩაირბენს და იმავე ყუთით მოაქვს ღვინო.

„აჰა, დალიე, კარგია გაჭყლეტის დროს“.

გასრესილმა ღვინო გასინჯა და გაჯავრებული წამოხტა ფეხზე:

„შეგარცხვინა ღმერთმა. ეს რა მყრალი ღვინოა“?

მეეზოვე ბოდიშის კილოთი:

„არ ვიცი, მიკიტანმა ჩამისხმა, ვგონებ ნემეცური უნდა იყოს“..

გასრესილი:

„მერე და როგორ გაბედე ნემეცური ღვინის მოტანა, კახური ვეღარ იშოვე შე“..

აღელვებულ გასრესილს ამშვიდებენ და სახლში მიჰყავთ.

### ნაწილი მეოთხე

გასრესილი სახლიდან გამოპარულა და მეეზოვეს დაეძებს.

ცალ ხელში ხანჯალი უჭირავს.

მეორეში დანას ატრიალებს.

წელზე ხმალი და „კაზიონი“ რევოლვერი კიდია

წარწერა:

„სისხლს ილებს“.

ქუჩაში გადასვლის დროს გასრესილს კვლავ დაეჯახება ეტლი და მესამეჯერ სრესს.

გასრესილი მოთმინებიდან გამოდის და, ჰკლავს:

ჯერ ერთ ცხენს.

მერე მეორეს.

მერე მეეტლეს.

მერე მგზავრებს.

„ასე ვიცის ჯავრმა“.

ამბობს გასრესილი და მირბის.

საერთო ჟრიამულია.

### ნაწილი მეხუთე

შოფერების, ვატმანების და მეეტლეების კრება.

თავმჯდომარე დგას.

მდივანი ზის.

საპატიო პრეზიდიუმი.

საქმიანი პრეზიდიუმი.

სამანდატო კომისია.

სარედაქციო კომისია.

რეზოლიუცია:

„არც ერთი გასრესილი ქალაქში“.

გასრესილი, რომელიც კრებაზე შემოპარულა:

„თქვენმა მზემ, მარტო თქვენ დაგიტოვებთ ამოდენა ქალაქს“?

### ნაწილი მეექვსე

კრებიდან დაბრუნებული გასრესილი გულდამშვიდებით მიდის სახლში.

„აწ კი უზრუნველყოფილი ვართ“.

ქუჩაზე გადასვლის დროს მას ერთი მხრიდან საბარგო ავტომობილი დაეჯახება, მეორედან — ტრამვაი.

გასრესილი აღარ სჩანს.

აუდიტორიას გული უწუხს. ზოგს ისტერიაც მოსდის.

ტრამვაი მიდის.

საბარგო ავტომობილი რჩება.

გასრესილი ძლივ-ძლივობით გამოდის ავტომობილიდან

„ამათ რომ უყურო, მართლა გამსრესენ“.

ამბობს და სახლში მირბის.

აუდიტორია (კინო - ტეატრის) კმაყოფილი რჩება და ბილეთების ფულს მოითხოვს უკან.

ალიარ-ბულარხან.

# მეგობარი

მე და ვასო ერთმანეთს ისე ვგავდით, რომ ძმებს გვეძახდენ.

ტრაბახობით არ ვიტყვი, და მე უფრო პატიოსანი და სერიოზული ვიყავი, ვიდრე ის. მას კაპიკში არავინ ენდობოდა. მე კი ყველგან კრედიტი მქონდა ჯამაგირის მიღებამდე.

—:—

ერთ დღეს ვასო მოვიდა ჩემთან და მთხოვა:—თუ ძმა ხარ ერთი თუმანი მასესხე, ხვალ კაცს მოველი, 500 მანეთი უნდა მომიტანოს და დაგიბრუნებ შენს ფულსა და კიდევ მეტს!

— გახვრეტილი კაპიკიც არა მაქვს, თორემ შენ როგორ გეტყვი უარს!

— აბა, პალტო და ქუდი მაინც მათხოვე. ხვალ დილით დაგიბრუნებ! — მითხრა და თვალები მიარჭო ჩამოკიდებულ პალტოსა და ქუდს.

გამოსავალი აღარ იყო. ვეღარ ვუთხარი უარი, და წაიღო.

მეორე დღე კვირა იყო. ვუცადე, მაგრამ არ შეგჭამოთ ჭირმა.

—:—

უპალტოოდ გავედი ბაზარში.

— მობზანდი დოსტი, მობზანდი! გასმინდა, დოსტი! — დანახვისთანავე მომაძახა ფეხსაცმელების მწმენდავმა, რომელთანაც კრედიტი მაქვს. (არ ვიცი საიდან არის მოსული ზესტაფონში ეს კაცი).

დაუდევი ფეხი გასაწმენდათ.

— რა კარგი ზმა გყოლია, დოსტი! დღეს მისი ფეხიც გასმინდა!

— რას ამბობ, კაცო" ძმა მე არა მყავს?! —გამიკვირდა მისი ლაპარაკი.

— როგორ არა გყავს, დოსტი! სულ ჩემთან ისმინდავს ფეხს თქვენს ხარჯზე. თქვენი პალტო ეზვა!... ოხ, დუუღუპუვარ კაზი. თავის ფეხის გასმენდით, ჩემი ჯიბეც უნდა რომ გასმინდოს?...

—:—

ბრაზი მომივიდა და მეპაპიროსესთან მივედი პაპიროზის საყიდლად.

ერთი კოლოფი პაპიროსი გამოვართვი და მან ალერსიანად ნახარჯი მომაწოდა.

— რას ამბობ, კაცო? ამდენი პაპიროსის მოწევა სამ კაცს არ შეუძლია და მე როგორ წავილებდი ამდენს?

— თქვენ ძმას მიჰქონდა... რამოდენიმეჯერ თქვენმა შვილმაც წაიღო, თქვენ შემოგეთვალათ! — თავისას იცავდა მეპაპიროსე.

— რას ამბობ, კაცო? ცოლი არა მყავს და შვილი საიდან მეყოლება?! არც ძმა მყავს მე!

— როგორ არა გყავთ! აი, დღეს თქვენი პალტო ეცვა; ამ წუთში წაიღო პაპიროსი.

რა მეთქმოდა? არაფერი.

საპარიკმახეროში შევედი.

— ეს თქვენი დანა ძალიან ბლაგვი უნდა იყოს, რომ ასე მტკენს პარსვა!—ვუსაყვედურე პარიკმახერს.

— არა მგონია! აი ამ წუთში თქვენმა ძმამ გაიპარსა და მას არაფერი უთქვამს.

— მე ძმა არა მყავს?

— როგორ არა გყავთ?! თქვენზე დამაწერინა ფული. თქვენი პალტოსა და ქუდში იყო! ხშირად დადის და ყოველთვის თქვენზე მაწერინებს... თქვენი ძმაა, თქვენი ასლია!

—:—

გაბრაზებული სახლში მივდიოდი, რომ სასადილოს ახლოს გავიარე. მაშინ მომაგონდა, რომ მშიოდა და შევედი სადილის საჭმელად.

— ოხ, რა მოქეიფე ძმა გყოლია?! — შესვლისთანავე მითხრა მიკიტანმა. — წუხელის მთელი ღამე გაათენა აქ ქეიფში... ძალიან პატიოსანი ბიჭია, თორემ თქვენ არ შევაწუხებდათ და თქვენზე არ დამაწერინებდა ნახარჯს!

ამ ამბავმა ისეთი თავზარი დამცა, რომ ჭამის მადა კი არა, გონებაც დამეკარგა და სახლში მოვკურცხლე ახალ შეშლილივით.

—:—

მეორე დღეს დილით ერთი აბაზი მეზობელს გამოვართვი პურის საყიდლად და ის იყო კარებში გასვლას ვაპირებდი, რომ კარებზე კაკუნი მომესმა.

— ალბად ვასოა. მადლობა ღმერთს პალტო მომიტანა... ერთს მაგრად გავცოცხავ! — გავიფიქრე და საჩქაროდ გავაღე კარები.

ფოსტალიონი იდგა ჩემს წინაშე.

— აბაზი, ამხანაგო! უმარკო წერილია თქვენს სახელზე!—მითხრა მან და წერილი მომაჩეჩა ხელში.

პურის საყიდლად ნასესხები აბაზი მივეცი ფოსტალიონს და წერილი გავხსენი.

გამარჯობა შენი! თუ ხათრი გაქვს არ გეწყინოს, მარა მე ტფილისში მივდივარ ამ მატარებლით და შენი პალტო თან გამყვა. გაზაფხულზე აუცილებლად გამოგიგზავნი. შემ ისედაც იოლად წახვალ.

**შენი ვასო.**

ტარტაროზო, ალბად მანდ არის ვასო, გახადე პალტო და გამომიგზავნე, თორემ ამ ზამთარს ვეღარ გადავიტან და სამუდამოდ გამოგაკლდები ერთი თანამშრომელი.

**ძგმუნტი.**

**ტარტაროზისგან.** თანახმად თქვენი თხოვნისა, ჩვენ გავგზავნეთ აგენტი, რომელმაც შეიპყრო ვასო, მაგრამ, სამწუხაროდ, მას უკვე გაუყიდნია თქვენი პალტო და როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, შეუჭამია. (პალტო კი არა, პალტოში აღებული ფული).

---

## „ტარტაროზი" № 189

**სპეციალური ნომერია**

## საბჭოთა არჩევნებზე

**თანამშრომლებს ვსთხოვთ ადრე გამოგვიგზავნოთ მასალები**

# „გამხნევება“

„სადგ. წნორის-წყალში ჩამოსული ექიმი უბინობის გამო სადგურში სინჯავს ავადმყოფებს“.

(ნავრო):




— ექიმო, მალე, თორემ ანთება ფილტვებშიაც გადავიდა.
— ნუ გეშინიათ გამკრავი ქარის,—აქ მხოლოდ ეოთმხრიდან უბერავს.

# საჭილაო

რა კარგია ქეიფი,
შავი ღვინო, მწვადები!
უდარდელად გაივლის:
თვე და წელიწადები.
ალმასკომი —- ნინუა
მიტომ აღარ ბერდება,
რომ გაძღება ღვინითა,
ალთა - ბალთას ედება.
ერთხელ ქვისლმა ბარათი
გაუგზავნა პარმენსა:
„საჭილაოს ამშვენებ
და მის არე - მარესა.
თავმჯდომარე კაცი ხარ,
კაცთა შორის ქებული!
მზე უშენოთ არ მზეობს
შენით გაშუქებული.
ქვისლო, თუ გწამს ქვისლობა,
ერთი მოგვინახულე !
უშენობით ჩემს ოჯახს,
აციებს და ახურებს.
ისეთ სუფრას გაგიშლი,
როგორც გეკადრებოდეს!
ისეთ ღვინოს მოგართმევ,
რომ არ ელოდებოდე“.
წაიკითხა უსტარი,
გაიღიმა ღიმილით
და გაუდგა ნაცნობ გზას,
სიმღერით და ღიღინით.
ჰიშკრის შიგნით ერთმანეთს
გადეხვიენ ქვისლები!—
მთვარემ პირი არიდა,
ღრუბლითა და ნისლებით...
და შეიქნა ქეიფი,
ნადიმის ხმა გაისმა!
სადღეგრძელო მიიღო:
ოქტომბერმა, მაისმა.
თავმჯდომარეს ჰიშკარი,
მაგრად გადაუხურეს! —
მორიდებით ბოლო დროს
მას მგზავრობა უსურვეს.
გზას დაადგა პარმენი
თავის ქნევით, ბარბაცით!
არ ყოფილა არასდროს,
ის ღამეში ფარმაცი.
თავის სამფლობელოში
მოდის, მოეჩქარება!
კაცსა მმართებს ხანდახან.
ხელის, კეტის ხმარებაც.
გაიარა სინათლე,
არავინ ხელს უქნევსა!
იწყინა და გაბრაზდა
დაერია დუქნებსა —
დაამსხვრია, დაგლიჯა,
ბოლოდან და თავიდან!
ქადილით და მუქარით,
შემდეგ სახლში წავიდა.

—:—

მეორე დღეს გლეხებმა,
ბევრი ცრემლი ღვარესა!
ლანძღავდენ და კიცხავდენ,
თემის თავმჯდომარესა...

ბაგნელი ბზიკი.




განიარაღებისა და მშვიდობიანობის შესახებ ამხ. ლიტვინოვის ნოტამ პოლონეთისა და ლიტვისადმი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უცხოეთის პრესაში.
გაზეთებიდან.

**მშვიდობიანად დაღამდა.**

პრემიერები კარგ გუნებაზე იყვენ.

— ჯერ კიდევ წინააღმდეგობას უწევენ აჯანყებულბი მთავრობის ჯარს, რომელიც წინ მოიწევს, მაგრამ საკსებით დამარცხებული ჯერ კიდევ არა ეართ! —ატყობინებდა ჩემბერლენს ლოურენსი (ინგლისელი პოლკოვნიკი, რომელიც ხელმძღვანელობს აჯანყებას ავღანისტანში).

შედარებულად დაწვა დასაძინებლად და გაზეთის კითხვა დაიწყო, რომ მალე ჩასძინებოდა (კითხვა თვალებს ჰლლის და მკითხველს აძინებს).

— ჩემო ოსტინ, ნუ კითხულობ ლოგინში მაგ გაზეთებს!—ეუბნებოდა ცოლი, რომელმაც იცოდა, რომ გაზეთებში ლიტვინოვის ნოტა იყო მოთავსებული; ეს კი ბატონ მინისტრს ცუდ გუნებაზე დააყენებდა და ძილს დაუფრთხობდა

— ნუ გეშინია, ჩემო კარგო; ვიცი რატომ მეუბნები. მაგრამ ლიტვინოვის ნოტა მე ძილს ვერ დამიფრთხობს!—დაამშვიდა ჩემბერლენმა ცოლი და მეორე გვერდზე გადაბრუნდა დასაძინებლად.

შუაღამეზე გადასული იყო.

ყველას ეძინა.

„მშვიდობიანობის ანგელოზი“ დაჰფრინავდა ევროპის თავზე და ძილის მფარველ ანგელოზებს აყენებდა პრემიერების სასთუმალთან გუშაგებად.

— ფხიზლად იყავით. ლიტვინოვის ნოტამ ძილი არ დაუფრთხოს ბატონ პრემიერებსა და მინისტრებს! —არიგებდა ძილის მფარველ ანგელოზებს „მშვიდობიანობის ანგელოზი“.

გათენებამდე ორი-სამი საათი-ღა დარჩენილიყო. ძილის მფარველ გუშაგ ანგელოზებს ჩამოსძინებოდათ.

პრემიერებმა და მინისტრებმა ძილში წუხილი დაიწყეს

ცოლმა დააპირა ჩემბერლენის გაღვიძება, მაგრამ ძილი ისე მორეოდა, რომ თავი ბალიშიდან ვერ აიღო.

საშინელი სიზმარი, კოშმარი ეჩვენებოდა ჩემბერლენს ძილში:

ერთა ლიგასა და „მშვიდობიანობის“ კონფერენციებს მართლაც დაემყარებინათ მშვიდობიანობა და მომხდარიყო სახელმწიფოების სრული განიარაღება.

— ეს რა გიქნიათ!? ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ?! —ეკითხებოდა ძილში გაფთრებული ჩემბერლენი ერთა ლიგას.

— აკი თქვენ ყველანი განიარაღების მომხრე ხართ?! ყოველთვის ამაზე გაიძახით, და ჩვენც გავატარეთ ცხოვრებაში თქვენი სიტყვები!—თავს იმართლებდა ერთა ლიგა.

— ვაი თქვენს პატრონსა და მომგონს! მართალს ამბობენ თქვენზე, რომ „ერთა ლიგა ნაცარქექია და უტვინო არისო“. ჩვენ რასაც ვამბობთ, ის რომ ცხოვრებაში გავატაროთ, ჩვენი ბურდღა ერთ კვირაში აღარ იქნება. შე მართლა უტვინო, განიარაღებას რომ ვაპირებდეთ, რატომ დავიწყებდით ასე გამალებით თავიდან ფეხებამდე შეიარაღებას?!—ეკამათებოდა ძილში ჩემბერლენი ერთა ლიგას და მას ეჩვენებოდა:

ყველა სახელმწიფოები განიარაღებულიყვენ: ინდოეთსა და სხვა ახალშენები დამოუკიდებლოთა გამოეცხადებინათ. გამორბოდენ კუდამოძუებული. ინგლისელები თავიანთი ბარგი-ბარხანით. ინგლისის ლომი ბებერ კატას დამსგავსებოდა და სასიკვდილოდ ჰყაოდა... მუშებს ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ და ქარხნებს დაპატრონებოდენ, რადგან განიარაღებულ მთავრობას აღარ შეეძლო მათ წინააღმდეგ ბრძოლა. ლიტვინოვს მიწის ბირთვი ხელში დაეჭირა და ვაშლივით ათამაშებდა.

— შესჭამს, შესჭამს, ვაშლივით შესჭამსო!— დაიყვირა ძილში ჩემბერლენმა და ისე შეკრთა, რომ ლოგინიდან ბრაგვანი მოადინა იატაკზე და გამოეღვიძა.

თავზარდაცემული ცოლი ზეზე წამოვარდა. ხმაურობაზე ძილის მფარველი ანგელოზიც გამოფხიზლდა და წამოხტა.



— რა იყო? რა მოგივიდა?—ეკითხებოდა კოლეგა ჩემბერლენს.

— საშინელი სიზმარი ვნახე... ლიტვინოვი მესიზმრა... თითქოს განიარაღება მომხდარიყო და ქვეყნად მშვიდობიანობა სუფევდა... ო, რა საშინელი სანახაობა იყო!

— ფუი ეშმაკს... პირჯვარი დაიწერე!

— ეხლავე უნდა გამოვიძახო ჩემი კოლეგები! —და ბარბაცით ტელეფონთან მივიდა....

— ვარშავა. პილსუდსკი.

— ააა! შენა ხარ პან?.. საშინელი სიზმარი ვნახე პან!

— ლიტვინოვი ხომ არა?

— ჰო, ლიტვინოვი.

— შენ ჩემი იკითხე... კინაღამ გავგიჟდი კაცი. დამესიზმრა, თითქოს ჩემმა მთავრობამ მიიღო მისი წინადადება და განვიარაღდით!

— სსს... არ სთქვა ეს საშიშარი სიტყვა. მაგ სიტყვის მეშინია: ეგ სიტყვა და „მშვიდობიანობა“ შიშის ჟრუანტელს მივლის ტანში. ხომ არ ღებულობთ მის წინადადებას?

— გიჟი ვართ! მართალია: მას უნდა გაგვაგიჟოს ასეთი ნოტებით და გიჟები დაგვითანხმოს მის წადილზე, მაგრამ არც ისეთი სულელები ვართ, რომ ვიცოდეთ: „განიარაღებას შეიარაღება სჯობია“.

— ყოჩაღ. მაგრე უნდა... ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა ძვირფასო კოლეგა.

აი, ასეთ შემთხვევაში კი ვარ მშვიდობიანობის მომხრე.

—მართალს ამბობ: მშვიდობიანობა ძილშია კარგი, მაგრამ მოსკოვი რომ მშვიდობიან ძილს გვიფრთხობს!... ამის შემდეგ კიდევ იტყვიან ისინი, რომ მშვიდობიანობის მომხრე კართო!?

როგორც კი ჩემბერლენი პილსუდსკისთან ლაპარაკს მორჩა, ისევ გაისმა ტელეფონის წკრიალი.

— გისმენთ ჩემბერლენ ოსტინ!... ვინა? პუანკარე?! ჰაა, შენა ხარ რაიმონდ?.... როგორა ხარ? რამ შეგაწუხა ამ შუაღამეზე რომ რეკავ?... საშინელი სიზმარი ნახე?... ლიტვინოვი? ბევრმა მინისტრებმა დამირეკეს და მათაც დასიზმრებიათ ეს კოშმარი?... მე მაგ სიზმარზე უარესი ვნახე... გული კინაღამ გამისკდა მართალს ამბობს, მართალს: „თვით სიტყვები: „განიარაღება“ და „მშვიდობიანობა“ შიშის ზარს მცემს და ისინი რომ ცხოვრებაში გატარდეს, მაშინ ხომ მთლად დავიღუპე... მე ყოველთვის ვამბობდი, რომ საბჭოთა კავშირი არღვევს მშვიდობიანობას - მეთქი. აბა რა დროს იყო ეს ნოტა, როცა ტანკებისა და კრეისერების კეთებაში ვართ გართული? წელიწადში სამ-ოთხჯერ ასეთ ნოტებს გვესვრის მშვიდობიანობისა და განიარაღების შესახებ. რომ ყუმბარასავით უფრო ფეთქდება და აურ-ზაურს იწვევს მთელ მსოფლიოში... რაო? არა, ერთა ლიგაში არ დამირეკია.... კი, მართალია, იქ მართლაც ბევრი უტვინო ხალხი ზის და ეგებ მართლაც აპირებენ რაიმეს მსგავს.. მშვიდობით...., კი დავრეკავ ერთა ლიგაში! მშვიდობით!—და ჩემბერლენმა სწრაფ ჩამოჰკიდა მილი და ერთა ლიგა გამოიძახა...



— ერთა ლიგა!—გაისმა ტელეფონში.

— ხომ არაფერი სიზმარი გინახავთ? წუხელის როგორ გეძინათ?— შეეკითხა ჩემბერლენი.

— რა დროს სიზმარია! სიზმრისათვის ვის სცალია?! სიზმარს ძილი არ სჯობია!? სიზმარი ნერვიულ ავადმყოფების სტუმარია... ჩვენ არაფერი გვაქვს სანერვიულო.

— ლიტვინოვის ნოტას ხომ არ ემხრობით?

— ბატონო მინისტრო, როგორ გეკადრებათ ჩვენი ასეთი შეურაცყოფა? როდის იყო, რომ ჩვენ მშვიდობიანობისა და განიარაღების გამტარებლად და მესვეურებად გამოვდიოდით? როდის იყო, რომ თქვენს გადაუვალს რაიმეს ვაკეთებდით? შეგიძლიათ დამშვიდებით მოისვენოთ და დაიძინოთ.

— ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა!

---

— ლონდონი... ჩემბერლენ... ბოლდუინ;;;

— პარიზი;;; პუანკარე. ბრიან...

— ვარშავა..; პილსუდსკი.—პილსუდსკი..;

— რომი;;; მუსოლინი, მუსოლინი, მუსოლინი.

— მადრიდი... ბელგრადი... ვენა;;; ბუქარესტი;;; ჩემბერ;;; პუანკ... პუანკ... პილ;;; მუს,,, ჩჩჩჩ...:

ერთმანეთში აირია ტელეფონების ხაზები და თავზარდაცემულ პრემიერებს აღარ შეეძლოთ ერთმანეთის გამოძახება.

ისელი.



# მე-17-ე სტრიქონი ზევიდან

ანდრო ფსიტაძე ყველაზე მომზადებულ და გონიერ მუშაკად ითვლებოდა მთელ მაზრაში. ზოგიერთი პასუხისაგები ამხანაგებიც კი ნატრობდენ: „ანდროსთანა რამდენიმე ამხანაგი რომ მოგვცა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ძალიან ჭკვიანია, ცერიელი გოგრაა ეგ დალოცვილი“-ო.

და მართლაც, ძნელი იყო მასთან დავა, ყველაფერზე მოკლეთ მოგიჭრიდათ და გეტყოდათ:

— თქვენ ალბად გავიწყდებათ, რა სთქვა ამის შესახებ ლენინმა. აიღეთ ლენინის მე-15 ტომი, გადაშალეთ მეშვიდე თავი, იპოვეთ მე-17-ე სტრიქონი ზევიდან, სადაც ნათქვამია...!

ველარაფერს უპასუხებთ... გასჩუმდებით და ეძებთ გამოსავალს ამ უხერხულ მდგომარეობიდან.

მახსოვს, ერთხელ აბანოში ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზე, თუ კომუნისტებს და პროფკავშირის წევრებს უფლება აქვთ, თუ არა ტანი მექისეს დააბანინონ. ლაპარაკს დავა მოჰყვა, დავას, ალბად, მუშტი-კრივიც მოჰყვებოდა, რომ ანდრო არ ჩარეულიყო ამ საქმეში და არ დაემშვიდებინა. მან აუხსნა:

— მარქსს „კაპიტალის“ მესამე ტომში, მე-12 სტრიქონი ქვევიდან, გვერდი 435, ნათქვამი აქვს: პარტიის და პროფკავშირის წევრებს მექისით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ „ნეპის“ ხანაში.

**ცათრახი.**

# დ უე ტ ი

### ვატმანი

ერთ ბედს ქვეშა ვართ მე და შენ,
შოფერო, ძმაო, კოლია;
ყოველი დილით, როს ვდგებით,
დარდი გულს შემოგვწოლია.
ხალხი ბუზივით ირევა,
ო, რამდენს უნდა ერიდო,
ზოგი მთვრალია, ზოგი ბრმა,
მიდის ბარბაცით, მღერითო.

### შოფერი

ამდენი ჭკუა ვინ მისცა,
ჩემს გადარეულ „მაშინა“-ს,
რომლესაც ვიხმევ გავიტან
რაღა ვუშველო მაშინა.
რა ვქნა, ხანდიხან მიხდება
გადაკვრა არაყ-ღვინისა;
შოფერს, უმიათოდ ხალისი,
მიიტ არი, აბა, ვინ მისცა?

### ვატმანი

მართალი არის ძმობილო,
მეცა მკლავს მაგი სენია;
ვაგონზე მეტი ჯდომისგან
მაზოლი გამომჩენია.
ხან ძილი მომეკიდება,
თავს ვაქნევ აკილივთა;
ო, რას მივხვდები, ტრამვაი
თუ კაცზე რისხვით მივიდა...

### შოფერი

მომაგონდება ხანდახან,
„თეთრი დუქანი“, კოჯორი;
სიამით გული მიცეკვავს
და შიშით თავზე ქოჩორი.
გამგე თავისი დოსტებით,
ახლდათ კატია, ტანია;
გზაზე გლეხების ურმები
რამდენჯერ გამიტანია.

### ვატმანი

ხანდახან ხოში მომივლის,
არა მსურს ნელი „ხოდია“,
შორს ხალხი მომეჩვენება,
თურმე სულ ახლოს მოდიან.
დასწყევლოს ჩემი „ტორმუზი“,
იმ დროს არ მყვება ნებასა;
ვერაფრით ველარ ვახერხებ,
მე იმის შეყენებასა.

### შოფერი

ეჰ, ჩემო ძმაო, ყოველთვის,
განა, ჩვენზეა ბრალდება?
ყრუ, ბრუციანი და მთვრალი,
ალბად, თანდათან მრავლდება.
სირინის ზარიც რომ რეკო,
ზოგთან ვერაფერს გახდები;
ზოგიც ისე, ვით ჯამბაზი
ზედ მანქანაზე ახტება.

### ვატმანი

ყველა ჩვენ გადაგვეკიდა,
პროკურორ- გამსახლ- სუდია,
კუსავით უნდა ვიაროთ,
თორემ დღე გველის ცუდია.
ან ხალხი უნდა გავდევხოთ,
შემოუქნიოთ კუდია,
ან სწორი ხაზით გავმართოთ
ყველა ქუჩები მრუდეა.

### შოფერი

ავტომობილის მომგონო,
მოგცეს ჭირი და ვარამი,
რაც დავდე გამგეს ამაგი
იმაზეც იყო არამი,
როს კატასტროფა მოხდება,
არ მესარჩლება არავინ.

### ერთად

ვინ იცის, რა გველის
ან დღეს ან ხვალე?
რამდენი გაგვიტანია,
მიდექ და თვალე.
ვაი,ვაი, ტრამ-ვაი,
ვაი, ვაი, ფორდ;
ვინა სტყუის, (ჩვენ თუ ხალხი?)
ადინ ზნაეტ ჩორტ!

**ზორბა.**

# იოლად გაუვიდა

„ჟუჟლევის მუშათა კლუბის იატაკი ისეა დაზიანებული, რომ ზედ გავლა სახიფათოა“.

ხოჭრბუზა.



— ვაცო, რა დაგმართია მაგ ფეხზე?
— არაფერი... აგერ იატაკში ცალი ფეხი ჩამივარდა და შიგვე ჩამრჩა!

# ველისციხე

## (მოზაიკური სურათი)

კახური მარანი: არაყი და ღვინო.
მთვრალი სახეები. უშვერი სიტყვები,
კლუბი და თეატრი. ძველი პიანინო.
ეზო. ხრიზანტემა, აუზი და ქვები.
უკულმა სურათის კინოში ჩვენება;
ბნელი ასოები და აურზაური.
დაწყების ლოდინში ხშირად გათენება.
ტრაღიკულ მომენტში: სიცილი, ხმაური.
სკამისთვის სირბილი და ორომ-ტრიალი.
კინო-მოყვარული აქ ეხლა ბევრია.
დამუნჯდა ახალი კლუბის როიალი.
ხურათებს უშვებენ მხოლოდ ერთ სერიათ.
ტკბილი ჩურჩხელები და ლელვის ჩირები.
ფარჩისთვის რიგები სინდიკატს მაგონებს
შეშა აკიდული დიდყურა ვირები.
ო. ეს უფულობა მაფიქრებს, მალონებს.
გოგრა და ლობიო. მურაბა და ფლავი.
ორლობის გადაღმა ქალ-ვაჟის ჩურჩული.
ყოველთვის ელსადგურს სტკივდება თავი.
როდესაც პროკოფის სჭირდება ფული.
ქორები. ქორები. ლანძღვა და გინება.
ყოველ დღე ჩხუბობენ ვარსენიკ და პელო,
სიმართლის აღნიშვნა ნურვის გეწყინებათ.
**პირიქით: კახურით უნდა მადლეგრძელოთ.**

**ლანდილი.**

# წერილი ფოთიდან;

როდესაც გემით მოველი იქა,
მაგრამ რას ვხედავ? სადგურის შიგა
შემბულა ორი გლადიატორი.
ორს სხვებიც აჰყვა, ატყდა ხმაური;
შიშმა დაიპყრო მთელი დარბაზი
და ზორბა ტანის სხვა მეზღვაურმა
ჩვენს ალეს სილა წაუთავაზა
ალემც სანაცვლოდ გაიძრო დანა
და გაექანა ის შურკას მხარეს;
თითქოს შეინძრა მთელი ქვეყანა —
დამფრთხალი ხალხი მიაწყდა კარებს.
აქ ვიღაც, შიშით ბარგებს ედება.
იქ ვიღაც, კისრით გადატრიალდა.
ო, ის რაინდიც „სტოლ“-ს ქვეშ მიძვრება,
რომ იხრუკოდა იქ რუსის ქალთან.
დამთავრდებოდა არ ვიცი რითი,
რომ არ მოესწროთ წესრიგის დამცველთ.
მე მაინც უცებ ვილრძენი თითი,
როცა ბავშს ხელი საშველად ვსტაცე:
ბუფეტში ისევ სთქვეს სადღეგრძელო...
და ჯიბრით სცლიან პირთავა თასებს.
მე ძლიერ მიკვირს, ძმაო ლანდელო,
მალე ნავთსადგურში რაც ხდება ისევ

**ჭახუნდარიძე.**

# საჯევახო-გამოჩინებულის თემი

**იყო** მელქისე დოლიძე დარბაისელი, სვიანი,
ჟით თავმჯდომარე თემკომის ის იყო კაცი „ჭკვიანი“
წითელმა ღვინომ მელქისეს დაუკრა თავში ტაშია
(ტვინი ადუღდა, რა ტვინი—ჟით რძის და ბრინჯის ქაშია).
გლეხებს რომ სცემდა მათრახსა—დაუჯდა ერთობ ძვირია:
ეხლა გამსახლში, ისვენებს ჩამოუშვა ცხვირია.
**ბებიძემ** მოგკვლა, მოგვხარშა, არ მოგვცა წყლულის წამალი.
ხელცარიელი ვბრუნდებით, (რა არის აქ დასამალი?!).
**ეს** ჩვენი კოოპერატივი ვერ არის თავის დონეზე;
საქონელს მაშინ მიიღებთ თუ რომ ხართ მაგრად ლონეზე;
**მასწავლებელმა** თევზაძემ შეუდგა საქმეს ზაფხულში.
აგარაკს აწყობს „ზანდოზე“ თავის საკუთარ მამულში.
ამბობს ერემი: „მოვაწყვეთ, ძმობილო, აგარაკია“,—
მაგრამ მის საქმეს ეყობა—ზედმეტი ლაპარაკია.
**სკოლის** აგების საკითხი ირჩევა ჯოხი-კეტითა;
არა იქ, არა აქაო არჩევენ ადგილს რეტითა....

იური ადგილობრივი.

# ზღაპარი ქრისტეზე

ნაზარეთში იყო ერთი
ხანსშესული ვინმე ხურო.
კინჩხი ჰქონდა კუნთოვანი,
როგორც ალბულახის კურო.

„სპეც იოსებს“ ეძახოდენ,
აკეთებდა შკაფებს, სკამსა
და ილვწოდა სანამდისინ
არ გაეცნო მარიამსა.

მარიამი ასულია
ნაზარეთელ თავადისა.

ფუფუნებით იზრდებოდა,
სილამაზით მჯობნი მზისა,

საიდუმლოთ ინახავდნენ,
მას ვერ სჭვრეტდა თვალი
სხვისა,

რა გაიცნო იოსები,
შეიტკბო და შეითვისა..

სწორედ ამ დროს შეუსრულდა
წელიწადი მას თექვსმეტი.
თავის დღეში არ ენახა,
კაცი იოსების მეტი...

ქალს მძინარეს ხეივანში
მიეპარა იოსები,

ტუჩი-ტუჩსა გადააჭდო,
შეუერთა მხრებსა-მხრები...

და მას შემდეგ როს გავიდა
სათვალავით თვეი მეცხრე, —

ახალ ამბავს ხალხს აცნობდა
ერთი ახალგაზრდა მეხრე:

თურმე „ქალწულს“, „ჩვენსა
მარიას“

მოეძებნა ტყეში ბინა,
სადაც ღამის სამ საათზე
ვაჟი შვილი შეეძინა....

რომ გაიგო მამა მისმა
ეს ამბავი სამარცხვინო,
აღრიალდა: „კახპა - მრუში,
აქ მოიჩგვარეთ თვალის წინო,

უნდა მოვკლა ჩემის ხელით,
გავუთხარო მას საფლავი;
ის ოჯახის დამქცევი და
მთელი გვარის მომჯაყავი“.

მოიწვია სათათბიროთ
თავადნი და აზნაურნი;
სამსჯავროზე გაიტანა
შვილის საქმე ნაკახპური.

„ქალს რომ კაცი შეხებოდეს,
ეს არ არის დასაჯერი“.
(წმინდა კრებულს მოახსენებს
გაიძვერა სიმონ ბერი).—
წმინდანია ეს ასული,
უმანკოა მარიამი,
და მისი ძეც ღვთის შვილია,
დაამტკიცებს დრო და ჟამი..

სული წმინდა მას შეუძვრა,
ცხრა თვეს მუცლათ გაიზარდა,
წმინდა ქალის საშოიდან,
წმინდა სული დაიბადა“.

იმსჯელეს და იკამათეს,
მიიღეს და გადაწყვიტეს,
ბავში ღმერთად აღიარეს
და მონათლეს იქვე კიდეც..

გაუხარდათ: მღვდლებს, თავა-
დებს...

არ იცავდა იმათ თუ რა?
გლეხკაცების დასამონათ
ქირის ოფლში გაიწურა.

ეკლესია, მონასტრები
გაამრავლა, გააშენა.
ხალხის მოსატყუილებლათ
გალესილი ჰქონდა ენა...

იჯამბაზა თვალთმოქცობით
განიდიდა მან სახელი,
დაატყუა: ქალი, კაცი,
გამვლელი თუ გამომვლელი.

ქადაგები დააგზავნა
მთელი ქვეყნის ყველა მხარეს,
(იყო გაპნოტიზიორი)
და ძე-ღმერთად აღიარეს,

„უკვდავია“ გაიძახდენ, —
ის სასწაულთ მომქმედია,
აქლემათ გადააქცია
მწვანე ბალის კომში ბია.

ცხენი ღორათ აქცია და
ძაღლს მოაბა ირმის რქაი..
გააბიჯა ერთი კოცნით
ორი გოგო, ორი დაი“.

შეიფერა უკვდავება
და მოჰქონდა ღმერთად თავი,
გულუბრყვილო ვინც კი შეხვდა,
ააცალა ზურგზე ტყავი.
ოქტომბერი რომ მოვიდა,
დაამსხვრია ცრუ კერპები,
მღვდლებმა თმები დაიხუჭეს,
ყველგან ჩაჰქრა კელაპტრები,
ეკლესია არავის სწამს,
მონასტრიდან გარბის ბერი,
ტერტერებიც გავაშკაცდენ:
დაიპარსეს ულვაშ - წვერი,
მხოლოდ თუ კვლავ დარჩენილა
და სადმეა მღვდელ-ტერტერა,—
ყურადღებას არავინ აქცევს,
მათის ძალის არვის სჯერა.

კოკი.

# ანდაზები

პორთფელის სიყვარულით,
ტყაეტრესტში ტყავებს ჰკოცნიდე-
ნო

ავტო რომ გადაბრუნდება,
შოფერი მერე გამოფხიზლდებაო...

---

ტრაქტორის ძალა
ალმართს ჰხნავს,
ზავხოზმა თხარა, თხარაო,
რევიზია გამოთხარაო
ურემი რომ გადაბრუნდება,
პატრონი გადმოაბრუნებს.

ვისაც უნდა მოყვარე მტრად გაიხადოს, ადგეს და სისწორე და სიმართლე პირში უთხრას.

იურისტი დამცველთა კოლეგიის წევრი, მაშინ უნდა გახდეს, როდესაც თავისი თავის დაცვაც შეეძლება.

**ვისაც უნდა გამგეს თავი შეაყვაროს**, მან თავისი ნათესავი ქალის „შეყვარების“ უფლებაც უნდა მიანიჭოს უკანასკნელს.

**ზოგჯერ ცოტა და პატარა გერჩიოთ**, ბევრს და დიდსა. (მაგალითად: მე ერთ ოზმა „ბუმტრესტის“ ქალალდს ერთი „პატარა“ 25 ჩერვონეციანი მირჩეენია).

თავის დახრჩობა ვისაც გინდათ, ფალონისათვის მტკვარში რომ გადავარდეთ, აუცილებლად ცურვა უნდა იცოდეთ, თორემ „სპასატელნი ბრიგადის“ მოშველებამდე ბარე ორი ტურა იკივლებს.

დონ-კიხოტი.

# ფრთხილად!

ქალ. ალმასკომის ბუჰალტერიის ნაწილი მოთავსებულია დერეფანში, სადაც იატაკი დამპალია".

(დონი)



— მიშველეთ! მიშველეეეეეთ!

— რაი გიშველო, ძმაო? ერთი რომ ილუპება ისიც კმარა.

## სურამი

გუშინ ვიყიდე ქამანჩა
და მასთან კიდევ სტვირია.
(ჩვენში ორივეს შეძენა
არც ეგზომ არის ძვირია).
უამისობაც არვარგა,
სურამელებს მეტად გეჭირია.
ზოგიერთების წყალობით
ბოლმით გაგვიჩნდა ჭირია.
ეხლა დავიწყოთ თავიდან
ავალილინოთ სტვირია;
გაიგოს ყველა კეთილმა
რას მოვსთქვამ და რას ვსტირია.

—:—

სიმონ ლომიძე სურამში
ცნობილი ხულიგანია.
(რაც ეს „ხელობა" დაიწყო,
მას შემდეგ დიდი ხანია).
ყოველ-დღე დილა-საღამოს
გალეშილი და მთვრალია.
ქუჩაში გაულანძღავი
მას ვერ გაუვლის ქალია.
ჩხუბი, დარტყმა და გინება
მისთვის „სული და გულია".
რომ უგამსახლოდ გასწორდეს,
ამაზე ფიქრი ტყულია!

ეს გოგოშიძე გიგუცა
სიმონის მეგობარია.
ივანეს დაჰკრეს კისერში,
ადინეს ცხვირში ძმარია.
სურამის მოქალაქენი
გიგუცამ ბევრჯერ არია.
გვიშველე, დიდო ტარტაროზ,
მიიღე საჩივარია.
რაცა ვსთქვით, ჯერ ეს ვიკმაროთ,
და შევაჩეროთ სტვირია.
თუ რა ეკუთვნის ამ ლოთებს,
მაზე თქმა თქვენ არ გჭირია.

**ჩახრუხაძე.**

## რადიო სვირიდან

— ალლო, ალლო, ალლო... ლაპარაკობს: „ტარტაროზის" სახელობის, თენებოურის რადიო სადგური.

— რაადიო ექსპედიცია, რომელიც გაემგზავრა მყინვარზე წასულ თვეში, შეჩერდა თენებოურის წვერზე, რადგანაც მყინვარზე გაცილებით დაბალია. ამინდი ეხლა საუცხოვოა როთველის დროს რომ არ ვარგოდა. ახლო მომავალში ჩვეულებისამებრ მოველით ზამთარს. დღეიდან მიზნის მიღწევამდის, ე. ი. მყინვარზე „ასვლამდი", ჩვენი რადიო მიაწვდის „ტარტაროზის" საშუალებით ფართო საზოგადოებას აქაურ ამბებს.

## „ახალი ამბები" თენებოურიდან

სად. სვირში დაარსდა „ვის ღვინო არ ყვარებია"-სთან მებრძოლი საზოგადოება, რომლის აქტიურ და სულის ჩამდგმელ წევრებათ ითვლებიან: იაშა, მიშა, გოგია, კაკუნია, გიორგი, და მრავალი სხვები. მათი დევიზი არის ცნობილი სიმღერა: „რა უყოთ ისეთ სვირელსა, ვის ღვინო არ ყვარებია" და სხვ.

სხდომები იმართება ყოველ სამშაბათს, ვარლამას სამიკიტნოში.

## იუბილე

განზრახულია იუბილეს გადახდა კოლექტივ „გაჩითე"-სთვის მისი რამდენიმე წლის „მოღვაწეობის" აღსანიშნავად. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გრიგოლ აბულაძე.

## სიზმარი

სვირის მესვეურებს დაესიზმრათ: ვითომ სახალხო სახლს რადიო ანძა და კინოს ეკრანი ამშვენებდა. ისიდორე და ამბერკი ფიქრობენ: სიზმარი მალე ახდებაო.

**[illegible] ქაჯა.**

# ჯოჯოხეთის კუთხე

## „აშელის პირობაში“ „ბაშელი მოთხარესო“

ჩვენ პატივცემულ კორესპონდენტებს (ზოგს, რაღა თქმა უნდა), ასე ჰგონიათ, რომ ვითომ რაც ტარტაროზში არ დაიბეჭდება სრულიად ან უახლოეს ნომერში, თანახმად ავტორთა კეთილ-სურვილებისა, ყოველივე, ეს ონისიმეს ბრალი იყვეს. და აი. მოდის და მოდის ონისიმეზე საყვედურებით აღსავსე წერილები.

თქვენ კაი ხალხო და მე კიდევ თქვენზე უკეთესო, ონისიმე რედაქციის ერ-ერთი თანამშრომელია. არც მეტი, არც ნაკლები. გამომცემლობას კოლექტივი განაგებს დღეს თითქმის ყველგან ჩვენში და არა პიროვნება. აქაც „ტარტაროზშიც“.

მაშ, რა შუაშია აქ ონისიმე?

პატივცემული ჩვენი კორესპონდენტი შაკო იწერება:

### ძია ონისიმეს

**შენსკენ მოვქროდი მუდამ,**
**როგორც მფრინავი რაში,**
**გთხოვ: არ გამჭიმო ეხლა,**
**„ცნობათა მიღებაში“!**
**გადმოგიგზავნე ხუთი**
**ნობათი აქედანა,**
**მაგრამ ჩემს უსტარს „ეხლა“**
**დაბეჭდავ მანდ შენ, განა?!**
**მიკვირს, ჰო, ძალზედ მიკვირს....**
**შენ კი არ გიდევს ბრალი.**

აი, ამის შემდეგ ონისიმე ამ ბარათზე ასე უპასუხებს:

ჰო და შე კაი კაცო,
კორესპონდენტო შაკო,
თუ ბრალი ჩვენ არ გვიდევს,
რაოაზედ ლაპარაკობ?!

ონისიმეს ასეთი შენიშვნა სავსებით სამართლიანია. თუ ბრალი მას არ უდევს, საყვედურიც მას არ ეკუთვნის.

ეძიეთ ის „აშელი“. რომლის პირობაშიც“ თქვენ „ბაშელის“ მოთხრა განგიზრახავთ.

**ბიუჯეტი თუმცა ხმელია, სუყველას გამკაწვრელია, ანუ „თავად არ იყო ძმარიო, შიგ ჩაურიეს წყალიო“** ჩვენ გვყავს სხვებზე არა ნაკლებათ პატივცემული კორესპონდენტი „ბუჯგუტი“. ძველი მწერალი, გამოცდილი და გამობრძმედილი. ბათომის პოეტ-მწერლებს ჩვენ საკმაოდ ვიცნობთ, მაგრამ უნაყოფო და ფუჭ შრომად მივაჩნია მათი „ჭკუის სწავლება“. საზოგადოთ ორი რამ არის ამ ქვეყნად ძნელი: ბათომის პოეტ-მწერლებისათვის რაიმე დარიგების მიცემა და კედელზე ცერცვის შეყრა, თუნდაც ერთი მარცვლის იქ შერჩენის მიზნით. გარნა, ერთი მარცვალი ცერცვის კედელზე შერჩენა შემთხვევით შესაძლებელი მაინც არის, ხოლო ბათომელი პოეტის „მოჯულება“ კი ყოვლად შეუძლებელია.

და აი, გამომდგარა პატივცემული „ბუჯგუტი“ და გვწერს „მესტვირულს ბათომისათვის“, ასეთს:

**„აჰა, ელია, მელია,**
**სტვირსა მოვკიდე ხელია,**
**ბათომში უნდა ჩავიდე,**
**მასალა შემომელია.**

—:—

**ხაქმეხა უნდა მიდგომა,**
**ამბვის დაწერა ძნელია;**
**მინდა აქაურ მწერლებსა.**
**ლექსი მიუძღვნა მწველია.**

—:—

**მწერლის სახელის მოხვეჭა,**
**ვიცოდეთ მეტად ძნელია:—**
**ჩავხედოთ რახ გვეუბნება**
**ჩვენი-ჩვენ რუსთველია:**
**„მაგრად ურტყამდე, ჩოგანსა,**
**იყო სიტყვისა მჭრელია“-ო და სხვა.**

ჰო, და მიბრძანდით ახლა თქვენ და ბათომელ პოეტებს, რომელთა მეტი წილიც თითქმის გურული ან მეგრული ლომით არის გაზრდილი და, მაშასადამე, მშვენივრად იცნობს გურულ „ჩოგანს“. დაუწყეთ „ჭკუის სწავლება“ ლექსის უკეთესად წერის შესახებ „ჩოგნის რტყმის“ საშუალებით. რას ემსგავსება ეს ამბავი. ჯერ ჰაეროვანი „სიტყვებით რტყმასაც“ კი ვერ გავუძელით მათგან და ახლა. თუ კიდევ „ჩოგანიც“ დაგვირთეს თავში, შენი მტერია, ჩვენ სამსახურს გაგვიწევს „ბუჯგუტის“ მეთოდი. ამაზედ იტყვიან სწორედ: „თავად არ იყო ძმარიო, შიგ ჩაურიეს წყალიო“.

## ჯანჯალია კაი კაცია,

### ანუ შებრუნებული „ნათესავიზაცია“.

აი, რას გვწერს კორესპონდენტი „ფხა“ „ნათესავიზაციის“ ერთი უჩვეულო ფაქტის შესახებ:

**„შეიძლება ბევრი ვერ იცნობდეს ჯანჯალიას. ის გახლდათ წინეთ რკინის გზის პროფკავშირის და დამზღვევ კასის გამგეთ. ეხლა კი კონდუქტორების ბრიგადების უფროსია.**

**მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს თუ რა შუაშია აქ გარსევანის ცოლშვილიო, მაგრამ სწორეთ მის ქალიშვილებს გამოუჩნდათ საქმროები, რომლებსაც გარსევანი დიდხანს ვერაფრით ვერ ურიგდებოდა, ბოლოს კი მოსისხლე სასიძოები და სასიმამრო შერიგდნენ. აბა, როგორ ეკადრება გარსევანი ყოლოდა სიძე და ისიც შავი მუშა საჰილაოს სახერხი ქარხნისა. ჩავარდა გარსევანი საფიქრებელში თუ როგორ (წამოიწიოს) დააწინაუროს სიძეები. იფიქრა და გადაწყდა. საჰილაოს ქარხნიდან გადმოყვანილი იქნა მეორე კვირაში და ვხედავთ სიძეს კონდუქტორის ფორმაში, სიმამრთან ერთად მოსამსახურეს. ეხლა მეორე სიძეც დააწინაურა: კონდუქტორის თანამდებობიდან გადაიყვანა და ბილეთების გამყიდველის თანამდებობა უბოძა“.**

თუ ყველაფერი, რასაც „ფხა“ ჯანჯალიას შესახებ სწერს. მართალია, ცხადია. ვერ არის მაინცა და მაინც სასიამოვნო მოვლენა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ავიღოთ და კაცს ვუკიჟინოთ ის, რაშიაც ის ყვავივით თეთრი და სპეტაკი არის. „ნათესავიზაციაში“ ბრალის დადება შეიძლება მხოლოთ მაშინ, როცა კაცი თავის „მკვიდრ“ ნათესავს უწევს დახმარებას სამსახურში მიღებისა. დაწინაურებისა თუ სხვა მიმართულებით. აქ კი ჯანჯალია ასეთ „დახმარებას“ თუ უწევს, თავის სასიძოებს უწევს, რაც აღნიშნულ კატეგორიას სულაც არ უდგება.

ერთი. რომ სასიძოებს ჯანჯალია ვერას მიქნით ვერ ურიგდებოდა. ამ შემთხვევაში „მტერიზაცია“ თუა ეს მისი ვითომდა დახმარება; თორემ არამც და არამც „ნათესავიზაცია“.

მეორეც — „სასიძო“ კი არა, დღეს თვითონ „სიძეც“, თუნდაც ეკლესიაში ჯვარდაწერილი „სიძეც“ კი ვერ გამოდგება მაინცა და მაინც დიდ „მკვიდრ“ ნათესავად. რატომ? ცხადია, რატომ. დღეს არავინ არ არის იმაში დარწმუნებული და ვერც ვერავინ ვერ იქნება დარწმუნებული. რომ დღევანდელი „სიძე“ ხვალ არ გადაიქცევა ალიმენტის ძიების „სიგრძედ“. ე. ი. ყასიდათ მიტოვებული ფეხმძიმე თუ ფეხშემსუბუქებული თქვენი დის ან ასულის, ხოლო თვალის სინათლე — „სიძის“ ყოფილი ცოლის ერთ დაუსრულებელ წოწიალად „მმაჩში“. სასამართლოში ფულის მისალებ ადგილას თუ სხვაგან.

არა, ჯანჯალია უნდა განთავისუფლდეს მასზე „ნათესავიზაციის“ ყოველგვარი ბრალდებისაგან ან შეეცვალოს ეს ბრალდება „შებრუნებულ ნათესავიზაციად“,

# ცნობათა მიღება



**პროტექციას** (ხარაგოული):— ჩვენ სავსებით გეთანხმებით, რომ დაუშვებელია ცხრაწლედის მასწავლებლის საქციელი.

**კაგდა ონ ნე ვნასტრაენიი**
**ზნაეტ ფანჯრების ჩამტვრევა...** (და ისიც ზამთარში, რითაც უფრო დიდდება მისი დანაშაული).

**ძიმწარაძეს** (სურამი):—ახირებული კაცი ყოფილხართ. ამას წინედ გვწერდით: **„ეს წერილი მომითავსეთ ჟურნალში და ამის მეტს აღარ შეგაწუხებთო“.** ჩვენ დავუჯერეთ თქვენი ალთქმა და დავბეჭდეთ ის წერილი. ეხლა ისევ გვიგზავნით და გვწერთ: **„კიდევ გამილიტინა ცოდვამ და გაწუხებ, მაგრამ იმედია არ გამიჯავრდები“.** კი გავჯავრდებოდით, მაგრამ აქედან რა გამოვიდოდა!

**„ფსიქიატრიულ ახალშენს დაეცენ ბატები. ადმინისტრაციამ (ახალშენის) მოიგერია თავდასხმა და ერთი ბატი კიდეც მოჰკლა. ბატი შესწვეს და.. ვერ გავარკვიეთ, მაგრამ, ალბად, სწერია: „შესჭამეს“.**

კარგი საქმეა თქვენ ნუ მომიკვდებით!.. თქვენ შესჭამოთ მოხრაკული ბატი, ხოლო ჩვენ კი ასეთი წერილები ვასწოროთ.

**„ჟანს“** (შემოქმედი, გურია):—თუ თქვენი:

**საბჭო ძილშია ამდენხანს**
**არა-რა უკეთებია;**
**საქმეკი უამრავია,—**
**თავზე რამდენიც თმებია.**

მოახლოვებულია საბჭოთა არჩევნები და მანამ დავიცადოთ. ბოლოს გვწერთ:

**ჩხუბი და აყალ-მაყალი**
**ჩვენს თემში მეტად ხშირია.**
**თავი რომ ვისმეს გაუტყდეს,**
**არც არის გასაკვირია.**

და არც არავის გაუკვირდება! ასეთია ჩხუბისა და აყალ-მაყალის შედეგი.

**ტუზუს:**—აი ამ ტერმომეტრს გიგზავნის ტარტაროზი და სიცხე გაისინჯეთ.



**კოსტა დალაქს** (გუდაუთი, **სოხუმი**):— შე კაი კაცო, რევოლვერით კაცი მოუკლავთ, ყველას დაგიტირიათ... და შენ კი ლექსად მწერ ამ ამბავს ტარტაროზში მოსათავსებლად. (სადაური სატარტაროზოა ეს ამბავი?!).

ხოლო ბოლო სიტყვაში ჩვენც გეთანხმებით:

**ყველა მრუდსა და მართალსა**
**წელზე ჰკიდია ნაგანი.**
**საქმისთვის მაინც ხმარობდენ!**
**იმათ დაეწვათ აკვანი.**

და ბოლოს დასძენთ: **„ნეტავი ამ დროს რას აკეთებს ადგილობრივი ხელისუფლება?“..** ამ საკითხზე ვერც ჩვენ მოგცემთ პასუხს. ეს ჩვენთვისაც კითხვითი ნიშანია.

თქვენი შარადიდან გამოდის **„გუდაუთი“**, რომლის შესახებაც სწერთ:

**მას რომ პატრონი უვლიდეს**
**ჟითა წესი და რიგია,**
**ჯამრთელობის მხრივ სხვა კუთხეს**
**არ ჩამორჩება იგია.**

ამ საყვედურის თქმა აშკარად სჯობია: ეგებ მაშინ მიაქციონ ამ საქმეს ყურადღება, თორემ შარადით და ქარაგმებით საქმე არასოდეს გაკეთებულა.

**შარის:**—შემოიარეთ რედაქციაში.

**იგივეს** (ჭიათურა):—ამ ორ კაცს ხომ ვერ გადავყვებით! დავიცადოთ, რა ზომებს მიიღებენ მათ წინაღმდეგ. უკვე საკმაოდ დაიწერა.

**ქიშვარდი ხაბეიშვილს:**—„ტარტაროზი“-ს № 183-ში მოთავსებული წერილი „დელეგატი“ (ავტორი „ერკმან-შატრიანი“) თქვენ არ შეგეხებათ; თქვენი სახელი შემთხვევით არის აღებული; თემა ზოგადია და არა კონკრეტიულ ფაქტზე დამყარებული.

**მაკრენეშვილს:** საცოდავი მაკრინე, რა შვილი ჰყოლია!

**იანის** (ნარაზენი, ზუგდიდის მაზრა):—ჩემო ძმაო იანი, უკვე არის გვიანი... აკი ამის წინედ გვქონდა მოთავსებული წერილი და კარიკატურა, რომ:

**ლავრენტი სკოლის გამგეა,**
**ლომინს პატივი უცია.**
**ერთის გვარია—კოდუა,**
**და მეორესი— კუცია.**
**ერთი გვაგონებს დონ-კიხოტს**
**და მეორე კი სანჩოსა.**
**როსინანტი ჰყავს პირველსა**
**ზედ მუდამ ზის და ახრჩობსა.**

**ჩიორას** (ხარაგოული):—აღმასკომის თავმჯდომარეს თუ სძინავს, მალე გამოეღვიძება, რადგან მოახლოვებულია საბჭოთა არჩევნები, მაგრამ მაშინ, რა თქმა უნდა, გვიან იქნება გზების შეკეთება და სხვა საქმეების გაკეთება.

ხოლო, რაც შეეხება, რომ:

**ო, ეს ჩვენი ელსადგური**
**არ ანათებს ღამით,—**
**იაკინთეს ტკბილად სძინავს,**
**არ სწუხდება ამით!.**

აბა რა უნდა ჰქნას იაკინთემ? თქვენ თუ გინდათ ღამით ძილი, მას არ უნდა?! „გამვლელები ღამით კისერს იტეხენო“... ასე ამბობს ლევარსი როხროხაძე.

**ოუნს** (ნიგოითი):— ეს ყველაფერი წინასიტყვაობაა, რომელიც ტარტაროზს სრულიად არ აინტერესებს. საქმე ის არის—რაც წინასიტყვაობას მოჰყვება. (მაგრამ აქედანვე სჩანს, რომ ვერაფერი ხეირი იქნება).

**შუთურ-აირს** (კულაში):—თქვენი „სიზმრის ახსნიდან: ვათავსებთ მხოლოდ ერთ ადგილს: **„მასწავლებელი ვლადიმერ არველაძე ნახოთ, ცუდია—ამ ზამთარში თავშიშვლად სიარული მოგიხდებათ. თმა და წვერი გაგიზრდებათ“.** ეს სიზმარი კი არა, ცხადია, და რა ახსნა უნდა!

**ძაბუნას:**—თქვენი „უთავო კაცი“ ასე თავდება: **„ერთხელ კიდევ ვაგზავნი ამ წერილს და თუ არ დაგიბეჭდავთ, შემდეგში ჩვენგან ვერაფერს მიიღებთ“.**

ტარტაროზს ღმერთი არა სწამს, მაგრამ ამ ამბავმა ისე გაახარა, რომ მისდა უნებურად წამოიძახა:

— მადლობა ღმერთს: ეგებ აწ მაინც მოგვასვენოსთ... [illegible]აც ამ „უთავო კაცმა“.

# სამაგალითო დაწესებულება



— აი, დაწესებულება, ხადაც ოც პროცენტიანი შემცირება მთელი 500 პროცენტით ჩაუტარებიათ, როგორც სჩანს!

— რა სჩანს! ვერა ხედავ, ჯერ ათი საათია! შემოიარე თერთმეტ საათზე და ნახავ, რაც „შემცირებაა" ჩატარებული!

პოლ-ტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ., 6ა.

# ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე. ფასი 15 კაპ.

კვირა, 20 იანვარი 1929 წ. № 4 (188)


# ნაგანი და კალმის წვერი

(ბალადა „მუშკორზე თავდასხმიადა"-დან)



ნაგანი და
კალმის წვერი
ვით მოთავსდენ
ქვეყნად ერთად,

თუ რომ მტრულად
განწყობილნი
თავს ესხმიან
ურთი-ერთს მკვეთრად?!

თუ ერთ მიზანს
არ მისდევენ,
ერთი არ ყავთ
იმათ მტერი,

(იხ. გაგრძელება მეორე გვერდზე).

ან ნაგანი
უნდა დარჩეს
მბრძანებლად ან
კალმის წვერი!
კალმის წვერი
მუშკორს ხელში
უპერია
მტკიცეთ მისთვის,
რომ კომუნიზმს
ვაგებთ ჩვენ და
ისიც თავს სდებს
ამ შრომისთვის!

—:—

თუ ამ შრომას
მტერი უჩანს,
თუ ეს შრომა
სადმე კოჭლობს,
მუშკორის ხმაც
სჭექს მეხივით
და განგაშს სცემს,
კალამს რომ ფლობს!..
და გვაფრთხილებს
მაშინ ეს ხმა,
გვაფრთხილებს, ვით
ცისკრის ზარი!
სცემს მუშკორი
განგაშს და მას
ფერს ადევნებს
შრომის ჯარი!...

:

და ამ წუთში
ვვალება:
ნაგანს, ხმალს თუ
თოფ-ზარბაზანს
საგუშაგოს
იდგენ მტკიცედ,
მსახურებდენ
ამავ მიზანს!

:

შრომის დაცვას,
შრომის ძლევას
გაუმაგრონ
უნდა ზურგი,
თუ არა და
შავ-ბნელს იქით,
იარაღი
შრომის ურგი!

:

მაინც ხშირად
ნაგანს თუ ხმალს,
კალმის წვერსაც
ხოლმე ხშირად
ერთი ზნე სჭირთ,
საფარსაგო,
მთელი ქვეყნის
გასაკვირად!.

—:

წამოსწევენ —
ხოლმე წვერს და,
არ დასწევენ
მანამ დაბლა,
სანამ ხელი
მტკიცე ხელი,
არ ალაგმავს
იმათ [illegible]!

არ მიუჩენს
თავის ბინას
და თავის გზას
არ ანახვებს,
არ დაუდებს
ამით საზღვარს
მათ საქმეს თუ
ავს განზრახვებს!...
ეს შემთხვევა
ხეპრე ქცევას
იპყრობს ყველა
საგანისა:
მუშკორის თუ
ხულიგანის,
კალმისა თუ,
ნაგანისა!..
ნაგანმა სთქვა:
„ცეცხლს დავანთებ
და ყველაფერს
დავსწვევ გზაში,
მთაც ალმიდგეს
თუნდაც მე წინ,
წარბს არ გავხრი
მის გაქრაში

:

აი, მოდის
ხელში ჩემით
ალჭურვილი
ხულიგანი.
წინ ნურავინ
შემომხვდება,
ჩამოდექით,
განი! განი!!!!

:

ეს მუშკორი
რომ მობზუის
კალმითა და
ფანქრით ხელში, —
ჩამოდექით!!!
ჰქუხს ნაგანი—
და სწორდება
წყრომით წელში.

:

შეუტია!
კალმის წვერი
აქ ბუზადაც
არ დასახა,
გულში რომ ცეცხლს
ვერ იტევდა,
დაუფჩინა
მტრულად ხახა!

—:— —

ლუკმასავით
გადაყლაპა
თითქოს მისი
სურდა ნაგანს!
ასეთია
გულზვიადი,
როცა ხედავს
წინ სუსტ საგანს!

:

იგი ძალას
თვალით ზომავს!
იგი პატივს
ძალით ხვეჭავს,
აქ პატარას
მაზედ დიდი
არ მოარჩენს
დაუღეჭავს!...

:

და ნაგანიც
ასე სჯიდა,
კალმის წვერს რომ
შეუტია:
„რა კალამი
ან მუშკორი?
სულ ეყოფათ
ერთი ტყვია!..“

—:—

მაგრამ შეხვდა
კალმის წვერი,
ვითომც სუსტი,
ესუსური,
მხოლოდ, ნაგანს
რომ ეგონა,
არც იმდენად,
სჩანს, უძლური!

—:—

სტაცა ხელი
[illegible],
ასწია და
„ქერც აკრა!..“
მყის ნაგანშიც
ძველი ცეცხლი,
სიმედგრე და
რიხი ჩაჰქრა....

—:—

მხოლოდ ერთი
დაიჭექა,
საზოგადოთ
როგორც ჰექავს
გულ-მუცელიც
დაეჩუტა,
დამდგარა და
თავს იქექავს...
ირგვლივ ხალხი
ზღვის ზვირთებს ჰგავს,
ხალხი ირგვლივ
სივრცეს ჰზარავს:
„რა მოსვლია
აგი ნაგანს? —
ეს რაები
მიუქარვს?!.
შრომის ერთგულ —
კალმის წვერზე
იერიში
განუზრახავს?
ძირს, ნაგანი,
აბეზარი!
უბლვერის და
სტუქსავს! სძრახავს!..

—:—

„სუსტი“ არის
კალმის წვერი,
მაგრამ, თუ მას
შრომა სწყალობს,
სდუმს ნაგანი,
ჰზარს, როდესაც
კალმის წვერი
მუსიკალობს!...

ონისიმ

# კინო-„სპეცები“




— გამოიტანე რამე ამ სურათიდან?

— ერთი საფულეს გამოტანა ძლივს მოვასწარი, მაგრამ ისიც ცალიერი აღმოჩნდა!..

# თანამედროვე პორტრეტები

დავით კასრაძის სამუშაო ოთახში ვიჯექი და მას ველოდებოდი. (ალბად, სადმე „პორტრეტებისთვის“ თუ იყო წასული!)

უცბად კარებზე თამამი ბრახუნი გაისმა.

— დაიცადე, კაცო! ეხლავე გაგიღებ!—მივაძახე და კარებისაკენ გავეშურე.

— „თუ მთა არ მივა მაჰმადთან, მაჰმადი მივა მთასთან“.—შემოილაპარაკა ასე ოცი ოცდა ერთი წლის ახალგაზრდამ; დაუპატიჟებლად სავარძელში ჩაჯდა და საქმიანი კაცის ტონით დაიწყო:

— მე დავრწმუნდი, რომ ჩემთან ვერ მოხვიდოდი და მე თითონ მოვედი.

— მერე მიცნობთ მე?—შევეკითხე და თვალებში შევხედე.

— ჰმ! როგორ არ გიცნობთ—დავით კასრაძეს... მშვენიერი ხელობა გაქვთ, მაგრამ სახლის აშენება სახურავიდან დაგიწყიათ!

კედლის საათს თვალი შევასწარი—ღამის სრული სამი საათი იყო.

— მაინც რა სახურავებზე ლაპარაკობთ, ან რა გნებავთ?

— იქნებ გეწყინათ ჩემი მოსვლა! მაგრამ არა უშავს... მე უბრალო კაცი ვარ... ყველაფერს თავიდან გეტყვი.

— არა, კი არ მეწყინა, მაგრამ ნაშუალამევის სამი საათია, მეზობლებს სძინავთ!

— ეგ არაფერი! საცაა გათენდება გააიღვიძონ. იმათ სამ საათამდე თბილად სძინავთ, და მე, შეიძლება, სრულაც არ მიძინია!—გაჯავრებით წარმოსთქვა ახალგაზდამ, მაგიდაზე დადებულ ყუთიდან (ჩემი საკუთრება იყო) პაპიროსი ამოიღო და ნერვიულად გააბოლა.

— ეგ სისულელეა ყველაფერი,—განაგრძობდა ის. მე კითხვებს მოგცემთ და თქვენ ჩქარ-ჩქარა მიპასუხეთ.

— ეგრე იყოს!—განვაცხადე მე თან ვგრძნობდი, რომ შიში მიპყრობდა, ამ უდროო დროს მოსულ ახალგაზდის ყურებით.

ის:—ხომ იცნობთ მიხეილ ჯავახიშვილს? მისი პორტრეტიც ხომ გამოხატეთ „ქართულ მწერლობაში?“

მე:—(ჩემთვის) არა ვარ დავით კასრაძე რა ხათაში გავები.—(მას) სწორია!

ის:—მეც მწერალი ვარ; მიცნობთ?

მე:—პირადათ ვერ გიცნობთ. შეიძლება ნაწერებით გიცნობდე.

ის:—მე ვარ პოეტი მარანელი; ხომ მაინც ვერ მიცნობთ?

მე:—ჰო, ვერა, არსად წამიკითხავს.

ის:—დილამშვიდობის! სად წაიკითხავდით, რომ არსად არაფერი დამიბეჭდეს. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული, ჯვარი აქაურობას, ოქროს საცვირი, პირი ხისკენ მიქნია... თქვენ რომ მოკვდეთ, ჩემზე არავის არაფერი ეცოდინება და მიხეილ ჯავახიშვილს ისედაც იცნობენ. ამიტომაა, რომ ხელს გიწყობ. მე მეტრიკაში მიწერია, რომ 1909 წლის 3 მაისში ვარ დაბადებული, მარა ნამდვილად კი დავიბადე 1908 წლის 29 თებერვალს. თუ არ გჯერათ შეგიძლიათ შეამოწმოთ ხულის კედელზე დღესაც აწერია: „მაკრინეს ბიჭი დაიბადა 1908 წ. 29 თებერვალს“. ეს სწორედ მე ვარ. 29 თებერვალი დამახასიათებელია: ზოგი კაცი დაბადების დღეობას ყოველ წელიწადს იხდის, და მე კი ოთხ წელიწადში ერთხელ. ვსწავლობდი, სანამ არ გამომაძევეს სასწავლებლიდან, ხშირად ვღებულობდი ორებს და რადგან ლერმონტოვსაც მიუღია ორები, მე მოხარული ვარ, რომ ორებს ვღებულობდი. სამწერლო ასპარეზზე გამოვედი აქ ათი წლის წინად. არ არის ისეთი ჟურნალი და გაზეთი, რომ წერილი არ გამეგზავნოს. ყველაზე დიდათ ვაფასებ „ტარტაროზს“. ეს ერთად ერთი ჟურნალია, რომელიც სწორ ახსნა-განმარტებას იძლევა, თუ რატომ გაიგზავნა ჩემი წერილი გოდორში. ჩემი მოკლე ბიოგრაფია გაგაცანით და იმედია აჰის შემდეგ ისეთ მწერლების პორტრეტებს დაგვიხატავთ: რომლებიც არ სჩანან. აი, კაცო, მე არ დამიბეჭდეს და არც ვჩანვარ. მარა ვისაც უბედურავენ, ისინიც არ სჩანან... ასე აჯობებს, ჩემო დავით,—ძითხრა სტუმარმა ენერგიულად ჩამომართვა ხელი და საჩქაროდ გავიდა.

ხიმთნ-ალა.




**როცა** ზამთარი დადგა, მიუხედავად იმისა, რომ კარგი დარები იყო, ცოლი მაინც არ ასვენებდა ლევანტის:

— როგორც გატყობ, შენ წელსაც არ აპირებ ჩემთვის „ბოტების" ყიდვას!

— ამ ჯამაგირზე ვერ დაგპირდები, და მეორე მილეპაზე, ვნახოთ, ეგებ მართლაც მოვახერხო როგორმე და გიყიდო! — ჰპირდებოდა ლევანტი ცოლს.

მაგრამ ისე გაირბინა ზამთრის ნახევარმა, რომ ლევანტმა ვერ შეასრულა დაპირება.

**ერთხელ** ავად გახდა ლევანტი.

ექიმი მოიყვანეს.

გასინჯა ექიმმა და როცა გვერდები დაშავებულ-დალილავებული დაინახა. გაკვირვებით შეეკითხა ავადმყოფს:

— ეს რა ამბავია? რა დაგმართია?

ლევანტიმ ცოლს გადახედა, ცოლმა წყრომით ანიშნა და ავადმყოფმა ასე უთხრა ექიმს:

— ქუჩაში დავეცი გაყინულ ქვაფენილზე და გვერდები ვიტკინე-

მიზეზი კი სულ სხვა იყო.

— ხედავ იმას? შეხედე იმ ქალს რა მშვენიერი „ბოტები" აცვია?! — ეტყოდა ცოლი ლევანტის და ისე ლაზათიანად უჯიქებდა გვერდებში, რომ გვერდის ნეკნები კინაღამ იმტვრეოდენ.

აი, ასეთი ხშირი მასაჟისაგან ჰქონდა ლევანტის ცალი გვერდი ცემისაგან დალურჯებულ-დალილავებული.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ლევანტი, როცა თავის ცოლს მიჰყვებოდა ქუჩაში და „ბოტებიან" ქალს დაინახავდა. გაიფიქრებდა: — ვაი, ჩემო გვერდებო! — და ემზადებოდა ცოლის მუჯლუგუნების მისაღებად.

—:—

**ერთხელ**, როცა ლევანტი სამსახურიდან დაბრუნდა, ცოლი კარგ ხასიათზე დახვდა.

— ნეტავ რა ამბავია?! ხომ არ კვდება? — გაიფიქრა გაკვირვებულმა ლევანტიმ და სტუმარსავით დაჯდა სუფრასთან, რომელზედაც, წინააღმდეგ ჩვეულებისა, სადილი უკვე მზად იყო.

— რატომ გიკვირს, ჩემო კარგო! — დაარღვია ლევანტის სიჩუმე და გაკვირვება ცოლმა. — აი, ხედავ ამას? — და უჩვენა ახალი „ბოტიკები".

— სად იყო?! ვისია?! საიდან?! როგორ?! — უკვირდა ლევანტის და ათვალიერებდა ნაცრისფერ „ბოტებს".

— შენ არ ჰქენი სიკეთე, მაგრამ დედამ მიყიდა და მაჩუქა!

ლევანტის ეს ამბავი კიდევ უფრო გაუკვირდა, მაგრამ თავისი თავი ამ „საკვირველებაში" ასე დაარწმუნა:

— ესეც შესაძლებელია! რა დიდი საქმეა, რომ დედამ თავისს შვილს „ბოტები" უყიდოს?! ნუ გეშინია — კაპიკის მზითევი არ მოუცია, როცა ცოლი შევირთე.

—:—

**მეორე** დღეს ლევანტი სამსახურიდან აღტაცებული ბრუნდებოდა შინ.

— დღეს კიდევ უკეთეს ხასიათზე დამხვდება. მადლობა ღმერთს მოელო ბოლო ამდენ საყვედურებს და ჩემს ტანჯვას! — ფიქრობდა ლევანტი.

კარგა ხნის ბრახუნის შემდეგ, კარები გაიღო და ლევანტის შემოეგება თვალებზე ხელაფარებული „ნამტირალევი" ცოლი.,

— რა იყო? რა მოგივიდა? — შეეკითხა ლევანტი ცოლს და მოეხვია.

— შე... შე... შენი პალ... პალტო მოი.::: მოი::.. მოიპარეს..., ვაი, დედავ! — აზლუქუნდა ცოლი, იქვე ტახტზე მიეგდო და „გულამოსკენით" დაიწყო ტირილი.

— კარგი გენაცვალე... ის საზაფხულო პალტო იყო. ზაფხულამდე იმისნაან ათას ვიყიდი. ამისათვის რა გატირებს? პალტო არაფერია... მე მეგონა „ბოტიკები" მოგპარეს და იმიტომ სტიროდი... ხვალ კვირაა. გავალ „ამერიკანკაზე" და ეგებ ქურდი კიდეც დავიჭირო... დამშვიდდი, გენაცვალე... ნუ სტირი! — ეალერსებოდა ლევანტი ცოლს, რომელიც თანდათან უკლებდა „ტირილს" და მშრალ თვალებს ნერწყვით ისველებდა.

—:—

**ამერიკულ** ბაზარზე ლევანტის არც ერთი კუთხე არ დაუტოვებია დაუთვალიერებელი.

ბოლოს იმედიც დაეკარგა თავისი პალტოს ნახვისა და ის იყო დალონებული სახლისკენ დააპირა წასვლა, რომ მოესმა:

— კოვერკოტის საზაფხულო პალტო, ახალი და იაფი!

მაშინვე იქ ამოჰყო თავი.

ლევანტიმ კარგად გასინჯა.

ეს მისი პალტო იყო.

— მაგრამ ჯიბეში თუ ჩემი სახელი სწერია (რომ დავაწერე), მაშინ ამ მაწაძაღლს ეხლავე წავიყვან კომისარიატში! — გაიფიქრა ლევანტიმ და ჯიბეში ჩახედა.

— ჰააა, შენა ხარ ჩემი პალტოს ქურდი!? — სტაცა ხელი გამყიდველს და პალტო ხელში მოიგდო.

შეიქნა აყალ-მაყალი.

ბაზარი აჩმაურდა.

—:—

**კომისარიატში** გამყიდველი თავს იმართლებდა:

— ეს პალტო გუშინწინ ქალმა მომყიდა. ქუჩისა და სახლის ნომერი არ ვიცი, მაგრამ კი მივაგნებ. წამობრძანდეს ეს კაცი და დავუმტკიცებ, რომ ეს პალტო ნაპარავი არ არის.

— მე არსად არ წამოვალ. ეგებ თვითონ შენ არ მოგიპარავს; სხვამ მოიპარა და შენ მისგან იყიდე... პალტო ჩემია... აი, ამხანაგო კომისარო, ჯიბეზე სწერია: „ლევანტი"... ეს თვითონ მე დავსწერე... ეს ჩემი სახელია... ეს ჩემი პალტოა!

— კაცო, წამოდი და განახვებ იმ ქალს!

— არა, არ წამოვალ. შენ თუ მართალი ხარ. წადი, წაიყვანე მილიციელი და აქ მოიყვანე კანონთან ის ქურდი და უნამუსო ქალი. რომელმაც ეს ჩემი პალტო მოგყიდა.

„ქურდს" გაჰყვა მილიციელი ქალის მოსაყვანად.

ლევანტიმ კომისარიატში დაიცადა.

— ეგებ ის ოხერი ქალი არც კი წამომყვეს. აი. აქ ცხოვრობს.. აი, ის არის, ეხლა რომ იმ ოთახში შევიდა, უთხარი, რომ კომისარიატში იბარებენ და ეგებ მაშინ წამოვიდეს. — ურჩია „ქურდმა" მილიციელს.

— ჰმ, შენ გაპარვა გინდა?!

— არა, კაცო, მე აქვე ვიქნები შენთან, მხოლოდ ის ქალი ნუ დამინახავს, თორემ ეგებ არ წამოვიდეს.

# „მოდა“

ქუთაისში კომედია „კაკალ გულში“ დადგმის შემდეგ, დაწესებულებებში მოდათ შემოვიდა:



როგორც ლურჯა ჭიხვინებს
და „ლეკურსა“ თამაშობს
და ალერსით გარს უვლის
მარუსიასა და მაშოს:

გენაცვალე „კაკალ გულში“
გინდ ზამთარში, გინდ ზაფხულში.
ჩემს სიცოცხლეს შემოგწირავ
„კაკალ გულში“ მოქარგულში.

„ჩოხოსან ლექსერთხიანი“

## მღერის

ავდგები დილით.
  დავსწერ სტრიქონებს,
და ცხარე ცრემლით
  შენ მოგიგონებ.

როდის მეღირსოს
  შეხვედრა შენი?
და მწუხარება
  ეგრე, რომ გშვენის

ბრალია რისი?
  მინდა მოგართვა
„დღეობისათვის“
  ფუთი ირისი,

ჩემო ანეტა!
  ჩემმა მუზამ გადაამეტა!
იყავი მომსწრე
  ბევრს სიამეთა,

ამას გისურვებ
  მე ყიამეთად.
ყოველ საათში
  „პუდრო“ და „კრასკა“.

ნეტავი ღირდე
  დახეულ „ნასკად“;
მაგრამ არ ვიცი,
  მიყვარხარ რატომ?

პუდრის მაგივრად,
  ნუ იცხებ ქატოს!
ბიჭი ვარ ნაღდი.
  დარდისგან გავხდი,

წვერებს რომ ვუშვებ,
  უფულობის არ არის ბრალი,
  მე „გოსკინპრომის“ გავხდე თვალი!

კვირა დღეობით

  ჩოხა მაცვია,
და გვერდს მიმშვენებთ
  შენ და ფაცია...
ვისაც ხანჯალი არა ჰკიდია, —

  ის რა კაცაა?
ვარ ლერწამივით
  მე ტანმაღალი,
მომჩერებია ყველა „ნახალი“!..

დილით გამოვალ
და ვტკეპნი ქუჩებს,
  ვზვერავ და ვზვერავ
გაკრასკულ ტუჩებს...

  სხვა რა ვიკადრო?:
ჯაფა და შრომა?
  მისთვის გამზარდა
მშობელმა, რომა

  ვიცხოვრო ქვეყნად
ტანჯვა წვალებით?
  — ისემც დაუდგეთ იმათ თვალები!..

ზორბა.

მილიციელის დაკაკუნებაზე ქალმა კარები გააღო.

— კომისარიატში გიბარებენ. გთხოვთ ეხლავე წამობრძანდეთ! — უთხრა მილიციელმა.

ქალს გაუკვირდა, მაგრამ...

—:—

როცა ქალი, მილიციელი და „ქურდი“ კომისარიატში მივიდენ, ლევანტი მეორე ოთახში იჯდა და უცდიდა ამათ მოსვლას.

— ეს პალტო თქვენ მიჰყიდეთ ამ მოქალაქეს? — შეეკითხა უბნის უფროსი ქალს ახალ „ბოტებში“.

— დიახ! — იყო მოკლე და ამპარტავნული პასუხი.

— თქვენ ვინ მოგცათ ეს სხვისი პალტო?

— რა აზირებული კითხვაა!? — იუკადრისა ქალმა. — როგორ თუ ვინ მომცა?! ეს ჩემი ქმრის პალტოა!

— დაუძახეთ იმ მოქალაქეს! — გასცა განკარგულება კომისარმა.

— მოიყვანეთ ნამდვილი ქურდი!? —აღტაცებით წამოიძახა ლევანტიმ და და შევარდა კომისრის კაბინეტში.

— ჰაა, ეს ქალბატონია ქურდი! —და ლევანტი წინ დაუდგა ქალს ახალ „ბოტებში“.

— შენ აქ რა გინდა?!

— შენ აქ რა გინდა?!

ერთხმად შეეკითხენ ერთმანეთს ლევანტი და მისი ცოლი.

— ჰო. კი... მე ვუთხარი ჩემს ცოლს: გაყიდე ჩემი პალტო და „ბოტიკები“ იყიდე-თქო! — ძლივს ამოილუღლუღა ლევანტიმ და ცოლთან ერთად ისიც გამოვიდა კომისრის კაბინეტიდან.

ისელი.

# მიდგომა

პროფესიით კოწია გახლავთ პირადი მდივანი. მართალია, ასეთი პროფესია თითქმის არც არსებობს, ეს მხოლოდ თანამდებობაა, მაგრამ კოწია გახდა, თუ შეიძლება ითქვას, პროფპირადი ანუ პროფესიონალი პირადი მდივანი.

კოწიამ თავის დაწესებულებაში ოთხი გამგე გამოიცვალა და ოთხივეს დროს ასრულებდა: საქმეთა მმართველის, კანცელარიის გამგის და პირადი მდივნის თანამდებობას, საერთოდ კოწიას იცნობენ, როგორც თითქმის გენიალურ პირად მდივანს.

მთავარი რა არის, ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. მთავარი, როგორც ყველამ იცის, არის მიდგომა-თუ მიდგომა კარგი გაქვს, შეგიძლია დამშვიდებით დაიძინო, რადგანაც დარწმუნებული ხარ, რომ არავინ შეგამოკლებს, რადგანაც მთავარი საქმე მიდგომაა.

კოწიაც იმიტომ იყო და არის ბედით კმაყოფილი, მარად შეუმცირებელი და შეუმოკლებელი, რომ მიდგომა კარგი აქვს.

მართალია ამ მიდგომას რუსულად
ეძახიან და ქართულად კუდიქიცინობას, მაგრამ მიდგომა მაინც დიდ საქმეს აკეთებს.

მართალია ისიც, რომ ამ მიდგომას (მლიქვნელობას, მელიაობას და სხვა ასეთ მოვლენებს) სასტიკად ებრძვის მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მაგრამ ყველგან ხომ ვერ ივლის ინსპექცია?

ნუ გადავუხვევთ საკითხს.
კოწიას საუცხოო მიდგომა აქვს
მმართველი ოპერის თეატრში წასვლას აპირებს.

— ჩემო კოწია, დღეს მინდა ოპერაში წავიდე.

— ბილეთი ავიღო თუ?

— არა, შენ ნუ შეწუხდები,

— როგორ გეკადრებათ, მე მაინც იქით მაქვს გზა,— იცრუა კოწიამ.

— კი მაგრამ, ხომ იცის გასტროლიორია ჩამოსული, რიგი იქნება დიდი.

— მერე რა უჭირს, მე სრულებით არ მეზარება რიგში დგომა, პირიქით—მესიამოვნება კიდეც. მიხვალ, ჩადგები რიგში, შენს წინ ხალხი დგას, უკან ხალხია...

— მაშ კარგი, რაღაი ასე გატაცებული ყოფილხარ რიგებით, ამიღე ორი ბილეთი.

— სიამოვნებით...

რაკი გამგე თეატრში წავიდა, კოწიაც აღარ გაჩერდა სახლში. მანაც აიღო ოპერის ბილეთი.

მეორე დღეს:

— კარგი რამ არის ოპერა საერთოდ,— ამბობს დაკეტილ კაბინეტში გამგე, რომელიც 2 საათამდე „არავის“ არ იღებს.

— ოპერისთანა ქვეყანაზე არაფერია,— უდასტურებს კოწია გატაცებით.

— არა, უკეთესი ბევრი რამ არის, მაგრამ...

— რასაკვირველია, ბევრი რამ არის უკეთესი, მაგრამ...—იმეორებს კოწია თუთიყუშივით.

— როგორ მოგეწონა კოწია გასტროლიორი?

კოწია, იგივე პირადი მდივანი (იგივე საქმეთა მმართველი და კანცელარიის გამგე) ვერ ბედავს რაიმე სთქვას გადაწყვეტით, რადგანაც გამგის აზრი არ იცის.

— არ ვიცი... ერთი მხრივ თუ შევაფასებთ...

— თუ კი არა, ჩემი აზრით, კარგი მომღერალია,— ამბობს გამგე.

— ო-ო, რგორც მომღერალი ჩინებულია და როგორც მსახიობი ხომ პირდაპირ შეუდარებელი.

— არა, მაგაში ვერ დაგეთანხმები. როგორც მსახიობი, ჩემის ფიქრით არ უნდა ვარგოდეს.

კოწია გადაიჭრა. აჩქარდა იგი და შეცდომას ასწორებს.

— როგორ მოგახსენოთ, პირველი შეხედვით ცოტა მომეწონა, მაგრამ შემდეგ შევიცვალე აზრი. ახლა კი თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ გასტროლიორი, როგორც მსახიობი, სავსებით და მთლიანად მიუღებელი და უვარგისია. პირდაპირ სირცხვილია მისი სცენაზე გამოყვანა.

— სასირცხო რა აქვს შე კაცო, არც ისე უვარგისია.

— არა, სასირცხო არაფერი აქვს და მართლაც არც ისე უვარგისია და ხან გვარიანად თამაშობს, ეს მართალი თქვით...—ასწორებს კოწია შეცდომას.

— ზავხოზი რაღაც არ მომწონს!—სთქვა ერთ დღეს გამგემ.

— არც მე მომდის მაგი თვალში!—დაუკრა კვერი კოწიამ.

— საიმედო კაცია ვითომ?

— აჰ, ერთი წუთსაც ვერ ვენდობი...

— პოლიტიკურადაც ვგონებ...

— პოლიტიკურათ ხომ ჯიბიდან გავარდნილია. მაგის ბებიას ოთახი ხატებით აქვს აჰოვსებული.

— მაგით რა უჭირს, ბებიას მაგივრად მაგას ხომ ვერ დავსჯით?

— რასაკვირველია, მაგი არაფერ შუაშია, ხოლო ბებია მისი სწორედ დასაჭერია, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი.

— კი მაგრამ ბებერი ქალი ვის რას უშავებს?

— ეგ სწორია, მართლაც ვის რას უშავებს ბებერი ქალი!

— ეს ზავხოზიც არ უნდა იყოს ურიგო ბიჭი.

— არა, ურიგო კი არა, საუკეთესო ყმაწვილია...

— ადგილკომმა მითხრა სანდო კაციაო და მეც ვრწმუნდები, რომ უნდობლობის ღირსი არ არის.

— მაგი? რას ბრძანებთ! სანდო კი არა, პირდაპირ უმანკოების განსახიერებაა: ნეტავი მაგასთან მილიონი მანეთი მომცა...

* * *

— შტატების შემცირება უნდა მოვახდინო, რას იტყვი კოწია?

— მაგის თქმა კარგი [illegible]ნია მინდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მართლაც: რად გვინდა ეს გაბერილი შტატი? მთქნარების მეტს არაფერს აკეთებენ.

— არა, შტატი გაბერილი არ არის და დატვირთულიც ყველა არის, მაგრამ...

— ეს კი მართალია: ჩვენ შტატს გაბერილი არ ქვია და სამუშაო ყველას ბევრი აქვს ის კი არა და, ხშირად სვერხუროჩნობითაც მუშაობენ, მაგრამ...—ელის კოწია გამგის აზრს.

— საქმე იმაშია, რომ შემცირება უნდა მოხდეს დირექტივის ძალით.

— საქმეც ეს დირექტივა. თუ ჩვენ დირექტივა არ შევასრულეთ, არ ივარგებს...

— არა, ზოგჯერ დირექტივა ადგილობრივ პირობებს უნდა შევუფარდოთ.

— მიყვარს სწორი თქმა, მართლაც, თუ დირექტივა ადგილობრივ პირობებს არ შევუფარდეთ, რა გამოვა?!

— მოდი კოწია ჯერ-ჯერობით ღიად დავსტოვოთ ეს საკითხი.

— რა მაქვს საწინააღმდეგო. ცხადია, საკითხის ღიად დატოვება საუკეთესო საშუალებაა...

* * *

— რა მშვენიერი დარები დაიჭირა! — სთქვა გამგემ, რომელიც ქუჩაში გამოვიდა და კოწიასთან ერთად ჩაჯდა ავტომობილში.

— დარები იშვიათია...

— თუმცა ზამთარში აწჩრი თბილი დარი არ არის კარგი.

— კარგი კი არა, საძაგელია, პირდაპირ თავი მომაბეზრა.

— მოსაბეზრებელი კი არ არის, მაგრამ...

— არა, მოსაბეზრებელი კი არა, საერთოდ მეტად სასიამოვნოც არის, გამოხვალ მზეზე, გათბები.

— ახალი წელისთვის ემზადები კოწია?

— რატომ იკადრებთ,—თითქოს საყვედურით ამბობს კოწია,—მე საერთოდ სასტიკად ვებრძვი რელიგიურ დღესასწაულებს.

— კი მაგრამ ეს ხომ სარწმუნოებრივი დღესასწაული არ არის; ახალ წელს ყოველი ჩვენგანი ეგებება.

— არა, შეგებებით მეც ვეგებები. ღვინო უკვე ვიყიდე 5 ვედრო და 10 ბოთლი კონიაკი, ცოტა არაყიც შევუთვალე სოფელში.

— ეს კი ველარ მოგიწონე, ჩემო კოწია. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ალკოგოლიზმს და ამ დროს შენ...

— მაგაში მეც სავსებით გეთანხმებით. ალკოგოლი ჩვენი კლასიური მტერია... მართალია ღვინო კი იყიდა ჩემმა სიმამრმა (აბა მე ხომ არ ვიყიდდი!), მაგრამ მე ფიცი მაქვს დადებული, რომ ერთი წვეთი არ დავლიო და არც სტუმრებს დავალევინო.

— მაშ რომ მოვიდე, მწყურვალეთ გამიშვებ? არ მოველოდი.

— თქვენ კი თუ მოხვალთ, ვეცდებით რომ რამე პატივი გცეთ. მართლა, მობრძანდით, ყანწი მაქვს ისეთი, რომ ორი კვარტი ჩადის შიგ. თითო-ოროლა ის ყანწი რომ დავლიოთ, გვეყოფა.

— აი, ეს მომწონს, საერთოდ სასმისები ბევრი უნდა ჰქონდეს ქართველ კაცს.

— სასმისები უამრავი მაქვს: ყანწი, ვაზა, ქვასანაყი, კულა და სხვები... თქვენ ოღონდ მობრძანდით!

* * *

— კოწია, დაგვეხმარე ალკოგოლიზმის საწინააღმდეგო კამპანიის ჩატარებაში,—ეუბნება ადგილკომის თავმჯდომარე კოწიას.

— სიამოვნებით, მე როგორც ალკოგოლის სასტიკი მტერი, თქვენთან ვარ მუდამ.

— ღვინოს ყიდულობ?

— რას მეუბნები! ახლოსაც არ გავეკარები.

* * *

— კოწია, ნინოობას, შენი ცოლის სახელობის დღეს გესტუმრო?—ეუბნება მას მთავარი ბუხგალტერი, ცნობილი მსმელი.

— რომ არ მოხვიდე, სამუდამოთ დავიკარგებით.

— დავლიოთ?

— თუ გინდა ვიბანაოთ ღვინოში.

* * *

დანიშნეს ახალი გამგე.

— თყვენ რომ არ მოსულიყავით, მივდიოდი ამ დაწესებულებიდან, ისე მომაბეზრა თავი იმ გამგემ,—უთხრა კოწიამ ახალს. ეს იყო მისი ჩვეულებრივი მუსაიფი ყოველ ახლად დანიშნულ გამგესთან.

ახალმა გაიღიმა.

— ცუდი კაცია არა?

— პირდაპირ აუტანელი,—ამბობს გამგის ღიმილით წახალისებული კოწია.—მაგის სისაძაგლე კაცი ჯერ არ მინახავს.

გამგე კიდევ უფრო იღიმება. კოწია ექსტაზში შედის.

— მეც გამიგია მაგის ავკაცობა.

— ავობაო? ვეშაპი და ნიანგი იყო სწორედ. მე პირადად მუდამ ოპოზიციაში ვიდექი, თუმცა საერთოდ ოპოზიციასთან არავითარი საქმე არა მაქვს. მე რომ პირში მთქმელი ვარ, იმისთვის ვერ მირიგდებოდა...

— ხომ არ შეიძლება ამაღამ ჩვენსას გადმობრძანდეთ ჩაიზე?—მოწიწებით განაგრძობს კოწია,—ვისიამოვნოთ, დრო გავატაროთ...

კოწია ერთი კვირა თავს ევლებოდა ახალ გამგეს და როგორც თითონ ამბობდა, დაიმეგობრა იგი.

მაგრამ, ჰოი საკვირველებავ!

ახალმა გამგემ კოწია... დაითხოვა.

— ვიცოდი ასე იქნებოდა,—ეუბნება კოწია თავის ყოფილ გამგეს, რომელიც სხვა დაწესებულებაში გადაიყვანეს.—ის ახალი გამგე დაწინაურებული მუშა ყოფილა და ხომ იცით მაგათი ამბავი... თავიდანვე შევატყვე რაც შვილი იყო და ისევ თქვენთან ვარჩიე გადმოსვლა.

ალდარ ალდარხან.

## ხონის ძაფ-საღები ქარხანა

ძაფ-საღები ქარხანა
ხონში არის ცნობილი.
პური მოაქვთ ტომრებით,
პური გამოცხობილი.
ყველაფერი შიგ არის—
ქვიშაა თუ ნაცარი,
მაგრამ უფრო მეტია
შიგ სარეცხის ბაწარი.

დ. ხონელ[illegible].



— ქალო, პურს დანით ნუ სჭრი, თორემ შიგ ბაწარიც გაიჭრება.
მეგობრული შარჟი

# მატარებელში

— გამარჯობა სოსო! — შემომძახა მატარებლის ვაგონში შემოსულმა ერთმა ჩემმა ტფილისელმა მეგობარმა და ხელი გამომიწოდა.

— დავითს გაუმარჯოს!

— როგორ ხარ, სად დაიკარგე?

— მე კი არა, შენ როგორ ხარ! ცოლი შეირთოო, ამბობენ, — მართალია?

— ჰმ...

— აგრე უნდა ?ქორწილი გამომაპარე; მაგრამ არ შეგარჩენ. შენ ქალით გაბედნიერდი, ძმა -ბიჭებს „პურ-წყალი" მაინც უნდა „წაგვაკ-ნძო". ოჯახი უნდა დაგვალოცინო.

— ოჯახი?! ჰმ... — კიდევ ჩაიცინა სოსომ და მარჯვენა ხელით თავი მოიფხანა.

დავაკვირდი.

ორივე ხელი დაკაწრული ჰქონდა.

— ოჯახი კი არა, დავიღუპე ჩემო ძმაო, დავიღუპე! —სერიოზულად წარმოსთქვა მან: გამიგონია ერთი დაწყევლილი ანდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო"... დავითი რომ კვიმატიანი სახელი იყო, კი ვიცოდი, მაგრამ თუ დავითის არაკი მაინცდამაინც ჩემზე გამართლდებოდა, არ მეგონა.

— რათა, კაცო, რა შეგხვდა ამისთანა? თუ დამღუპველი იყო, რაზე თხოულობდი?

— შემაცდინა, ძმაო, შემაცდინა. რა მსჯიდა კაცო, ქალის თხოვას. მონასტერში ან უდაბნოში ხომ არ ვიყავი? ჩვენი არ იყო კოხტა გოგოები? რა ჯობდა იმ დროს: შევიყრიდით თავს ჩემს ოთახში, მოვიდოდენ ჩვენი „ნაშებიც", დავსხდებოდით, გავსცხებდით კახურ ღვინოს და ზედ დავამღერებდით:

**ორი ქოთანი ვიყიდე**
**ყურიანი და უყურო**
**საიქიოს ერთად წავალთ**
**ფულიანი და უფულო**
ქალები კი ჩამოგვართმევდენ:
**ორი სახლი ავაშენე**
**უკარო და კარიანი**
**საიქიოს ერთად წავალთ**
**უქმარო და ქმარიანი**

საიქიოში კი არა, შიგ კაკალ ჯოჯოხეთში ამოვყავი თავი ქალის წყალობით.

ვიყავი ჩემთვის ჰუჰულივით. შემოეჩვია და შემაცდინა; ბალანასავით შემაცდინა: „რას გავს შენი ცხოვრებაო, ავად, რომ გახდე, წყლის მომწოდებელი არავინ გეყოლებაო; არც დამრეცხავი გყავს, არც დამკერავი, არც ხმის გამცემი, მარტოდ უნდა მიუჯდე მაგიდას და უპატრონო ობოლივით პური და კალბასი უნდა სჭამოო. შენისთანა მეგობარი რომ მყავდეს, თან გადავყვებიო, მარგალიტივით ვიყოლიებო. ყველაფერი თავის დროზე ექნება, რაც კი დაჭირდება, და დასავით შევუწყობ ხელსაო!

ღმერთმა დასწყევლოს მისი „დასავით ხელის შეწყობა". ყველაფერში მომატყუა. პირველად საქმე გამიადვილა და მითხრა: — არა მწამს ხელის მოწერა და „ზაქსი-მაქსიო". ერთად ვიქირაოთ ორი ოთახი და ისე ვიცხოვროთ, თავისუფალ კავშირითო.

ამიშალა საღერღელი... მეც ქე ავცინდრიკდი; მაგრამ მერე შეცვალა კეხი: მე კი არა მწამს ცოლქმრობა და ოფიციალური ხელის მოწერა, მაგრამ დედას ეწყინება და ნუ მომამდურებო.

დანიშნულ დროზე მივედი ზაქსის შენობასთან, (დაიქცა მისი მომგონი), კარის წინ ფეხი მიასო და „ფასონი" დაიჭირა:

— არ მინდა ხელის მოწერა!

მაშინვე გულში გამკრა წინადგრძნობამ, რომ კაპრიზი ქალბატონი მიჩნდებოდა, მაგრამ მეც „ფასონა დავიჭირე" და ვუთხარი, (ნეტავ ენა ჩამვარდნოდა და არაფერი მეთქვა):

— წამოდი, რა დროს უარია: ხომ იცი, უშენოდ დავიღუპები!

„შევებრალე", და „გამაბედნიერა". ხელი რომ მოვაწერეთ, უკან დაბრუნებისას ერთ კერძო დუქანში ვიღაც ნაცნობი კაცი დაინახა და მასთან შეუხვია.

ავეყუდე ქუჩაში ორი საათი.

— ცოტა შეგაგვიანდა, მეგობარო! ვუთხარი მოწიწებით, როცა გამოვიდა.

— რა შენი საქმეა, თუ შემაგვიანდა! აგრე თუ დაიწყე ღლესვე გაგშორდები! უჩვეულო რიხით მიპასუხა მან.

ხმა ჩავიკმინდე.

სახლში მივედით.

მაგიდასთან დაჯდა. სარკეში ჩაიხედა, რედიკული გახსნა, პუდრის პატარა კოლოფი ამოიღო, პირი პომადით შეიღება და ზეზე წამოდგა.

— ნახვამდის.

— სად მიხვალ?

— შინ უნდა წავიდე.
— არა, არ ვარგა შენი ოთახი! მე ასეთ ბინაზე ცხოვრება არ შემიძლია.
— რატომ არ ვარგა? მეორე სართულზე ვცხოვრობ;—მზიანი და ნათელი ოთახია; ქალაქის ცენტრში....
— არ ვარგა, გეუბნები!
სხეულში შიშის ჟრუანტელმა დამიარა.
ვგრძნობდი რომ ჩემი კაპრიზი ქალბატონი თავის უფლებებში შედიოდა.
გავიდა სამი თვე...
სამი ჯოჯოხეთის თვე...
ჩვენ ოჯახურ ედემში ხშირად გაისმის ასეთი საუბარი:
— თინა, თერთმეტი საათია!
— ვითომ რაო?!
— დღეს არ ადგები?
— ნეგოდიაი, ოტსტან ოტ მენია!
— ცეცხლი ხომ არ დავანთო?
— რა ჩემი საქმეა? მე ფული მინდა ფული!
მუშკოოპის პასაჟში ვართ.
ქუდს ყიდულობს.
— საუცხოვოდ გიხდება — ამბობს გამყიდველი.
— არ მომწონს: წითელი ფერია!
— ლურჯი გნებავთ? ინებეთ!
— არც ლურჯი მომწონს...
— თეთრი ქუდი გსურთ? გასინჯეთ.
— არც თეთრი მომწონს!..
— ესეც ლია იის ფერი!
— მეშჩანსკი ვკუს! ნე ნრავიტსია!.
— ა, ბატონო, შავი ქუდი!
— შავი რად მინდა? ბებრები იხურავენ!
—კიდევ რაფერია!... — ფიქრობს გამყიდველი და გახარებული თითქოს დაბრკოლების კვანძი მონახაო, სხარტად იძახის:
— ყვითელი მოართვით!
— ნე ხაჩუ! კ პალტო ნე პოდხოდიტ.
— წაბლის ფერი ინებეთ.
— ნე ნადა, გახუნებულს ჰგავს.
ამ დროს ლიხის გვირაბში შევედით და ჩემმა მეგობარმაც ბაასი შეწყვიტა.
როცა გვირაბიდან გამოვედით, ორივეს ჩაგვეთვლიმა. ჩვენი ვაგონის წინა ნაწილიდან კი ნაქეიფარი ზესტაფონელების სიმღერა მოისმა:

ტოროლას თოფი ვესროლე
მკლავს დაუმსე თვალიო,
ის დღე რატომ არ დაიქცევა
როცა ვითხოვე ქალიო

მე შევატყე, რომ ხელსაყრელი აღარ იყო ჩემს მეგობართან მის ბედნიერებაზე ბაასის გაგძელება და ხმა ჩავიკმინდე.

**მედუზა.**

# ღვთის მსახურება

(დემიან ბედნიდან)



დიაკონო, დიაკონო,
ღვთის მსახურო ზებედაო,
გაიხედე კარზედაო—
ვის რა მოაქვს შესაწირი,
ვის რა უდევს მხარზედაო!?
დიაკონმა გაიხედა
და მოვიდა ეზოზედაო;
მჭექარე ხმით შემოსძახა
მან ბანისა ხმაზედაო:
ვიცან, ვიცან. ჩვენი მრევლი
გლეხი არის სესიაო;
მას ურემი დაუტვირთავს
როგორც რიგი-წესიაო:
ხურჯინია ჩავსებული
ნამცხვარით და ნაზუქითო,
შემწვარით და მოხარშულით
და ერთი ტიკი ღვინითაო.
მღვდელს იამა, გაუხარდა
აღრიალდა იგალობა:
მოოოგვმადლეეენ უფაააალო!
მაგრამ გული ხუცესისა
ხარბია და უძღომელი.
მცირე ხნის შემდეგ დასჭექა
ახალი საგალობელი:
დიაკონო, დიაკონო,
ღვთის მსახურო ზებედარ,
აბა კიდევ გაიხედე—
ვის რა უდევს მხარზედაო?!
დიაკონმა გაიხედა
მღვდელს შესძახა:
გიიხაროოდეენ!
ნაცვალი მოდის ურმითა
ჩაფრებისა ხლებითაო;
ურემი დატვირთულია
ჩვენი კოდის პურითაო!
მღვდელი კანში ვერ ეტევა,
აცმაცუნებს წვერებსაო;
ღმერთს მადლობას შეღაღადებს:
მოოოგვმაადლეეენ უფააალო!
კვლავ დიაკონს მიუბრუნდა
უძღომელის პირითაო:
—დიაკონო, დიაკონო.
გაიხედე კარზედაო;
კვლავაც კიდევ გამახარე—
ვის რა უდევს მხარზედაო!?
დიაკონმა გაიხედა
ელდა ეცა წამზედაო—
მწუხარე ხმით მღვდელს აუწყა:
—ვიცან, ვიცან დემეტრეა,
უკან მოსდევს ობლებიო;
დემეტრეს მხარზე ტუკი აქვს,
აღელვებული მორბისო!..
მღვდელს წაუხდა ჭამის მადა,
არ იამა ხელტუკიო,
ზეციერხა გადულოცა
და წარსთქვა საგალობელი:
„შექენ უუფააალოო“!
და მერე რიხით შესძახა:
—რამეთუ შენი არს ტუკები
და ჩვენი არს ხაჭაპურები...
მოგვმადლენ ხაჭაპურები
და შენ მიირთვი ტუკები...
ალილუია, ალილუია, ალილუია.

**კიტნა**

ტარტაროზი-ს
შემდეგი ნომერი
სპეციალურია
საბჭოთა არჩევნებზე

# „ლომკაცი“

მეხუთე შრომის სკოლასა
ბედი თურმე განუახლდა—
ინსტრუქტორი სოსელია
მას ზედ-სიძედ ჩაუსახლდა!
ჩაუსახლდა და დაიპყრო
გრიშამ სკოლის კედელ-კარი.
მოწაფენი მიატოვა
ღია ცის ქვეშ დანაყარი.
პიონერებს მხოლოდ შერჩათ
მის „სპალნასთან“ ერთი ბინა,
და ის მათმა ხმაურობამ
შეაწუხა, მოაწყინა.
მოაწყინა, მოიღრუბლა,
გასივდა და გაიბერა...
ასე ბედმა შრომის სკოლამ
სოსელია გადიმტერა.
მიტომ ერთხელ ბრაზ-ნარევმა
(როგორც ძველი ბულა-ხარი),
დაეძგერა იმ ოთახსაც
და მოაძრო წინა-კარი.



წამოიდო ზურგზე სწრაფად
და მოუსვა შინისაკენ.
დაეხვივნენ მოწაფენი
მას მიმავალს ბინისაკენ.
ეხვეწენ და ემუდარენ:
„კარს ნუ გვართმევ ძია გრიშა“!
მაგრამ გრიშა რის გრიშაა!—
(შეაყარე კედელს ქვიშა!)
შეუტია მოწაფეებს
და მიბეგვა ერთი, ორი...
დაგვექკარგა სკოლის კარი...
ასეთი გვყავს ინსტრუქტორი.
კოკი.

# ჩოხატაურის მეეტლეების სამგლოვიარო მარში

ეხ... ცხოვრებამ რა შიგან ხარ,
ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი;
ვინც ეს ავტო მოიგონა,
მას დაეფსოს ორივ თვალი!
ისე მოქრის ეს ვერანი,
რომ ოჯახი გაგვიწყალა;
მას არ უნდა ,,კანიუშნა“,
არც თივა და არცა ჩალა.
ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი,
ჯავრით უნდა მოკვდეს ქალი.
ბრაზით სული გვეხუთება —
ეს რა მოხდა ოხო, ხო-ხო!
გესალმები მგზავრებო, და
საყვარელო საჯაოხო!
ხუთ-ხუთ მანეთ ნაკლებ მგზავრი
არ მოგვყავდა არა, მარა...
ეხლა მხოლოდ ერთ მანეთსაც
არ გვაძლევენ, ძმაო არა!
მოვიგონებთ ჩვენ ტკბილ წარსულს,—
ტანში ცივად გაგვაჟრიალებს...
ავტოა თუ რაცხა მქადი
მგზავრებს სწრაფად მოაქროლებს.
ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი,
ცხენს აუტყდა დღეს კანკალი...
ავტოს ქშენას რომ ყურს მოვკრავთ
შეგვაციებს, შეგვაცხელებს....
ან ეპო და ან გლეხკომი
შეიყიდდენ მაინც ცხენებს!
,,პროშჩაი“ შენ საჯაოხო,
ვეღარ განახავთ ჩვენი თვალი!...
ეს რა დრომდე მოვაღწიეთ?!...
ვაი, ჩვენი ცოდვის ბრალი!...
იანო.

# დუმანისი ტფილისის მაზრა

ნიკოლოზი კალანდია მასწავლებლობს დუმანისში.
ამ ბოლო დროს ამ ვაჟბატონს აერია ანგარიში:
შუაღამისას მაკიშვილის სახლს ესტუმრა როგორც მელა.
მის ყვირილმა და მუქარამ წამოაგდო ზეზე ყველა.
სურდა ქალი მოეტაცნა, ხელში ჰქონდა მას ბებუთი;
მილიცია წამოესწრო არ, გასულა. ათი წუთი.
სოფლად ასე იძახიან (უნდა გითხრა მე სისწორე):
,,ჩვენ ასეთი პედაგოგი არ გვჭირია, მოგვაშორეთ“.
კ. სორტელი.

# მუშათა კლუბი შორაპანში

მუშათა კლუბში ხშირია წარმოდგენა და სალამო,
სამ თვეში ერთხელ იდგმება, მაგრამ ძლიერი ,,საამო“.
როლების განაწილება ჯერ ვერ ვასწავლეთ კოლასო.
ხუთმეტი წლისა როლს აძლევს სამოცი წლისა ოლასო.
სამაგიეროთ სამოც წლის—ხუთმეტი წლისა ანასო,
და რად არ იცის — ზარალი მრავალი მოაქვს ამასო?
კილო ზამასკა არ ჰყოფნით იმათ სახისა ღარებსო.
ასეთი სალამოები გამოგვიკეტავს კარებსო.
გაზრი

# ჩოხატაური

კარგი ხანია დაბაში
არ ქნილა საქმე ასეთი:
ვიღაც წყეულმა უტიფრად,
მოგვპარა კედლის გაზეთი!..
რა უსინდისო საქმეა!
რა საზიზღარი ხელობა!
სად გაგონილა ამ რიგად
ასე გაზეთის მკვლელობა?!.
ბოროტი ხალხის საძებრად
გაჩაღდა კვლევა-ძიება
და, როგორც მითხრეს, ზოგიერთს
უკვე აქვს ტანში ციება!..
ცხადია, ქურდიც ის არის,
ვისაც ეწოდა კანია,
მარა არ ვფიქრობ, წამლები,
„ვითომ" და... ყარამანია!..
ბოროტებაა ჯგუფური,
ხულიგანური — სწორია
და „ვითომ" თეკლემ მოგვტაცა,
ვფიქრობთ, რომ ესეც „ჭორია"-!.
იქ, სხვებიც იყო ბიჭები
უზომოთ განაწყენებლავი, —
ხალამპრემ ხომ „არ ისაქნა"..
ან, თუ ვანესამ ნეტავი?..
ვინ იცის ჯგუფი, რომლებსაც
ეწოდა კუდის რიკები,
იქნება ახრჩობს ჩვენს გაზეთს
თავხედი „იზვოსჩიკები"!
ასე, თუ ისე, ხვალ, თუ ზეგ,
ვიპოვით მალე წამლებსა,
ან ზემოდ თქმულებს დავბორკავთ,
ან კულაკ-ვაჭარ-აღებსა...
დედას ვუტირებთ, ვისაც რომ
თავს დაატყდება ასეთი,
ვაი მას! თორემ ჩვენ მაინც
ქე გავაცოცხლეთ გაზეთი"..
თქმულია, რომ ჭირი-ჭირს მოსდევს,
ცრემლს-ცრემლი, ვაი-ვაებას, —
ასე შეგვემთხვა ჩვენც ეხლა,
ბოლო არ უჩანს წამებას.
გაზეთს ვსტიროდით, დახე ბედს!
საქმე რამ გვიყვეს უარესი,
ხიდისთავლებმა წაგვართვეს
არჩილ და... მისი „ალერსი"..
იმას გადაყვა მიხაკო,
ზრდილობით მეტათ ქებული,
კოსტა „კანტროლი"-ც თუ გაჰყვა
საქმეა ახირებული...
(თუმცა ჩინეთის ჯარს უდრის
ბუჰგალტერების კრებული...)
რა „საშიშარი" საქმეა,
რა „სამწუხარო" ამბავი;
ვინლა გაიგოს „ეპო"-ში
საქმისა ბოლო, ან თავი?!.
სხვა რაღა გვეთქმის, ვსტირით და...
ცრემლით გვევსება თვალები,
აღარ ვიცოდით თუ ასე
დამსჯიდა ხიდისთავლები!..
ტარტაროზ, აჰა მიიღე
კვლავ „საქმე" ერთი ახალი,
დარდიდან გულზე ამჟამად
ბევრი მაინც გვაქვს სთალი!..
ხან „ეპო" მიგვიპატიჟებს,
უხვია, უყვარს ლაღობა;
ხან გამოგვაძღებს სასოფლო.
კრედიტთა ამხანაგობა
ხშირერ მუცლების ნუგეშად
სხვა ხერხსაც ვიცით მოდაში,
ხორხოცებივით თავს ვიყრით
ერთ რომელიმე ოდაში—
გადავსჭრით ძლომის საკითხებს,
მიზანსაც ვაღწევთ ამითა
ვით ყაჩაღები მეგობარს,
თავზე ვეცემით ლაჩითა...
ატყდება ალიაქოთი,
არის ცეკვა და თამაში,
თან ჯიბრი ურთიერთ შორის
ვის რომელი სჯობს ჭამაში.
„ყლაპვასთან" ერთად თითოულს
არ გვყოფნის ღვინო ფუთია,
ჯილდო ხოე „ღრაფს" ეკუთვნის,
როცა ქეიფი მუქთია!..
იუცლის საკითხი, მარტოკა,
არც ამით აღარ თავდება;
„პრავაჟობაშიც" გავძღებით,
თუ ვინმე გადაშავდება...
ვინ ჩივა მარტო ჩვენ—ჩვენ თავს,
ან ჩვენ მეგობრებს — ტოლებსა,—
ხარჯს მასპინძელი გაუძლებს,
რომ არ ვათრევდეთ ცოლებსა!.

წაგვლა.

მეგობრული შარჟი

# კოტე ფოცხვერაშვილი



პიონერი:—ამხ. კოტე, „პროლეტარულ მწერლობა"-ში რომ ფეხი შეგიდგამთ, პიონერთა ორგანიზაციაში შემოსვლას რატომ იგვიანებთ?




## სახელი თუმცა კარგია, გლეხებს არაფ- რად არგია

ერთ მშვენიერ დღეს ხარაგოულის მეწაღეებმა დაადგინეს: „დავაარსოთ კოლექტივი. გლეხს მოვფინოთ გულზე სხივი“...

თქმა და შესრულება ერთი იყო.

კოლექტივს უწოდეს **„ოქტომბრის მონაპოვარი“.**

რა თქმა უნდა, როცა შოთა რუსთაველმა სთქვა: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა შუაში უზის დიდი ზღვარი“. —მხედველობაში არ ჰქონებია ხარაგოულ მეწაღეთა კოლექტივი, მაგრამ რუსთველის ამ თქმას სავსებით ამართლებს კოლექტივი.

თუ ამაში ვინმეს ეჭვი შესდის, ჩვენ ავალაპარაკებთ **„სექტორს“.**



**ფასებს მეტად აუწიეს:**
**თუმანი ღირს ერთი წაღი.**
**ჩიიცვამ და დაირღვევა,**
**აღარ არის უკვე საღი...**

ცხადია ეს არ არის: **„ოქტომბრის მონაპოვარი“**, ოქტომბერს ასეთი მონაპოვარი არ შეეფერება. ეს ისევ და ხარაგოულელ მეწაღეების მონაპოვარია.

## „ბულბული და ვირი“—ეხლაც არის ხშირი

ჩვენ ვლაპარაკობთ კრილოვის **„ბულბული და ვირი“-ზე** და მხედველობაში გვაქვს რკ. გზის კბილის საავათმყოფო, უფრო სწორედ—მისი ექიმი ბერძენიშვილი.

მკითხველებმა კარგად იციან ბულბულისა და ვირის ამბავი **„მამლიდან რომ გესწავლა სიმღერა, უკეთესი იქნებოდაო“**—უთხრა ვირმა ბულბულს. მაშასადამე: ვირს მამლის ყივილი საამურ სიმღერად მიაჩნია. ვირი მაინდამაინც ხელოვნების სხვა დარგშიაც ვერ არის გარკვეული, და მით უფრო მუსუკაში სრული პროფანია.

ჩვენ ბოდიშს ვიხდით პატივცემულ ექიმის წინაშე, რომ აქ ასეთი პარალელს გავავლეთ, მაგრამ დამშვიდებული ბრძანდებოდეს ბატონი ექიმი, რადგან პარალელური ხაზები ერთმანეთს არასოდეს არ შეხვდებიან; მაშასადამე: ვირი აქ არაფერ შუაშია, გარდა იმისა, რომ შედარებისათვის არის აღებული.

მაგრამ რაღა ბევრი ვილაპარაკოთ; ამოვსწეროთ გაზეთიდან:

**ავათმყოფს საშინლად სტკიოდა კბილი. ექიმმა ის არ მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ კი, როცა შეუდგა კბილის ამოღებას და ავათმყოფმა საშინელი ყვირილი მორთო ტკივილებისაგან, ექიმმა ასე უთხრა.**



**— რა კარგი ხმა გქონია და მშვენიერი სიმღერა გცოდნია!**

ზოგიერთები იმასაც კი ამბობენ, რომ ოპერაში წასვლა ურჩია ავათმყოფ მუშასო.

აი, ამის შემდეგ, განა ჩვენი ბრალია, რომ ასეთი პარალელი გავავლეთ ამ ექიმსა და კრილოვის „გმირს“ შორის?

ჭეშმარიტად მართალია დარვინი და მისი თეორია, რომ ადამიანი ცხოველისაგან (მაიმუნისაგან გაჩნდა). შესაძლებელია: ზოგი ადამიანის შორეული წინაპარი მაიმუნის მაგიერ ვირი იყო, რადგან ჩვენ ვხედავთ ზოგ ადამიანების ნათესაობას ამა თუ იმ ცხოველთან, ვხედავთ ადამიანისა და ცხოველის ერთნაირ გემოვნებას.

## ვლადიმერ და სამსონი-ერთმანეთის ამფსონი

რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს **„მარანჯალელი-“ს** წერილი, რომელშიაც თეთრზე შავად სწერია:

საჭილაოს ქარხნის მუშა-სამსონ თვრება ხშირად
გინება და ჩხუბი-ცემა მიაჩნია ჩირად.
ყარაული ვლადიმერი მოუდგება გვერდში.
(ძმა-ბიჭია ის სამსონის ჩხუბში, ალავერდში).
კაცი ბუზად ეჩვენება, თუმც თვით არის ბუზი.
ასე ფიქრობს თითქოს იყოს: ვინმე დიდი ტუზი.
რევოლვერსა მოიმარჯვებს, ჩუმად ესვრის მუშას,
გამოვა და იგინება, ამბობს: „არა უშავს“.
აი, საყარაულო ყარაულო.



— ორი ყარაული რა საჭიროა ერთ ალაგას?!.

— აქ ვლადიმერ ყარაულობს, მე კი ვლადიმერს ვყარაულობ, რომ არავის სცემოს და არავინ მოჰკლას!

„ალლახ! დიდ არს სახელი შენი“!

## არვინ არის გამგონი, როცა სტირის ვაგონი

ხშირად თავს იქით იმართლებენ (ვისაც ეს ეხება), რომ არა გვაქვთ საკმაო ვაგონები რკ. გზის მოძრაობა სასურველ და საჭირო მდგომარეობაში ჩავაყენოთო.

ჩვენც დავუჯერებდით მათ „სამართლიან“ განცხადებას, მაგრამ ეს „არა-მკითხე მოამბე“ მუშკორები სხვაგვარად გვეუბნებიან:




**„სადგურ ტფილისში 10 ვაგონი, რომელთაც სულ მცირეოდენი შეკეთება უნდა, უმოძრავად სდგას აგერ სამ წელიწადზე მეტია. ვაგონი № 330160 ორი წელიწადია „უმუშევრად“ არის“!..**

ასე სწერენ მუშკორები. ჩვენ ჩვენდა თავად დავუმატებდით:— ასეთი ვაგონები სხვა სადგურებშიაც ბლომად მოიპოვება.

ქართული ანდაზა ამბობს: **„თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.**

რა თქმა უნდა ასე არ ითქმის ამ შემთხვევაში. პირიქით: როცა ასეთი თავები განაგებენ საქმეს, სწორედ ამაშია ჩვენი რკ. გზის „ვაგონების სიღარიბე“.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

რა დააშავეს ამ ვაგონებმა, რომ ამდენი ხანია უმოძრაოდ სდგანან?

სხვა რომ არ იყოს რა, საექსკურსიოდ მაინც უნდა გაეგზავნათ. ვაგონები სად არ მოგზაურობენ? შეჩვეულნი არიან მგზავრობას, და როცა ეხლა ისინი მიჯაჭვულნი არიან ერთ ალაგას, სხვა რომ არ იყოს რა ბოდვაა.

## თავმჯდომარე—თავს მჯდომარე

არავინ იფიქროს, თითქოს ეს სათაური რითმისა და სიტყვების თამაშისათვის ვიხმარეთ.

**„სვანეთის მაზრალმასკომის თავმჯდომარე სილ. ნავერიანი, რომელიც არაერთხელ იყო ჩვენს გაზეთებში გამოჭიმული, დაეძებს მუშკორს, რომ ჯავრი იყაროს, როგორც ჯაფარიძის ბავშზე.**[*]) სწორედ მასზე უთქვამს ჩვენს ხალხს: ცა ქუდათ მიაჩნია, დედა მიწა ქალამნათო“. (გ. გ.)

თურმე ასე ღიღინებს ნავერიანი:

**მაუზერი წელს მიმშვენებს**
**და მათრახი ხელსო;**
**ვინც რომ რამეს გამიბედავს**
**ტყვიას ვახლი ცხელსო.**
**ეს სოფელი ცხვრის დუმაა,**
**დანით მოსათალი.**
**ვინც მე რამეს გამიბედავს,—**
**ვაი, მისი ბრალი.**

აი, აქ კი ჯვარი დაესვა მის ძლიერებას.

*) ნავერიანმა ცემით კინაღამ მოჰკლა ჯაფარიძის ბავში, რომელსაც დასწამა თავის ბავშისათვის სათამაშოს წახდენა.



**დაავლო ხელი პატარას**
**ჰაერში შეატრიალა;**
**მუქარითა და რისხვითა**
**თვალები დაუბრიალა;**
**ო, ძაღლის შვილო შენაო,**
**დათვივით დაიღრიალა.**
**ტყვია მიადო გულზედა,**
**კინაღამ გაატიალა.**

# ცნობათა მიღება

**ელემს.** ალბათ, ელამი თუ ხართ, თორემ „ელემი“ ქართულ ლექსიკონში რაღაც არ მეგულება.

აი, როგორ უბრალოთ და ადვილათ გაჰოსწორდა „სიმახინჯე“ თუნდაც ამ თქვენი ფსევდონიმის საკითხში.

ასე ადვილათ და თავისთავად სწორდება ყოველგვარი სიმახინჯე საბჭოთა წყობილებაში და თქვენ ტყუილად გიპყრობთ პესიმიზმი მატანის ნოქარ მელიქოვის გასწორების საქმეში, მით უფრო, თუ ის გამსახლს ასტუმრეს. ცნობილია, რომ გამსახლი ამ მხრივ უნაკლო დაწესებულებაა. თვალი, რომელმაც ეს ვერ შეამჩნია, მართლაც მახინჯი ყოფილა და იმას შუბლის კედელზე ცემაც ველარ უშველის, ვერამც თუ ხარიპარია ვარსკვლავისაკენ მზერა.

**შავსოფლელს.** თქვენ იწერებით სცენად, რომ თითქოს **„სადგურ კალაგერანს მიეღოს რკინის გზის სამმართველოს მატერიალურ განყოფილებისაგან 500 ნახშირის ტომარი, რომელთაც ის არ აძლევდეს თქვენს რწმუნებულს ტყეში დაყრილი ნახშირის შიგ მოსათავსებლად და გამოსატანად. ამ მიზეზითო—იწერებით—ნახშირი ტყეში ლპება, ხოლო ტომრები სადგურის საწყობშიო“.**

სადგურის საწყობს გააჩნია. შეიძლება ის ისეთი იყვეს, რომ იქ, არა თუ ტომრები, თვითონ საწყობის გამგეც „დალპეს“. ამ მოვლენისაგან დაზღვეული ჩვენ ოდნავადაც არა ვართ.

რაც შეეხება ტყეში ნახშირის დალპობას, ამაზე კი, ნურას უკაცრავად და, ვერ დაგეთანხმებით. ნახშირი შეიძლება დაულპობლადაც დაილუპოს ტყეში: დასილოს, წყალმა წალეკოს, თოვლმა დაჰფაროს და სხვა. აი, სწორედ ამ მოსაზრებით არის, ალბად, რომ კალაგერანი თქვენ ტომრებს არ გიგზავნის: ვაი, თუ ტომრები ტყეში მართლაც დალპეს და ეს თქვენ, ნახშირის დალპობის დასამტკიცებლად გამოგადგესთ!

**„გადარეულს“.** ჯერ ერთი რომ თქვენი ფსევდონიმი—**გადარეული,** თუმცა ეს უკანასკნელი წინწკლებში გაქვთ მოქცეული, მაგრამ მაინც ეჰვს აღძრავს. გადარეული ჩვენი სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრია და როცა თქვენ ეს „გაჰბედეთ“, რომ ჩვენი რედაქციის წევრს ფსევდონიმი მოსტაცეთ და მიითვისეთ, აჰას იქით რას არ გაბედავთ.

ამიტომ სრულიად არ გაგვკვირვებია ჩვენ თქვენი ლექსის ის ნაწილი, რომელიც მღვდელს ეხება. თქვენი გამბედაობა უფრო „მაღლაც“ უნდა უწევდეს.

რაც შეეხება **იმ მეორეს,** რომლის შესახებაც თქვენ გადაჰკრავთ, რომ **ის** ძველად ასეთი და ასეთი იყო, ხოლო დღეს კომკავშირთა ადგილობრივი უჯრედიც კი დაუხურავს თუ დაუშლია, რაღაც ეჭვი გვეპარება, რომ ეს ისე იყვეს, როგორც თქვენა გვწერთ. კომკავშირის უჯრედის დახურვა ჩვენს დროში უფრო ძნელია, ვიდრე ყველა ღმერთებისა და სულიერი და უსულო კერპების ძირს ჩამოყრა, ხოლო თქვენ კი ისე ადვილად გვწერთ ამას, არა გვგონია, რომ ამ საქმის ჩამდენი ისე დაუსჯელად დადიოდეს, თუ მას ამ შემთხვევაში ყველა ქაჯი, ეშმაკი და ტარტაროზიც არა სწყალობს.

**ხუშანდარეს.** „პატივცემულო რედაქტორო გთხოვ ეს წერილი მოათავსოთ თქვენდამი რწმუნებულ ჟურნალ „ტარტაროზის“ უახლოეს ნომერშიო“ გვწერთ და შემდეგ ლექსს გვიგზავნით:

**„შვილო გრამიდო,**
**ჩემო საუნჯე შვილო**
**იყავი კარგათ, შენს სიცოცხლეში**
**და არ გამოწყტე**
**ძმა ტოლ—ბიჭებში“-ო**

ალბათ, დედათქვენის მაგიერად, ამ ლექსს თქვენ თითონ „სთხზავთ“. ალბათ, თქვენ თითონ გსურთ, რომ დედათქვენის შვილი, მგონი, თქვენ, „არ გამოწყტეს ძმა ტოლ—ბიჭებში“.

ჰო და, თქვენ კაი კაცო, თუ კი ეს ასეა, მაშინ რად იჯაყავთ თავს და ასეთ ლექსებს რად გვიგზავნით? უდიდესი პატივისცემა როგორც ჩვენი, ისე დედის თქვენ შეგიძლიათ მოიხვეჭოთ ჯერჯერობით მაინც მხოლოთ თქვენი პატიოსანი დუმილით.

**კაჟს.**—ოზურგეთისათვის გვწერთ თქვენ:

**„შობისათვის სამზადისი**
**აქ დაიწყეს გვიან“-ო**

ამის შესახებ რუსული ანდაზა ასე ამბობს: „უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს“-ო.

**ნემსს.**—მარო ფოფოდია თუ ასეთი დარდიმანდი ქალია, რომ მან საბჭოში გაძრომაც შესძლო, დელეგატი კაც არის და შვილებიც კომკავშირლები ჰყავს, ღმერთი ჩვენს მხარეზე ყოფილა და ეს არის. სრულიად არაფერს არ ნიშნავს ის, რომ 24-ში იგი კომუნიზმს ანგრევდა.

აბა, კარგათ განსაჯე მომავალში რა შეუშლის ხელს, ეს „კომუნიზმის ნგრევა“ მან ხელახლა გაიმეოროს? სრულიადაც არაფერი. პირიქით, „შექმნილი მდგომარეობა“ მას ამაში ხელსაც კი შეუწყობს: „24 წელი, ეს მხოლოთ ყოველივე ამის გენერალური რეპეტიცია იყო“-ო, იტყვის; მორჩა და გათავდა.

მაგრამ „უჯრედი“ არის ადგილობრივ? არა მარტო კომუჯრედი, საზოგადოთ უჯრედი თუა, თუნდაც—ტვინის?!.

**შ. ალზენოს.**—თქვენი ლექსი „ჩემი ბედი იწყება ასე:

**„მოგეხსენებათ ვარ ახალგაზრდა**
**და დავაპირე მე ცოლის შერთვა,**
**ერთ ქალს გავეცან ის მომეწონა**
**პირობაც მასთან უნდა დამედვა.**
**გვერდს აუარე და ჩაუარე**
**თვალთ ჩაუქნიე და მანაც ერთი**
**თვალი თვალს მოხვდა ხელი ხელს მივეცით.**
**პირობა დავდეთ გამიწყრა ღმერთი“-ო.**

ღმერთი თქვენ კი არა, იმას გასწყრომია, ვინც თქვენ ცოლად გამოყოლის პირობა მოგცათ.

# 1 თებერვლიდან

მასიური მუშური
გაზეთი

# „მუშა“

ეღირება
მხოლოდ **2** კაპ.

გაზეთი „მუშა“, მიზნად დაისახავს გახდეს პოპულიარული და მუშათა ფართო მასებისათვის სავსებით მისაწვდომი, როგორც შინაარსით, ისე ფასით.

გაზეთი „მუშა“ გამოვა შემცირებული ფორმატით.

---

გაზ. „მუშა“-ზე ხელისმოწერის პირობები:

გაზეთი ეღირება

1 წლით—5 მან.
6 თვით—2 მ. 60 კაპ.
3 თვით—1 მ. 35 კაპ.
1 თვით— 50 კაპ.

ჟურნალ „ტარტაროზი“-ს დამატებით გაზეთი ეღირება

1 წლით—7 მ. 40 კაპ.
6 თვით—3 მ. 80 კაპ.
3 თვით—1 მ. 95 კაპ.
1 თვით— 70 კაპ.

პოლ.-ტრესტის მე-5-ე სტამბა. ქამოს ქ., 68:

# იშვიათი დადგმა

# „აბესალომ და ეთერისა“

მუშათა კლუბში დადგეს ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ბალეტში გამოვიდა თითქმის სავსებით ტიტველი ქალი. ასეთი დადგმა მიუღებელია არა თუ მუშათა, საერთოდ საბჭოთა მაყურებლისათვის“.

მუშკორის შენიშვნიდან.



— როცა ცეკვა გათავდეს, გამაგებინე!

—რა გაგაგებინო, როცა არც მე ვუცქერი.

ბალერინა (თავისთვის):—ჰმ, აი, ამათი „ესტეტიკა“— არ მიცქერიან!

ტარტაროზის შენიშვნა: როდესაც ჩვენ ამ ბალერინის სურათის მოთავსება განვიძრახეთ, ვთხოვეთ მას ნება დაერთო, რომ სურათზე მაინც ჩაგვეცვა მისთვის ტრუსიკები. და არა ისე დაგვეხატა, როგორც ბალეტში გამოვიდა. დიდი ყოყმანის შემდეგ, მან ნება მოგვცა, რისთვისაც მადლობას ვუცხადებთ.

ტარტაროზი
წელიწადი მეექვსე ფასი 15 კაპ.
კვირა, 27 იანვარი 1929 წ. № 5 (189)

# არჩევნებში მონაწილეობისათვის

ნახ. ნადარეიშვილის



მოახლოვდა საბჭოთა არჩევნები და ტარტაროზიც ამუშავდა

# არჩევნებში მონაწილეობა

საბჭოების გადარჩევის კამპანია რომ დაიწყო, იმ დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, რომელზედაც ახლა მოგეხსენებათ გადასწყვიტა მთელი თავისი უწყებით მონაწილეობა მიელო ამ კამპანიაში.

ჩვენს შორის თომ ითქვას, მას თითონ არ მოსვლია ეს იდეა, იგი გააფრთხილა სათანადო ორგანომ ცენტრალურმა აღმასკომმა.

დაწესებულებების ხელმძღვანელი ხშირად გამოდიოდა კრებაზე და ფართო დაპირებებს იძლეოდა:

— იმ უდიდეს სოციალ-პოლიტიკურ კამპანიაში, რომელსაც საბჭოების გადარჩევა ეწოდება, მთელი ჩვენი უწყება მთელი თავისი არსებით მიიღებს უაქტიურეს მონაწილეობას.— ამბობდა იგი. ამბობდა და ტაშს უკრავდენ ამ მონდომებულ მოამბეს.

დაიწყო თუ არა საარჩევნო კამპანია, ხელმძღვანელმა მოიწვია უფროს თანამშრომელთა საერთო თათბირი, ანუ გაფართოებული პლენუმი და ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოების შესახებ საერთოდ. მან დაახასიათა საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა და ილაპარაკა ბრაზილიის საგარეო პოლიტიკაზე. ბოლოს აღნიშნა, რომ თანამშრომლებმა უსათუოდ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოების გადარჩევაში.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ერთხმად გადაწყდა დაწერილიყო ცირკულიარული წერილი, რომელიც სამაზრო განყოფილებას გაეგზავნებოდა. ცირკულიარის შედგენა მიენდო ზავხოზს, რომელიც ოდესღაც იურისკონსულტათ იყო ნამყოფი.

ცირკულიარის შედგენას, მის გამგისთვის მიტანას, გადაბეჭდვას, რეგისტრაციაში გატარებას და ფოსტაში გადაგზავნას მოუნდა რაღაც სამი ოდე კვირა. მოსამზადებელი პერიოდი მიწურული იყო, როცა ცირკულიარული წერილი დიდის ამბით გაეგზავნა მაზრას.

მთელმა დაწესებულებამ თავისუფლად ამოისუნთქა. გამგიდან დაწყებული რეგისტრატორამდე ყველა სამი კვირის ნადენ ოფლს იწურავდა.

ხუმრობა ხომ არ იყო:: საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მთელი სიმძიმე სამიოდე კვირაში გადაიტანეს.

საპასუხისმგებლო სამუშაო დამთავრებულად ჩაითვალა და არჩევნები დავიწყებას მიეცა.

დაწესებულების სამაზრო განყოფილების გამგემ მიიღო ცირკულიარული წერილი. გულის კანკალით გახსნეს კონვერტი, რადგან ყველა გრძნობდა, რომ რაღაც არა ჩვეულებრივი ხასიათის საბუთები იქნებოდა შიგ... ზოგს ინსპექციის გამორკვევის მასალები ეგონა, ზოგს გაფრთხილების წერილი, ზოგსაც შტატის შემცირების დირექტივა.

— ცირკულიარული წერილი ყოფილა - თავისუფლად ამოისუნქთა გამგემ და ოფლი მოიწმინდა.

— მე კი ჩემი დამემართა და... თქვა გამგის მოადგილემ.

— დასწყევლოს ღმერთმა, შტატების შემცირების შესახებ გვწერდენ

ნახ. მარიაშის



ნახ. დონის




უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე კულაკი—საბჭოში.

# საარჩევნო „კამპანია"



ნახ. დონის

**კულაკი:** ეს ხელები თუ ხვალ არჩევნებშიაც ასე ამიწიეს, ჩემი საქმე კარგად წავა: საბჭოში უსათუოდ გავალ.

მეგონა—ჩაილაპარაკა საქმეთა მმართველმა.

ცირკულიარული წერილი წაიკითხეს.

— აბა, ახლა ამ წერილს საფუძველზე ერთი სადირექტივო - პრაქტიკული ხასიათის წერილი ჩვენც უნდა შევადგინოთ, დაფაცურდა სამაზრო განყოფილების გამგე.

— მერე და რათ გინდათ?

— როგორ თუ რათ? ადგილკომს უნდა გაუგზავნოთ!

დატრიალდა ყველა. ვინც კი წერა-კითხვა იცოდა, ყველა წერილის პროექტს ადგენდა. ბოლოს შეათანხმეს, შეასწორეს და გადაბეჭდეს. გამოვიდა ჩინებული სადირექტივო წერილი.

— ახლა დავგზავნოთ.— კმაყოფილი ამბობდა გამგე.

სადირექტივო წერილი რაიონებს გაეგზავნა.

რაიონული განყოფილების ხელმძღვანელმა მიიღო სამაზრო განყოფილების წერილი და მასაც საგრძნობლად აუძგერდა გული სანამ წაიკითხავდა..

დაფაცურდა რაიონული განყოფილება თავისი გამგით და მთელი შტატით.

— ამოდენა სადირექტივო წერილი ჩვენ არ გამოგვადგება, ჩვენ თითონ უნდა შევადგინოთ საინსტრუქციო წერილი და დაუგზავნოთ ადგილებს.

რომელ ადგილებს?

—რომელს და თემებს შე კაცო, როგორ მეკითხები!

საქმის მწარმოებელი, რომელიც იმავე დროს ბუხგალტერის და რეგისტრატორის მოვალეობასაც ასრულებდა, სირცხვილისაგან კაწითლდა:

— რას იფიქრებს ახლა ეს კაცი. ადგილები აღარ ვიცი რას ქვია... მწარეთ გაიფიქრა მან.

ორივენი დაფაცურდენ და კოხტა საინსტრუქციო წერილი შეადგინეს ადგილებისათვის. შეადგინეს და გაუგზავნეს, სადაც სათემო განყოფილება იყო.

სათემო განყოფილებამ მიიღო ინსტრუქცია არჩევნებში მონაწილეობის შესახებ და თითონაც დაფაცურდა.

—ეს რაიონული ცენტრის შედგენილია, მდაბიო ხალხი ვერ გაიგებს, ერთი პატარა განმარტებითი ბარათი ჩვენ თითონ უნდა შევადგინოთ,—ამ აზრის იყო სათემო განყოფილების მთელი შტატი, რომელიც ერთად ერთი კაცისაგან შესდგებოდა.

სათემო განყოფილებამ განმარტებითი ბარათი შეადგინა და სოფლის რწმუნებულს გაუგზავნა.

რწმუნებულმა ბარათი გახსნა, წაიკითხა და მიიღო ცნობათ და სახელმძღვანელოთ.

[illegible]

[library stamp]

# გიგლა და არჩევნები

**დილით**

— გიგლა ბიჭო! გაადგი ფეხი შე ურწმუნო! რა უგემურათ მიიზლაზნები!

— ეი! გაადგი ფეხი! ისე მეუბნები, თითქოსა ცივი კირკაჟი ახტუნავებდეს კაცსა!

— მოდი, კარგი, დაგალევინებ ი საოხროსაცა, ოღონდ კი საღამომდისა როგორმე მომითრიე ი. მუხის ჯირკი!

გიგლამ გადახუხა სამი-ოთხი ორნახადი. ხელათ დადგა შეზარხოშებულ გუნებაზე. მარჯვეთ გადაიგდო ცული მხარზე და გაუდგა ტყისაკენ.

**გზაზე**

— გიგლა ბიჭო! სად ჯანდაბას მიეხეტები!?

— სად მივალ და — ტყეში.

— რა დროს ტყეა შე მოცდენილო!? წამოდი ჩვენთან!

— თქვენთან თუ წამოვედი — პირი ბალნით ამევსება აი!

— ნუ ხარ ქვეყნიდან გამოწყვეტილი, შე ბაიყუშო წამო! დღეს ახალი არჩევნებია.

— ახალი არჩევნები, რა! მოჯამაგირობიდან არ მომხსნან ხელათა! რაში მეპიტნავება თქვენი არჩევნები!

— გიგლა ბიჭო! ნუ ხარ მიდეგაი! მთელი სახელმწიფო ეხლა იმას გაიძახის რომა — მოჯამაგირეები პირველ რიგში უნდა იყვენო.

— ეგ ფეტვი შვილოსა თქვენ წიწილებს დაუყარეთ. წახვალთ, წამოხვალთ და ისევ ი ბაქი-ბუქია შაქრას აირჩევთ რაღა! აკი კიდევაც ჭამს გემოზე! ჯერ ყელზე არაფერი დადგომია და არც მერე დაადგება!

— წამო კარგი, ნუ ლაქლაქობ მაგდენს! ამ ყინვაში მაინცა ტყეში ყოფნასა — ხალხში ყოფნა არა სჯობია!

—ისეთი ორნახადი ჩავცეცხლე რომა ამნაირი ყინვაი რას დამაკლებს!

— წამოდი ბიჭო! ნუ ხარ შენი თავის მტერი! გაიგე კაცის სიტყვა!

— ეჰ! კი წამოვიდოდი, მარამა ვიდა გაუძლებს მერე ჩემი უსტაბაშის საყვედურებსა!

— შენ მაგისი ნუ გედარდება! თუ კრინტი დაძრას, ერთი სთქვი და ხელათ შეანანებენ!

— მა ჩემი ცოდო და თქვენი კისერი! აჰა, მოვდივარ!

**კრებაზე**

დარბაზი ხალხით გაჭედილა. სახე შებრაწული და თვალებ ანთებული გიგლა პირველ რიგში მოქცეულა. მაგიდასთან წამოდგება ძველი საბჭოს წევრი შაქრა და ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს.

— ამხანაგებო! მანამ ახალ საბჭოს აირჩევდეთ, მე უნდა ჩაგაბაროთ ანგარიში...

**გიგლა:** სხვას ვის ჩაუბარებია, შვილოსა,, ანგარიში შეჭმულისა, რომ შენ ჩაგვაბარო! (ხალხი იცინის).

**შაქრა:** მე მგონი, ამხანაგებო, გიგლას ხუმრობასა ყურადღებას არავინ მიაქცევს. მე უნდა ჩაგაბაროთ ანგარიში იმისი, რაც გაგვიკეთებია...

**გიგლა:** გაგიკეთებიათ— მე ვიცი ახალი ციხე - ქალაქი აგიშენებიათ! ააფრინე ალალიო — რაც არ არის არ არიო!

**შაქრა:** ბიჭო, გიგლა! ეგრე რო ამობ შე მამაცხონებულო, უცხო ხალხი რო იყვეს აქა, ხო მართალი ეგონებათ.

**გიგლა:** არც ამათა გონიათ ტყუილი ნუ გეშინია! (ხალხი იცინის, იცინის).

**შაქრა:** მა ხიდი რო გავაკეთეთ შარშან — რა იყო?

**გიგლა:** ორი კვირის მერე რო დაინგრა? ან კი როგორ ახსენებ მაგასა სირცხვილითა!

**შაქრა:** სკოლის ყავარი რო გამოვცვალეთ?

**გიგლა:** მაგითი, შვილოსა, შენი ნათლიმამის საქმეააშენე მარტოკა. სკოლა კი ისევ ძველებურ დღეშია: თუ დარია — შრალათ არი იქაურობა, თუ ავდარია და იხვებსაც აღარ დაედგომებათ იქა არამც თუ ბავშვსა.

**შაქრა:** ბიჭო გიგლა, რას გადამეკიდე! ხატის ღვინო ხო არ დაგილევია! ბარემ გვინდოდა ბევრი რამის გაკეთება, მაგრამ...

**გიგლა:** თუ გინდოდა შე ჩემანალა, ხელს ვინ გიშლიდა მაშა! მარამ შენ გეგონა, რომა მარტო სადღეგრძელოებით აშენდებოდა სოფელი არა!

**შაქრა** გიგლა, ბიჭო, რას გადამეკიდე? რაღა შენ გამოჩვედი ამ ხალხში ყველაზე ჭკვიანი?

**გიგლა**. გინდა კია რომა მეც მუნჯათ ვიყვე ყველასათვია, მაგრამა ვერ მოგართვი.

**შაქრა:** არაყმა და ღვინომ ეგრე იცის: ყველა პირუტყვს ადგმევინებს ხოლმე ენასა.

**გიგლა:** შენ მაშინ მისაყვედურე, თუ ტყუილს ვამობდე. თორე მიწა კი არ გააყიდინე აი ჩუმათა შენ მოყვრებსა! მაგაზეც იტყვი, რომა არაყი მალაპარაკებს შვილოსა
(ხალხი იცინის გიგლას თანაგრძნობით).

**შაქრა:** შენა გიგლა უეჭველად შემოჩენილი ხარ ვისმესგანა, თორე ეგეთი ბიჭი როდი იყავი წინეთა?

**გიგლა:** წინეთა ბოჩოლა ვიყავი და ეხლა გავიზარდე. მუდამ ხო უდღეურათ არ უნდა დავრჩე!
(ხალხი იცინის, ხმაურობს და ყოველი მხრიდან გაისმის გიგლას წასაქეზებელი სიტყვები.

— ყოჩაღ გიგლა!

— რა ბიჭი ყოფილა ე გიგლაი!

— ჯან, გიგლა, ჯან!)

**შაქრა:** ეე, შვილოსა! ამ ბრიყვი ბიჭის სიტყვები უფრო გიჯდებათ ჭკუაში, ვიდრე ჩემი. რახან ეგრეა...

**გიგლა**. რახან ეგრეა, დაიხურამ ქუდსა და წახვალ, ჰა! უჰ, ნუ იზამ თუ ძმა ხარ! ნუ დალუპამ შენგან აშენებულ სოფელსა!

**შაქრა:** რახან ეგრეა, მართლა აღარცა ღირს აქ ყოფნაი!
(გაჯავრებული და შემომწყრალი შაქრა საჩქაროთ გადის კრებიდან)

**შინ**

—გიგლა ბიჭო, სად დაიკარგე აქნობამდისინა?

— მე დაკარგული არა ვყოფილვარ!

— მა სად იყავი? რა უყა მუხაი?

— მუხა ტყეშია.

— შენ ტყეში არ იყავი განა?

— ტყეში კი არა, კრებაზე ვიყავი.

— რომელ კრებაზე?

— საარჩევნო

— მერე მე კრებაზე გაგაგზავნე თუ ტყეში?

— რა უყოთ! მე მაინც კრებაზე ვამჯობინე!

— ამჯობინე—ჩინ-მენდლებს დაგკიდებენ მე ვიცი!

— რატომაც არ დამკიდებენ! საბჭოს წევრად გახლავარ ეხლა არჩეული!

— რაიო? საბჭოს წევრიო?

— ჰო, ჰო საბჭოს წევრათა ვარ არჩეული, კაცო ვერ გაიგე!

— აი, ეხლა აშენებია ოჯახი! აბა შვილო ამას იქითა მოჯამაგირე მე ვყოფილვარ და პატრონი კი შენა! გიშველოს ღმერთმა!

**ტეტია.**

# „დიალექტიკა"

ნახ. ნადარეიშვილის



— ამხ. მდივანო. როგორ მოხდა ის, რომ მე, პარტიული, სრულიად მოულოდნელად „შავ სია"-ში აღმოვჩნდი?! ნუ თუ დასაშვებია, რომ ეს რაღაც „შავი სიებია" წინ უსწრებდეს პარტიულ წმენდას?!

— სავსებით! რას იზამთ? ასეთია დიალექტიკა: ხან ერთი უსწრებს წინ, ხან—მეორე!

# „მზის სხივები“ სოფელ მძინარეთში

## (არაკი საარჩევნო სინამდვილიდან)

თვალი გამოაჭყიტა ბრწყინვალე მზემ (რაღა რქმა უნდა, საბჭოთა არჩევნების საანგარიშო კამპანიის მზემ) და თავისი ცხოველმყოფელი სხივები (თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენელთა სახით) მედიდურად გადასტყორცნა აქეთ თუ იქით მშრომელთა რესპუბლიკის შესაჩოჩქოლე-შესაქრიმულებლად.

პირველი სხივი თუ სხივთა ძნა (პატივცემულ „ტარტაროზის“ ხელში საეზოვო დიდი ცოცხის სახით) ეწვია სოფელ მძინარეთის თემ-საბჭოს.

საბჭოს მდივანი, ნოშრევან მოიჩხრიკეშვილი, როგორც სამუშაოდან დაბრუნებული ფუტკარი — თავისი სკის ფანჯარაზე, ჩამომჯდარიყო სამწერლო მაგიდასთან სკამზე, ცხვირიდან სხვადასხვა სიმსხვე — თუ სიგრძე ძაფ-ბაწრების სკვნილებით ფეხებ - დაბორკილი ძველის-ძველი შუშებ - გაქონილი სათვალე მოეხსნა, წინ მაგიდაზე მხარ-თეძოთ წამოეწვინა, იგი, ძველი, აქა-იქ ბალან-შექიჩული თუ ზოგან ფერდებზე ტყავ-შეგლეჯილი და სარქველ მიქმუქვნილ - მოქმუქვნილი ბუხრის ქუდი მაგიდის ერთ კუთხეში თაგვების მოდარაჯე კატასავით დაესკუპა, წინ საწერ-კალამი და რაღაც საქმის ქაღალდების დასტა უწესრიგოთ მიეპნ-მოეპნია მაგიდაზე, თვითონაც მაგიდის ცალკიდეს ორივე ხელის იდაყვებით ჩამობჯენოდა, ჭაღარა - შერთული გაბურძგნილი თავი ბურჯებივით შეყენებულ ხელებზე ჩამოეყრდნო და ასე გარინდებულიყო.

სხივის პირველი მიკარება ნოშრევანმა თავის კინკრიხოში შეიგრძნო.

ნოშრევანის თავი არა თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, თითქმის მთელ სიცოცხლეში არ ყოფილა ისეთი მოქნილი და მოძრავი, რომ ახლა ამ თავისი პატივცემული კინკრიხოს მცირეოდენი შევიწროებისათვის თავი შეეწუხებინოს და შეშმუშვნილიყოს. აბურძგვნილი ბალანი (თმას ვერ ვკადრებთ სახელად ნოშრევანის თავის პატივცემულ ბუნებრივ სამოსს!) ისე იყო ერთმანეთში შეცმულ - შემოცმული და გაჩხირულ - გამოჩხირული, რომ სიტყვა „გარხევა“ ან „განძრევა“ იმათ ლექსიკონში არც კი ეწერა. სხვა ორგანო კი, ისეთი, რომელსაც განძრევის უნარი დაბადებიდან თან ჰქონდეს დაყოლილი, როგორც მოგეხსენებათ, ადამიანის თავზე არ მოიპოვება. მართალია, ქვევითა ყბა არის მოძრავი, ზ[illegible]ი გადაჭარბებითაც მოძრავი, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულს წუთში ნოშრევანის თავის მდებარეობას, ცხადია, ამ შემთხვევაში ისიც კი მოკლებული იყო ასეთი ცოცხალი არსებობის მიჩენ - ამოქმედების საშუალებას.

დარჩა ყურები.

ყურები, როგორც ვიცით, ბევრი ცხოველის თავზე ახერხებს ასეთ შემთხვევაში საქ[illegible]რო სეპარატიზმის მჟღავნებას. მაგალითად, ვირი რაიმე უკმაყოფილების გამოთქმას ყურების ან ცალი ყურის გაქნევით უფრო ახერხებს, ვიდრე თავისა ან ხელის, რომელიც მას, საბედნიეროთ, არ გააჩნია, თორემ უეჭველად, დაუბანლობა - უსუფთაობის გამო, კანის რომელიმე ავადმყოფობით ექნებოდა დაფარული და დაზიანებული.

ნოშრევანის ყურები ეგრედ წოდებულ „გაპარტყუნების“ ნიჭს იმ თავიდანვე გახლდათ მოკლებული, თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობია, გარხევა, განძრევა თუ გაწევა და საერთოდ აწევა მათ თავიანთ სიყრმის ხანაში მაინცა და მაინც არ მიჰკლებიათ. ნოშრევანის ყურებს თითქმის ახლაც კი აჩნევია იმისი სოფლის სკოლისა და პირადათ მისი ყოფილი მასწავლებლის, ცხონებული არჯევან ყარყუმაშვილის ხელის თითების ეგრედ - წოდებული „დაკტილოსკოპიური“ ნაკვალევები.

მაგრამ, რაც იყო, იყო და თქვენი ჭირიც წაიღო.., ხოლო ახლა კი ნოშრევანის ყურები თავის იქით-აქეთა მხარეს ლოკოკონების ცარიელ ხოჭოებივით ისე იყვნენ მიკრულნი, რომ სასიცოცხლო ნიშანს არაფრით არ ამჟღავნებდენ.

თავის კინკრიხოდან სხივი მაგიდაზე ჩაცურდა; იქ მიპნეულ-მოპნეულ ქაღალდებსა თუ სხვა სამწერლო ატრიბუტებს ხელი მოხვია და იატაკისაკენ გადაუძახა.

ამის შემდეგ, სხივი მაგიდიდან იატაკზე ჩაცურდა სკამზე გარინდებულ ნოშრევანს, ოთახში მიყრილ-მოყრილ სხვა ნაგავთან ერთად, ხელი მოხვია და გარეთ გამოუძახა.

გარეთ კი ქარი დახვდა ამ „ხორაგს“, სტაცა ხელი და გააქანა იქითკენ, საიდანაც უკვე აღარავინ ბრუნდება უკან (რაღა თქმა უნდა, ახლად არჩეულ სოფლის საბჭოში. ნოშრევანი სასოფლო საბჭოს წევრიც გახლდათ. აი, საიდან იგდო მან ხელში მდივნობაც!).

სათემო საბჭოს ღია კარებში საბჭოს თავმჯდომარე ფიადორ ყლუნწიაშვილის მღელვარე ზღვაში იალქნიანი გემივით იქით-აქეთ მოქანავე მაღალი სხეული შემოეყუდა სწორედ ამ დროს.

მკითხველი გაიოცებს: ერთსა და იმავე დროს კარებიდან „ნაგავის“ გაზიდვა — შემოზიდვა რანაირად ხდებოდა!?

საქმე იმაშია, რომ ნოშრევანი ჩვენ მივადარეთ ფუტკარს სკაში. და ისევე. როგორც სკას აქვს ხოლმე სარქველი, თემსაბჭოს შენობასაც აქვს თავისი ბან-სახურავი. „მზის“ სხივმა ე. ი. ხელ-ცოცხიანმა „ტარტაროზმა“ სწორედ ეს სახურავი ახადა თემსაბჭოს შენობას და „ნაგავსაც“ გარეთ სწორე ამრიგათ გაჩენილ ღია ერდოდან ისვრიდა გარეთ.

ჰო და იმას მოგახსენებდით: ფიადორია კარებში შემოეყუდა — თქვა. მაგიდაზე რომ ნოშრევანის ქუდი დაინახა დასკუპებული, იფიქრა: უთუოდ ქუდქვეშ საჭმელი ან თავის შესაქცევი რამე ექნებსა ნოშრევანს მოთავსებულიო — და ფრთხილად შეაცურა ქუდ-ქვეშ ხელი. ქუდის ჭერიდან მქვარტლის კუნწულასათვის დაბლა ჩაწოშვეულ სარჩულის ნაფლეთს მოაცილო ხელი და გუნებაში გაივლო: კაია დავიჭირე, რასაც ვფიქრობდიო. მაგრამ ქუდის გადმოყირავება, ძინძგლიან ნაფლეთისაგან ხელის განთავისუფლება და ფიადორის გარეთ გადმოყირავება საბჭოს შენობის ერდოდან — ერთი შეიქნა. მოულოდნელი აქ მხოლოდ ის-ღა იყო, რომ ფიადორს ბორიალ - ბორიალით უკან აედევნა ახლა ნოშრევანის ქუდიც, რომელიც თავდაღმა ყურების დროს ძნელი დასაძრავი გახლდათ თავისი დების ადგილიდან. უფრო ძნელი, ვიდრე ნოშრევანის საბჭოს შენობიდან — გარეთ გამოხვეტა ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში ქუდი იმ თავზე უფრო მეტ სიმძიმეს შეიცავდა, ვიდრე თავი, რომელსაც ის ხურავდა.

ახლა კი, როცა გარეთ მას ქარმა მოხვია ხელი და გაიტაცა, ქუდი ისე სწრაფად დაიძრა წინ, რომ ჰაერში მობორიალე ფიადორს ბევრად გაუსწრო და გადაბრუნებული იგი უკვე ნოშრევანის თავზე აღმოჩნდა დასკუპებული. „მზის“ სხივისაგან ისე შეწუხებული კინკრიხო ახლა, ქუდ-დარქმული, სასიამოვნო მოსვენებას იყო მიცემული და ზღაპრული კუდიანივით გარბოდა წინ ქარში გახვეული საათში 100 კილომეტრის სისწრაფით.

მეორე, მესამე და მეოთხე სხივებს მძინარეთის თემსაბჭოს სხვა წევრებთან ჰქონდათ ამ წუთს „ვიზიტი“. მართალია, მათ უკვე დაქიწყებოდათ

# იერიში

სოფ. ტიურევოში (რუსეთი) სამღვდელოება თავს დაესხა საბჭოთა საარჩევნო კრებას და ჩაშალა იგი.
(გაზეთებიდან)

ნახ. ლონის



— უკამყოფილო რომ იყვნენ საბჭოთა კანდიდატებით; მღვდელ-დიაკვნები ამხედრდენ ჯვრებით, ემბაზით, ხატებით.

კიდეც, რომ ისინი ოდესმე თემსაბჭოს წევრები იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავიანთ საკუთარ საოჯახო საქმეებში ისე იყვნენ გართულნი, რომ მოდარბაზენი უხმოდ მიიღეს და უხმოდვე უკან გამოისტუმრეს; თუ მხედველობაში არ მივიღებთ კეფის ქექისაგან ამღვარ თავის ქერტლის კორიანტელს და საანგარიშო შეკითხვებზე პირ-მომწვარ ლექვებივით მათ მიერ ატეხილს წუწუნ - წკმუტუნს.

რაც შეეხება მეხუთე სხივს, იგი დაეცა ძილ-განატეხი ღამის შემდეგ ჯერ კიდევ საშუადღეო ბურანში მყოფ „კულტმუშაკის“ ლოგინზე. კულტურული რევოლიუციის მზიურ ლომილისათვის ზანტად თვალშეჭყეტილმა „კულტმუშაკმა“ მხოლოდ ცისფერი ყანწების ტრიალი შენიშნა წინ. პაგრში.

მართალია, ეს ყანწები სრულიად არა ჰგავდენ იმ ყანწებს, რომელთაც მთელს თემში თავისი სიმდიდრითა და გავლენით ცნობილ პურადა ფულიაძე ღვინიაშვილისას ნათლობის გამო გამართულ ლხინში ატრიალებდა ის წუხელის თითქმის მთელი ღამის განმავლობაში, რადგან ამას ავალებდა მას ჯერ თავისი საკუთარი სისხლისი ღვინის სმაში წონასწორობის დაცვის სიწმინდისა, ხოლო მეორეც — არ შეიძლებოდა თამადის გაწბილებაც, ვინაიდან თამადად თვითონ მამა გერასიმე ბრძანდებოდა და არა რომელიმე გლეხი, თუნდაც გერასიმე გერიაშვილი, რომელიც, სამაზრო კულტგანის ინსტრუქტორებს თუ დავუჯერებთ, ღარიბია და როგორც ასეთი, იგი თემის „კულტმუშაკმა“ მამა გერასიმეზე უფრო უნდა დაიახლოვოს და შეიყვაროს.

— არ ვიცი, რისთვის უნდა მიყვარდეს გერიაშვილი და რად უნდა შევიძულო მამა გერასიმე?! აგი ცეცხლივით ღვინო რომ მომაყუდა წუხელის გულზე ყანწებით, რამდენიც კი მუცელში ჩამეტეოდა, იმისათვის?!

გაოცებით, თითქმის გაბრაზებით ეკითხებოდა თავის გულს „კულტმუშაკი“ და მზის მოძალებულ ქიატს რომ თვალი ვერ გაუსწორა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა, თვალები ცეცხლის პირას აბუზულ ციებიან წიწილასავით დახაბა და პატარა ხანს უკან ისევე მედგარი ხვრინვა ამოუშვა.

სიზმარში კი მას ვითომც საარჩევნო კრებისაკენ დაქინებით ეპატიჟებოდენ, ხელმეორედ ასარჩევად ხელებს ტყესავით უწევდენ და მოწიწებით სთავაზობდენ მომავალ წელშიაც თემში კულტურულ მუშაობის ხელმძღვანელობას.

[illegible]

# მოჯამაგირის სიტყვა
## ბობოლას მიმართ

ბობოლას უთხრა მოჯამაგირემ:
—„შავ სიაში" ხარ!.. ჰკუას აგირევ!
ის დრო წავიდა, როცა მაწევი
ზურგზე. ვითარც ცხენს უნაგირი
რას დაეთრევი გალმა-გამოღმა?
აღარ გასვენებს დარდი და ბოღმა?
მღვდელთან ჩურჩული რად მოუხშირე?
არჩევნების დროს გაგანახშირებთ
მღვდელს და დიაკონს,
რომ დარდისაგან ველარ მიაგნონ
საკუთარ წვერებს,
მისდევ და მერე...
დახეული ანაფორა ჰკერე და ჰკერე!
„შავ სიაში" ხარ!.. ჰკუას აგირევ
მე-გლეხი ბიჭი მოჯამაგირე.
გაგიფართოვდა შენ ღიპი ისევ,
და გემატება კვლავ სიხალისე?
დაგაჭერ შძიმე და სასტიკ წიხლებს!
ის არ გეგონოს, წინად რაც იყო,
ვანო, ალმასხან, ზურაბ და ნიკო
იცი, ვინ არიან, ეს „რაზბოინიკო"?
ჩვენი ძმებია ალალმართალი,
და თუ გსურს, გითხრა სიტყვა მართალი
სოფლის კანონი და სამართალი
კარგად იციან!
იმიტომ მათთვის ხმა მიგვიცია!
მღვდელთან გაჰყიდე სული ნისიათ,
ასეთი საქმე რა სინდისია?
ნუ ფართიფურთობ, შენა გგონია:
სად მდინარეა, ყველგან ფონია?
შენც არ მოუკვდე შენს სრდონიას!
შენთვის ერთია კვირა-შაბათი,
ტანს გახურია კოხტად ნაბადი.
სეირნობ უქმად ღამით და დილით,
არ დაგაკლდება ქეიფი, ძილი.
მაგრამ...
შეხედე ჩემი კომბალი,
(შენ არ გეგონოს ის ძირმომპალი)
ისე სასტიკად იცის მან რეხვა,
რომ დაიშლები შენ დამპალ ნეხვათ.
ნუ დაწანწალობ,
ნუ ედები ლობე-ყორესა,
წადი, შეემატე შენც ჩემს ღორებსა.
„შავ სიაში" ხარ!
ჰკუას აგირევ
მე—გლეხის ბიჭი მოჯამაგირე!..

ზურგა.

# ტარტაროზის ნობათი!
## ყველა იმ „ტიპებს", ვინც ახლად ცდილობს საბჭოებში გაძრომას

ნახ. მარიაშის



— მიიღეთ ოც-ოცი წვეთი არჩევნების შემდეგ.

# საბჭოების არჩევნები სოფლად

კულაკებს, ჩარჩ-ბობოლებს,
მღვდლებს, ვაჭრებს და ცეტებსა.
სოფლად მშრომელ გლეხობის
მავნე ელემენტებსა,
და კიდევ ზარმაც გლეხს
მუდამ მუქთად ნატარებს,
წელს საბჭოს არჩევნებში
არავინ გაიკარებს.
მუშა - გლეხის წურბლებსა,
თავზე მეხი დაეცა.
საარჩევნო უფლება
ღარიბებს გადაეცა.

გადაეცა!... უფლებებს
კიდეც მოიხმარებენ.
მათ დამჩაგვრელთ ახლოსაც
აღარ გაიკარებენ.
კომუნებში ერთდება
შევნებული გლეხობა,
თუმც კულაკს სურს იმათი
დანგრევა და დამხობა...
ხრიკებსაც მიმართავენ!...
და ოინებს აწყობენ!
ხან თეთრ კბილით მელობენ,
ხან მუქარით ლაყბობენ,

მაგრამ გლეხებს საბჭოში
ველარ გაუძვრებიან,
მარცხდებიან, ჰქრებიან,
მაინც იმუქრებიან...
მტკიცეა ნების ყოფა
ღარიბების სოფლადა;
მათი დაწუნებულნი
დნება ჭირის ოფლადა.
ჩვენ ანაგებ შენობებს
ჩვენვე მივსცემთ ჩარჩოებს
ჩვენ მოვაწყობთ სოფლებში
წმინდა გლეხურ საბჭოებს.

კოჟო.

# „გაუგებრობა"

ნახ. ქუთათელაძის



— ასეთი თეთრი ხელების პატრონი „შავ ხის"-ში?!

# გააცურეს

**ზურაბ** მუცელაძე კულაკია.

სამი-ოთხი წლის წინედ მას, როგორც თვითონ ამბობს, „ხელი წამოჰკრა“ სოფლად სურსათის. კრიზისმა და... ბლომად გამორჩა.

— კაცს თუ უნარი და შნო აქვს, სხვების გაჭირვებას თავისს საკეთილდღეოდ გამოიყენებს! — გაიფიქრა ზურაბმა და...

საქმეს შეუდგა.

„მოხერხებულ კაცს“ დიდად არ გაუჭირდება საჭირო დოკუმენტების წოვნა და...

რამდენიმე ვაგონი სიმინდი მოიტანა კავკავიდან სოფელში.

— შე კაი კაცო, ეს არის მადლობის მაგიერი?! დამშეული იყავი და სიმინდი მოგიტანე სადღაც ცხრა მთის იქიდან; შენ კი მისაყვედურებ: „მამის სისხლად ჰყიდიო“... მე რომ ამაში რამეს ვგებულობ, რაფერ დაგწყევლო, თვარა გეტყოდი, რომ შენ მოიგე ისე-მეთქი. ფუთზე ერთ აბაზს ჩემსას ვადებ, მარა რა გაეწყობა. მეცოდება ხალხი, თუმცალა უმადურია და სიკეთეს ვერ ხედავს, მარა, რა ვუყოთ, მე მაინც ჩემსას ვიზამ. თუ ესენი არა, ღმერთი ხომ კი ხედავს ჩემს გულშემატკივრობას დამშეულ ხალხზე!

და ასეთი სპეკულიაციით ზურაბმა, მართლაც, ბლომად, ნახა სარგებელი.

— რა გიჭირს, რა! — ეტყოდა ზურაბს გაძვალტყავებული აზნაური მიხა, — შენი წინაპრები ჩემი წინაპრების ყმები იქმნენ; ეხლა კი დროება ისე შეიცვალა, რომ შენ ასეთი სახლკარი გაქვს, ხოლო მე კი — ერთი ქოხილა და ცარიელი ნალია შემრჩენია, ისიც ისლით დახურული.

— „დრონი მეფობს და არა მეფენიო“, — ხომ გაგიგონია, ჩემო მიხა! — თვითკმაყოფილებით ეტყოდა ზურაბი მიხას და თანაც დაუმატებდა: ბედისა და ღმერთის არა ვარ უკმაყოფილო, მარა ამ კომუნისტების გამო ცხოვრებას გემო არა აქვს.

— ეჰ, მაგინი, რომ არ ყოფილიყვენ, ერთ ოც წელიწადს კიდევ მეტს ვიცოცხლებდი, მარა... ახლა ისე ვარ, რომ სული საიდან და როდის გამეპარება აღარ ვიცი.

—:—

**კინაღამ** დაგვავიწყდა იმისი თქმა რომ ზურაბს ცოლად ჰყავს იმავე სოფლის მღვდლის ქალიშვილი მაკა.

არც მაკაა ქმარზე ნაკლები „ჭკვიანი“ და მოხერხებული.

— კაცო, ხომ ხედავ საბჭოთა არჩევნები იწყება. შენ ხელები დაგიკრეფია და არაფერს ფიქრობ. აუცილებლად უნდა გახვიდე საბჭოში, თორემ არ მინდა შენი ქმრობა.

— „დადექი „ვეზნი ნაჩალნიკათ“-ო“, — იმის არ იყოს, ვინ აგირჩევს, ქალო, საბჭოში?!

— შნო და უნარია საჭირო, თორემ ისე აგირჩევენ, რომ შენც გაგიკვირდება, მაგ ორი არშინი ენა ტყვილად გაქვს? შარშან როგორ აირჩიეს აბა იაგორ? თავისი ენით მოთაფლა ყველა და იმიტომ. რავა, არ გახსოვს რა ენა გქონდა, როცა სიყვარულს მიხსნიდი?

— შენისანა ჭკუის პატრონი, რომ იყოს სოფელი, მაშინ რა მიჭირდა! წევრად კი არა, თავმჯდომარედაც ამირჩევდენ. ახლა მაინც ძნელია; ორიევე მოჯამაგირემ გვიჩივლა თემში და სამი თვის ჯამაგირს გვთხოვენ, გარდა ამისა — დაზღვევასა და სხვა რამეებს.

— ჰოო, მით უფრო უნდა შეეცადო საბჭოში გაძრომას, თორემ მერე უარესს დღეს დაგაყენებენ.

— კი მარა, რაფერ უნდა შევეცადო?

— რაფერ და ასე: დაეპატიჟოთ სოფლის აქტივისტები, წვეულება, ისე თითქოს შინაურული, მოვეიაფლოთ, მოვნათლოთ ცოტა რამე სოთიოსაც შევსწიროთ და ასე ამნაირად აგირჩევენ.

ზურაბს მოეწონა ცოლის მოსაზრება და...

შეუდგენ მზადებას.

შეადგინეს სია:

— **ისიდორე** — ღარიბი გლეხი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს გლეხობაში.

— **ნესტორ** — დემობილიზაცია ქმნილი წითელ - არმიელი, რომელიც სოფლის. „სული და გულია“.

— **ალიოშა** — კომკავშირელი, თემ ალმასკომის მდივანი და სოფლის „წმინდა ნინო განმანათლებელი“ ( ასე დასცინის მღვდელი, რადგან ალიოშა სოფელში ეწევა დიდ კულტურულ მუშაობას, რამაც მღვდელს მორწმუნეებისაგან დაუცალიერა ეკლესია).

...და კიდევ მრავალი ასეთი პირები.

— კი, მარა რომ არ წამოვიდენ!— შეეკითხა ზურაბი ცოლს. — ხომ იცი მაგენი თაკილობენ კულაკთან ურთიერთობას.

— მოჯამაგირეებს, რომ უჩივლიათ თემში, აი, თითქოს იმ საქმის მოსაგვარებლად მოვიწვიეთ. მოჯამაგირეებიც მოვიყვანოთ და შემდეგ საქმე თავისთავად წავა!“

— რა უკაცრავად ვართ, მარა ნაუცბადევად მეტი ვერ მოვასწარით! — ამბობდა მაკა და სუფრაზე მოჰქონდა შემწვარ - მოხრაკულები.

სტუმრები ერთმანეთს ჩუმად უჯიკავებდენ და ლაზათიანად მიირთმევდენ.

— ეხლა, ზურაბ, დრო არის მოვაგვაროთ ის საქმე, რომლის შესახებაც მოვსულვართ! — უთხრა ისიდორემ მასპინძელს.

— უკვე მოვაგვარეთ, ჩემო ისიდორე, ხომ მართალია, ბიჭებო! — და შეეკითხა მოჯამაგირეებს, რომლებიც სუფრის ერთ კუთხეში ისხდენ.

— მართალია: ფული უკვე მოგვცა, დაგვაკმაყოფილა! — დაუდასტურეს მოჯამაგირეებმა.

„ურწმუნო“ კომკავშირელი მაინც ეჭვობდა და ჩუმად შეეკითხა მოჯამაგირეებს, რომლებმაც დასადასტურებლად ჯიბიდან ფული ამოიღეს და აჩვენეს.

— კაცო, მე რა მაქვს მაგათთან სადავო? ჩემს შვილებსავით მიყვარს. მოჯამაგირედ კი არ არიან ესენი ჩემთან, არამედ ისე, რომ... მე მაგინი შვილზე ნაკლებ არ მიყვარს... — ამბობდა საკმაოდ შეზარხოშებული ზურაბი. — საწყლები იყვენ და შემეცოდა... ლუკმა - პური გავუჩინე... დღეს სოციალიზმისა და კომუნიზმის ხანაში ყველა კაცი ისე უნდა იქცეოდეს — სხვებს დახმარება უნდა გაუწიოს....

— მაშ, მაშ.. მარგორ იქნება?.. ჭკვიანი ვართ ადამიანი, თორემ უწინდელი დრო ხომ არ არის, რომ ნიკალაი ვტაროოი გლეხებსა და მუშებს ტყავს აძრობდა და ქალამნათ იცვამდა: — სთქვა ზურაბის ცოლმა.

— ქალო, რას სულელობ? ნიკალაი ვტოროის ქალამანი როდის ეცვა? ქალამანი კი არა, ზაგრანიჩნი ლაკრინოვანი ჩექმები ეცვა! — ცოლს შეცდომა გაუსწორა ზურაბმა, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა.

— სიტყვაზე ვსთქვი, თორემ ქალამანს როგორ იკადრებდა?! — გამოასწორა ქალმა მაკამ შეცდომა.

— ზურაბ, შენ შეძლებული კაცი ხარ და ხუთასი მაენთი შემოგვეწიე ალმასკომის ახალი შენობისათვის კრამიტის ყიდვა გვინდა! — უთხრა ნესტორმა ზურაბს.

— მამისული ნუ წამიწყდება, ერთი წელიწადია სიმწრითა და ოფლით ვაგროვებ ხუთას მანეთს, რომ ალმასკომისათვის შემეწირა. შენ რომ არ გეთხრობია ჩემო ნესტორ, მე მაინც ვიზამდი მაგ საქმეს!

ხუთასი მანეთი ხელში იგდეს ალმასკომის საჭიროებისათვის.

მოჯამაგირეები დააკმაყოფილეს და კარგადაც გამოძღენ.

— არა უშავს, ძვირი დაგვიჯდა, მარა საბჭოს წევრობა უეჭველია.

— თუ არ გამართლდა, ხომ დაგვიღუპეთ! ვაი ჩემო ხუთასო მანეთო...

## ნამამასახლისარ კულაკის წერილი ვაჭრისადმი

მეგობარო იოსებ,
წერილსა გწერ სოფლიდან.
ვიცი, ძმაო, შენც დარდობ,
იწურები ოფლიდან.

—:—

დიდება და პატივი
დამეკარგა ხალხშია.
სიხარული არ არის,
გული ჩემი თალხშია.

—:—

მე რომ უწინ ღარიბებს
ვეძახოდი „დურაკსა", —
ყველა ზიზღით მიცქერის,
მეძახიან: „კულაკსა"!

—:—

დარდისაგან დავბერდი,
დამეკარგა ხალისი.
კაცი უწინ — ძველ დროში
ვიყავ მამასახლისი.

—:—

თავისთავი მომქონდა
უძლევ ზღაპრულ ყარამნათ:
„ცა ქუდად არ მიმაჩნდა,
დედა-მიწა ქალამნათ".

—:—

ბევრი გავამათრახე,
შევუხურე გვერდები;
კბილები ჩავუმტვრიე,
ჩაუნგრიე ფერდები.

—:—

ფეხებს უბრაგუნებდი
ღარიბებს და საწყალსა.
მრუდეთ ვსჯიდი სამართალს,
ვამტყუნებდი მართალსა.

—:—

მოხერხებით, ქრთამებით
შევიძინე ქონება.
გულს მიფუფქავს, ძმაოჯან,
წარსულის მოგონება.

—:—

სოფლის საქმე ავ-კარგი
სულ მე მეკითხებოდა.
სადაც მე არ ვიყავი,
იქ საქმე არ წყდებოდა.

—:—

სოფლის შემოსავალი
ჩვენს მუცელში ვიდოდა;
ჩვენი იყო ქვეყანა,
მეტი რაღა გვინდოდა.

—:—

მრგვალდებოდით სუყველა
მოთლის გუდასავითა.
ტყავს ვაძრობდით გლეხობას,
ვსთვლიდით დუმასავითა.

—:—

რომ ვფიქრდები, — არ ვიცი,
თავი სიზმრად მგონია.
ამ ყოფაში ცხოვრება
განა გამიგონია?!

—:—

შეიცვალა დროება
თავს დაგვეცა მეხები.
ქვეყნის საქმეს მართავენ
მუშები და გლეხები.

—:—

ჩემი მოჯამაგირე
ქერივის შვილი — ტურია,
ეხლა დიდი კაცია,
სოფლის მეთაურია.
რაღა ბევრი მოგწერო,
გულზე მადევს ლოდები.
წერილი მოიწერე:
შენს—პასუხს ველოდები.

პეტან.

## აღსარება „უამსა გა-ჭივრებისა"

იანეთის თავმჯდომარემ,
კულაშისას გადასძახა:
— ჩემი საქმე, ჩემო ვასილ,
მიდის უკან, მიდის გლახათ.
სიზმარივით იპარება:
შვება-ლხენა და სიამე!
და ნაღველათ გადაიქცა,
რაცა ვსვი და რაცა ვჭამე.
ყველაფერსა ქვეყანაზე
ბოლო აქვს და დასასრული, —
მაგრამ ჩემზე ეს თქმულება,
არ მქონია დასახული.
რომ თავიდან ვერ აუღე
სოფელს ალლო შესაფერი,—
ამას მოწმობს დღევანდელი
ჩემი სახე, ჩემი ფერი.
რა კი ერთხელ გამიმართლდა,
ჩავდიოდი „ჩემებურად".
ძმაო, კაცი აღარა ვარ,
ძმაო, სიტყვა იღე ყურად.
არჩევნები ახლოვდება,
სხვანაირი მესმის ხმები!
სოფელს დიდი მოთმინება
რომ ჰქონია, აღარ ვცდები.
ბოლმა გულში დაგუბული,
ამსხვრევს საზღვარს, ამსხვრევს
კიდეს!
დღეს შენს ამბავს ველოდები—
შემდეგ გეტყვი, ძმაო ქიდევ.
კულაშისა თავმჯდომარემ
ამ ძახილზე გაიზმორა!
გაიზმორა ისე მწარედ,
რომ გაღუნა წელი ორად,
და კანკალით უპასუხა:
— ეს ამბავი სამწუხარო,
რომ ვისმინე მეზობელო,
ავჩუხჩუხდი როგორც წყარო.
გავიფიქრე: გავჩენილვარ
უბედური ქვეყანაზე!
შენც კი იცი, რომ მიყვარდი
მამაზე და უფრო ძმაზე.
და იმედი როგორ მოგცე,
უიმედო ოდეს მე ვარ!
არჩევნების მოლოდინში
მაციებს და მუდამ ვწევარ.
გაზეთებში გამომჭიმეს
არა ერთხელ, არა ათჯერ,—
მაგრამ მაშინ გაუძელი,
ახლა ლამის მაცვან ჯვარზე.
ჯიხაიშის თავმჯდომარეს,
გაკვრით მოხვდა ეს ხმა ყურში,
და მოუთხრო ცას და მიწას
რაც ელაგა ჩუმად გულში:
თქვენს ბედში ვარ—გადმოსძახა:
და დადუმდა არე—მარე!—
და მზის შუქზე გაჰქრენ უცებ,
ეს სამივე თავმჯდომარე...

ჭოგნელი ბჭიკი.

ა[illegible] მოჯამაგირეებმაც რომ თავისი გაიტანეს! —მოსთქვამდა მაკა.

— კოწიას ჩვენზე მეტი ეხარჯება, რომ საბჭოში გაძვრეს, მარა ყველა ატყუილებს! — თავი ინუგეშა ზურაბმა.

—:—

საბჭოთა არჩევნების კრება იყო.

ნოელ სოფელს აღმასკომის ახალ კრამიტით დახურულ შენობასთან მოეყარა თავი და უსმენდა სოფლის ორატორებს.

— ვა, ვა! ეს ზურაბია!? — გაუკვირდა სოფელს, როცა ზურაბმა დაიწყო:

— ამხანაგებო!...

— ვინ არის მაგისი ამხანაგი? რას ილანძღება? — დაიძახა ვიღაცამ.

— ამხანაგებო, ახალმა საბჭომ უნდა გაიყვანოს გზები; გლეხობას უნდა მიაწოდოს იაფი და კარგი საქონელი... ამიტომ, ამხანაგებო, საბჭოში ჩვენ უნდა ავირჩიოთ ისეთი...

— უკაცრავად! — დაიძახა ვიღაცამ და ზურაბთან ერთად მთელი კრება მას მიაცქერდა.

ეს ნესტორი იყო.

— ამხანაგებო, — ამბობდა ნესტორი, — აი ხედავთ—კულაკების თავხედობა სადამდე მიდის? ზურაბ მუცელაძეს ხმის უფლებაც არა აქვს, ის შავ სიაში სწერია; აქ კი გამოსულა და რიხით გაიძახის ფართო-ფართო სიტყვებს. — და ნესტორი მიუბრუნდა მუცელაძეს: — აი, ვერა ხედავ იმ კედელზე რომ შავი სია არის გამოკრული? იქ შენი სახელი და გვარიც სწერია!

— შორს, შორს ჩვენგან კულაკები. — ერთხმად დასძახა კრებამ..

—:—

— აკი გეუბნებოდი, რომ მაგათ ვერ მოვატყუილებთ-მეთქი! — უსაყვედურებდა ზურაბი მაკას, რომელიც მოსთქვამდა:

— ვაი, რა წვეულებამ ჩამიარა როგორ გამოვაძღე ის გასაწყვეტები! ვაი, მოჯამაგირეებს რომ ფული მივეცით... ვაი, ვაი ჩემო ხუთასო მანეთო!

ჭინჭარი.




## ადგილკომის მადლია, რომ მოეწყო ნათლია

ხაშურის საყუდის ადვილ... უკაცრავად, ადგილკომს თავისებურად ესმის თავისი დანიშნულება.

როცა ადგილკომში გოგოლაძეს უთხრეს: „შე კაი კაცო, თვითონ უნდა ებრძოდე პროტექციასა და ნათლიმამობას; შე კი სამსახურში თავისი ნათლია მოაწყვეო“, —მან ასე უპასუხა:—**ნათლიმამობას მეც ვებრძვი, მაგრამ ნათლიამ რა დაიშავა?!**



თუ რამდენად სამართლიანი და სწორია ეს პასუხი, ალბად, ადგილობრივი პროფკავშირი გაარკვევს.

## გატყდა ერთი თავი, ჩამოვარდა ზავი

ასე სწერს „წევრი“:

**„მე-ნ-ე უბნის მე-ც-ეისაოსტატოს ლიანდაგის მუშა გრიგოლაშვილი და არტელის უფროსი ღონღაძე წაიჩხუბენ. პირველს მეორემ ნიჩაბი სთხლიშა თავში“:**



მართლაც საკვირველია, თუ როგორ გაუძლო „ცარიელმა თავმა“ ნიჩაფის თხლიშებას. მაგრამ საქმე თურმე შემდეგში ყოფილა:

— მოდი, ეს საქმე მივჩქმალოთ და სამაღარიჩოთ კვარტებს ჩავოვდგამ!—მისცა წინადადება ღონღაძემ დაზარალებულს.

— პოჟალუსტა! საწინააღმდეგო არაფერი მაქვს!—დაეთანხმა თავგატეხილი და წავიდენ საქეიფოთ.

აი. რა ძლიერი და შემძლეა კვარტი! ჩამოდგა შეზავეთ მოჩხუბრებს შორის და მშვიდობიანობა დაამყარა. რომელი კელოგის პაქტი, რომელი „მშვიდობიანობის ანგელოსი“ და რომელი ერთა ლიგა მოაგვარებდა ასე სასურველად ამ უსიამოვნებას?!

ქეიფისა და ზავის შემდეგ, გრიგოლაშვილი ამბობდა. თურმე:—**ხვალ ვის გავალახვინო, რომ მაღარიჩი გადამიხადოსო. სცემეთ ამ გოგრას (თავი), ნუ გეშინიათ კი გაუძლებს, მხოლოდ თქვენ კვარტები ჩამოდგით.**

## სამოელმა „მახრამ“ მთელი დაბა დაჰხრა

ნათქვამია: „ჭამა მადაში მოდისო“. მართალია, სამოელ პეტრიაშვილს მადა ყოველთვის კარგი ჰქონდა, (მენშევიკების დროს ერობის თავმჯდომარედ იყო აბროლაურში და პატივი სცა თავის თავს), მაგრამ მას შემდეგ, რაც მან რაჭა-ლეჩხუმის სას. სამ. ტეხნიკუმის 800 მანეთი ჰყლაპა, მადა უფრო მოუვიდა. (რატომაც არ მოუვიდოდა, როცა, მისი თქმის არ იყოს,—შერჩა, როგორც ხახვი“,—პასუხის მოთხოვნაც არავის გაუბედნია მისთვის).

ამჟამად, სამოელ საბჭოს წევრი ბრძანდება, ისეთი გულმაგარი კაცია, რომ არც კი აშინებს მოახლოებული საბჭოთა არჩევნები. არამც თუ აშინებს, პირიქით, ოცნებობს, რომ, ეგებ, ვინ იცის, ღმერთი გაწყრეს და თავმჯდომარედაც კი ამირჩიონო. ან-და რატომ არ უნდა აირჩიონ, როცა კაცს ასე ახასიათებს ალი:

**არ მოჰკლებია არადროს**
**მღვდელ-კულაკს მისი წყალობა.**
**რა ვუყოთ მერე, რომ იცის**
**ყოველდღე ჩხუბი-მთვრალობა.**
**არა სცალია საქმისთვის,**
**უყვარს კარტი და ნარდია.**
**აწი შენ იცი, ტარტაროზ.**
**რასაც მწერ ყველა ნაღდია.**

აი, ეხლა კი, ამ წერილის შემდეგ, შესაძლებელია ჭამის მადა მართლაც დაეკარგოს სამოელს. კიდევ და ასე სჯობია (მადის დაკარგვა),—თორემ კაცს მადა მქონდეს და სახრავი კი არაფერი,—ცუდია.

## როტექცია თუ კია, „მოეწყობა" ბუკია

გადაჭარბებად და ტრაბახობად არ ჩამოერთმევა ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის „ტუზ" თანამშრომელს—ბუკიას, რომ მან სთქვას: **„აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, და იქით გორას ძრას ვუზამ"**:

არ ჩამოერთმევა იმიტომ, რომ მან ამაზე უფრო საკვირველი საქმე გააკეთა:

**ბათომიდან არც კი წასულა არსად ისე გადმოყვანა თავისი და ფოსტა-ტელეგრაფიდან ბათომში.**

აქ სასიამოვნო ორი გარემოება:



პირველი: ტეხნიკის მიღწევა, რომლის საშუალებითაც ხდება ადამიანის გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე ელევატორის გამოყენებით.

მეორე: ადგილობრივად ბათომში აღარ ყოფილან ფოსტა-ტელეგრაფის უმუშევრები, თორემ, როგორ იკადრებდენ ფოთიდან თანამშრომლის გადმოყვანას. (ამგვარად, ბათომი ერთად-ერთი ქალაქია, სადაც არ არიან ფ.-ტ. უმუშევრები).

## რევოლვერი და ზარი გამგე არის საზარი

მოისპო ეკლესიები და მათი ზარები; მოისპო რკ. გზის ზარები... მაგრამ ქუთაისის უმუშევართა მებრძოლ კოლექტივების პაპიროსის ქაღალდის დამამზადებელ ფაბრიკის დირექტორი **პოჩტარი** ვერ შეგუებია (ალბად) ამ გარემოებას და დაუკანონებია:

საქმის მწარმოებელს . . . . . 1 ზარი
დარაჯს . . . . . . . . . . 2 „
ბუჰალტერს . . . . . . . . 3 „
მოლარეს . . . . . . . . . 4 „
სულ . . 10 ზარი

ამგვარად, თვითეულ თანამშრომელზე მოდის 2 ნახევარი ზარი, რაც აუცილებლად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

მართალია, თანამშრომლები ხშირათ იბნევიან განუწყვეტელ ზარის რეკით, მაგრამ დირექტორს განძრახული აქვს გახსნას ორწლიანი კურსები ზარის რეკის შესასწავლად, რის შემდეგ ზარის რეკა კალაპოტში ჩადგება.

ყველაზე მეტი გულის-ხეთქა და კანკალი უწევს მოლარეს, ხოლო ყველაზე უკეთეს პირობებშია საქმის-მწარმოებელი: ერთი დარეკის შემდეგ, მას შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს.

პოჩტარმა იცის, რომ თანამშრომლებს ის არ უყვართ მაინცდამაინც მისი ასეთი ბიუროკრატობისათვის. ამიტომ მას ბრაუნინგის რევოლვერი უდევს მაგიდაზეალბად ვილაცას მისთვის უსწავლებია, რომ: **„შიში შექმნის სიყვარულსო"**.

უმუშევართა კოლექტივის ფაბრიკიდან, სადაც პოჩტარი დირექტორად არის, თვით უმუშევრობამდე მუშგლეხინის ერთი ნაბიჯია,—ასე მოკლეა მანძილი მათ შორის.

## რა ვუყოთ რომ მთვრალია?—ეს ხომ ღვინის ბრალია!

ახირებული ხალხია ანასეულში, (გურია ოზურგეთის მახრა); არ იციან დრო და შერჩევა, თუ როდის შეიძლება ტყეში ხანძრის გაჩენა. ადგებიან და ტელეფონით ატყობინებენ ოზურგეთის მილიციის უფროს, (დიახ, ლავრენტი სოსელიას), რომ ტყეს ხანძარი გაუჩნდა და სასწრაფოდ მოგვეშველეთო. ატყობინებენ, მაგრამ ის კი არ იციან, თუ როგორ მდგომარეობაშია ამ დროს თვითონ ლავრენტი.

მაგრამ რა შუაშია აქ მორიგე ტელეფონისტკა კაშალის ქალი რომელთანაც შევარდა ლავრენტი და:

**უჯიქა, დაატუსაღა.**
**აღარ მოაკლო ზინება...**
**გამოფხიზლების შემდეგა,**
**ქალის გაშვება ინება.**



თურმე მთვრალი ყოფილა (ახალ წელს შეხვდა ტრადიციულად). არც გასაკვირია მისი ასეთი საქციელი; კაცს ღვინისაგან თავში თვითონ ჰქონებია ხანძარი და როგორ შეეძლო ტყეს მიშველებოდა?! „ჯერ თავო და თავო, მერე"... ანასეულის ტყეო!

# ცნობათა მიღება

**ბახმაროს რწყილს.** თუმცა კბენა ისეთი გცოდნიათ, რომ ბახმარო კი არა, ვაკიჯვარის ორღობეც არ იუკადრისებს თქვენისთანა „ნაზ“ არსებას და იმასაც კაკალ შუა ზაფხულში, მაგრამ არ შეიძლება, ამხანაგო, მაინც ლაზარეს იმდენად „მორიდება“, რომ იგი უბრალო ვირს მიამსგავსოთ. ვირი ხომ სულელი არსება გგონიათ, წარმოიდგინეთ: ეკლესიაში ჯვრის საწერად შესვლას ისიც ითაკილებს ამ ხანაში, როგორც ეს ლაზარეს მოუმოქმედებია თქვენდა აღსაშფოთებლად.

გარნა, არც ჩვენი იმდენად „მოურიდებლობა“ ვარგა, რომ მოგვიწოდებთ:

„დღეს, ხომ იცი, რომ ტარდება
ჩვენში, კულტ-რევოლიუცია
ამ საკითხის გავრცელება,
მასთან ანტი კამპანია“-ო (ხაზი ჩვენია)

კულტ-რევოლიუციის საკითხში ჩვენ გეთანხმებით. დაგეთანხმებოდით ანტი კამპანიის საკითხშიაც, რომ ვიცოდეთ, თუ რომელ და როგორ კამპანიაზე გაქვთ მუსაიფი.

საერთოდ კი „ანტი-კამპანიისტად“ ჩვენ ვერ გამოვდგებით.

**ხვიშპას.** გმადლობთ, რომ ბათომის „ზაკტპოს“ ამბავი ასე „ვრცლად“ გვაცნობეთ. ამ „ლექსიდან“ ჩვენ ის-ღა გავიგეთ, რომ გამგე დოლიძე და ნოქარი ფოცხიშვილი გაუსახლში მიუბრძანებიათ. არ სჩანს მხოლოდ, თუ რისთვის მიაბრძანეს. აქ მოხსენებული ქანქარი ნაკლებათ ჰფენს ნათელს საქმის ვითარებას.

ამ თავსამტვრევად გადაქცეულ საკითხს თქვენი ლექსის ვერც ეს ტაეპი შველის:

„სახლში მიართვეს იმ ქალებს
თუ არ უწევდათ ფართალი
და აირია ყოველი
დიდხანს ვერ ვპოვეთ მართალი“-ო.

ჩვენც სწორედ ამ უკანასკნელ სიტყვას ძივსდევთ და ვერ ვპოვებთ. ძალიან გვეინტერესებოდა გაგვეგო, თუ, სახელდობრ, „რა მიართვეს იმ ქალებს“?!.

**ძოკია დარასელიას.** თქვენ, შეკითხვის სახით, გვწერთ:

„3 თვის ვაი-ვაგლახით შემონახულმა ხელფასმა (თვეში მეძლევა 40 მანეთი) ძლივას შემძინა ერთი მთელს ჩვენს სოფელში ქალების სალაპარაკოდ გადაქცეული „კოსტიუმი“, რომელსაც აქვს 17 ჯიბე... დღიდან ყიდვისა ვატარებ, მაგრამ ვერ გამომირკვევია ჩემისთანა 40 მანეთიან კაცს, რომელსაც თვის ბოლოს მრჩება, გათვალისწინებული ხარჯების შემდეგ, 10 მან. 7 კაპეიკი, რად მოვიხმარო შარვლის 5 ჯიბე, ჟილეტის 6 და პიდჟაკის—6 ცალი?.. გთხოვთ მიპასუხოთ და დარიგება მომცეთ, თუ რა შევინახო ამ ჯიბეებში და როგორ გავატარო შემდეგ ისინი პარად ბუღალტერიაში“-ო.

ამ შეკითხვის გამო, თქვენს მწუხარებასთან ერთად, ჩვენს მწუხარებასაც არ შიეცა საზღვარი. 10 მანეთისა და 7 კაპეიკის ნაცვლად, რომ ერთი მანეთი და 70 კაპეიკი გრჩებოდეთ ჯამიგირიდან ყოველ თვეში, მაშინ თქვენ მიერ მოცემულ შეკითხვაზე ჩვენი პასუხი იქნებოდა მოკლე და მკაფიო: „ჩაიდევით თითო ჯიბეში ათ-ათი კაპეიკი—თქვა“. ჯიბეებიც დატვირთული იქნებოდა, ამოცანაც გადაჭრილი და თქვენცა და ჩვენც მწუხარებისგან თავისუფალნი. ახლა კი, წარმოიდგინეთ, თავი ვატეხეთ 10 მ. და 7 კაპეიკს, მაგრამ არ იქნა, თანასწორად ვერ გაუნაწილეთ ის თქვენს 17 ჯიბეს.

ასეთია მწუხარება ზედმეტი ფულისაგან!

გარნა, 17 ნაცვლად, 19 ჯიბე რომ ჰქონოდა თქვენს „კოსტიუმს“, წარმოიდგინეთ: განაწილება უსისხლოდ მოგვარდებოდა!

ასე ძნელია ჯიბეების სიმცირე ახლად შეძენილ „კოსტიუმზე!..“ თქვენ კი იმაზე სჩივით, რომ „კოსტიუმს“ 17 ჯიბე აქვს. მოუმატეთ თქვენ თითონ ახლა ორი ჯიბე და თითოში არხეინად ჩაიწყობთ 53 კაპეიკს თქვენი 10 მანეთისა და 7 კაპეიკიდან,

**წუმწუმას.** წუმწუმა რომ ცოტას მოიწუმწუმებს, ეს ფაქტია, მაგრამ „ტარტაროზს“ არ შეუძლია ყველა ასაფეთქებელ ნივთიერებას კვალ-და-კვალ მიჰყვეს: იგი მრუდს და მართალს არჩევს, უპირველეს ყოვლისა.

ამიტომ ვანიჩქას კიდევ ჰო, შესაძლოა, დასცხოს ჩანგალი, რადგან ის ფოსტას ხშირად სტოვებს და სახდროს დუქანში ნარდსა და კამათლებს შეექცევა. მაგრამ ძნელი გასარკვევია, თუ რისთვის უნდა აწყენინოს სკოლის გამგეს? იქნებ იმისთვის, რომ დუქანში ნარდის თამაშს თურმე მოწაფეებიც ადევნებენ თვალს?!. ყოველ შემთხვევაში თქვენ ამაზედ არაფერს სწერთ, ხოლო გეტბობათ, რომ ათვალისწუნებული გაქვთ სკოლის გამგის „თვალის პრაწვა“. ჩვენი დასკვნა ასეთია: სკოლის გამგე შესაძლოა „თვალს პრაწავდეს“, შესაძლოა არც თქვენ იყვეთ ამ „სენისაგან“ სრულიად თავისუფალი, როგორც „კორი“, თქვენივე გამოთქმის თანახმად. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სწორი ხედვა კი ორივეს გაკლიათ: როგორც თქვენ, ისე სკოლის გამგესაც, თორემ ასეთის „შემოანხიებლური“ გამოთქმით, როგორიცაა: „მხოლოთ ესენი არიან სულ ტყვილა მაყურებლები“-ო, არ მოიხსენიებდით მოწაფეების დუქანში ყოფნას ნარდის თამაშის მოწმეებათ. სკოლის გამგე კი მიიღებდა სათანადო ზომებს მოწაფეების აქიდან გასაყვანად, რომ „თვალს არა თუ პრაწავდეს“, მცირეოდნად მაინც უჭრიდეს.

**„უტუს“.** – თქვენს ლექსში ძალიან მოსაწონია და დროულიც ერთად ერთი ტაეპი, როცა სოფლის ხუცესი მოსთქვამს თავის ბედზე-

„ასე გამომადურაქა
ცრემლის ჰრის დღეხ ლიზამ,
საბჭოების არჩევის დროს.
ალმათ, ვარესს მიზამს“-ო

აქ, ამ ერთ ტაეპში სავსებით მოცემულია როგორც ძველი, წარსული წელი, ისე ახალიც, რომელსაც უპირველეს ყოვლისა ახასიათებს საარჩევნო ციებ-ცხელება. ხუცესი მართალია: წლითი-წლობით უარესი ხდება მათი მდგომარეობა. რას იზამთ: ასეთია „განგების“ კანონი!

# 1 თებერვლიდან

მასიური მუშური
გაზეთი

# „მუშა"

ეღირება მხოლოდ **2** კაპ.

გაზეთი „მუშა", მიზნად ისახავს გახდეს პოპულიარული და მუშათა ფართო მასებისათვის სავსებით მისაწვდომი, როგორც შინაარსით, ისე ფასით.

გაზეთი „მუშა" გამოვა შემცირებული ფორმატით.

---

გაზ. „მუშა"-ზე ხელისმოწერის პირობები:

გაზეთი ეღირება

1 წლით—5 მან.
6 თვით—2 მ. 60 კაპ.
3 თვით—1 მ. 35 კაპ.
1 თვით— 50 კაპ.

ჟურნალ „ტარტაროზი"-ს დამატებით გაზეთი ეღირება

1 წლით—7 მ. 40 კაპ.
6 თვით—3 მ. 80 კაპ.
3 თვით—1 მ. 95 კაპ.
1 თვით— 70 კაპ.

პოლ.-ტრესტის მე-5-ე სტამბა. ჭამოს ქ., 62

# კოვზი ნაცარში

ნახ. ნადარეიშვილის



ტარტაროზი № 6—(190)

წელიწადი მეექვსე
კვირა, 3 თებერვალი
1929 წ.




ნახ. ნადარეიშვილის

# ჯ ი ბ რ ი

„კელოგის პაქტის შემდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოები უფრო მეტად იარაღდებიან“.

„ერთა ლიგა სრულ უსუსურობას იჩენს მშვიდობიანობის მოგვარებაში“. (გაზეთებიდან)

ჩემბერლენი: — ეს ყუმბარა ისეთი ფირმის არის, რომ ყოველმხრივ ყალიბის ზარბაზანს უდგება.

ნახ. დონის



კულაკი (ამომრჩეველს)!—შენ მე მიწევ ხელს არა?!



— დიახ, შენ... კულაკი ხარ!

# ფასი ორი შაური

რედაქციას მიზნათ აქვს დასახული—ჩვენი ჟურნალი კიდევ უფრო მისაწვდომი გახადოს მშრომელთა ფართო მასებისათვის.

ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, გავაიაფეთ ჟურნალი და დღეიდან ცალკე ნომერი ეღირება ორი შაური.

„ტარტაროზმა" ერთ დროს (ეს იყო 1926 წელში). მომჭირნეობის მიზნით შეამცირა თავისი ფორმატი და გამოდიოდა რვა გვერდზე.

ამით ჩვენ გვინდოდა მაგალითი მიგვეცა ზოგიერთ ჩვენი სამეურნეო მუშაკებისათვის, რომლებიც მხოლოდ სიტყვით ატარებდენ მომჭირნეობას, ხოლო სინამდვილეში კი არაფერიც არ გაუკეთებიათ ამ საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი სავსებით არ გამართლდა.

როცა ჩვენმა მტრებმა დაინახეს „შემცირებული" ტარტაროზი", სიხარულით ცას მისწვდენ:

— მასე მოუხდება „ტარტაროზს"... ეკრეჟიმმა ეს ერთი მაინც კარგი საქმე ჰქნა ,რომ „ტარტაროზი"-ს გვერდები შეათხელა. აწი უფრო ადვილად გავუძვრებით; რვა გვერდში ყველას ხომ ვერ ჩაგვტევს?!.

მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მათი სიხარული. ორი თვე არც კი გასულიყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს (18 ივლისი 1926 წ.) „ტარტაროზი" ისევ თექვსმეტ გვერდიანი გამოვიდა. მაშინ კი ჩამოჰყარეს ყურები და დაფაცურდენ:

—თუ მეტი უნარი და მუყაითობა არ გამოვიჩინეთ, წახდება ჩვენი საქმე.

* * *

დაიწყო „ფასების დაკლების", „თვითღირებულების" შემცირების" კამპანია.

მართალია, ეს კამპანია ასე თუ ისე გატარდა, ცხოვრებაში, მაგრამ ხშირად ადგილი ჰქონდა მის დამახინჯებასაც.

ზოგიერთებმა „თვითღირებულების ასანაზღაურებლად გააუარესეს პროდუქციის ღირსება.

როცა „ტარტაროზი" ასეთი მოვლენების წინაამდეგ ხმას ამოიღებდა, ზოგიერთები მას უსაყვედურებდენ:

— შვილოსა, რაღა ჩვენ გვეუბნები! „გააიაფება" თუ კარგია, შენც გააიაფე შენი ჟურნალი და მაშინ ნახავ თუ არ გაუარესდეს ჟურნალის შინაარსი და ღირსება!

ჩვენ უკან არ დაგვიხევია.

გამოწვევა მივიღეთ და მათი შენიშვნაც ურიგოთ არ გვიცნია. მართლაც, საჭირო იყო უკან არ ჩამოვრჩენოდით საერთო ფერხულს და....

გავაიაფეთ ჟურნალი.

დღეიდან „ტარტაროზი"-ს ცალკე ნომერი ეღირება მხოლოდ ორი შაური.

მაგრამ არავინ იფიქროს, თითქოს ჩვენც ისე მოგვივა, როგორც ზოგიერთ ჩვენს სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც გაიაფების ასანაზღაურებლად პროდუქციის ღირსებას აუარესებენ.

არა.

ჩვენ, პირიქით.

ამ ბოლო ხანებში ჩვენ შევსძელით საგრძნობლად გაგვეუმჯობესებია ჟურნალის შინარსი და ღირსება.

ამას ხედავს მტერიც და მოყვარეც.

ჩვენში ასეთი იუმორისტული ჟურნალი, რომელიც სისტემატიურად გამოდის ექვსი წლის განმავლობაში, არასოდეს არ ყოფილა.

ჟურნალის გარშემო შემოკრებილია საბჭოთა იუმორისტები და ახალგაზრდა მხატვრები. შექმნილია თანამშრომელთა მუდმივი კადრი, რომელსაც ემჩნევა წინსვლა და დახელოვნება.

ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ნაკლი და შეცდომები, მაგრამ თანდათანობით გამოსწორებული იქნება ეს დეფექტები და „ტარტაროზი" საბჭოთა პრესის ღირსეული და საამაყო თანამოძმე გახდება.

* * *

ეხლა კი ჩვენი ლოზუნგია: „ტარტაროზის" ყოველი მკითხველი, და არა მარტო მკითხველი, ამ უკანასკნელის მსმენელიც კი უნდა გახდეს „ტარტაროზის" ხელისმომწერი.

ტარტაროზი

# არჩევნების წინ

### ვაჭარი

ვაი, ეს რა დრო დაგვიდგა,—
ლამის მოვიკლა თავი;
სავეცკი ლასტი ჩემთვისა
არის სულთამხუთავი.

### ნათავადარი:

ემაგ დღეში ჩასაგდებად,
გეო, არ მემეტები;
მოდი, გაჯავრებულ გულზე
ვთქვათ რაღაც კუპლეტები.

### ვაჭარი:

ძმაო, რა მეკუპლეტება,—
ხომ ხედავ გამაცია:
ცხვირზე მეჭეჭივით მაზის
ეს კოოპერაცია!..

### მღვდელი:

მეც, ემაგათ შემყურესა,
ლამის დამცეს დამბლა;
ვსტირი, როცა მაგონდება,
ძველად, კოლიო, ტაბლა!..

### კულაკი:

რავქნა, კულაკს მეძახიან,—
არაფერს მაკარებენ;
როგორც ვატყობ, სოფელშიაც
აღარ გამატარებენ!...

### მღვდელი:

ფოფოდია ტარანს მოგავს,—
წინად მლივს სძრავდა გავა!
ბლაღოჩინიც მასზე მიტომ
ხშირად მიწყობდა დავას!..

### მკითხავი:

ომიც არვინ აუტეხა,—
რომ მოგვცემოდა შვება:
ქა, ამათგან გაგონილა
აქე თავის აშვება?!

### ნათავადარი:

ეხლა ამათ დამხობასა,
თურმე ცოტა აკლია;
კრუგომ, ყველგან ალყას არტყავს
ჩვენი მხსნელი ანგლია.

### ვაჭარი:

„ვიდრე პეტრე მოვიდაო,
ტყავი გააძვრეს პავლეს...“
თუ კი რამე შეუძლია—
რატომ ხელს არ ჩაავლებს?!

### კულაკი:

მე დღეს მხოლოდ საბჭოების
არჩევნები მაწუხებს...
ყოველი მხრითა მრიყავენ—
და მიჭერენ მარწუხებს!..

---

ღარიბ და საშუალო გლეხს
ჩემ წინააღმდეგ რაზმავენ,
და ჩემს მოჯამაგირესაც
ამ აზრებით სწამლავენ...

---

იმათ საბჭოში ირჩევენ,—
მე კი მიჭერენ პანღურს;
ო, ნეტავი ვინ იქნება
რომ მომაქცევდეს თვალყურს?!

# „გულდაწყვეტილი“

ნახ. ნადარეიშვილის



— ეჰ როცა მოლარედ ვიყავი ტრესტში, მაშინ ხულში მიძვრებოდა, ეხლა კი ჩემს მაგიერ კატას უალერსებს.

### მკითხავი:

როგორც წინად ვერ მოქრთამე
შენ საბჭოს ვინმე წევრი?!

### კულაკი:

არაფერი გამივიდა—
თუმცა ვეცადე ბევრი!..

---

თავმჯდომარე მხარს მიჭერდა,—
როცა ვასმევდი ღვინოს,
ან როცა ჩუმად ვგზავნიდი
მასთან იმ ჩემ ცოლ ნინოს.

---

ეხლა იმასაც გაუგეს—
ადგა გასაჭირია;
გამოაგდეს. არ ირჩევენ,—
დაუშვია ცხვირია...

### ნეპმანი:

ველარც ჩვენი მომხრე გაგვყავს,—
მათაც უსინჯეს კბილი!..
პირიდან ლუკმა გვეცლება,
გემრიელი და ტკბილი!..

### მკითხავი:

ველარც საბჭოში გავძვრებით,
ვერც რამ კომისიაში,
ეხლა ჩვენ ჩარიცხული ვართ
ყველანი „შავ სიაში“!..

### ყველა ერთად:

რა ვქნათ, აღარსად რა გაგვდის,—
და, ვართ ამათ ხელშია!..
ღმერთი კარგს ნურაფერს მისცემ,
ვინც რომ გვიჭერს ყელშია!

[stamp]

# ბაზარზე

ნახ. დონის



კაცს როცა შეშუფანჯში არ მოსდის, კიტრიც რომ **პალტო ახალია!**

**— ვაჰ... სამი დღის წინედ ოც მანეთად გავყიდე ეს პალტო..., რაც ახალია განა მე არ ვიცი?!**

# პარიკმახერი ზამბახ მიხაკიჩი
## საავადმყოფოში

კაცს როცა შეშუფანჯში არ მოსდის, უიტრიც რომ დათესოს, ნიახური ამოვა. 1928 წელი ჩემთვის ძალიან ბითური წელიწადი იყო. ჯერ სახელოსნო გამიცარცვეს, მერმე ცოლი დამიორსულდა მეშვიდეთ. მაისში ქალიშვილი ჩამივარდა ლოგინად და აი ეხლა კიდევ მე გამიწყრა ის შეჩვენებული ღმერთი.

— განა რა შემოსავალი მაქვს, რომ ყოველ ამ ჭირს გაუძლო! დღე და ღამე რომ ვპარსო და ვკრიჭო, მაინც დახლში ბევრი არა დაჩხარუნდება რა. გარედანაც ეხლა საგრძნობი შემოსავალი არა მაქვს რა.

მენშევიკების დროს არიფები დიუჟინობით ეტანებოდნენ ჩემ ჩინგალს. ფაჩულიას და კედიას მე ვალამაზებდი. კავშირი მათთან კარგი მქონდა და სხეირო კომბინაციებსაც ვაკეთებდი. ვის დავატუსაღებდი, ვის საპყრობილედან გამოვაშვებინებდი. ამას გროშები მოსდევდა თან. ერთი ვაჭარი გაგზავნეს ყარაიაზში შეშის მოსაჭრელად. გამოვაპარე... იმ მამაცხონებულმა ჟორდანიას ბონები დასტა-დასტა დამიწყო წინ. სხვა ამგვარი წყაროები ბევრი მომეპოვებოდა, ერთ სუქან ლუკმა პურსა მეცა ვჭამდი და სხვებსაც ვაჭმევდი.

ეხლა ეს ნუმრები აღარ გამდის. მენშევიკების მთელი წესწყობილება თითონ კომბინაცია იყო. მთელი დღე ფეხზე ვდგევარ და ვაჭრიჭინებ ჩემ დაჩლუნგებულ მაკრატელს. ხანდისხან ძალიან ასტოროჟნათ გავიხსენებ ძველ დროს ხელის კანკალით ერთ-ორიოდე შაურს გამოვცინცლავ ვინმე ბუნებისაგან დაჩაგრულს.

აი ერთი მაგალითი: —

გუშინწინ ერთი თავმოსვლეპილი ფრანტი შამომივარდა სახელოსნოში. თავი ისე უბჭყრიალებდა, როგორც ელენკა მამილას დანაყული აგურით გაწმენდილი სამოვარი. ვიძახი: — ამ კაცს რა უნდა ჩემთან! როგორც ცნობილი მონადირე გიორგი ჯანოაშვილი კურდღლებს ვერა პოულობს სოღანლუღის მინდვრებზე, ისეც მე იმას თავზე ერთ ღერო თმას ვერ ვიპოვიდი.

— ზამბახ მიხაკიჩ, შენა ხარ?

— დიახ, მე გახლავარ! —

— შენთან მომასწავლეს და მოველი; თმის ამოსასვლელი წამალი უნდა გამიმზადო. რა ეღირება შენი განთქმული წამალი?

სიხარულისაგან ტვინში გამიელვა. ამ კაცს ერთი კიდევ დავაცქერდი და მოსვლეპილ თავზე კარგი პროფესორივით ხელი მოუსვი. საქმე არა გაქვს, როგორც პარკეტნი პოლზე თმა არ ამოვა, ისე იმის თავზე, მაგრამ ჩერვონცის სუნი მეტაკა ცხვირში, ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდა—ხუთი მანეთი ამთავით გამოვართვი და ერთ ათ მანეთსაც წამლის ჩაბარებისას გამოვართმევ. ამ თვეში ეგ მეორე კომბინაცია იყო. პირკულოვის თმის შეღებვაში ლახუსტაკით ავიღე ათი მანეთი და ეხლაც ხუთმეტი მანეთით დაუმშვენებ თავს „ხუჭუჭი პრიჩოსკით“ ჩემ ახალ მუშტარს.

მაგრამ, ქართულად ნათქვამია, ქარის მოტანილს, ქარი წაიღებსო, წაიღო, გენაცვალე და ჩემიც ზედ დაუმატა.

აი, როგორ: კვირას მუცელი ამტკივდა; ორშაბათს სკორი პომოშჩმა წამიყვანა პროფესორ მაჭავარიანის ხირურგიჩესკი საავადმყოფოში და ორი საათის შემდეგ დამდეს საოპერაციო სტოლზე. ბრმა ნაწლავი ჩაჭირქებია და უნდა ამოგჭრათო. ოპერაციის ნება მე არ მივეცი. მე ამოსაჭრელი არაფერი არა მაქვს და სუყველაფერი თავის პარიადკაზე მაქვს მეთქი. ვინ დაგიჯერებს. დგანან და ლესამენ ათასნაირ ინსტრუმენტებს. ბიჭებისაგან გამეგო, რომ თითონ მაჭავარიანი განთქმული სპეცია ამ საქმისა და მე დავთანხმდი იმ პირობით, რომ ოპერაციას თითონ პროფესორი გამიკეთებდა.

მასლას, დაიწყო ჩემი წამების წუთი; ერთი ათიოდე ექიმები და სესტრები ისე დამტრიალებდნენ თავზე, როგორც ტერტერები ცხედარს. პროფესორმა ორი ნაჭერი საპონი გაცვითა ხელის დაბანაში. მეც სტოლზე ისე ვარ გაჭიმული, როგორც დარჩო ჯავახიშვილის კუნძზე სამ ფუთ ნახევრიანი ფოილოს ლოქო. სტოლზე თოთხმეტ შაურიან ვარიასავით მიმაბეს და თვალები ამიკრეს. ჩემ გულს ვანქის ზარებივით დაგა-დუგი გაჰქონდა.

შეიქნა ისეთი სიჩუმე, რომ ბუზის ფრინვა სტრუნი ორკესტრი გეგონებოდა. პროფესორმა მუცელზე ხელი დამადო, რითაც შიშის თავზარი დამცა. მე ყვირილისთვის მოვემზადე და პროფესორმა კი რომანსების მღერა დაიწყო. მე ჩემი კომბინაციები აქაც არ დამავიწყდა.

ვნახე, რომ პროფესორის თავს ქოჩორი არ ამძიმებდა და დავპირდი, თუ რომ ოპერაცია მშვიდობიანათ ჩატარდებოდა, მე მას გამოუგზავნიდი ორ ფლაკონ ჩემი სისტემის თმის ამოსაყვან წამალს.

სიტყვა ყანყრატოში გამიჩერდა, ხირურგმა მუცელი ისე ჩამიფხრიწა, როგორც თექვსმეტ კაპიკიანი მიტკალი. ვიყვირე და მემრე რა ვიყვირე—შალიაპინს მიუქარნია.

# ესეც საარჩევნო ორომტრიალი

ნახ. დონის




— მთელი წლის განმავლობაში თითქმის კარიც კი არ შეუღიათ შიგ და ეხლა რაღაც ძალიან კი ასუფთავებენ ამ ჩვენი საბჭოს შენობას!

— რას იზამ! ახალ საბჭოს ამ ძველის ნამყოფ ბინაში ისე არ შემოესვლება, თუ ის წინასწარ არ გახუფთავდა.

ლელი ჯაფარიძე, რომ იქა ყოფილიყო, თვეში ორას თუმანს დამინიშნავდა და ოპერაში წამიყვანდა, მერე მუხტაროვის ქალივითი გატიტვლებული ვიყავი.

მაგრამ ამით არ გათავდა საქმე. ბრმა ნაწლავი სიმწვავისაგან მოგრეხილიყო და ძნელი საპოვნელი გახდა, პროფესორი ისე ურევდა ჩემს ნაწლავებში ხელსა, როგორც ხაშის კერძის ჯამში. ბოლოს როგორც იყო იპოვნეს ის ოხერი ბრმა ნაწლავი და ჩალაღაჯის წკეპლასავით ამოსჭრეს. მემრე მეჩუსტე ყაზარასავით ექიმმა აილო. ხელში სადგისი და ნემსები და გამიკერეს მუცელი.

ორ კვირაში ძლივს მოველი ჩემ ლოგინზე. თურმე ნუ იტყვი, პროფესორმა მე სიკვდილს გადამარჩინა; ვენაცვალე იმის გამბედავ მარჯვენას. ეს ოხერი და ტიალი აპენდიციტი, როგორც სესტრები იძახოდენ, თურმე ხოლერაზე საშინელი ყოფილა. სახლში რომ დავბრუნდები, ცოლშვილი უნდა პროფესორ მაქავარიანთან გამოვრეკო ბრმა ნაწლავების შესამოწმებლად. დე თავის დროზე ამოსჭრის, თუ რომ აპენდიციტი მათ თავის პარიადკაზე არა აქვთ. მემრე გვიან იქნება და ჩემსავით საიქიოს გრანიცაზე ყოფნა დასჭირდებათ.

ნეტავ მამაჩემი მიხაკა რომ ავად გახდა, მაშინ ყოფილიყო მაქავარიანის საავადმყოფო, ხომ გადავარჩენდი სიკვდილს. მაშინდელი ჩვენი ხირურგი იყო დალაქ სოსიკო. ცხონებული მამაჩემი გაშინჯა და ალმოუჩინა ფურდის ქარი. თუმცა სოსიკომ ორმოცი წურბელა მოიკიდა ფერდში, მაინც მამაჩემმა სამ დღეში ფეხები გაჭიმა. ეხლა ვხედამ რალა, რომ მამა ჩემსაც აპენდიციტი აწუხებდა.

აბა ბიჭებო, ვისაც მამაჩემთან იმსაიქიოს კონჩიხკის თამაშობა არ გინდათ, ამოაჭრევინეთ ეგ ტიალი და ვერანა ბრმა ნაწლავი.

ვინმე



## სად ყოფილა ძაღლის თავი

ნახ. ნადარეიშვილის

— რატომ ასე მორიდებითა და პატივისცემით ეპყრობიან უფროსები მემანქანე ქალს?!

— ეს იმიტომ, რომ გაიგეს — გამგე ცოლს უშვებს და... გამგე კი მემანქანეს ეარშიყება!

# საარჩევნო „თაიგული“

### პროლოგი

საბჭოთა არჩევნებისათვის
ყველგან დაიწყო მზადება;
თავი გამოყვეს სოროდან
სხვადასხვა არამზადებმა:

სოფლის წერბელა კულაკი,
მღვდელი და ნახუცარია,
მევაჭრე-ნათავადარი
დღეს რომ დაუდგა მწარია;
ქსელებს ხლართავენ ყოველგან
კულაკები და ალები.
გავიცნოთ მათი წადილი
და ბნელი გულის ზრახვები.

### მღვდელი და დიაკონი

ეკლესიები დაკეტეს,
წაართვეს ხატებს ბინაო;
აღარ ყოფილა, დავრწმუნდით—
„უფალო ცათა შინაო“.
სამასხარაოთ აგვიღეს

მღვდელი და დიაკონიო;
დავკარგეთ: ძველი დიდება,
ძველი ქადა და ქონიო
ძველი ქელეხი, ქორწილი,
ტაბლები, ჯვარისწერაო,
ხაჭაპურები, ქეიფი
და ჩარირამას მღერაო.

აღარ გვიხმობენ ნათლად
აღარ ვართ ტოლუმბაშიო,
და მწევარივით მიგვახმა
ერთ დროს მსუქანი ფაშვიო.
ძველ დროში ღაბაბიანი
პუტკუნა ფოფოდიაო,
ძვალად და ტყავად ქცეულა
და ძველ მჩვარივით გდიაო,
შემოტრიალდა უკუღმა
მღვდელ-დიაკონის ბედიო,
ცოლები გვეჩხუბებიან
„კომსომოლაში“ შედიო.
საბჭოს არჩევის უფლებაც
კი ჩამოგვართვა მთავრობამ:
არ უნდა ჩვენი კურთხევა
და ჩვენი „თანამგზავრობა“.
მაგრამ ჩვენ მაინც მოვიხმართ
ხრიკსა და კომბინაციას,
რომ არჩევნებში გავიდეს
ჩვენი ერთგული კაცია.

### კულაკი

ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ხელობა;
მიყვარს ღარიბი გლეხების
ტყავის გაძრობა, მელობა.
სოფლის ბობოლა გახლავარ,
მევახშეობით ქებული,
ფაშვი მაქვს „მაშკა“ ღორივით
გაბღენძილ-გასუქებული.
მაგრამ ჩემს სარჩო-მოგებას
არა აქვს დოვლათ-ხვავია:
სასოფლო გადასახადით
გამაძვრეს ქურქი, ტყავია
ბოლშევიკებმა შემყარეს
ათასგვარ ხათაბალასა
გადაიბირეს გლეხები,
აღარ მაძლევენ ღალასა.
რომ გავაძვრენდე საბჭოში
ჩემს მომხრე კანდიდატებსა,
არ დავიშურებ პურ-ღვინოს,
ინდაურებს და კვატებსა.

### ნათავადარი

ჩვენსა მფარველ ნიკოლოზს
დაემკვიდროს ცხონება:
მის დროს მქონდა დიდება,
სიმდიდრე და ქონება.
ღმერთმა დიდხანს მიცოცხლო!
ქორდანიას წვერიო,
იმის დროსაც ღალას მე
მიზიდავდა ერიო.
დღეს კი საბჭოს არჩევნებზე
„ქამფეტიც“ რომ მიწიკო,
ფეხს არ გავდგამ, გეფიცები,
(ვინ ამირჩევს ბიძიკო).

### მენშევიკები

ჩვენ კომუნიზმი არ გვინდა,
ვართ საბჭოების მტერია,
ჩოჯს ქიდონზანს მოველით,
ქალარა გამოგვერია.
იგი იზიდავს ჩვენს გულებს,
ვით რკინას ანდამატები;
(თქვენ კი გწყალობდეთ ნოესგან
გატაცებული ხატები).
ჩანგურს სიმები აუბით,
მოვმართეთ ნელა-ნელაო,
შეუხმატკბილოთ ფაშისტებს,
ოდელა, დელა, დელაო,
ჩანგია ძველი ევროპა,
ჩვენ—ლაქიები ყველაო,
სოციალ-გამყიდველები,
ოდელა, დელა, დელაო.
საბჭოთა ხელისუფლებამ
სინათლე დაგვიბნელაო.
საქართველოდან გაგვდენა
და შავ ზღვას მიგვცა ყველაო
მღვდელი, ჩარჩი და ვაჭარი.
რომ დავიფაროთ ყველაო,—
არჩევნების დროს საბჭოში
გავძვრეთ ვით ტურა-მელაო.

**მედუზა.**

# არჩევნებზე

ნახ. ტაბატაძის



ამათაც „ამოირჩიეს“

# კულაშის კოოპერატივი

თუ გსურს შენც რომ ეღირსო
ფართალს ანდამატიანს,
მოიძულე თუმანი —
—„რეხვე კოპერაციას“!
(ადგ. კედლის გაზეთიდან)

გადავწყვიტე წიგნაკი
მეყიდა მარკებითა,
გადვიხადე თუმანიც
თავის დამატებითა.
ამისათვის სამსონიც
(კიკაჩეიშვილია)
გადვიკიდე — ვერ მიცნო
მეგობარი ტკბილია.
თუმც პირველად თეითონ მიცნო
მეგობარ-მოყვარედა
(როცა ლხინში გამეცნო
ეპოს თავ-მჯდომარეთა)
ასე იყო, თუ ისე,
გავხდი ეპოს წევრადა,
მაგრამ დღესაც წიგნაკი
მიძევს უმუშევრადა.
როდესაც აქ საქონელს
აუცილებლობისას
მოიტანენ და სურვილს
ალგიძრავენ ფლობისას,
ნოქრამდე ვერ მიაღწევ
კაცი და ვერც სატანა,
—საჭიროა ამისთვის
ჭალთა გუნდის გატანა.
თვით ის ქალი, რომელიც
სცხოვრობს თავის ნებაზე
და ვერა დროს ვერ ნახავთ.
ქალთა მორიგ კრებაზე, —
თითქოს ჩასჩურჩულებდეს
საიდუმლო რადიო:
„საქონელი მოსულა,
ადე ქალო, წადიო!“.
მოდის წითელ წიგნაკით
ცისკრის ამოსვლისასა
და ცსწრებე თავიდან
გახსნას საქონლისასა...
ისე დამწკრივდებიან,
ვით ველური იხვები—
(ამათ ხომ ვერ მიასწრებ,
თუ წინ დღით არ მოხვედი)
არის წიწევ-მოწევა,
არის, აურ-ზაური,
ნოქრისადმი ფეშქეშად
ისმის „ქათინაური“:
„ამ პაპიროსს რად მაძლევ
მე ხომ არ ვარ მწეველი?!.
„მაგას ველარ წავიღებ,
დარჩეს გაუხვეველი!“.
„ეს საკაბე მომეცი,
მალე დამიარშინე!“
„რა ხანია რომ გიცდი,
დროზე გადამარჩინე!“.
„ამას ასე რომ ჰრიდი,
მიიხარ, თავი სად გება?
ეს საკაბედ მოკლეა,
რაში გამომადგება?!“.
ველარ შევძელ, შევბმოდი
ქალთა ძლიერ ძალასა,—
(მარად ვცდილობ, გადავრჩე
ამგვარ ხათაბალასა).
ამათ დავიდარაბას
...ეუხკიე გვერდი და...
...ვენს აბრამას აღმოხდა
...ხარული მკერდიდან.
მიტკალი და სხვა ჩითი
მომიზომა აღლობით—
—ფულისაგან დამცალა
და ამავსო მადლობით.
...ალოშები მინდოდა
... ტალახთა ქროთამათა.
...დღესაც კი გულს მიღონებს
...ს სურვილი და მადა).
კალოშების მოტანა
მეგობარმა მახარა,
მაგრამ ახლოს რომ მიველ,
ლხინი სევდამ გახარა.
...ქ კალოშთა გროვაში
...ითი ცალიც არ იყო,
...ავის სიგრძე-სიგანით
...მთვის გამომდგარიყო.
ჩემი სარგო კალოში
ალბად ტრესტში ჰკიდია
და ამიტომ აქამდე
მე ის ვერ მიყიდია.
...ჩვენო მაღაზიავ.
...უმც მუდამ ხარ ღიავ,
...აგრამ შენგან კარგი რამ
ჯერ არ მიყიდიავ“.

ღარიბა.



— „ჩვენ ამიერიდან ევროპას სესხი არ უნდა მივსცეთ, რადგან ის ჩვენი ფულით იარაღდება“.
(ამერიკელ დეპუტატის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვიდან).

შეჰყარა ტლინკი და ძროხამ
მთელი ნაწველი დაჰღვარა,
და უთხრა აწი მე თქვენთვის
ალარ ვიწველი, ალარა. —

ნახ. მარუშის

# სცენა ტელეფონთან
## (ჭათურა)

წკრრრრ!... აჰ? საიდან არის? სადგურია? მომეცით ქვაციხის თემი. აჰ? მზათ არის? გმადლობთ! წკრრრრ! საიდან? კაცხის თემია? რომელი ხარ შენ? რაო? აა! კიმოთე ხარ? გამარჯობა შენი! რავა ხარ, ბიჭო? ხომ ხარ გულბოყვში მაგრათ? რაო? სალაეთიდან კაცხის თემამდი გზის კეთებამ გაგიჭირვა საქმე? რატომ, ბიჭო? რაო? რამდენიც გააკეთე, იმდენი წყალმა წაიღო? მაგი სულ უბრალო საქმეა. როგორ? როგორ და—ამოუღე გვერდზე კანავო და აღარ წაიღებს წყალი! ასეა, ჩემო კიმოთე; უნდა იცოდე გზის კეთების კანონი... ბიჭო, კიმოთე, რა გითხრა იცი? ერთი ამბავი გავიგე და თუ მართალია, თუ ძმა ხარ ნუ დამიმალავ. რაო? რაი, და მე მითხრეს —კაცხის თემში მღვდლებს კონფერენცია ჰქონდათ ეპისკოპოსის მეთაურობით და თუ ეს მართალია, რა დაადგინეს? აჰ? „მამაო ჩვენო“ იგალობენ ინტერნაციონალის კილოზე? ვაი მაგენის პატრონს უბედურს! მაგითი უნდათ მოატყუილონ ხალხი!? უკაცრავათ, ვერ ჭამა კატამ ოხრახუში-თქო ასე უთხარი...

რაო? კოოპერატივზე გინდა რამე მკითხო? რომელზე კაცო; ჩვენ მუშკოოპზე? რა გინდა სთქვი. აჰ? საქონელი თუ მოდის თავის დროზე? როგორ არა, ამ ზამთრის პირას იმდენი მოიტანეს თეთრი ჩითი, რომ მყიდველიც აღარ იშოვება ბაზარზე. მოიტანეს: გიტარა-მანდოლინა და სხვ. ერთ დღეს, ბიჭო, მუშტარი რომ აღარ ჰყავდათ, ჩვენი კოოპერატივის ნოქრებს დაეკეტათ მაღაზია და ისე უკრავდენ, რომ პირდაპირ კონსერვატორიას მოგაგონებდა.

რაო? მიცვალებულის გასასვენებლად ერთი მეშოკი ბრინჯი გაატანეს სოფელში? როდის კაცო? ამას წინად? არ ვიცი ძმაო! თუ გინდა გაატანეს რა უყოთ მერე? გესმის! ალბათ, ბიჭო სიცოცხლეში ვერ უშონია განსვენებულს ბრინჯი და გასვენების დროს მაინც გამოძღებოდა მაგრად. ჰო! რაც სიცოცხლეში დააკლდა კვდარს უნდა აჭამონ. რაო? კიდევ უნდა მელაპარაკო რისთვის? საკითხავი გაქვს კიდევ? კარგი ჯანდაბას შენი თავი შემდეგისათვის გადავდებ ტატოსთან ლაპარაკს. როგორ? წარმოდგენის გადადება თუ უხდებათ ხშირად? კი, როგორ არა... ამასწინად ხალხი ადარაჯეს 11 საათამდე და მერე გადადვეს პიესა. ბიჭო, უნდა გეყურება — ბიტოლია რომ გამოვიდა საზოგადოების წინაშე, თვალ ცრემლიანი ავიდა ქანდრის მოაჯირზე და წარმოსთქვა „რეჟისურას“ სახელით სიტყვები: „ძალიან ვსწუხვართ სხვადასხვა ტეხნიკური დაბრკოლებების გამო, რომ გვიხდება პიესის გადადება“... ბიჭო, იმისთანა მწუხარებით სთქვა ეს სიტყვები, რომ თვალებზე ცრემლის ღვარი მოაწვა და კინაღამ დაიხრჩო. მაგრამ ღმერთმა უშველოს ელენა აბაშიძეს, რომ დროზე მიაშველა პლატოკი და ამოიწმინდა თვალები.

გესმის? ე, ბიჭო, გამიშვი დამანებე თავი მეჩქარება, გამიშვი ქვაციხეში, თვარა ტატო დამენდურება. აა? მზათ არის? მშვიდობით! წკრრრრ... აა? ქვაციხეა? რომელი ხარ შენ? სთხოვე თემის თავმჯდომარეს. აა? ტატო ხარ? გამარჯობა შენი. რავა გაქვს, ბიჭო, საქმე? ხომ ხარ ჩინჩახვში გვარიანათ? ხიდი დაამთავრე ბუჯაზე? ხიდი კი არა სასწავლებელიც დაასრულე?! მალადეც, ბიჭო, მალადეც! ახლა კი უნდა დატრიალდე როგორც ჯარა. რატომ? რატომ და ამ საბჭოების გადარჩევის დროს ყოჩაღათ უნდა იყო, თვარა მაგ შენ საზოგადოებაში ბევრი ყოფილი თავად-აზნაურობა და სამღვდელოებაა, და თუ მაგრად არ ამოდევი ლაგამი, ისევ დაიწყებენ ძველებურად ჩხიკინს. აჰ? ჰო! შენი იმედი ქე მაქვს, რომ შენ მაგათ არაფერს დაუთმობ. ასე, ჩემო ტატო სალაპარაკო კიდევ მაქვს შენთან მაგრამ შემდეგისათვის იყოს... მშვიდობით.

ადგილობრივი.

# სამი ხანა

ნახ. ტაბატაძის

I

„მე უშენოდ
ვერ ვიცოცხლებ,
მე არა მაქვს
გასაქანი.
მივეჯაჭვე
შენს ხარო ტანს
ვით მყინვარზე
ამირანი.
დამიჯერე:
წილი არ აქვს
შენს მშობლებსა
შენს შექმნაში...
მე შეგქმენი
ფანტაზიით,
გამოგზარდე
ოცნებაში.
ამოვკვეთე
მარმარილო,
შიგ ჩავბერე
ჩემი სული...
ახე გაჩნდი
ჩემი ევა,
სიცოცხლე და
სიყვარული.
მე უშენოდ
ვერ ვიცოცხლებ,
მე არა მაქვს
გასაქანი...
მივეჯაჭვე
შენს ხარო ტანს,
ვით მყინვარზე
ამირანი...
დამიჯერე,
დამერწმუნე
მე სხვა არ მყავს
შენისთანა...
ამის შემდეგ
კიდევ იტყვი —
არ გიყვარვარ,
არა, განა?
ნუ, ნუ სდუმხარ
ზენაცვალე;
მიპასუხე
ჩქარა: „ჰო... კი“, —
თორემ ჰერში
მიკიდია
დასახრჩობად
მსხვილი თოკი“.

—

მაგრამ ქალი
მაინც სდუმდა...
(ეს თანხმობის
ნიშანია).
სცხვენოდა და
ვერ ბედავდა...
(მასაც უყვარს
რა ხანია!).



ვაჟი რომ სიყვარულს უსსნიდა, ქალი სდუმდა და ისმენდა.



დაქორწინების შემდეგ, ცოლმა დაიწყო „ლაპარაკი“, ქმარი კი სდუმდა და ისმენდა.



ეხლა ორივე ლაპარაკობენ, ხოლო მეზობლები უსმენენ.

II

დაქორწინდენ.
უკვე გახდენ
ერთმანეთის
ცოლი-ქმარი.
ძველებურად
აღარ დაჰქრის
სიყვარულის
მძაფრი ქარი...
დრო გავიდა,
სულ ცოტა დრო, —
შეიცვალა
უცბად როლი:
ეხლა ქმარი
სდგას და უსმენს,
რომ კაპასობს
მისი ცოლი:
„გაგიცრუვდეს
ყოველივე
მისწრაფება
და მიზანი:
შევცდი შენ რომ
წამოგყევი
(არ ვიყავი
გულთმისანი).
გამაბრიყვე,
შემაცდინე...
ო, გაგიხმეს
შენ მაგ ენა...
შენს ხელში არ
მელირსება
არასოდეს
შვება-ლხენა“.

III

და აივსო
მოთმინების
ფიალა თუ
დიდი ქვაბი.
(რომ გინება
მუდამ ჰყლაპო,
ხომ არ არის
ტკბილი აბი!?)...
შეუტია
ქმარმა ცოლს და...
და ჩაავლო
ხელი თმაში...
ქმარს კ[illegible]რი
მოუღრიცა,
რომ გაარტყა
ცოლმა ყბაში.

. . . . .

ყოველ დღე აქვთ
ერთმანეთში
გინება და
ჩხუბი-შეხლა
და ცოლ-ქმარის
ცემა-ტყეპას
მეზობლები
უსმენს ეხლა.

ისელი.

# მოხერხებული

ნახ. რევაზის



ქმარი: — შენ ვიღაც შოთიკო ახსენე სიზმარში; მითხარი ვინ არის ის ვაჟბატონი?
ცოლი: — შოთიკო?... ჰო,—რუსთაველი ვნახე და გამეხარდა.

## ხმა-წართმეული

მიკიტანმა, როცა ნახა,
„შავ სიაში" თავის თავი,
მან გაალო უცბად ხახა
და ღრიალით დაიძახა:
„ჩემი საქმე არის გლახათ,
ალბად... მაგრამ ხმის წართმევა
რაღას ნიშნავს, კაცო ნეტავ?
(შიშით ენას კბილით კვნეტავ!)
ჩემისთანა ქლესა-ყბედი,
ჯერ არსად არ გაგონილა;
მუშტრებს რიხით შეუყვირებ,
ყელი მაქვს სულ გაქონილი.
ნუ თუ კაცი არა მქვია?
აღარ ვწამვარ, არვის, არა?
შერცხვა ჩემი პურმარილი,
გამიხუნდა ეს ქალარა.
ძველ დროს ვილა დამიბრუნებს,
ვერა ვხარობ ვერცა ახლით;
„ნალოგები"-თ ტყავი გამძვრა,
დაიცალა ჩემი დახლი.
ჩამომართვეს ყველაფერი —
ჩამომართვეს ყველაფერი, —
მაგრამ ხმისა ჩამორთმევა
ვერ გავიგე ნიშნავს, რასა?
მე მგონია, შავ მუშასა
მე ხმით ვჯობდი,
მაინც ცხარასა!

ზღრბა.

## სოფ. ოზჩა

**ლევან:** —ჰა-ხა-ხა-ხა... რა უქნია, თინა ბოშო, ამ ჩვენს მანაველს გაიკე?.. ხი-ხი-ხი-ხი!

**თინა:** — არაფერი არ გამიგია! რა უქნია?

— რაი, და წასულ კვირას მანაველ თავის ამხანაგებით დაუპატიჟებია მის მოწაფე ქალიშვილს კარგად რომ დამთვრალა აი ჩვენი მანაველ, შენ ხარ ჩემი გვრიტი, ქი არ მოუნდომებია მოწაფისათვის კოცნა და... ჰა-ხა-ხა...

— უი; რა უქნია! მერე იცინი, ბოშო?!

— აჰა, სატირალი რა არის აქა? მოწაფეს მარტო სწავლა კი არ უნდა ასწავლო, არშიყობაცა და კოცნაც ქე უნდა შეასწავლო. ჰოდა იმას ვამბობ, თურმე ხელი რომ ასე მოხვია (თინას ხელს მოხვევს) და ის იყო ასე უნდა ეკოცნა (დააპირებს თინას კოცნას), რომ ამ დროს ბებია წამოადგა თავზე და ჩაიშალა ყველაფერი.

**თინა** (გაუსხლტდება):— რას შვრები შენ? ამბავს მიყობი, თუ შენც მანუელას ჰბაძავ? არ გრცხვენია ამ ხნის კაცს?!

**ლევან:** — ხა-ხა-ხა-ხა...არ გიხდება, თინა, გაბრაზება. (ამოუსვამს ნიკაპზე ხელს).

— გეიწი იქით თუ კაცი ხარ! მანაველზე ნაკლები ეშმაკი არც შენა ხარ. არ გრცხვენია, რომ ეს ქალარა კაცი შვილად შესაფერ ბავშებს ეარშიყები და ასე ექცევი?

— შენ გგონია, მარტო ჩვენ ვართ ასეთი? ყველა ასეა. ვარდანიძე, ბურჯანაძე და სხვები, ქალიშვილებს ეუბნებიან: „თუ მაკოცნინებ, ღრიანებს გადაგისწორებთ".

— კი ხართ ზოგი მასწავლებლები ჭასეთები, მაგრამ ნახავთ თუ მანაველასავით არ ამოგკრავენ პანღურს და არ მოგაბრძანებენ სკოლიდან. განათლების განყოფილების კარებს ყველა მიაგნეს, როგორც ეს ჰქნეს შალიკომ და ლიუდმილამ და თეიმურაზი კკელას შესაფერ ადგილს მოგიჩენს.

**ლევან:** — კარგი ერთი შენც დაიწყე რა! აბა რა უნდა ჰქნან ახალგაზრდებმა.

„ახალ-თაობა".

# კოლეგა

„ტურანდოტი“

ნახ. მარიაშის



პინგო, პონგო და პანგო (მღერიან ერთად): „Верните дом... верните дом“...

ქოფილი სახლის პატრონი:—ვაჰ, ამათთვისაც ჩამოურთმევიათ სახლი?!?

# სოფ. გორდი

სამეურნეო სკოლაში
შუბლამდი მტვერი ხშირია.
გამგეს ვერავინ ნახულობს.
ესე ნაგავი, მტვერია,—
ექიმ გვილავამ იხილა
ესე ნაგავი, მტვერია, —
ისე გაბრაზდა—ყვირილით
ცინალამ გადაგვერია.
ოთხი თვე გამგეთ ბრძანდება
აქ კვირკველია გვარათა,
(აწ მოწაფეებს გაუხდეს
სკოლაში საცნობარათა).
ნაცარ-ტუტაში რომ ჰყრიან
ბნელში უცეცხლოთ ბავშები,—
გამგეო! სკოლის გამგეო!
რათ ვერა ხედავ, რას შვრები?!
ჩიხლაძე მოხსნა მან მუშ
აქ რაა გასაკვირია!?
სიმონიც ზედ მიაყოლა...
არ გახდენ მისი ვირია,

ეხლა ვკითხოთ რატომ, რისთვის?
6 საათს ვერ ვმუშაობ
აალხადა და ამისთვის.
ხლა შვიდწლედს მივუმღეროთ,
ჰევიხედოთ მის სკოლაში,
დავამღეროთ ქამანჩაზე,
აქმე მუნ თუ არის რაში.
უფანჯროა ოთახები,
ქარი დაჰქრის, ყინვა ყინავს;
ამგე ფშტვინავს ქუთაისში,
რხეინად, თბილად სძინავს.
გოგილოა ჩიქოვანი,
პიჰათ ბიჭი ტანადია;
სძე არის ჯერ ახალი.
ველებური თავადია.
რომ დათვრება (სულ მთვრალია)
აშინ უყვარს სროლა ტყვიის.
(ტრიფონს ჰკითხეთ, თუ ჩვენ ორში
მართალს ამბობს, ან ვინ სტყუის!)

მუგული.

# სკოლა—ქსენონი

ლანჩხუთში არის ცხრაწლედი
(გლეხობის ანაგებია),
რომელიც საბჭოს სნეულთა
ჰქონიათ უკურთხებია.
თუ სადმე ავათ გახდება
მღვდელ-დიაკვანი, ბერია,
ბნელეთის მოციქული და
სიცრუვით განაბერია—
ცხრაწლედში მოათავსებენ,
ლოგინებს გაუშლიანო,
განკარგულებას იძლევა
გამგე (ვენიკო—ჰქვიანო).
მოწაფეები უვლიან—
ოთახებს დაუგვიანო,
ექიმებს კაცს უგზავნიან:
„მოვლა არ დაუგვიანოთ“.
ვაი შენ, ჩვენო ცხრაწლედო
ნაგებო აგურ-ქვიანო)...
ველარ უშველა მღვდელს სნეულს
წამალმა თავსაყარათა—
ცხრაწლედში გარდაიცვალა...
(ბარამიძეა გვარათა).
მამა მოუკვდა ვენიკოს,
ცრემლი ჩაწოდის ღვარათა
მასწავლებლების საშავდროთ
მოაწყვენ-გასამწარათა,
საეკლესიარო ალამი
დაჰკიდეს სკოლის კარათა.
ჰე, მღვდელო, ყალბათ მწირველო,
სად ჩამოვარდი ბარათა?
გამოასვენეს, წაიღეს
სამშობლო კუთხის მხარესა.
მასწავლებლებმა საკურთხად
სამარე გაუთხარესა.
გასვენების დღეს შემოკრბა
მოწაფეების წყებანი,
ეფანე ღვდელმა მიუძღვნა
„რეჩი და ქებათა-ქებანი“.
მოწაფეობამ—გვირგვინი,
მასწავლებლობამ — ტორტია;
სამაგიეროთ გლეხობამ—
ურყევი ბოიკოტია

სატანა.

# შარადა

მინდა დავსწერო შარადა,
თუ არ გამიხდა „შარადა“.
მოვნახოთ სიტყვა პირველი
საქმე გაუჭირველი.
პირველი ქვემძრომის სახელი
რომ სახვენ შესადარებლად
როდესაც საქმე მიდის წინ
მძიმედ და აუჩქარებლად.
მოვნახოთ გმირის სახელი
კანდაგარს რომ გადაფრინდა
ორანბანს მოვგლეჯთ ბოლოდან
ჩვენ დანარჩენი არ გვინდა.
და ბოლოს ვპოვოთ ქართულში
სიტყვა „პო“-ს უდრის რომელი
უუვართ იმერლებს იმითი
დასტური განუზომელი.
მივიღეთ კაცი, რომელსაც
უნდა რომ მოგვცეს ეს ზიანი
თუმც არჩევნების წინ გახდა
უეცრად თავაზიანი.

შ. ვეხელოვბა.




## უყვარს პუდრი და ხალი, მეთოდი აქვს ახალი

საბჭოთა სკოლის დანიშნულება არის მშრომელთა ახალგაზრდობის აღზრდა თანამედროვე ახალი ცხოვრების ყაიდაზე.

საბჭოთა სკოლამ ძიების ხანაში ბევრი სხვადასხვა სისტემა და მეთოდი შეიმუშავა სწავლის საქმეში. ეს ძიება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული...

ალბად ამიტომ ქ-ნ ქეთოსაც (სოფ. აბაშა, ქუთ. მაზრა) მოსურვებია თავისი წვლილი შეეტანა და...

მაგრამ რაღა ჩვენ ვილაპარაკოთ, მოვუსმინოთ სამკორს:

თავში წიგნს სცემს მოწაფეს.
(ცემაც იცის მწარედაც).
გაკვეთილის ახსნის დროს
ხშირად აგდებს გარედაც.
მოწაფეებს დასტოვებს,
და არშიყობს რუბენთან.
მოწაფენი კი ამ დროს
ღრიალებენ ღუმელთან.

ღუმელთან ღრიალი არაფერია, თუ, რასაკვირველია, ღუმელში ცეცხლია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ:

მოწაფეების თვალის წინ
ილებავს ტუჩებს „მოდაზე".
პუდრს და მაზს იცხებს სახეზე
და ხალს იკეთებს ლოყაზე.

ქეთო ასე მსჯელობს: — მოწაფეებს ამ თავიდანვე უნდა შევასწავლო თავისი თავის „მოვლა-გალამაზება", ანუ კოსმეტიკა, თორემ როცა გაიზრდებიან და ჩემსავით არშიყობას დაიწყებენ, მაშინ არ ეცოდინებათო.

ქეთოს აზრით კოსმეტიკა მთავარია ქალიშვილისათვის და მათ ეს უნდა მისცეს სკოლამ.

ტარტაროზის აზრით, თუ აბაშის სკოლა ისევ უყურადღებოთ დარჩება, სჯობს მას სახელი გამოეცვალოს და ეწოდოს: —

| |
|---|
| სოფ. აბაშის ქ-ნ ქეთოს სახელობის<br>ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ |

გარდა ამისა, საჭიროა ძველი (იაკობ გოგებაშვილის) „დედა-ენა"-ში „ნუცას სკოლა" გადაკეთდეს „ქეთოს სკოლად" და დაიხატოს ეს სურათი:



ᲥᲔᲗᲝ: — ეს არის პუდრი, ეს არის მაზი, ეს არის ტუჩის სალებავი, ისწავლეთ გენაცვალეთ!

ისწავლიან გოგოები წერა-კითხვას, თუ ვერა?"..
რასაკვირველია —ვერა!

## ავტობუსი სწრაფია... გზებზე ორმო-ლაფია

ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ ჩოხატაურზე, მაგრამ ასევე ითქმის მრავალ ჩვენს თემებზე, რომელთა მესვეურთ „ინდუსტრიალიზაცია თავისებურად ესმით".

მაგალითად, ჩოხატაურის:

გლეხკომებმა შეიძინეს
ავტობუსი სწრაფად მრბენი,
მაგრამ, დახეთ უკან სტოვებს
მას ირაკლის ხმელი ცხენი.

კიდევ ვიმეორებთ: ასეთივე სურათებია ბევრ ჩვენს დაბა-სოფლებში.

ავტობუსის საწინააღმდეგო ვის რა ექნება, მაგრამ ჩვენის აზრით სჯობს:

ჯერ გავაკეთოთ გზები—
არ იყოს ორმო-ლაფი,—
და შემდეგ შევიძინოთ
ავტობუსები სწრაფი.



— თუ გზები გავაკეთეთ, მაშინ რაღა ავტობუსი გვინდა! გაკეთებულსა და კარგ გზაზე ისედაც მშვიდობიანად გავივლითო!—ალბად გვისაყვედურებენ სოფლის მესვეურნი.

მაგრამ რას ერჩით ავტობუსს, რომელმაც სადღაც სოფლის ორღობეში უნდა დალიოს სული? რატომ უნდა დასცინოდეს მას სოფლის გამხმარი ცხენი, რომლისთანა ძალ-ღონე ავტობუსს რამდენიმე ასეული ექნება. გარდა ამისა, როცა ცხენის პატრონი ხედავს, რომ ავტობუსი ჯიბრს მაინც ვერ გაუწევს თავისს ცხენს, მას აღარ აძლევს საკმაო საჭმელს და ეუბნება:

— ნუ გეშინია, შენ ისე მაინც არ დაუძლურდები, რომ ჩვენი გლეხკომის ავტობუსს ჩამორჩე ძალღონეში!

აი, რამდენი დავიდარაბა და ზარალი მოაქვს მიზანშეუწონელად საქმის გაკეთებას.

## ჭამის მადა დიდია... საქმე ფეხზე ჰკიდია

მართალია, ის მაღაზია (№ 30), რომლის გამგეთ ვალოდია დევიძე ბრძანდება, ეკუთვნის ქუთაისის მუშკოოპს, მაგრამ მის გამგეს ის თავისი ჰგონია.

ჰგონია და მაინცდამაინც არც ცდება.

სახელით თუმცა სხვისაა,—
მაგრამ სახრავად ჩემია.
კუდის რიკამდე გავჭპუტავ
ვამბობ და ლა...ემია...

და როგორ გგონიათ თქვენ,—ვირ შესძლებს? შესძლებს, ვალოდია ისეთი კაცი არ არის, რომ თავისი სიტყვა არ გაანაღდოს, ამისი ნიშნები უკვე არის.

„ორი ეტლი ჰყავს თავისი“— გვწერს „მახათი“.

მართალია, „საქმის კაცია“ ვალოდია, მაგრამ ორი ეტლი რად უნდა? გვწამს ორი სკამი, — ბევრს უყვარს ორ სკამზე ჯდომა, მაგრამ... ორი ეტლი ეს ახალი მიღწევაა!

წარმოიდგინეთ თქვენ, ვალოდია არ კმაყოფილდება მუშკოოპის შემოსავალით და

ქუჩებში ცხენებს დალალობს
და აწყობს კამბინაციებს....
სიტყვას ვერ ჰკადრებს ნოქარი,
ყველას მის შიშით აციებს.



„კოოპერაციაში კერძო ვაჭრების ჩასაბმელად“, (ასეთი ლოზუნგიც წამოისროლა ვალოდიამ) მათ აძლევს საქონელს. მაგალითად: „ვაჭარ ბერიძეს ჩუმად, უკანა კარებიდან მიჰყიდა 30 ფუთი სიმინდი“.

საწყალი ვალოდია! ამ მცირე შემოსავლიდან თავს როგორ გაიტანდა, რომ მისი ცოლიც არ მსახურებდეს?!

ტყვილად არის ჯიბრში კოოპერატივი, რომელიც ფიქრობს:

— აბა ვნახოთ თუ ისე არ გავაძლო ვალოდია, რომ თავი დამანებოსო!..

ვალოდია მას მოინელებს. —

არც ის არის მართალი, რომ ამბობენ: „ვალოდია სპეციაო“.... ვინც ამას ამბობს, შეიაროს შრომის ბირჟაში და უკეთეს სპეცებს ნახავს ის.;

## თავს გრძნობს ეკლესიაში.. სწერია შავ სიაში

არის თქმა: „ამაოა მგლის თავზე სახარების კითხვაო“

სახარება იმიტომ ვახსენეთ, რომ სწორედ სახარების კაცთან გვაქვს საქმე. ეს გახლავთ ძველი ოფეთის (ქუთაისის მაზრა) მცხოვრები, ყოფილი მღვდელი და არსებული მასწავლებელი სიმონ ცინცაძე.

„შეგნება ჰქმნის მდგომარეობას“-ო ასე ამბობს სიმონი, ე. ი. თავის თავი შეგნებულად მოაქვს. სწორედ ამიტომ ალლო აული მან ცხოვრებას და.. გაიკრიჭა. გაკრეჭის შემდეგ სკოლაში მასწავლებლობის ადგილი იშოვა დ ამჟამად თავს სკოლაში ისე გრძნობს, როგორც საკუთარ ეკლესიაში.

— დედას გიტირებთ ყველას! ღრინი არ დასძრათ ჩემ წინააღმდეგ, თორემ ვეტყვი ჩემს შვილს და ვაი თქვენი ბრალი! — ემუქრება სიმონი ყველას.



მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა არჩევნებში ხმის უფლება მაინც ჩამოართვეს და შავ სიაში გამოაკრეს.

გაბრაზდა სიმონ ნახუცარი სოფელზე და მოინდომა მისი მოწამვლა. ამ მიზნით მან ძაღლის ლეში (ამბობენ— ძაღლი მოჰკლა ამ საჭიროებისთვისო) ჩააგდო ჭაში, რომელსაც სოფელი ხმარობდა. მაგრამ დაინახეს და აღმასკომში მიაბრძანეს.. სწორედ რომ „მიაბრძანეს“, მეტი ვერაფერი გაუბედეს, რადგან სიმონმა ისევ განიმეორა თავისი მუქარა:

გასწით, გამშორდით, ვერ გიცნობთ—
აქ ვინ ხართ ჩემი სწორიო.
სულყველას გაგისწორდებით,
შვილი მყავს პროკურორიო.

მართლაც ეს საქმე საპროკურორო საქმეა. (კუდუმური).

## ვინ მფარველობს მერის, რომელიც რომ მღერის

თავს ისე ვგრძნობ აქა,
როგორც ქვისა კაჟი,
რადგან პროტექტორად
მყავს „ისეთი“ ვაჟი...
თორმეტ თუმანს ვიღებ,
მე რად მინდა სტაჟი.

ამ დროს კი ძველი და უფრო პასუხისმგებელი მუშაკები ღებულობენ 50—60 მანეთს.



— ნეტავი ვინ მფარველობს მერის?—იძლევა კითხვას კავთურელი ჩვენ გვგონია— ადგილკომს არ გაუძნელდება „მფარველ ანგელოზის“ ნახვა; ის არც ისე შორს არის რკ. გზ. სამმართველოდან.

არ გამოადგება პროტექტორს თავის გასამართლებლად რუსთაველის სიტყვები, რომლებსაც თითქოს ის ცხოვრებაში ატარებს.

ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს, თუნდაც ხვადია“...,
(აქ პროტექცია რომ არის,
ეს ყველასთვის ცხადია!).

კარგი, და თუნდაც ასე იყოს, მაგრამ შოთა ამბობს: „სწორია“... სად არის აქ დაცული სისწორე? მერა ღებულობს 120 მანეთს, ხოლო ძველი მუშაკები—50—60 მანეთს. —

ემანსიპაციას ვატარებთ ცხოვრებაში და ხელს ნუ გვიშლით!—აცხადებს რიხით ბ-ნი პროტექტორი.

საინტერესოა ვიცოდეთ—როდის შემდეგ და რა მოსაზრებით გამოდის ეს ვაჟბატონი ემანსიპაციის აპოლოგეტად?

# ცნობათა მიღება



**მნარს.** ახალ - ახალი ავტორების ჩვენს ჟურნალში დაბეჭდვის წინააღმდეგი, აბა, ვინ უნდა იყვეს. მაგრამ მარტო სიახლით რომ „ვზომოთ“ ავტორობა, ჩვენი ჟურნალი სიძველეთა საწაგველ გადაიქცევა. საქმე ისაა, თუ ვინ რასა და როგორ სწერს, რათა ეს ნაწერი იწვევდეს ჩვენს მოყვრებში ჯანსაღ სიცილს.

თქვენი ნაწერი რომ დავსტამბოთ, მართალია, სიცილს ისიც გამოიწვევს, მაგრამ არა ჩვენს მოყვრებში, არამედ ჩვენს მტრებში!

აი, ჩვენ როგორ ვაფასებთ და ვერიდებით ჩვენს ავტორებს, ასე გასინჯეთ, ახლებსაც კი, როგორიც მაგალითად — თქვენა ხართ:

**პოზიტივს.** აბა, ვისთვისაა თქვენი ქირიმე, საინტერესო ამბავი თქვენი ნინას მიერ მუცელზე ბალიშის ჯკვრისა, ამით ფეხმძიმობის სიმულიაციის მოწყობისა, მეცხრე თვეზე სხვა ქალაქში გამგზავრებისა, იქ „მოლოგინების“ მომიზეზებით. და სხ.

პირადათ თქვენ ისე, ხართ შეტოპილი ამ პროცედურაში ისე გატაცებით სწერთ, რომ გგონიათ მთასა, და ბარს ასწორებთ.

ჭეშმარიტად, ლუარსაბ თათქირიძეებს თუ დაინტერესებთ დღეს ამით!..

**ხორხოზას.** თქვენი სცენის იმ ნაწილის დაბეჭდვა კი გვინდოდა, გზების გაყვანას რომ შეეხება ყულევის თემში, მაგრამ არჩევნებმა უკვე მოგვისწრო, როგორც ხედავთ, და თავმჯდომარეს, ალბათ, გზას უჩვენოდაც უჩვენებენ აღნიშნულ უმოქმედობისათვის.

მიუხედავათ ყოველივე ამისა, სცენის წინა ნაწილი, ცოტა არ იყვეს, დამაექვებელია, თავმჯდომარის ცოლის - ძმამ რომ კაცი გალახოს, რა ბრალში უნდა იყვეს თავმჯდომარე, ვერ გავიგეთ. თქვენი სცენი კი სწორედ ამით იწყება. და აი, ეს დასაწყისი რაღაც არ მოეწონა ტარტაროზს; მან სთქვა: „ვაი, თუ გზის შესახებაც სწორედ „ამ გზით“ გვატარის ხორხოზამა“-ო..

**„კიტაისკი კოვერკოტს“.** ტარტაროზს უნდა თქვენი „პასუხად კოკის“ მოთავსება ჟურნალში, მაგრამ ლექსის ბოლოზე მიწერილი ტაეპი რომ წაიკითხა, განზრახვა შეაჩერა. თქვენ თითონ სწერთ:

„ამ ლექსსა აქვს დალეულა
ეხლა ლურჯი ხინა
ტარტაროზო! გოდორში
ხას არ მიხცე ბინა“-ო.

ეს რომ წაიკითხა ტარტაროზმა, თქვენც დამერწმუნებით, რომ სამართლიანად სთქვა: „ხინა თუ აქვს დალეული, თუნდაც ლურჯი იყვეს ეს ხინა, ცხადია, „ბოდვაში“ იქნებაო“. და გამოსაფხიზლებლად გადაუძახა, სწორედ გოდორში.

**„ჭამიყლაპიას“.** ჭამიყლაპია, რომ ყოფილხართ, ეს აშკარად სჩანს თქვენი ნაწარმოებიდან: რძალისა და სიმამრის შერიგება მხოლოთ მას შემდეგ მოგიხერხებიათ, რა რომ ხაჭაპურებით ამოგივსიათ მუცელი. კარგი ხერხია საზოგადოთ ყოველგვარი „შემრიგებელ - შემთანხმებლობისათვის“; რომ ეს ხერხი ეხლანდელ „მეშარჯვენეები გადახრის“ ხანაში, არ იყვეს მეტის - მეტად საფრთხილო და სახიფათო, ზოგჯერ დიდი მარცხის გამომწვევიც.

მაგრამ მაინც ვერ წარმოგვიდგენია: რა კავშირი უნდა ჰქონდეს ყოველივე ამას ალმასკომის თავმჯდომარის ცხენიდან გადავარდნას სასოფლო გზაზე დამდგარ ტალახში? თუმცა ეს უკანასკნელი „მარცხი“ ჩვენთვის სავსებით მისაღებია ისეთი თავმჯდომარისათვის, რომელსაც ზაფხულის განმავლობაში ერთი მუჭა ხრეშიც არ მოუყრია ამ გზაზე.

**მარანჭალელს.** თქვენი კორესპონდენციიდან ასე სჩანს, რომ თქვენს სოფელში, როგორც სამკითხველოში, ისე მის გარედ, ყველაა დამნაშავე, მხოლოთ ნამდვილად ყველა წყლიდან მშრალი ამოდის. „აჩრების“ მეტი კონკრეტულობაა სავალდებულო.

**სოხუმელ ხუმარას.** ხუმარასათვის, თუნდაც ის სოხუმელი იყვეს, სახუმაროს წერა საზოგადოთ სავალდებულოა.

თქვენ კი რასაც გვწერთ; ეს სულ უმწვერვალესად ტრაღიკული ამბებია.

**შ. ალზენოს.** მართალია, თქვენ გვატყობინებთ, რომ:

ტარტაროზ-ჯან ხელში ვიღებ,
ახალ ნაყიდ კალამსა;
მეორეთ მე თქვენ ლექსსა გწერთ
და მოგიძღვნით სალამსა-ო.

მაგრამ, როგორცა სჩანს, „საქმეს“ ვერარც „ახალნაყიდმა“ კალამმა უშველა.

სალამის მოძღვნისათვის კი ტარტაროზმა დიდი მადლობა მოგახსენათ.

**კიდევ ხორხოზას.** როგორც მივხვდით (თქვენ გგონიათ, რომ მცირე შრომა დაგვიჯდა ამისა მიხვედრა თქვენი ნაწერიდან?), თქვენ უნდა სწერდეთ ყულევის ქარხნის მესვეურების მიერ მუშისთვის „სპეცტანისამოსის“ მიუცემლობის შესახებ.

ტარტაროზი ამისათვის ქარხნის მესვეურებს თავზე ხელს არ მოუსვამს, რა თქმა უნდა. ამ მხრივ სავსებით ყურადღებული არის თქვენი ლექსის დასასრული:

აწ შენ, ძმაო ტარტაროზ,
სიტყვა გმართებს მაგარი;
ამ ქარხნის მესვეურებს,
რომ აუწვა ჯაგარი-ო.

ჯაგრის აწვა ძნელია. დაწვით კი უთუოდ დაუსწვავთ ჯაგარს, თუ შენ ისეთს გვანახვებ მათ ხერხემალზე, სხვაგან კი, ნურას უკაცრავად და, ვერსად წაგყვებით ამისათვის.

**შ. ვესელოვსკის.** თქვენი ფსევდონიმი რომ რუსულიდან ვსთარგმნოთ, „მხიარულიძე“ გამოვა დაახლოებით. შარადა, როგორც ხედავთ, დაგიბეჭდეთ. ის თქვენ კი არ გაგიხდათ „შარად“, არამედ ჩვენ.

---

ნახ. რევაზის



ჭეშმარიტად, ლუარსათ თათქარიძე — ეხლა კი მივხვდი თუ რატომ ამბობდა მამა, რომ ენციკლოპედიური სიტყვარი ყველაფერში გამოსადეგიაო.

# 1 თებერვლიდან

მასიური მუშური გაზეთი

# „მუშა“

## ღირება მხოლოდ 2 კაპ.

გრძელდება ხელისმოწერა თებერვლისათვის

გაზეთი „მუშა‘, მიზნად ისახავს გახდეს პოპულიარული და მუშათა ფართო მასებისათვის სავსებით მისაწვდომი, როგორც შინაარსით, ისე ფასით.

გაზეთი „მუშა“ გამოვა შემცირებული ფორმატით.

---

გაზ. „მუშა“-ზე ხელისმოწერის პირობები:

გაზეთი ღირება

| | |
|---|---|
| 1 წლით— | 5 მან. |
| 6 თვით— | 2 მ. 60 კაპ. |
| 3 თვით— | 1 მ. 35 კაპ. |
| 1 თვით— | 50 კაპ. |

ჟურნალ „ტარტაროზი“-ს დამატებით გაზეთი ღირება

| | |
|---|---|
| 1 წლით— | 7 მ. 40 კაპ. |
| 6 თვით— | 3 მ. 80 კაპ. |
| 3 თვით— | 1 მ. 95 კაპ. |
| 1 თვით— | 70 კაპ. |

## „ტარტაროზი“

ცალკე ნომერი ყველგან

## ორი შაური

P-7188

# გადაულახველი სიძნელე

ნახ. დონის



აქ-გამგე, რომელთანაც-კამათი ძალიან ძნელია.